კ. ბაქრაძე

თანამედროვე ამერიკულ-ინგლისური ბურჟუაზიული ფილოსოფია იმპერიალიზმის სამსახურში

ს ა ხ ე ლ გ ა მ ი
1965

I. ორი სისტემა — ორი იდეოლოგია

დღევანდელი მსოფლიო ორ დიდ ბანაკად არის გაყოფილი: ერთი მხრით, იმპერიალისტური ქვეყნების ბანაკი ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, ხოლო მეორე მხრით, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკი საბჭოთა კავშირის მეთაურობით.

ეს ორი ბანაკი პრინციპულად განსხვავებულ ეკონომიურსა და სოციალურ-პოლიტიკურ სისტემას წარმოადგენს. იმპერიალიზმის ბანაკში გაბატონებულია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია: ერთი მუჭა კაპიტალისტები მშრომელთა მასების ექსპლოატაციას ეწევა. ეკონომიურად ძლიერი იმპერიალისტური ქვეყნები ექსპლოატაციას უწევენ ეკონომიურად სუსტ და ჩამორჩენილ ქვეყნებს. ამერიკის შეერთებული შტატებია მეთაურობით იმპერიალიზმი ცდილობს ხელში ჩაიგდოს მთელი მსოფლიო, თავის კოლონიად გადააქციოს იგი. ეს გარემოება აიხსნება თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონით. „თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონია მთავარი ნიშნები და მოთხოვნები შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობისა მილიტარიზაციის

მოძღვრებას ინსტრუმენტალიზმს — ძირითად დებულებებს. აზროვნების პროცესი, დიუის აზრით, ბიოლოგიური პროცესია: ის არ არის დაკავშირებული ტვინთან, ის „შინაორგანული მოვლენაა" და არა ცნობიერების თავისებური მდგომარეობა. მისი მიზანია სინამდვილესთან შეგუების პროცესი. იგი წარმოადგენს რეაქციას გარკვეულ სტიმულზე. აზროვნება არის საშუალება დაგვიანებული, მაგრამ უფრო სწორი რეაქციისათვის. აზროვნება ჩნდება იმ შემთხვევაში, როდესაც სიტუაცია გაჭირვებულ მდგომარეობაში აყენებს ადამიანს; მოტორული რეაქცია მაშინვე კი არ მოხდება; გარკვეული შეჩერების შემდეგ წარმოებს „შინაორგანული" პროცესი — აზროვნება, რომელიც ქცევაში გამოიხატება. სწორი, ნაყოფიერი აზროვნების ქცევა მართებულად უპასუხებს სიტუაციას.

აზროვნების ფუნქცია სულაც არ მდგომარეობს იმაში, რომ სინამდვილე ასახოს, არამედ გარკვეულ სიტუაციას გარკვეული ქცევით უპასუხოს. შემეცნება მდგომარეობს ნაყოფიერ აზროვნებაში, ე. ი. ისეთ აზროვნებაში, რომელიც სწორ რეაქციას იძლევა. ცოდნა პრაქტიკული სიტუაციით არის განსაზღვრული და მისი ჭეშმარიტება ნაყოფიერ პრაქტიკაში მდგომარეობს. ამდენად ჭეშმარიტება მოქმედების გეგმას, საშუალებას წარმოადგენს. ფიქრობენ, ამბობს დიუი, რომ ცოდნა, ჭეშმარიტება მსჯელობებში გამოიხატება. გამოსული პრაგმატიზმის პრინციპებიდან, დიუი უარყოფს ამ დებულებას. მისი აზრით მსჯელობა მხოლოდ საშუალებაა, ხოლო საშუალება შეიძლება იყოს ისეთი, რომელიც მუშაობს ჩვენთვის ან ისეთი, რომელიც არ მუშაობს ჩვენთვის, ეფექტური და არა ეფექტური, გამოსაყენებელი, ეკონომიური და გამოუყენებელი, არა ეკონომიური. საშუალება არ შეიძლება იყოს ამიტომ ჭეშმარიტი.

როდესაც ეს საშუალება პრაქტიკაში გამოიყენება და ნაყოფიერ რეზულტატს მოგვცემს, მაშინ და მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი ჭეშმარიტებაზე. იდეების ჭეშმარიტება პრაქტიკაში უნდა შემოწმდეს. პრაქტიკამდე იდეა არც ჭეშ-

გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად"[1].

თანამედროვე კაპიტალიზმის ეს ძირითადი ეკონომიური კანონი განსაზღვრავს ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას კაპიტალისტური წარმოების განვითარების სფეროში და შესაძლებლობას გვაძლევს გავიგოთ და ავხსნათ კაპიტალისტური საზოგადოების არსება და მით განსაზღვრული მოვლენები.

ეს კანონი აიძულებს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს გადადგას ისეთი სარისკო ნაბიჯები, როგორიცაა კოლონიებისა და სხვა ჩამორჩენილი ქვეყნების დაკაბალება და სისტემატური ძარცვა, დამოუკიდებელი ქვეყნების დამოკიდებულ ქვეყნებად გადაქცევა, მოწყობა ახალი ომებისა, რომლებიც თანამედროვე კაპიტალიზმის საქმოსნებისათვის საუკეთესო „ბიზნესს" წარმოადგენენ მაქსიმალური მოგების ამოსაქაჩავად, ბოლოს, მსოფლიო ეკონომიური ბატონობის მოპოვების ცდები.

გერმანელი ფაშისტების ავანტიურისტული იდეა — მსოფლიოზე ბატონობის იდეა — ამერიკის შეერთებული შტატების ბურჟუაზიამ თავის პრინციპად გამოაცხადა. მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა განსაზღვრავს ამ პრინციპს და აიძულებს იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სწრაფი ტემპით შეიარაღებას. ამერიკის შ. შ. სამხედრო ხარჯები საერთო ბიუჯეტის 90% აღწევს.

ამერიკის შ. შ. იმპერიალიზმის მისწრაფებას მსოფლიოზე ბატონობისაკენ უპირისპირდება საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების მშვიდობიანი პოლიტიკა.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა მშვიდობისა და ხალხთა თანამშრომლობის პოლიტიკაა; თავის საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა კავშირი ეყრდნობა ლენინის მიერ წამოყენებულ პრინციპს — ორი სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს. საბჭოთა კავშირში აღარ არსებობენ ექსპლოატატორული კლასები, რომელთა ინტერესებს შეესაბამება იმპერიალის-

---

[1] ი. სტალინი. სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში. გვ. 98—99. 1953 წ.

ტური ომები. საბჭოთა კავშირი და მისი მეთაურობით დემოკრატიული ქვეყნები, დიდი ჩინეთი, ბულგარეთი, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, რუმინეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ალბანეთი ახალ ქვეყანას აშენებენ, ხალხთა კეთილდღეობაზე ზრუნავენ. საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკა სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონით არის განსაზღვრული. „სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის არსებითი ნიშნები და მოთხოვნები შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოგვეყალიბებინა: მთელი საზოგადოების მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილების უზრუნველყოფა უმაღლესი ტექნიკის ბაზაზე სოციალისტური წარმოების განუწყვეტელი ზრდისა და სრულყოფის გზით"[1].

ეს კანონი განსაზღვრავს საბჭოთა კავშირის ყველა უმნიშვნელოვანეს მოვლენას და შესაძლებლობას გვაძლევს ავხსნათ და გავიგოთ ისინი.

თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი და სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონი ორ პრინციპულად განსხვავებულ სისტემას განსაზღვრავს. ომის გამჩაღებელ ამერიკულ იმპერიალიზმს და მის სატელიტებს უპირისპირდება მშვიდობის დამცველი საბჭოთა კავშირი და დემოკრატიული ქვეყნები; მაქსიმალური მოგების უზრუნველსაყოფად მებრძოლ იმპერიალიზმს უპირისპირდება მოსახლეობის მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალურად დაკმაყოფილების უზრუნველსაყოფად მებრძოლი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა; მსოფლიოზე ბატონობის და ხალხთა დამონების ანტიეროვნულ მისწრაფებას უპირისპირდება ხალხთა შორის მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის ბრძოლა.

მსოფლიოზე ბატონობის იდეით გატაცებული ამერიკული იმპერიალისტური ბურჟუაზია მესამე მსოფლიო ომისათვის

---

[1] ი. სტალინი. სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში გვ. 102—103. 1953 წ.

ემზადება. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ საბრძოლველად იმპერიალისტური ბურჟუაზია მიმართავს ყოველგვარ საშუალებას: ეწევა გამალებულ შეიარაღებას, აკოწიწებს აგრესიულ სამხედრო ბლოკებს, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების გარშემო ქმნის უამრავ სამხედრო ბაზებს, აწყობს შპიონაჟს, დივერსიებს და ა. შ.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ბლოკს ტონს აძლევენ ამერიკის შ. შ.. საინტერესო აქ ის არის — და ეს იმპერიალიზმის არსებიდან გამომდინარეობს.— რომ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული და ექსპანსიური პოლიტიკა მიმართულია არა მხოლოდ სოციალისტური და დემოკრატიული ქვეყნების წინააღმდეგ, არამედ ეს ექსპანსია მიმართულია მისივე „მეგობრების“— სატელიტების წინააღმდეგაც, ინგლისის, საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიისა და სხვ.. ის ცდილობს ჩაიგდოს ხელში ირანი, პაკისტანი, ეგვიპტე და სხვ.

მაგრამ საზოგადოების განვითარების კანონზომიერება იმპერიალისტური ბურჟუაზიის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედებს. პირველი იმპერიალისტური ომის შემდეგ ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ კაპიტალისტურ ქვეყნებს ვეებერთელა ქვეყანა — რუსეთი ჩამოაშორა და მათ დაუპირისპირა; მეორე მსოფლიო ომის შედეგად იმპერიალიზმის ბანაკს დიდი ჩინეთი და დასავლეთ ევროპის რიგი ქვეყნები ჩამოშორდა და მათ საბჭოთა კავშირის დახმარებით სოციალიზმის შენება დაიწყეს.

ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით წარმოებული აგრესია კორეის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ მარცხით დამთავრდა; ვიეტნამში ამერიკული იმპერიალიზმის გეგმები ჩაიშალა; მალაიაში იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა გრძელდება. 400 მილიონიანი ინდოეთი განთავისუფლდა უცხო იმპერიალიზმის ბატონობისაგან და ინდოეთის მთავრობა ხშირად ამერიკის იმპერიალიზმის ზრახვებს წინააღმდეგობას უწევს. უკანასკნელ დროს არც დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები — ინგლისი და საფრანგეთი მისდევენ მონურად ამერიკის შ. შ. პოლიტიკას.

მოსახლეობის ფართო მასები თანდათან ერკვევიან იმპერიალიზმის ბუნებაში; მშვიდობის მომხრეთა რიგები დღითიდღე იზრდება.

იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ კარგად იცის, რომ მომავალი მსოფლიო ომის შედეგად,— რომლისათვისაც ის გამალებით ემზადება,— შესაძლებელია იმპერიალიზმის ბანაკის შემდგომი ნგრევა; მან კარგად იცის ეს შესაძლებლობა და ამიტომ ემზადება არა მხოლოდ ამ მოსალოდნელი შედეგის საწინააღმდეგოდ, არამედ იმ შედეგების მოსასპობადაც, რომლებიც წარსულმა მსოფლიო ომებმა მოიტანეს, ე. ი. სოციალიზმის და დემოკრატიის მოსასპობად და მსოფლიოზე ბატონობისათვის.

მაგრამ არც მხოლოდ დიდი არმიების შექმნას, და აგრესიული სამხედრო პაქტების დადებას, არც სამხედრო ბაზების შექმნას საბჭოთა კავშირისა და დემოკრატიული ქვეყნების გარშემო, არც ატომურსა და წყალბადის ბომბებს და ბაქტერიოლოგიურ იარაღს და არც მხოლოდ შპიონაჟს და დივერსიებს არ ეშინება ძალა, მანამ მოსახლეობის უმრავლესობა, მშრომელთა მასები, უბრალო ადამიანები ომის წინააღმდეგი იქნებიან. ამისათვის იმპერიალისტებს სჭირდებათ მოსახლეობის, მშრომელთა მასების, უბრალო ადამიანების დარწმუნება იმაში, რომ თითქოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და პირველ რიგში ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა ერთადერთი სწორი პოლიტიკაა, რომ საბჭოთა კავშირი, სოციალისტური ქვეყანა ცივილიზაციისათვის საშიშროებას წარმოადგენს, რომ მას სურს მსოფლიოზე ბატონობა, რომ იგი აპირებს მსოფლიო რევოლუციის მოხდენას და ამერიკის შ. შ. „ცხოვრების საუკეთესო წესის“ დანგრევას.

მეორე მსოფლიო ომი ძლივს იყო დამთავრებული, რომ იმპერიალიზმის ერთგულმა მსახურმა ბ. რასელმა გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც წერდა: „დღეს მხოლოდ ორი დიდი სახელმწიფო არსებობს — ამერიკის შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი, ინგლისი აღარ არის მხედველობაში მისაღები, რადგან ბრიტანეთის პოლიტიკა განსაზღვრუ-

ლია ვაშინგტონით. უნდა შეიქმნას დასავლეთი. ქვეყნების გაერთიანებული არმია. ამ არმიაზე დაყრდნობით ლიკვიდირებული იქნება რევოლუციის საფრთხე". შემდეგ: „რევოლუციის საფრთხის ლიკვიდაციისათვის აუცილებელი იქნება ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვაც. ეროვნული სუვერენიტეტის პრინციპი, რომელსაც XIX საუკუნის ლიბერალიზმი აღიარებდა და რომელსაც დღეს კრემლი იცავს, უნდა უკუვაგდოთ: უნდა დავიწყოთ პრევენციული ატომური ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ომის შემდეგ შევქმნათ საერთაშორისო ორგანიზაცია ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, რუსების, სლავებისა და აღმოსავლეთის ხალხების გარეშე".

იმპერიალისტური ბურჟუაზიის მსახურები კარგად გრძნობენ, რომ მხოლოდ არმიები, ატომური ბომბები არ არის საკმარისი დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. რომ საჭიროა კიდევ სხვა რამ, შესაძლებელია უფრო მძლავრი, ვიდრე ატომური ბომბი.

საჭიროა, წერდა. იგივე რასელი, მსოფლიო მთავრობა არმიების განუსაზღვრელი კონტროლით, საჭიროა შევაგუოთ მთელი ქვეყნის ეკონომიკა ამერიკის ეკონომიკასთან, საჭიროა შევაჩეროთ რუსეთში, აზიაში და აფრიკაში მოსახლეობის ზრდა და, რაც მთავარია, საჭიროა ვაწარმოოთ დასავლეთის მსოფლმხედველობის პროპაგანდა და კომუნიზმის კრიტიკა.

იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ და მათმა მსახურებმა კარგად იციან, თუ რა ძალას წარმოადგენს კომუნისტური იდეოლოგია, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია. ამას ისინი ხშირად აღიარებენ: ბურჟუაზიის იდეოლოგები ხშირად მწუხარებით აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მარქსისტული მსოფლმხედველობა თავისი „მთლიანობით, გარკვეულობით და მიზანდასახულობით" აძლევს მასებს „პერსპექტივის სინათლეს", უსახავს მას გარკვეულ მიზანს პრაქტიკული ბრძოლისათვის; მწუხარებით აღიარებენ, რომ მარქსისტული მსოფლმხედველობა არა მხოლოდ მშრომელთა მასებისათვის არის

მომხიბვლელი, არამედ ინტელიგენციის გარკვეული ნაწილიც უკვე ემხრობა მას.

• მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია, რაც დრო გადის, მით უფრო ვრცელდება კაპიტალისტურ ქვეყნებში. შემთხვევითი როდია, რომ ამ ახლო ხნის წინათ გამოცემულ ერთ-ერთ „თანამედროვე ფილოსოფიის ისტორიის“ კურსში (Bochensky) აღნიშნულია, რომ დღეს ყველაზე გავრცელებული ფილოსოფიური სისტემა დიალექტიკური მატერიალიზმია.

მწუხარებით აღიარებენ იმ გარემოებას, რომ დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა აძლევს საბჭოთა ხალხს „მიზნის გრძნობას“; ეს უკანასკნელი წარმოადგენს იმ დიდ ძალას, რომელიც დასავლეთსა და ამერიკას აკლია და რაც მთავარია, ამერიკის შეერთებულ შტატებს და დასავლეთს არა აქვთ არაფერი ისეთი თანასწორღირებული, რომლის დაპირისპირება შეიძლება საბჭოთა ხალხის იდეოლოგიისადმი.

ასეთი გამოთქმები არც ისე იშვიათია ბურჟუაზიულ პრესაში.

მაგრამ ეს გამოთქმები იმას კი არ გამოხატავენ, რომ იმპერიალისტური ბურჟუაზიის მსახურები აღიარებენ რა ამ გარემოებას, აპირებენ იარაღის დაყრას სოციალისტური იდეოლოგიის წინაშე; პირიქით, ამ გარემოების აღიარება წარმოადგენს მოწოდებას, რათა შეიქმნას ისეთი სულიერი იარაღი, რომლის დაპირისპირება შეიძლება მარქსისტული მსოფლმხედველობისადმი, რომელიც გამოადგება იმპერიალიზმს კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ამრიგად, მარქსიზმის, კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს არა მხოლოდ არმიებით, ატომური და წყალბადის ბომბებით, შპიონაჟით და დივერსიებით, არამედ პირველ რიგში სულიერი იარაღითაც. ფილოსოფიაში, სოციოლოგიაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში — აი ის მიზანი, რომელსაც უსახავს იმპერიალისტური ბურჟუაზია თავის დიპლომირებულ მსახურებს.

II. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის წინამორბედნი

უკვე აღნიშნული იყო, რომ დაღუპვის წინაშე დამდგარი იმპერიალისტური ბურჟუაზია, ცდილობს გაახანგრძლივოს თავისი პარაზიტული არსებობა; საზოგადოებრივი განვითარების კანონების საწინააღმდეგოთ ის ცდილობა მოაბრუნოს ისტორიის მსვლელობა, გაავრცელოს თავისი ბატონობა მთელ მსოფლიოზე; ამისათვის მას სჭირდება არა მხოლოდ სამხედრო ძალა, არამედ სამხედრო ძალასთან ერთად და პირველ რიგში არსებული იმპერიალისტური სისტემის გამართლება, კომუნისტურ მსოფლმხედველობის წინააღმდეგ ბრძოლა, ისეთი მსოფლმხედველობის შექმნა, რომელსაც იგი მარქსისტულ-ლენინურს, კომუნისტურ მსოფლმხედველობას დაუპირისპირებს და ამ სულიერი იარაღით ეცდება მის განადგურებას.

მაგრამ რეაქციულ კლასს, რომლის არსებობის დღეები დათვლილია, აღარ აქვს შემოქმედებითი ძალა, უნარი, რაიმე ახალი ორიგინალური სისტემა შექმნას. ახალი, დადებითი შეიძლება შექმნას პროგრესულმა, რევოლუციურმა კლასმა, რომელიც განვითარების კანონზომიერებას შეიცნობს და მის მიხედვით აწარმოებს თავის პრაქტიკულსა და თეორიულ მუშაობას. კლასი, რომელმაც კარგა ხანია შეასრულა თავისი ისტორიული მისია და რომელიც ახლა დაღუპვის წინაშე დგას, წარსულზე ოცნებობს, წარსული ძლიერების აღდგენაზე

ფიქრობს, არ იცნობს, არ სცნობს, ჩქმალავს განვითარების კანონზომიერების ობიექტურ ხასიათს. მისი პოლიტიკა ავანტიურისტულია, ხოლო მისი ფილოსოფიური თეორია ამ ავანტიურიზმის „გამართლებას“ წარმოადგენს.

შემოქმედებით უნარს მოკლებული, იმპერიალისტური ბურჟუაზია ძველი წარსულიდან იყენებს რეაქციულ ფილოსოფიურ მიმართულებებს, ან წარსული ფილოსოფიური სისტემების რეაქციულ მხარეებს და მათ თავის სამსახურში აყენებს.

ჯერ კიდევ XIX საუკ. უკანასკნელ მესამედში და XX საუკ. დასაწყისში რეაქციული ბურჟუაზიის მსახურებმა შექმნეს „ახალი“ ფილოსოფიური მსოფლმხედველობა — ემპირიოკრიტიციზმი, მახიზმი — რომელიც მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის გამოიყენეს. თავის გენიალურ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ ვ. ი. ლენინმა ამხილა ამ ფილოსოფიური მიმართულების სოციალური და გნოსეოლოგიური ფესვები და დაამტკიცა, რომ ეს მიმართულება პრინციპულად ახალს არაფერს შეიცავს, რომ ის ეპისკოპოს ბერკლის (და ნაწილობრივ იუმისა და კანტის) სუბიექტურ-იდეალისტური და აგნოსტიკური ფილოსოფიის გადამღერებას წარმოადგენს, რომ ეს ე. წ. „უახლესი“ ფილოსოფია პარაზიტობს მეცნიერების ახალ აღმოჩენათა მცდარ ინტერპრეტაციაზე; რომ ეს ფილოსოფია რეაქციული ფილოსოფიაა და მიმართულია მარქსიზმის წინააღმდეგ; რომ ფილოსოფია ყოველთვის იყო და არის პარტიული.

ვ. ი. ლენინის ეს დებულებები უცვლელად და მთლიანად გამოდგება თანამედროვე რეაქციული ბურჟუაზიის ფილოსოფიის დახასიათებისათვის.

იმისათვის, რომ გავერკვეთ თანამედროვე ბურჟუაზიულ რეაქციულ ფილოსოფიის არსებაში, საჭიროა გავითვალისწინოთ ის წყაროები, რომლითაც იკვებება ეს ფილოსოფია.

1. ბერკლის სუბიექტური იდეალიზმი

ვ. ი. ლენინმა თავის შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ გვიჩვენა, რომ ემპირიოკრიტიციზმი (მახიზმი) პრინციპულად ბერკლის ფილოსოფიის აღორძინებას წარმოადგენს ახალ პირობებში.

ბერკლის ფილოსოფია სუბიექტური იდეალიზმია. სუბიექტური იდეალიზმის ძირითადი პრინციპი შემდეგია: სამყარო ჩემი წარმოდგენაა. ბერკლის ფილოსოფიის მიხედვით ადამიანს მ ო ც ე მ უ ლ ი აქვს შეგრძნებები. მატერია, რომელზედაც ლაპარაკობენ მატერიალისტები და რომელსაც ისინი სამყაროს არსებად თვლიან ზოგადია. მაგრამ ზოგადი როგორც ასეთი არ არსებობს, მისი მოაზრებაც არ შეიძლება. როგორც არ არსებობს სინამდვილეში ზოგადი ადამიანი, ძაღლი საერთოდ, სამკუთხედი საერთოდ, ისე არ არსებობს მატერია საერთოდ, მატერია როგორც ასეთი. ზოგადის არც წარმოდგენა შეიძლება; ჩვენ ვერ წარმოვიდგენთ საერთოდ ადამიანს, საერთოდ სამკუთხედს (ზოგად სამკუთხედს) და სხვ.. წარმოდგენა შეიძლება ცალკეულის, მაგალითად, ამა თუ იმ ადამიანის, ამა თუ იმ სამკუთხედის. ამიტომ ზოგადი როგორც ასეთი არ არსებობს. ამიტომ „ადამიანი“, „სამკუთხედი“ და სხვ. ცარიელი, უშინაარსო სიტყვებია, რომლებსაც არაფერი არ შეესაბამება სინამდვილეში. ეს ცარიელი სახელებია nomen). აქედან ამ თვალსაზრისის სახელიც: ნომინალიზმი. ნომინალიზმი დღეს ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში გაბატონებულ მიმართულებათა ძირითადი და არსებითი დამახასიათებელი ნიშანთაგანია.

მაგრამ თუ ზოგადი არ არსებობს და ამიტომ არც მატერია, როგორც ზოგადი, არ არსებობს, ცალკეული, კონკრეტული საგნები ხომ არსებობენ. ბერკლი არ უარყოფს ცალკეულის, კონკრეტულის არსებობას, მაგრამ სვამს საკითხს: როგორ არსებობენ ეს ცალკეული საგნები, რა ხასიათის არსებობა მიეკუთვნება მათ? ბერკლი საგანს თვისებათა კრებულად თვლის; მაგალითად, შაქრის ნაჭერი (ჩვენი მაგალითია

კ. ბ.), არის ტკბილი, თეთრი, კუბიკური ფორმის, მაგარი, ცივი და სხვ.. მაგრამ ბერკლის აზრით, სიტკბო, სითეთრე, სიმაგრე და სხვ. ჩვენი შეგრძნებებია და არა ობიექტურად არსებული. ამიტომ შაქრის ნაჭერი ობიექტურად კი არ არსებობს, არამედ იგი ჩვენი შეგრძნებების შენაერთს, კოლექციას წარმოადგენს: ასეთი მსჯელობა გაკრცელებულია ყველა საგანზე, მთელ მატერიალურ სამყაროზე და მიღებულია დასკვნა: მატერიალური სამყარო არ არსებობს, საგნები შეგრძნებათა კომბინაციებია,. სამყარო ადამიანის ცნობიერებაშია, ადამიანის წარმოდგენაა. რაც შეეხება შეგრძნებებს, მათ თურმე ადამიანის ცნობიერებაში ღვთაებრივი სული იწვევს.

2. იუმის აგნოსტიციზმი

ბერკლის ფილოსოფიასთან ერთად თანამედროვე იმპერიალისტური ბურჟუაზიის მსახურები უხვად სარგებლობენ იუმის ფილოსოფიიდან ნასესხებ პრინციპებით. იუმიც, როგორც ბერკლი, შეგრძნებათა მონაცემს თვლის შემეცნების ერთადერთ წყაროდ. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიაც აღიარებს შეგრძნებებს, აღქმებს, ცოცხალ განჭვრეტას, შემეცნების პროცესის პირველ საფეხურად. მაგრამ არსებობს პრინციპული განსხვავება შეგრძნების ცნების გაგებაში იუმისა და მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიაში. მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით ადამიანის ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობენ საგნები და მოვლენები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანის ცნობიერებაზე და იწვევენ მასში შეგრძნებებს. იუმისათვის საკითხი ობიექტურად არსებული საგნების შესახებ მოხსნილია. არსებობენ თუ არა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე საგნები ჩვენ არ ვიცით და არც არასოდეს გვეცოდინება, ამტკიცებს იუმი. ჩვენ ვიცით მხოლოდ ჩვენი შეგრძნებები, და ჩვენი ცოდნა შეიძლება აიგოს მხოლოდ ამ შეგრძნებებიდან.

რა ცოდნა შეიძლება ავაგოთ ამ შეგრძნებებიდან? ამ საკითხის გადაწყვეტისათვის უნდა გაირკვეს შეგრძნების ხასიათი. შეგრძნებას, იუმის აზრით, არა აქვს არავითარი კავში-

რი ობიექტურ სინამდვილესთან; ობიექტური სინამდვილის არსებობა ეჭვის ქვეშ არის დაყენებული. ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ შეგრძნება არის სუბიექტური სურათი ობიექტური სინამდვილისა: შეგრძნება თავიდან ბოლომდე სუბიექტურია. ამიტომ შეგრძნებიდან აგებული ცოდნა არ არის ობიექტური ხასიათის, ის არ არის ობიექტური სინამდვილის სურათი.

რასაკვირველია, შეგრძნების მონაცემი ყოველთვის ერთეულია, ცალკეულია. შეგრძნებაში ზოგადი არ არის მოცემული, მაგრამ ნამდვილი ცოდნა ყოველთვის ზოგადის ცოდნაა. სინამდვილე ცალკეული, ერთეული საგნების ერთობლიობას კი არ წარმოადგენს, არამედ კანონზომიერ მთლიანობას. კანონზომიერება ყოველთვის ზოგადის არსების გამომხატველია. მეცნიერება იწყებს, მართალია, ცალკეული, ერთეული საგნებისა და მოვლენების შესწავლით, მაგრამ ის ამ ერთეულში ზოგადს, არსებას აღმოაჩენს, კანონს დაადგენს და მხოლოდ ამით შეისწავლის ნამდვილად ერთეულს, ცალკეულს.

იუმი ზოგადს უარყოფს, ხოლო ზოგადის უარყოფა არსების, კანონის უარყოფას ნიშნავს, რაც შედეგად მეცნიერული შემეცნების უარყოფამდე მიგვიყვანს.

შეგრძნებაში არ არის მოცემული მოვლენათა შორის არსებული კავშირები. სინამდვილის კავშირები, მაგალითად, მიზიდულობის კავშირი, შეგრძნებებში, აღქმებში არ არის მოცემული; ამიტომ იუმი მთლად უარყოფს მოვლენათა შორის კავშირებს.

მაგრამ მეცნიერების მიზანი სწორედ მოვლენათა შორის კავშირების აღმოჩენაში მდგომარეობს. ამ კანონზომიერი კავშირების ცოდნის საფუძველზე შეუძლია ადამიანს გაითვალისწინოს მოვლენები, მოახდინოს ზემოქმედება სინამდვილეზე მისი გარდაქმნის მიზნით.

ზოგადის არსებობის უარყოფა, მოვლენათა შორის კავშირების უარყოფა მიიყვანს იუმს ცოდნის, მეცნიერების უარყოფამდე, ობიექტური სინამდვილის უარყოფამდე. ნომ-

ნალიზმი. სუბიექტური იდეალიზმი და აგნოსტიციზმი — ასეთია იუმის-ფილოსოფიის ზოგადი ნიშნები.

ამისდა მიუხედავად იუმი მაინც მსჯელობს ჭეშმარიტებაზე. მისი აზრით ჭეშმარიტება შეგრძნების. აზრის საგანთან თანხმობაში კი არ მდგომარეობს, არამედ შეგრძნების თანხმობაში წარმოდგენასთან: თუ მე ავიღებ გუშინ მზის ჩასვლა და დღეს წარმოვიდგინე გუშინდელი აღქმა, ჩემი წარმოდგენა მაშინ არის ჭეშმარიტი, თუ წ ა რ მ ო დ გ ე ნ ა შეესაბამება ა ღ ქ მ ა ს. ე. ი. ჭეშმარიტება მთლად სუბიექტურია, ადამიანის წარმოდგენების შინაარსი საგნით კი არ არის განსაზღვრული, არამედ ადამიანზეა დამოკიდებული.

3. კანტის დუალიზმი და აგნოსტიციზმი

მესამე ფილოსოფოსი, რომლის ნააზრევს უხვად იყენებს ზოგიერთი გავრცელებული მიმართულება თანამედროვე ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში, არის გერმანელი ფილოსოფოსი კანტი.

თუ XIX საუკ. უკანასკნელ მეოთხედში და XX საუკ. დასაწყისში ბურჟუაზიულმა ფილოსოფიამ მარქსიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად გამოიყენა ბერკლისა და იუმის ფილოსოფია, თანამედროვე მეცნიერებია ტერმინებით შეაკეთა და შეალამაზა. არანაკლები ყურადღებით მოექცა იგი კანტის ფილოსოფიას: აღდგენილი. შეკეთებული და „შესწორებული“ კანტი კარგა ხანი იყო რეაქციული ბურჟუაზიის სამსახურში. ხოლო დღეა ამ სამი ფილოსოფოსის ნააზრევი ემპირიოკრიტიციზმით (მახიზმით) და ნეოკანტიანიზმით „შესწორებული“ ასულდგმულებს ამერიკულ-ინგლისური ფილოსოფიის მთავარ მიმართულებებს.

ლენინის განმარტებით კანტის ფილოსოფია დუალიზმს წარმოადგენს: კანტი აღიარებს ნივთების არსებობას ცნობიერების გარეშე; ეს ნივთები კანტის აზრით მოქმედებენ ადამიანის გრძნობიერებაზე და იწვევენ ადამიანის ცნობიერებაში შეგრძნებებს. ამ მხრივ კანტი მატერიალისტია და ამით განსხვავდება ის როგორც ბერკლისაგან ისე იუმისაგან. მაგრამ კანტი ღალატობს მატერიალიზმის პრინციპს, როდესაც აღი-

არებს, რომ ნივთების ზემოქმედებით გამოწვეული შეგრძნებები არ ასახავენ სინამდვილეს, რომ ადამიანის ცნობიერებას, მისი სტრუქტურის თავისებურების გამო, არ შეუძლია ასახოს, შეიცნოს ადამიანისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სინამდვილე.

კანტის აზრით, შემეცნება შეგრძნებებით იწყება. ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ნივთები თავისთავად, მოქმედებენ რა ადამიანის ცნობიერებაზე, იწვევენ მასში შეგრძნებებს. ამით იწყება შემეცნების პროცესი, მაგრამ ამით როდი ამოიწურება იგი. შეგრძნებები — ნივთების თ. თ. ზემოქმედებით გამოწვეული — ქაოსურ მასალას წარმოადგენს, რომლის მ ო წ ე ს რ ი გ ე ბ ა, დაკავშირება არის საჭირო. ჩვენი ცნობიერება არ არის პასიური სარკე, ის დაჯილდოებულია განსაკუთრებული ფორმებით, რომლებიც ობიექტური სინამდვილიდან კი არ არის აღებული, არამედ მისი საკუთარი კუთვნილებაა; ეს ფორმები მხოლოდ ცნობიერების ფორმებია, წმინდა ადამიანური და ამდენად სუბიექტური; ისინი ყოველგვარ შეგრძნებას, ცდას წინ უსწრებენ, აპრიორულნი არიან. ეს ფორმებია: დრო, სივრცე, მიზეზობრიობა, აუცილებლობა, ურთიერთმოქმედება, რაოდენობა, თვისებრიობა და სხვ. დრო და სივრცე როგორც ცნობიერების ფორმები მოაწესრიგებენ ცნობიერებაში წარმოშობილ შეგრძნებებს, დაალაგებენ მათ ერთი მეორის გვერდით, ერთი მეორის შემდეგ; სხვა ფორმები დააკავშირებენ მათ კანონზომიერი კავშირებით, მაგალითად, მიზეზობრივი კავშირით, საგნისა და თვისების კავშირით და სხვ. და ადამიანის ცნობიერების კანონზომიერებით ასე მოწესრიგებული და დაკავშირებული შეგრძნებები არის ის, რასაც ჩვენ ადამიანები ობიექტურ სინამდვილეს ვუწოდებთ, რასაც მეცნიერება სწავლობს როგორც სინამდვილეს.

ამრიგად სინამდვილის ცნება ორგვარად არის გაგებული. პირველი: სინამდვილე, რომელიც არსებობს ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად, რომელსაც კანტი ნივთების თ. თ. სინამდვილეს უწოდებს; მეორე: შეგრძნებებიდან ჩვენ

ცნობიერების კანონებით (ფორმებით) შექმნილი სინამდვილე. პირველი სინამდვილე შეუცნობადია; მეორე ის სინამდვილეა, რომელთანაც საქმე აქვს მეცნიერებას, შემეცნებას. ეს სინამდვილე აგებულია ადამიანების მიერ, ადამიანის ცნობიერებით მიერ და ისეთია, როგორსაც მოითხოვს. ადამიანის ცნობიერების სტრუქტურა, მისი კანონზომიერება. მეცნიერების მიერ აღმოჩენილი სინამდვილის, ბუნების კანონები ნამდვილად ადამიანის ცნობიერების კანონებია.

ნამდვილი სინამდვილე, ე. ი. სინამდვილე ობიექტურად არსებული, შემეცნების, მეცნიერების გარეშე დგას; მასზე მსჯელობა მეტაფიზიკას წარმოადგენს; იგი უნდა განდევნილი იქნას მეცნიერების სფეროდან.

დიდი დაკვირვება არ არის საჭირო, რომ გავარკვიოთ კანტის ფილოსოფიის სუბიექტურ-იდეალისტური პრინციპი. სამყარო, რომელზედაც ჩვენ გვაქვს უფლება ვიმსჯელოთ, რომელიც შემეცნების საგანს წარმოადგენს, ადამიანის ცნობიერების კანონებით არის აშენებული. ცნობიერება უკარნახებს ბუნებას კანონებს.

კანტის ფილოსოფიის სუბიექტურ-იდეალისტური და აგნოსტიკური ხასიათი უდავოა. ამისდა მიუხედავად კანტი ფიქრობს, რომ მისი თეორიული ფილოსოფია იდეალიზმზე და მატერიალიზმზე მაღლა დგას. ამ გარემოებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება, რადგან ამ პრინციპს აღადგენს შემდეგ დღევანდელი რეაქციული ბურჟუაზიის ფილოსოფია.

საქმე ის არის, რომ კანტს პრინციპულად შეუძლებლად მიაჩნია ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტა. ნამდვილი სინამდვილე, ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ნივთების თ. თ. სამყარო მისი აზრით შეუცნობადია. ამიტომ ნათელია ისიც, რომ საკითხი იმის შესახებ, მატერიალურია თუ სულიერია სინამდვილის არსება, ადამიანის გონების მიერ გადაუწყვეტელი რჩება. ეს პრობლემა მეტაფიზიკური პრობლემაა და იგი მეცნიერული შემეცნების გარეშე რჩება. მეცნიერება ეხება იმ სინამდვილეს

ქმნილია შეგრძნებებიდან გონების კანონების (ფორმების) სინთეზების საშუალებით.

მაგრამ უარის თქმა ობიექტური სინამდვილის შემეცნებაზე (აგნოსტიციზმი), აღიარება იმისი, რომ შემეცნების საგანი ცნობიერების კანონზომიერებით არის შექმნილი, რომ გონება უკარნახებს ბუნებას კანონებს და სხვ. ნამდვილ სუბიექტურ იდეალისტურ თეორიას წარმოადგენს.

კანტის აზრით სინამდვილის კანონი, იმ სინამდვილისა, რომელსაც მეცნიერება შეიცნობს, ადამიანის გონების კანონია, ამიტომ იგი მთლად სუბიექტურია. მას ობიექტივობას ობიექტური სინამდვილე კი არ აძლევს, არამედ ის გარემოება, რომ იგი ადამიანური გონებისათვის აუცილებლად დამახასიათებელია, ე. ი. ყველა ადამიანი ამ კანონებს ექვემდებარება. ჩვენი აზროვნების აუცილებლობა ობიექტური სამყაროთი კი არ არის განსაზღვრული, არამედ გონების კუთვნილებაა.

მეცნიერების, ცოდნის ჭეშმარიტება აზრის საგანთან თანხმობაში კი არ მდგომარეობს — იმისდა მიუხედავად, რომ კანტის მიერ მოცემული ნომინალური განსაზღვრება ჭეშმარიტებისა ასეთია, — არამედ აზრის კანონებით არის განსაზღვრული. კანტის მიხედვით ჭეშმარიტია აზრის ისეთი შინაარსი ,რომელიც თვით ადამიანზე, კაცობრიობაზე არის დამოკიდებული, ,ადამიანის ცნობიერების სტრუქტურით არის განსაზღვრული და არა ობიექტურად არსებული საგნებით და მათი კავშირებით და მიმართებებით.

ქვემოთ ჩვენ დავინახავთ, როგორ უხვად გამოიყენეს თანამედროვე იმპერიალიზმის ფილოსოფიურმა მსახურებმა, ბერკლისა და იუმის ნააზრევთან ერთად, კანტის ფილოსოფიის ძირითადი დებულებები ახალ სოციალურ-ეკონომიურსა და მეცნიერების განვითარების პირობებში.

XIX საუკ. უკანასკნელ მესამედში კანტის ფილოსოფია აღორძინდა ნეოკანტიანური მიმართულების სახით. ნეოკანტიანურმა ფილოსოფიამ გაანთავისუფლა კანტის ფილოსოფია მატერიალისტური ელემენტებისაგან, უარყო რა ნივთების თავისთავად არსებობის საჭიროება მეცნიერებისა და ფილოსოფიის

აგებისას. ნეოკანტიანური ფილოსოფია არ უარყოფს „ემპირიული რეალობის“ არსებობას. ის არსებობს, მაგრამ მეცნიერებასა და ფილოსოფიას არა აქვს მასთან არავითარი საქმე. ნეოკანტიანური ფილოსოფიის ერთი ფრთა მათემატიკურ მეცნიერებაზე აკეთებდა ორიენტაციას და სინამდვილე მათემატიკურ განტოლებებად გადააქცია. ამ მიმართულების მიხედვით წმინდა გონება თვითონ ყოველგვარი მასალის, მონაცემის გარეშე აგებს მეცნიერების სინამდვილეს, როგორც ფორმის ისე შინაარსის მხრით. შემეცნების პროცესი არსებული საგნის შემეცნების პროცესს არ წარმოადგენს, საგანი პირველად იქმნება შემეცნების პროცესში: საგნის შემეცნება და საგნის შექმნა ერთი და იგივეა.

რაც შეეხება ფილოსოფიას, მისი მიზანია მეცნიერებათა სისტემის ლოგიკური ანალიზი.

ნეოკანტიანიზმის მეორე ფრთა ისტორიულ მეცნიერებებზე აკეთებდა ორიენტაციას და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ისტორიაში არ არსებობს კანონზომიერება.

4. მახიზმი ემპირიოკრიტიციზმი

ბერკლის სუბიექტური იდეალიზმი, იუმისა და კანტის აგნოსტიციზმი თავისებური სახით აღორძინდა XIX საუკ. უკანასკნელ მესამედში ემპირიოკრიტიციზმისა, მახიზმისა და სხვათა სახელწოდებით. ეს მიმართულება ფართოდ გავრცელდა დასავლეთ ევროპაში და რუსეთში. ფიზიკაში ახალ აღმოჩენებთან დაკავშირებით და ფიზიკის კრიზისის საფუძველზე ამ მიმართულებას მიეკედლა ფიზიკის ზოგიერთი წარმომადგენელი. მონათესავე მიმართულებებიდან აღსანიშნავია იმანენტური სკოლის ფილოსოფია და ფიქციონალიზმი გერმანიაში და პრაგმატიზმი ამერიკის შ. შ. და ინგლისში.

მარქსიზმის კანტიანური რევიზიის გვერდით გაჩნდა მარქსიზმის მახისტური რევიზია.

XX საუკ. მეორე ათეული წლების განმავლობაში მახისტური სუბიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის გავლენა

დროებით შეჩერდა: მის ნაცვლად იმპერიალისტური ბურჟუაზია ცდილობს გამოიყენოს მარქსიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად აღორძინებული და შესწორებული პლატონი ფენომენოლოგიური ფილოსოფიის სახით, რომელსაც ერთი ხნის განმავლობაში საკმაოდ დიდი გავლენა ჰქონდა როგორც დასავლეთ ევროპაში, ისე ამერიკის შ. შ. და რომელიც თანამედროვე ეგზისტენციალიზმის ერთ-ერთ ძირითად წყაროდ გადაიქცა. გარდა პლატონიზმისა, ამავე პერიოდში იწყება ჰეგელის ფილოსოფიის რეაქციული მხარეების აღორძინება, რომელიც ნეოჰეგელიანიზმის სახელით გავრცელდა გერმანიაში, იტალიაში და ნაწილობრივ ინგლის-ამერიკაში. ნიცშეს კანიბალურ ფილოსოფიასთან ერთად ნეოჰეგელიანიზმი ფაშიზმის სამსახურში იყო გამოყენებული ფაშიზმის ბატონობის პირველ პერიოდში.

ყველა ეს მიმართულება დღესაც ცოცხლობს; მაგრამ დაწყებული XX საუკ. 20-იანი წლებიდან მახიზმი თანდათანობით კვლავ ხდება მთავარ მიმართულებად და დღეს გაბატონებული მიმართულება ამერიკასა და ინგლისში ისევ მახისტური და პრაგმატისტული სუბიექტური იდეალიზმი და აგნოსტიციზმია, ნეომახიზმის, ნეოპოზიტივიზმის, ლოგიკური ემპირიზმისა და სხვათა სახელწოდებით ცნობილი.

საჭიროა მოკლედ განვიხილოთ მახიზმის (ემპირიოკრიტიციზმის) ძირითადი პრინციპები, რათა გასაგები გახდეს ის თვალსაზრისი, რომელიც მის ახალ გამოცემას წარმოადგენს.

მახიზმის მიხედვით კანტის მიერ ნივთების თ. თ. დაშვება არ არის გამართლებული. კანტის აზრით, ნივთი თ. თ. მოქმედებს რა ცნობიერებაზე და იწვევს რა შეგრძნებებს, ათავებს თავის მოღვაწეობას თეორიული ფილოსოფიის მიხედვით. ადამიანს „ხელთ" რჩება შეგრძნებათა ქაოსი, რომლიდანაც ის აშენებს „ბუნებას", „სინამდვილეს", „ცდას", „ობიექტს".

თუ ეს ასეა, რა საჭიროა ნივთი თ. თ. ის მეტხორცია მეცნიერების თეორიაში. ნივთი თ. თ. ხომ არ არის მოცემული უშუალოდ, უშუალოდ მოცემულია შეგრძნება. ამიტომ ნივთი თ. თ. უნდა მოიხსნას და ჩვენ უნდა დავეყრდნოთ შეგრძნებებს როგორც უშუალოდ მოცემულს.

ამ გზით წავიდა მახიზმი და — როგორც ვ. ლენინმა ეს გვიჩვენა — მივიდა ბერკლისებურ სუბიექტური იდეალიზმის ალდგენამდე. განსხვავება ის იყო, რომ მახიზმის წინაშე იდგა მისი თანამედროვე მეცნიერების არსების ახსნის პრობლემა. მოცემული შეგრძნებებიდან უნდა აშენებულიყო მეცნიერება და ამასთან ერთად მეცნიერების სინამდვილე.

„მეცნიერების ამოცანა,— წერდა მახი 1872 წელს,— შეიძლება მხოლოდ შემდეგში მდგომარეობდეს: 1. გამოიკვლიოს წარმოდგენათა შორის არსებული კავშირის კანონები (ფსიქოლოგია). — 2. აღმოაჩინოს შეგრძნებათა შორის არსებული კავშირის კანონები (ფიზიკა). — 3. განმარტოს შეგრძნებათა და წარმოდგენათა შორის არსებული კავშირის კანონები (ფსიქოფიზიკა)“[1].

საინტერესო აქ ფიზიკის საგნის განმარტებაა: ფიზიკა შეისწავლის არა ფიზიკურ საგნებსა და სხეულებს, მათი კავშირების კანონებს, არამედ შეგრძნებებს და მათი კავშირის კანონებს. სამყაროს ნამდვილი ელემენტებია — რასაც ჩვენ ჩვეულებრივად შეგრძნებებს ვუწოდებთ, განმარტავს მახი — არა საგნები (სხეულები), არამედ ფერები, ხმები, წნევანი და სხვ.

შეგრძნებები, რომელსაც მახიზმი ელემენტებს უწოდებს, მახიზმის მიხედვით ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია: ისინი არც ფიზიკურნი არიან და არც ფსიქიკურნი; მხოლოდ გარკვეული თვალსაზრისით იქცევიან ისინი ფიზიკურად ან ფსიქიკურად: გარკვეულ კავშირში ელემენტი ფიზიკური ობიექტია — მაგალითად, ფერი ფიზიკური ობიექტია, თუ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ მის კავშირს სინათლის წყაროსთან, სხვა ფერებთან, სითბოსთან, სივრცესთან და სხვ.; სხვა კავშირში იგივე ელემენტი ფსიქიკურია,— მაგალითად, იგივე ფერი ფსიქიკურია, თუ ჩვენ მივაქცევთ ყურადღებას მის კავშირს თვალის ბადურასთან.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 14, გვ. 35.

არ არსებობს ორი განსხვავებული რამ: ობიექტური საგანი და მისი აღქმა, ეს ერთი და იგივეა[1]. ამიტომ მახიზმი ცდილობა დადგეს მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა: მატერიალიზმი აღიარებს დებულებას, რომ ფიზიკური განსაზღვრავს ფსიქიკურს, ხოლო იდეალიზმი წამოაყენებს საწინააღმდეგო დებულებას, სახელდობრ, რომ ფსიქიკური განსაზღვრავს ფიზიკურს. მახიზმი ცდილობს დაამტკიცოს, რომ განსხვავება ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის თვალსაზრისის განსხვავებაა.

ავენარიუსის (ემპირიოკრიტიციზმის შემქმნელი) თქმით, სუბიექტ-ობიექტის დამოკიდებულება არ არის ერთის მიერ მეორის განსაზღვრების დამოკიდებულება; მათ შორის პრინციპული კოორდინაციაა: არ არსებობს სუბიექტი ობიექტის გარეშე და არ არსებობს ობიექტი სუბიექტის გარეშე.

დებულება, რომ ობიექტი არ არსებობს სუბიექტის გარეშე, ანდა, რომ აღქმა და აღქმის საგანი ერთი და იგივეა, ბერკლის სუბიექტური იდეალიზმის პრინციპს წარმოადგენს და მახისტების მტკიცება, რომ მათი თვალსაზრისი მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა დგას, ცარიელი სიტყვებია.

ამრიგად, ერთადერთი, რაც ადამიანს აქვს მოცემული და რისგანაც ის აშენებს ცოდნას, არის „ელემენტები" ანუ შეგრძნებები: საგნებიც შეგრძნებათა კომპლექსებია. მეცნიერების მიზანია დაადგინოს კავშირის კანონები შეგრძნებათა შორის.

იბადება კითხვა, რას წარმოადგენენ ეს კანონები, რომლებიც უნდა აღმოაჩინოს მეცნიერებამ? არიან ისინი ობიექტური სინამდვილის კანონები, რომლებიც მოქმედებენ ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და აისახებიან ცნობიერებაში როგორც მეცნიერების კანონები? მახიზმი უპასუხებს ამ კითხვას უარყოფითად. ეს „კანონები" ნამდვილად წესებია,

---

[1] ამ ერთის, ელემენტის (შეგრძნების) გაორება საგნად და მის აღქმად ინტროექციის შედეგია ემპირიოკრიტიციზმის მიხედვით. „წითელი" არის იქ, სადაც მას შევიგრძნობთ; ინტროექციის გზით იგი გადაგვაქვს ადამიანის შიგნით, ცნობიერებაში და ასე ჩნდება განსხვავება „წითელსა" და მის შეგრძნებას შორის.

რომლებსაც ადამიანები ადგენენ შეგრძნებათა ქაოსის მოსაწესრიგებლად, მისი ეკონომიურად აღწერისათვის, მასში ორიენტირებისათვის.

ჰეშმარიტება არ არის ობიექტური სინამდვილის ასახვა; ჰეშმარიტია ის აზრი, რომელიც ეკონომიურად აღწერს და სისტემაში მოიყვანს შეგრძნებებს.

III. მარქსიზმ-ლენინიზმი კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ

დებულება კანონების — როგორც ბუნების ისე საზოგადოების შესახებ მეცნიერების კანონების — ობიექტური ხასიათის შესახებ, რომელიც წამოყენებულია და დასაბუთებულია მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიერ, აძლევს საბჭოთა ფილოსოფოსებს მძლავრ იარაღს სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფიის მხილებისა და კრიტიკისათვის.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის ამოსავალი წერტილი მდგომარეობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური, მატერიალური სამყაროს არსებობის აღიარებაში. ეს სამყარო უსასრულოა, მაგრამ არსებობს სასრულო საგნებისა და მოვლენების სახით.

სინამდვილის საგნები და მოვლენები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მრავალგვარი კავშირებით და მიმართებებით; ისინი ერთმანეთს განაპირობებენ, იმყოფებიან მუდმივ ცვალებადობასა და განვითარებაში.

საგნები და მოვლენები არ არსებობენ კავშირებისა და მიმართულებების, ცვალებადობისა და განვითარების გარეშე, ისევე როგორც არ არსებობენ კავშირები და მიმართებები საგნებისა და მოვლენების გარეშე, ანალოგიურად იმისა, რო-

გორც არ არსებობს მოძრაობა მატერიის გარეშე და მატერია მოძრაობის გარეშე. ამასთანავე აღსანიშნავია, რომ არა კავშირები და მიმართებები ქმნიან საგნებსა და მოვლენებს, არამედ საგანთა არსებობა განსაზღვრავს მათ ურთიერთ კავშირებსა და მიმართებებს.

ობიექტური სამყაროს საგნები და მოვლენები მოქმედებენ რა ადამიანთა ცნობიერებაზე, აისახებიან მასში შეგრძნებების, აღქმების, წარმოდგენების, ცნებების სახით, რომელნიც ობიექტური სამყაროს სუბიექტურ სურათს წარმოადგენენ. ადამიანი შეიცნობს ობიექტურ სინამდვილეს პრაქტიკული მოღვაწეობის პროცესში და მის საფუძველზე. შემეცნების პროცესში ადამიანი გამოიმუშავებს ცნებებს, კატეგორიებს, რომლითაც იგი ასახავს სამყაროს საგანთა და მოვლენათა არსებას, მათ კანონზომიერებას. ამ გზით იქმნება სინამდვილის მეცნიერული სურათი, რომელსაც ობიექტური ჭეშმარიტების ხასიათი აქვს.

ჩვენი აზრების (წარმოდგენების, ცნებების, მსჯელობების) შინაარსის ობიექტური ხასიათი არაფრით არ აიხსნება, გარდა მათი ობიექტურ სინამდვილესთან კავშირისა. აზრთა შინაარსის ობიექტური ხასიათის ახსნის ცდა მათი აპრიორული ხასიათით, ე. ი. ადამიანის გონების თავისებური სტრუქტურით, „აზროვნების ეკონომიის“ პრინციპით, მათი სარგებლიანობით, ადამიანთა კოლექტივის თანხმობით ანდა კიდევ კონვენციით და სხვ. მარცხით დამთავრდება.

ცნობიერება, კერძოთ აზროვნება, არსებობს როგორც ასახვა და მას არ ახასიათებს თავისი საკუთარი, ობიექტური სინამდვილისაგან დამოუკიდებელი ობიექტივობა და აუცილებლობა. მისი ობიექტივობა და აუცილებლობა სინამდვილის ობიექტივობით და აუცილებლობით არის გაპირობებული.

ცნობიერება, კერძოთ აზროვნება, თავისი ფორმით სუბიექტურია; უფრო მარტივად: წარმოდგენები, ცნებები და სხვ. თავისი ფორმით სუბიექტურია. რაც შეეხება მათ შინაარს, ის შეიძლება იყოს სუბიექტური, მაგრამ შეიძლება იყოს ობიექ-

ტურიც; ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია, რას წარმოადგენს ეს შინაარსი. აზროვნება, სულერთია, რა შინაარსი აქვს მას, ასახვას წარმოადგენს; ასახვა შეიძლება იყოს სწორი, ადექვატური, მაგრამ შეიძლება იყოს მცდარი, დამახინჯებული, ფანტასტური. პირველ შემთხვევაში აზრის შინაარსი განსაზღვრულია ობიექტური საგნით, ისე, როგორც ეს საგანი არსებობს სუბიექტური დანამატის გარეშე, იგი დამოუკიდებელია ადამიანის განცდებისაგან, სურვილებისაგან, ნებაყოფლობისაგან. მეორე შემთხვევაში აზრის შინაარსი დამოკიდებულია ადამიანის, სუბიექტის განცდებზე, სურვილებზე, ნებაყოფლობაზე, მის მიდრეკილებაზე, სუბიექტური მომენტებით არის დატვირთული და ამიტომ არა სწორად ასახავს, ამახინჯებს სინამდვილეს. ეს დამახინჯება შეიძლება დამოკიდებული იყოს ცალკეულ ადამიანზე, შეიძლება დამოკიდებული იყოს კაცობრიობაზე. მაგალითად, წარმოდგენა ღმერთის შესახებ,— საერთოდ რელიგიური წარმოდგენები,— დამოკიდებულია არა ცალკეულ ადამიანზე, არამედ კაცობრიობაზე; მაგალითად, იდეალისტური მსოფლმხედველობა დამოკიდებულია არა ცალკეულ სუბიექტზე, ადამიანზე, ფილოსოფოსზე, არამედ გარკვეულ კლასზე და მის ინტერესებზე და სხვ.

პირველ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ჭეშმარიტებასთან, რომელსაც ობიექტური ხასიათი აქვს, მეორე შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს სინამდვილის დამახინჯებულ ასახვასთან, შეცდომასთან, მცდარ თვალსაზრისთან. ამიტომ ვ. ლენინი განსაზღვრავდა ჭეშმარიტებას როგორც აზრის ი ს ე თ შ ი ნ ა ა რ ს ს, რომელიც ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან დამოუკიდებელია[1]. ჭეშმარიტების ობიექტური ხასიათი სწორედ ამ

---

[1] ჭეშმარიტების ცნების განსაზღვრება როგორც სინამდვილის ასახვისა არ არის მართებული, რადგან ცნობიერება ყოველთვის ასახვას წარმოადგენს, თუნდაც მისი შინაარსი ამახინჯებდეს სინამდვილეს (მაგ. რელიგია); არც შემდეგი გამოდგება ჭეშმარიტების ცნების განსაზღვრებად: „ჭეშმარიტება არის სინამდვილის სწორი (ან ადექვატური) ასახვა". რასაკვირველია, ჭეშმარიტება მართლაც სინამდვილის სწორი (ადექვატური) ასახვაა და არა სხვა რამ; ამ გამოთქმას ხმარობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკო-

ნიშანში მდგომარეობს; რაც შეეხება ჭეშმარიტების რელატიურ, აბსოლუტურ, კონკრეტულ ხასიათს,— ეს ჭეშმარიტებისთავისებური სახეები კი არ არის, არამედ ესენი ობიექტური ჭეშმარიტების დამახასიათებელ ნიშნებს წარმოადგენენ.

შემეცნების ორივე საფეხურს — როგორც გრძნობადს ისე აზროვნებითს — პრაქტიკა განსაზღვრავს; ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა ამოწმებს ჩვენი შემეცნების ჭეშმარიტების ხასიათს.

შემეცნების პროცესი, რასაკვირველია გრძნობადი აღქმით, ცოცხალი განჭვრეტით იწყება; ამის გარეშე ჩვენი აზროვნება ცარიელი იქნებოდა, ე. ი. იგი სრულიადაც არ იარსებებდა. მაგრამ გრძნობადი შემეცნება ვერ მოგვცემდა საგანთა არსების, საგანთა კანონზომიერების ცოდნას, ხოლო საგანთა და მოვლენათა არსების კანონზომიერების ცოდნის გარეშე არ არსებობს ნამდვილი მეცნიერული ცოდნა. ნამდვილად, ცალკეულის, ერთეულის ცოდნა მხოლოდ ზოგადის, არსების, კანონის ცოდნაზე არის დამოკიდებული. კანონის შემეცნება გვაძლევს განვითარების პერსპექტივას; კანონების ცოდნაზე დაყრდნობით შესაძლებელია მოვლენათა მსვლელობის გათვალისწინება; ბუნებისა და საზოგადოების კანონების ცოდნის საფუძველზე შეგვიძლია ჩვენ მიზანშეწონილად ვიმოქმედოთ მათზე მათი გარდაქმნის მიზნით. ამ კანონების ცოდნის გარეშე ადამიანი ბუნების მონა იქნებოდა. გასაგებია ამიტომ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კანონის პრობლემას მეცნიერებაში და ფილოსოფიაში.

საგანთა და მოვლენათა კავშირები და მიმართებები კანონზომიერ კავშირებსა და მიმართებებს წარმოადგენენ. ბუნებ-

---

სები, მას ჩვენც ვხმარობთ და უნდა ვიხმაროთ კიდეც ჭეშმარიტების ცნების განმარტებისას, ახსნისას. მაგრამ განსაზღვრებად იგი არ გამოდგება, რადგან ტავტოლოგიურია. რას ნიშნავს „სწორი“ ამ გამოთქმაში? იგივეს რაც ჭეშმარიტი! ე. ი. განსაზღვრება ასეთ სახეს მიიღებს: ჭეშმარიტება არის სინამდვილის ჭეშმარიტი ასახვა. (!). ტექსტში მოყვანილი ჭეშმარიტების ლენინისეული განსაზღვრება ერთადერთი მართებული და ლოგიკურად უნაკლო განსაზღვრებაა.

შემთხვევითობათა გროვას როდი წარმოადგენს, საგანთა და მოვლენათა შემთხვევითი ერთობლივობა კი არ არის, რომელსაც ჭირდება ადამიანის გონების კანონზომიერებით მოწესრიგება, იგი ერთიანი მთლიანია.

„თუ ბუნების მოვლენათა კავშირი და მათი ურთიერთი განპირობებულობა ბუნების განვითარების კანონზომიერებებს წარმოადგენენ, აქედან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კავშირი და ურთიერთი განპირობებულობა წარმოადგენენ აგრეთვე არა შემთხვევითს საქმეს, არამედ საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებს"[1].

მატერიალიზმი,— აღნიშნავდა ლენინი,— მდგომარეობს ბუნების ობიექტური კანონზომიერებისა და ამ კანონზომიერების ადამიანის ცნობიერებაში დაახლოებით სწორი ასახვის აღიარებაში.

ი. სტალინი თავის უკანასკნელ შრომაში „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში" სპეციალურად არკვევს კანონის პრობლემას. „მარქსიზმს — წერს ი. სტალინი — მეცნიერების კანონები ესმის,— სულ ერთია ეხება საქმე ბუნებისმეცნიერების კანონებს თუ პოლიტიკური ეკონომიის კანონებს,— როგორც ადამიანთა ნების დამოუკიდებლად მიმდინარე ობიექტური პროცესების ასახვა. ადამიანებს შეუძლიათ აღმოაჩინონ ეს კანონები, შეიცნონ ისინი, გაითვალისწინონ ისინი თავიანთ მოქმედებაში, გამოიყენონ ისინი საზოგადოების ინტერესებისათვის, მაგრამ მათ არ შეუძლიათ შეცვალონ ან გააუქმონ ისინი. მით უფრო არ შეუძლიათ მათ ჩამოაყალიბონ ან შექმნან მეცნიერების ახალი კანონები"[2].

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მეცნიერების კანონთა ობიექტური ხასიათის შესახებ სრულ სინათლეს ფენს მეცნიერების არსებასა და მნიშვნელობას; იგი ასაბუთებს ადამიანის

---

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 139. 1954 წ.

[2] ი. სტალინი. „სოციალიზმის ეკონომიური პრობლემები სსრ კავშირში". გვ. 11—12. 1953 წ.

შემეცნებითი უნარის უსასრულო ძალას, ფართო პერსპექტივებს უხსნის კაცობრიობის შემდგომ განვითარებას, მის ბატონობას ბუნებაზე.

რას უპირისპირებს ამ მკაცრ მეცნიერულს, მონოლითურ მსოფლმხედველობას იმპერიალისტური ბურჟუაზია? რა სულიერი იარაღით ცდილობენ რეაქციული ბურჟუაზიის მსახურები მარქსიზმთან ბრძოლას? როგორც იყო აღნიშნული, მთავარ იარაღად მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მათ გამოყენებული აქვთ ბერკლის, იუმის, კანტის დახავსებული აზრები და მახისტური სუბიექტურ-იდეალისტური თვალსაზრისის ახალ-ახალ პირობებთან და მეცნიერების ახალი მიღწევების ყალბ ინტერპრეტაციაზე დაფუძნებული — შესწორებული, შეკეთებული გამოცემა.

IV. პრაგმატიზმი

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის წინააღმდეგ ბურჟუაზიულ ქვეყნებში მრავალი ფილოსოფიური მიმართულება, სკოლა იბრძვის. ეს მიმართულებანი ხშირად ერთმანეთს ებრძვიან, მათი წარმომადგენელნი ერთმანეთს აკრიტიკებენ, ერთმანეთს დასცინიან, ლანძღავენ კიდეც ერთმანეთს. ამიტომ პირველი შეხედვით ჩნდება შთაბეჭდილება, თითქოს ისინი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავდებიან. მაგრამ საკმარისია კარგად დაუკვირდეთ ამ მიმართულებებს, გავაანალიზოთ მათი თვალსაზრისი, რომ აღმოჩნდეს მათი პრინციპული თანხმობა არსებითი, ძირითადი საკითხების გადაწყვეტაში.

გასაკვირველი აქ არაფერია: ამ ფილოსოფიურ მიმართულებებს ერთი მიზანი ასულდგმულებთ, სახელდობრ, ბრძოლა სოციალისტური იდეოლოგიის, მარქსისტული ფილოსოფიის წინააღმდეგ და იმპერიალიზმის დაცვა. ამ მიმართულებათაგან ყველაზე გავრცელებული, და ამავე დროს აქტიური და აგრესიული ორი მიმართულებაა: პრაგმატიზმი და ნეოპოზიტივიზმი, რომელიც უკანასკნელ პერიოდში ლოგიკური ემპირიზმის სახელწოდებით გამოდის.

უკანასკნელ დრომდე ეს ორი თითქოს დამოუკიდებელი და პრინციპულად განსხვავებული მიმართულება ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ სკოლებად არსებობდა, მაგრამ არსებითად

ერთი და იგივე მიზანი, პრინციპულად ერთნაირი დასკვნები ააშკარავებს მათ პრინციპულ ნათესაობას. ამიტომ არც ის უნდა იყოს გასაკვირველი, რომ ეს ორი მიმართულება ისე დაუახლოვდა ერთმანეთს, რომ მათი წარმომადგენლები ერთად თანამშრომლობენ და ერთ მთლიან სკოლად შეერთდნენ.

იმპერიალიზმის დაცვა სპეციფიკურ პირობებში სპეციფიკურ ხასიათს იღებს. ეს გარემოება ყველაზე ნათლად პრაგმატიზმის ფილოსოფიას ემჩნევა. ბურჟუაზიული ფილოსოფოსებიც კი აღნიშნავდნენ პრაგმატიზმის სპეციფიკურ ამერიკულ ხასიათს. ერთ-ერთი რევოლუციამდელი რუსი კანტიანელი ფილოსოფოსი აღნიშნავდა, რომ პრაგმატიზმი წმინდა ამერიკული ს ა ქ ო ნ ე ლ ი ა, ევროპულ ქვეყნებზე ტრანზიტით შემოტანილი რუსეთში, ხოლო მარქსისტი ფილოსოფოსი ა. შაფი ასე ახასიათებს მას: ეს არის იდეალიზმი ამერიკელი ბიზნესმენის ტანსაცმელში.

პრაგმატიზმი არის მარქსიზმის წინააღმდეგ მიმართული სუბიექტურ-იდეალისტური თეორია, უხეში, აგრესიული ფორმით გამოხატული, ამერიკული ვაჭრული, კაპიტალისტური მოგების ტერმინებში გამოთქმული, ორაზროვანი ტერმინებით და სოფიზმებით სავსე, ეკლექტიკური ფილოსოფია, რომელიც ცდილობს მშრომელთა მასები დაამშვიდოს, არსებულ კაპიტალისტურ წესწყობილებასთან შეარიგოს, ყველა დააკმაყოფილოს.

საბჭოთა ფილოსოფოსების მოვალეობას წარმოადგენს პრაგმატისტული ფილოსოფიის მკაცრი კრიტიკული ანალიზი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მთელი თავისი არსებით მარქსიზმის წინააღმდეგ არის მიმართული, არამედ იმიტომაც, რომ ეს მიმართულება ისეთ ტერმინებსა და გამოთქმებს ხმარობს, რომ ზოგიერთს ისინი მარქსისტულად ეჩვენება. ასე, მაგალითად, პრაგმატისტები ლაპარაკობენ პრაქტიკაზე როგორც შემეცნების საფუძველზე, პრაქტიკაზე როგორც ჭეშმარიტების საზომზე, შემეცნებაზე როგორც იარაღზე, რომლითაც ადამიანები სინამდვილეს გარდაქმნიან. შემთხვევითი როდია, რომ ბევრი ბურჟუაზიული ფილოსოფოსი მარქსიზმის პრინციპს

პრაქტიკის შესახებ პრაგმატიზმის პრინციპად თვლის და არ სურს დაინახოს არსებითი განსხვავება მარქსიზმსა და პრაგმატიზმს შორის ამ პრინციპის გაგებაში.

პრაგმატიზმი არ არის ახალი, მხოლოდ დღეს შეთხზული ფილოსოფიური მიმართულება. ის წარმოიშვა XIX საუკ. მიწურულში და XX საუკ. დასაწყისში. ჯერ კიდევ ლენინმა ამხილა თავის გენიალურ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" ამ ფილოსოფიის ნათესაობა მახიზმთან და მისი რეაქციული ბუნება. ლენინი წერდა: „უახლესი ამერიკული ფილოსოფიის „უკანასკნელ მოდას" წარმოადგენს „პრაგმატიზმი" (ბერძნულად pragma — საქმე, მოქმედება; მოქმედების ფილოსოფია). ფილოსოფიურ ჟურნალებში თითქმის ყველაზე მეტს სწერენ პრაგმატიზმზე. პრაგმატიზმი დასცინის როგორც მატერიალიზმის, ისე იდეალიზმის მეტაფიზიკას, აქებ-ადიდებს ცდას და მხოლოდ ცდას, ერთადერთ კრიტერიუმად პრაქტიკას აღიარებს, იმოწმებს პოზიტივისტურ მიმდინარეობას საზოგადოდ, ეურდნობა სპეციალურად ოსტვალდს, მახს, პირსონს, პუანკარეს, დიუჰემს და ამბობს, რომ მეცნიერება არ არის „რეალობის აბსოლუტური ასლი" და... სრულიად არხეინად ყოველივე ამიდან ღმერთი გამოპუყავს პრაქტიკული მიზნებისათვის, მხოლოდ პრაქტიკისათვის, ყოველი მეტაფიზიკის გარეშე, ცდის საზღვრების სრულიად გადაულახავად"... „განსხვავება მახიზმსა და პრაგმატიზმს შორის მატერიალიზმის თვალსაზრისით ისევე უმნიშვნელო და მეათეხარისხოვანია, როგორც ემპირიოკრიტიციზმსა და ემპირიომონიზმს შორის"[1].

პრაგმატიზმი, წარმოშობილი როგორც რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგია, დღეს იმპერიალიზმის მებრძოლი, აგრესიული სულიერი იარაღია. შექმნილი ამერიკის შეერთებულ შტატებში და ინგლისში, იგი ამერიკის გარდა გავრცელდა საფრანგეთში, იტალიაში, მას მომხრეები რუსეთშიც აღმოუჩნდა.

პრაგმატიზმის დამაარსებლად პრაგმატისტები თვლიან ჩ. პირს (Peirce), რომელმაც 1878 წ. გამოაქვეყნა წერილი,

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 436.

რომ იგი გადაუდგა პრაგმატისტებს, განაცხადა რა, რომ მისი თვალსაზრისი განსხვავებულია პრაგმატისტების მოძღვრებისაგან, პრაგმატისტები მაინც მას თვლიან ამ ფილოსოფიური მიმართულების დამაარსებლად და სრულიად სამართლიანად, რადგან პრაგმატიზმის ძირითადი პრინციპი მის მიერ არის ფორმულირებული.

პრაგმატისტები წარსულშიაც ეძებენ თავის აზრის მომხრეებს. მათი აზრით სოკრატე პრაგმატისტული მეთოდის მომხრე იყო. არისტოტელე ხშირად სარგებლობდა ამ მეთოდით. ლოკმა, ბერკლიმ და იუმმა მრავალი ღირებული აღმოჩენები გააკეთეს ამ მეთოდის გამოყენებით. ახალ დროში, პრაგმატისტების აზრით, პრაგმატიზმის მიმართულებას ეკუთვნიან საფრანგეთში ბერგსონი და მისი მოწაფეები ვილბუა და ლეროუა; მილიო და პუანკარეც ამ აზრის არიან. რადიკალური ტიპის პრაგმატისტია გერმანიაში ზიმელი; ნიცშეს აზრებიც პრაგმატიზმის ხაზით ვითარდებოდა. მახი და მისი სკოლა, ჰერცი და ოსტვალდიც პრაგმატისტები არიან (უ. ჯემსი. „ჭეშმარიტების მნიშვნელობა“).

პრაგმატიზმის ნამდვილი დამაარსებელნი არიან უ. ჯემსი, ფ. შილერი, ჯ. დიუი. შემდგომი თაობის პრაგმატისტები — რომლებიც დაუკავშირდნენ ნეოპოზიტივისტებს (ლოგიკურ ემპირისტებს)— არიან მორისი, ფაიგლი, ნაგელი და სხვ., რომლებიც დღეს გამოდიან პრაგმატიზმის დამცველებად, უკავშირდებიან ლოგიკურ ემპირისტებს და მათთან ერთად ახალ მიმართულებას — პრაგმატიზმისა და ლოგიკური ემპირიზმის გაგრძელებას—რეაქციულ სემანტიკურ ფილოსოფიას ქმნიან.

გავეცნოთ მოკლედ, ვინ არიან პრაგმატიზმის დამაარსებელნი და სულის ჩამდგმელები.

1. უ. ჯ ე მ ს ი. ჯერ კიდევ 1909 წ. ჯემსმა წამოაყენა დებულება: დემოკრატიის ერა დამთავრდა. მუსოლინი თვლიდა ჯემსს (ნიცშესთან ერთად) ფაშისტური იდეოლოგიის სულის ჩამდგმელად: პრაგმატიზმი ფაშიზმის ერთ-ერთი ქვაკუთხედია-ო, წერდა ის. ჯემსი წყვეტს კავშირს ლოგიკურ აზროვ-

ნებასთან: „მე იძულებული გავხდი, წერდა ჯემსი, უარი მეთქვა ლოგიკურ აზროვნებაზე, მე უარვყავი ლოგიკა ერთხელ და სამუდამოდ“.

2. ფ. შ ი ლ ე რ ი. შილერი არ მალავს, რომ ის დემოკრატიის, მეცნიერების, გონების მტერია. აზროვნება მისი აზრით არის არანორმალობის მაჩვენებელი; რაც ნაკლებ ვიაზროვნებთ, მით უფრო კარგია; ის ეთანხმება რასელს: აზროვნება არ არის ადამიანის ბუნებრივი ნიშანი, იგი დაავადების შედეგია ისევე, როგორც მაღალი ტემპერატურა ავადმყოფობის დროს.

გერმანიაში ფაშიზმის ბატონობის დროს შილერი ფაშიზმს ქება-დიდებას ასხამს. შილერის აზრით მომავალი არისტოკრატიას უნდა ეკუთვნოდეს; ნიცშესთან ერთად შილერი იმეორებს: ქერათმიანი მხეცი, ზეადამიანი — აი მომავლის იდეალი. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი შილერი ოცნებობს იმაზე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მთელ მსოფლიოზე გაბატონდება. ანგლო-საქსები—ამტკიცებს შილერი—ბიოლოგიურად გაცილებით მაღლა დგანან სხვა ხალხებზე. თავისუფლების იდეა — აი რა უშლის კაცობრიობას წინსვლას.

3. დ ი უ ი. საბჭოთა კავშირის დაუძინებელი მტერი, ეს ის „ფილოსოფოსია“, რომელიც რასელთან ერთად მოითხოვდა ატომური ბომბების ჩამოყრას მოსკოვზე. მისი ერთ-ერთი ძირითადი „აფორიზმი“ ასეთია: „ჩვენ ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ძალადობა, უხეში ფიზიკური ძალადობა ყველაზე საიმედო საშუალებაა პოლიტიკაში; ხალხი, მისი აზრით, უნიჭო, ინერტული მასაა, რომელსაც დიდი ადამიანები აფორმებენ“.

ასეთია რამდენიმე შტრიხით აღნიშნული პრაგმატიზმის დამაარსებელთა სამი ვეშაპის სურათი. გასაგებია რა მსოფლმხედველობას შექმნიდნენ ეს ფილოსოფოსები.

გადავდივართ რა პრაგმატიზმის ფილოსოფიური თეორიის განხილვაზე, კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ ტერმინების ორაზროვანი ხმარება, სოფიზმები, ერთი მეორის საწინააღმდეგო დებულებები, რეაქციული აზრების

გარეგნული შელამაზება, შეფერადება, მეტაფორები, რომლებიც ადამიანის გრძნობებზე მოქმედებენ და სხვ. აძნელებს ამ თეორიის სისტემატურსა და ლოგიკურ დალაგებას.

I. პრაგმატიზმი როგორც მეთოდი

პრაგმატიზმის წარმომადგენელნი თავიდანვე აღიარებენ, რომ პრაგმატიზმი არ არის მსოფლმხედველობა. ის არ წყვეტს ფილოსოფიის ძირითად საკითხს, საკითხს არსისა და აზრის, ბუნებისა და ცნობიერების დამოკიდებულების შესახებ. ეს საკითხი, მათი აზრით, დიდი ხანია უნდა მოხსნილიყო ფილოსოფიაში, როგორც არამეცნიერული, ისევე როგორც მისი მატერიალისტური და იდეალისტური გადაწყვეტა. მატერიალიზმისა და იდეალიზმის საუკუნეობრივი დავა ნამდვილად სიტყვებზე დავაა.

პრაგმატიზმი, პრაგმატისტების აზრით, პირველად ფილოსოფიის ისტორიაში სწორად სვამს საკითხს და ამ საკითხზე ისეთ პასუხს გვაძლევს, რომელიც თავისი მნიშვნელობით რეფორმაციას გავს. ძველ ფილოსოფიას აბსტრაქციებთან, აჩრდილებთან ჰქონდა საქმე, ამიტომ ის დაშორებული იყო ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტებას იცნობს ის, ვინც ცხოვრობს და გრძნობს; ფილოსოფოსები აქამდე აზროვნებდნენ სამყაროზე და ფიქრობდნენ, რომ ჰქმნიან მათგან დამოუკიდებელი სინამდვილის სურათს; ვერ ატყობდნენ იმ გარემოებას, რომ თვითეული მათგანი თავისი საკუთარი ტემპერამენტით განსაზღვრულ სურათს ხატავდა.

ფილოსოფია არის ჯერ-ერთი ხერხი, მეთოდი ცხოვრების პელსის ინდივიდუალური აღქმისა და გრძნობისათვის. ფილოსოფიის ისტორია არის ადამიანთა ტემპერამენტის ბრძოლის ისტორია, რადგან ადამიანის ტემპერამენტი განსაზღვრავს მის ფილოსოფიას. „ფილოსოფოსი ენდობა თავის ტემპერამენტს. ფილოსოფოსი ეძებს სამყაროს, რომელიც უდგება მის ტემპერამენტს და ამიტომ სჯერა სამყაროს ყოველივე სურათი, რომელიც მას უდგება“.(**Джемс. Прагматизм, გვ. 11**).

არსებობენ განსხვავებული ტიპის, ტემპერამენტის ფილოსოფოსები; მაგრამ მათი დაყოფა შესაძლებელია დაახლოებით ორ შემდეგ კლასად.

1	2
რაციონალისტი (ხელმძღვანელობს «პრინციპებით»)	ემპირისტი (საქმე აქვს ფაქტებთან)
ინტელექტუალისტი	სენსუალისტი
იდეალისტი	მატერიალისტი
ოპტიმისტი	პესიმისტი
მორწმუნე	ათეისტი
ნებისყოფის თავისუფლების მომხრე	დეტერმინისტი
მონისტი	პლურალისტი
დოგმატიკოსი	სკეპტიკოსი.

ნუ მივაქცევთ ყურადღებას ჯერჯერობით იმ უაზრობას, რომელიც უვიცობით ან თავისებური სოფისტური არგუმენტაციით არის გამოწვეული, თითქოს მატერიალისტი პესიმისტი და აგნოსტიკოსი უნდა იყოს; მარქსისტული მატერიალიზმი ერთადერთი ნამდვილი ოპტიმისტური მსოფლმხედველობაა, რომელმაც პირველად ისტორიაში დაასაბუთა სამყაროს პრინციპული შეცნობადობა და აგნოსტიციზმისა და სკეპტიციზმის მცდარი პრინციპები საბოლოოდ ამხილა.

პრაგმატიზმის მიხედვით ჩვეულებრივ ადამიანს, უმრავლესობას, მეცნიერს უნდა ისეთი ფილოსოფია, რომელიც ანგარიშს უწევს ფაქტებს და ამავე დროს აღიარებს რწმენას ადამიანური ღირებულებისადმი, როგორიც არის რელიგიური იდეები.

პრაგმატიზმი, მათი ავტორების მიხედვით, აკმაყოფილებს ორივე მოთხოვნილებას: ჯემსი, როგორც ვაჭარი საქონელს, ადამიანს სთავაზობს პრაგმატიზმს: „მე გთავაზობთ თქვენ პრაგმატიზმს, რომელსაც აქვს უნარი დააკმაყოფილოს ორივე მოთხოვნილება. პრაგმატიზმი რელიგიური ხასიათის თვალსაზრისია და ამავე დროს მას ინტიმური კავშირი აქვს ემპირიულ ფაქტებთან". პრაგმატიზმი არიგებს ორივე ხაზს.

როგორც ვხედავთ პრაგმატიზმი თავიდანვე შემარიგებელ, ეკლექტიკურ გზას ადგება. საქმე ის არის, რომ პრაგმატისტული ფილოსოფია პირველ რიგში მეთოდია. „პრაგმატისტული მეთოდი არის ფილოსოფიური დავის მომწესრიგებელი მეთოდი, დავის, რომელსაც ამის გარეშე ბოლო არ ექნებოდა“.

პრაგმატიზმი, პრაგმატისტების აზრით, არ იცავს არცერთ თვალსაზრისს, მას არავითარი დოგმატები არ გააჩნია, ის არ იცავს არცერთ მოძღვრებას. ფილოსოფოსებმა შეთხზეს სამყაროს მრავალი ფორმულა — ამტკიცებენ პრაგმატისტები. მეტაფიზიკის მომხრეებს სამყარო წარმოუდგენიათ როგორც გამოცანა; ამ გამოცანის პასუხი არის პრინციპი, ფორმულა, რომელიც ახსნის ამ გამოცანას: ღმერთი, გონება, აბსოლუტი, მატერია, ენერგია. აი ზოგიერთი ამ პრინციპთაგანი, რომლითაც ცდილობდნენ სამყაროს ახსნას. ეს ფილოსოფოსები ვერ ატყობდნენ, რომ ღმერთი, მატერია, გონება, ენერგია და სხვ. ცარიელი სიტყვებია და არაფერს არ აგვიხსნიან.

ფილოსოფიის ამოცანა, პრაგმატიზმის მიხედვით, ამ სიტყვების გამოგონებაში კი არ მდგომარეობს და არც იმაში, თითქოს ეს „პრინციპები“ სამყაროს არსებას ასახავენ, არამედ სულ სხვაში; ფილოსოფიის ამოცანა თურმე შემდეგში მდგომარეობს: ფილოსოფიამ უნდა მიჩვენოს, რა გარკვეული განსხვავება აღმოჩნდება ჩ ე მ თ ვ ი ს, ჩემი ცხოვრების გარკვეულ მომენტებში, თუ გავიზიარე ესა თუ ის პრინციპი.

პრაგმატისტული მეთოდი არ კმაყოფილდება მეტაფიზიკის მიერ წამოყენებული პრინციპებით — სიტყვებით. ამ სიტყვებიდან უნდა გამოვიყვანოთ მათი — როგორც ამბობენ პრაგმატისტები — პრაქტიკული ნაღდი ღირებულება. ეს პრინციპები საკითხის გადაწყვეტას კი არ წარმოადგენენ, არამედ მომავალი მოქმედების პროგრამას. პრაგმატიზმის მეთოდი უკუაგდებს პრინციპებს, როგორც საკითხების გადაწყვეტის საშუალებას, იგი გვაიძულებს ჩვენ რეზულტატების მიხედვით, ნაყოფის მიხედვით შევაფასოთ ისინი.

როგორც იტალიელმა პრაგმატისტმა პაპინიმ აღნიშნა, პრაგმატისტული მეთოდი იმყოფება ფილოსოფიურ თეორიებს, შორის, როგორც კორიდორი სასტუმროში. მრავალი ოთახის კარი გამოდის ამ კორიდორში; ერთ ოთახში ადამიანი წერს ათეისტურ ტრაქტატს, მეორეში მორწმუნე ადამიანი ლოცულობს, მესამეში თხზავენ მეტაფიზიკურ იდიალისტურ სისტემას, მეოთხეში ადამიანი ამტკიცებს მეტაფიზიკის შეუძლებლობას, მეხუთეში ქიმიკოსი სხეულთა თვისებებს სწავლობს და სხვადასხვა.

მაგრამ კორიდორი ყველას ეკუთვნის, ყველა სარგებლობს ამ კორიდორით და უნდა ისარგებლოს, თუ სურს შევიდეს თავის ოთახში ან გამოვიდეს იქიდან.

ასევე ფილოსოფიაში, ყველა თავისი ტემპერამენტით აგებს ფილოსოფიურ თეორიას, მაგრამ ყველა უნდა სარგებლობდეს ერთი მეოოდით; ეს მეთოდია პრაგმატისტული მეთოდი.

მანამ განვიხილავდეთ პრაგმატიზმის მოძღვრებას სხვა საკითხებზე, გავაკეთოთ დასკვნები და შევაფასოთ ფილოსოფიის რაობის და ამოცანის მის მიერ წარმოდგენილი გაგება.

პრაგმატისტების აზრით, პრაგმატისტული ფილოსოფია პირველ რიგში მეთოდია; ის არ წყვეტს წინასწარ არცერთ საკითხს, ის აძლევს თავისუფლებას ყველა მოაზროვნეს, შექმნას თავისებური თვალსაზრისი, აირჩიოს სამყაროს ისეთი სურათი, რომელიც მას უდგება, მის ტემპერამენტს შეესაბამება. ყველა მართალია თავისი თვალსაზრისით. მატერიალისტიც მართალია თავის „ოთახში", იდეალისტიც, მაგრამ ნუთუ არ შეიძლება დაისვას საკითხი, რომლის თვალსაზრისი, თეორია ადექვატურად ასახავს სამყაროს, ვის მხარეზეა ჭეშმარიტება? პრაგმატიზმი ასე უპასუხებს ამ კითხვას: ყოველ ფილოსოფიურ თეორიას ჰქონდა პრეტენზია იყოს სამყაროს ნამდვილი სურათი, მაგრამ თუ დავაკვირდებით ამ თეორიებს, აღმოვაჩენთ, რომ თვითეულს მათგანს ავტორის ინდივიდუალობის სუნი სდის.

ხომ არ ვდგებით პროტაგორას თვალსაზრისზე: ადამიანი არის საგანთა საზომი? როგორც ვნახავთ ეს აგნოსტიკური თვალსაზრისი მთლიანად არის გაზიარებული პრაგმატიზმის მიერ; შემთხვევითი კი არ იყო, რომ შილერი თავის თვალსაზრისს ხშირად ნეოპროტაგორეიზმს უწოდებდა. ფილოსოფიის ასეთი გაგება ნამდვილ სუბიექტივიზმს წარმოადგენს; მაგრამ გაუგებარია ერთი რამ: თვალსაზრისების თავისუფლების აღიარება, ყველა თვალსაზრისის მართებულება, მისაღებობა, როგორც დეკლარაცია ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით, გამოცდილი ვაჭრის ხერხით შეთავაზება ისეთი „საქონლის", რომელიც ერთდროულად ემპირიული ფაქტების მეცნიერული ანალიზისა და რელიგიური იდეების შეგუებას აღიარებს. როგორც ჩანს, ფილოსოფიური თეორიების სხვადასხვა „ოთახების" თანასწორუფლებიანობა ცარიელი სიტყვებია და პრაგმატიზმი მხოლოდ მეთოდი კი არ არის საწინააღმდეგო თეორიების მორიგებისათვის შეთხზული, არამედ მთელი მსოფლმხედველობა და ისიც უკიდურესი სახის იდეალისტური და აგნოსტიკური ხასიათისა.

საინტერესო ის არის, რომ პრაგმატიზმის წარმომადგენელნი, ყოველივე ლოგიკისდა მიუხედავად, ხან ერთს აღიარებენ, ხან მეორეს. შემთხვევითი როდია, რომ ჯემსმა „ხელი აიღო ლოგიკაზე ერთხელ და სამუდამოდ", ხოლო შილერის მიხედვით წანამძღვრებიდან დასკვნის გამოყვანა აუცილებლობით კი არ ხასიათდება, არამედ ჩვენს ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული.

ასე, მაგალითად, ჯემსი წერს, რომ პრაგმატიზმი მხოლოდ მეთოდია და ის არ იცავს რაიმე სპეციალურ თვალსაზრისს. მაგრამ სულ ორი გვერდის შემდეგ იგივე ჯემსი აღიარებს, რომ პრაგმატიზმი ჭეშმარიტების გარკვეული თეორიაა. შილერი, რომელიც ამტკიცებს, რომ პრაგმატიზმი მხოლოდ მეთოდია, საბოლოოდ დაასკვნის, რომ პრაგმატიზმი „არის შემეცნების თეორიისადმი ტელეოლოგიური ფსიქოლოგიის გამოყენება, რაც, რასაკვირველია, ვოლუნტარისტულ მეტაფიზიკას გულისხმობს".

ამრიგად, ერთის მხრით, წმინდა ემპირიზმი და მხოლოდ ფაქტებზე დაყრდნობა, იდეალიზმისა და მატერიალიზმის ზემოთ დგომა, ყოველივე ამგვარი მეტაფიზიკის უარყოფა, მეორეს მხრით, თითქოს ყველა თვალსაზრისის გამართლება, და ბოლოს იდეალისტური, აგნოსტიკური, ვოლუნტარისტული მეტაფიზიკის აგება.

2 პრაგმატიზმი როგორც ჭეშმარიტების თეორია

პრაგმატიზმის მთელი არსება მის მიერ შექმნილ ჭეშმარიტების თეორიასა და მისგან გამომდინარე დასკვნებში მდგომარეობს. აქაც, ამ თეორიაში ორაზროვანი ტერმინებით და გამოთქმებით, სოფიზმებით პრაგმატისტები ცდილობენ გაამართლონ თავისი თვალსაზრისი, მისცენ მას ისეთი ფორმა, რომელიც ყველასათვის მისაღები უნდა იყოს, ვინაიდან თითქოს ნამდვილად ყველა ასე ფიქრობს, მაგრამ ეს თვალსაზრისი ვერ გაუცნობიერებია. მიუხედავად იმისა, რომ პრაგმატისტები პრინციპულად ერთსა და იმავე თვალსაზრისზე დგანან ჭეშმარიტების ცნების გაგებაში, ისინი მაინც დასაბუთებაში და ზოგიერთი დებულების ფორმულირებაში განსხვავდებიან. ეს თავისებურება უფრო მეტად ახასიათებს ჯ. დიუის და მის მიმდევრებს.

პრაგმატისტები იწყებენ ჭეშმარიტების თეორიის აგებას ასახვის თეორიის კრიტიკით. ჩვეულებრივი გაგებით, პრაგმატისტების თქმით, ჭეშმარიტება წარმოდგენების სინამდვილესთან თანხმობაში მდგომარეობს. პრაგმატიზმი დასაწყისში არ უარყოფს ჭეშმარიტების ასეთ განსაზღვრებას. პრაგმატიზმი იზიარებს ამ განსაზღვრებას როგორც თავისთავად გასაგებს. მაგრამ ეს ნომინალური განსაზღვრებაა და მას არავითარი შინაარსი არ ექნება, მანამ არ გაირკვევა, თუ რა იგულისხმება „სინამდვილის“ და „თანხმობის“, „შესაბამობის“, „ასლის“ ცნებებში.

როდესაც ჩვენ წარმოვიდგენთ საათს, რომელიც კედელზეა, ჩვენი წარმოდგენა „ასლია“ კედლის საათის. მაგრამ საკმარისია წარმოვიდგინოთ ამ საათის მექანიზმი, და მაშინვე

შევამჩნევთ, ამტკიცებენ პრაგმატისტები, რომ წარმოდგენ, აღარ არის საათის მექანიზმის ნამდვილი ასლი. და თუ ჩვენ კიდევ უფრო გავართულებთ საკითხს, წარმოვიდგენთ ისეთ რაღაცეს, როგორიც არის „საათის დროის გამზომი ფუნქცია", „მექანიზმის ელასტიურობა" უკვე ასლზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ასეთია ერთ-ერთი —„ძლიერი" არგუმენტი, რომელსაც წამოაყენებს პრაგმატისტი ასახვის ცნების წინააღმდეგ. უსუსურობა ამ არგუმენტაციისა ცხადია. პრაგმატიზმი ნომინალისტური თეორიაა. მას არა სწამს ზოგადის არსებობა არც რეალურ, ობიექტურ სინამდვილეში და არც ჩვენს აზროვნებაში. მისთვის მხოლოდ შეგრძნებები, აღქმები და წარმოდგენები არსებობს, ზოგადი აზროვნებაში მხოლოდ ცარიელი სიტყვაა. რასაკვირველია, „საათის დროის გამზომ ფუნქციას" ჩვენ ვერც აღვიქვამთ და ვერც წარმოვიდგენთ, „ელასტიურობას" როგორც ასეთს ვერ წარმოვიდგენთ; მაგრამ განა ეს გარემოება ჩვენ ხელს გვიშლის ავსახოთ ეს მოვლენები? ასლი, ასახვა პრაგმატიზმს წარმოუდგენია როგორც სურათი, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ე. ი. როგორც გრძნობადი სურათი. პრაგმატიზმს ვერ წარმოუდგენია, რომ ასახვა, „სურათი" არა მხოლოდ აღქმებში და წარმოდგენებში გვაქვს როგორც გრძნობადი სურათი, რომ ცნებაც ასახვაა, „სურათია" სინამდვილისა, მაგრამ ეს უკვე აღარ არის გრძნობადი სურათი, რომ ეს არის აზრისეული ასახვა საგანთა არსების, საგანთა მიმართებების. ჩვენი აზროვნება ასახავს მიზიდულობის კანონს, რომელიც მოქმედებს სინამდვილეში, მაგრამ ეს ასახვა როდი წარმოადგენს ამ კანონის გრძნობად სურათს, ისეთს, როგორიც ჩვენ გვაქვს, მაგალითად, კედლის საათის გარეგანი მოყვანილობის, ფერისა და სხვათა შესახებ.

პრაგმატიზმი უარყოფს ასახვის თეორიას მეორე მოსაზრებითაც; საქმე ეხება სინამდვილის ცნებას. ასახვის თეორია გულისხმობს, რომ არსებობს ობიექტური სამყარო და შემეცნება ასახავს ამ სინამდვილეს. მაგრამ პრაგმატიზმისათვის ჯერ გაურკვეველია სინამდვილის ცნება. თუ როგორ ესმის პრაგ-

მატერიზმს სინამდვილის ცნება, ამაზე ჩვენ ქვემოთ მოგვიხდება საუბარი. ეხლა მხოლოდ იმის აღნიშვნა შეგვიძლია, რომ პრაგმატისტების აზრით ჭეშმარიტებას არა აქვს კავშირი სინამდვილესთან; ამიტომ სინამდვილის ასახვაზე მსჯელობა ზედმეტია.

თუ ჭეშმარიტება არ არის აზრი, რომელიც სინამდვილეს ასახავს, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ ჭეშმარიტების ცნება? პრაგმატიზმი აქ გამოიყენებს თავის მეთოდს: რ ა გ ა რ კ ვ ე ულ ი გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ე ბ ა წ ა რ მ ო ი შ ო ბ ა ჩ ე მ თ ვ ი ს ჩ ე მ ი ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს გ ა რ კ ვ ე ულ მ ო მ ე ნ ტ ე ბ შ ი, ე ს ა თ უ ი ს დ ე ბ უ ლ ე ბ ა რ ო მ მ ი ვ ი ჩ ნ ი ო ჭ ე შ მ ა რ ი ტ ა დ? ი რ ოგორ უნდა დაისვას საკითხი ჭეშმარიტების შესახებ; თუ ჭეშმარიტება გავიგეთ როგორც სინამდვილის ასახვა, მაშინ არც ერთი იდეა, არც ერთი თეორია არ არის ჭეშმარიტი. იდეა, თეორია შეიძლება იყოს სასარგებლო რომელიმე გარკვეული თვალსაზრისით. ის იდეა, რომელიც სასარგებლოა გარკვეული თვალსაზრისით, არის ჭეშმარიტი ამ თვალსაზრისით. იდეა არის ჭეშმარიტი, თუ ის ჩვენზე, ჩვენთვის მუშაობს; თუ ის ჩვენ „გვზიდავს"; ჭეშმარიტია იდეა, თეორია, თუ ის კარგად, ნაყოფიერად მუშაობს; იდეა, თეორია ჭეშმარიტია იმდენად, რამდენადაც ის შრომას ამარტივებს, შრომის ეკონომიას ეწევა: ასეთი იდეა ჭეშმარიტია იმდენად, რამდენადაც ის ამას აკეთებს; იგი ჭეშმარიტია, როგორც იარაღი, ინსტრუმენტალურად.

ყოველი შეხედულება ჩაითვლება ინდივიდის მიერ ჭეშმარიტად, თუ ის აკმაყოფილებს მის სურვილს; ობიექტური ჭეშმარიტება, ადამიანის სუბიექტური მოთხოვნილებებისაგან დამოუკიდებელი, არ არსებობს. ჭეშმარიტი იდეა რომ საზიანო ყოფილიყო, ხოლო მცდარი იდეა სასარგებლო, მაშინ არც ერთი ადამიანი ჭეშმარიტების ძიებას არ დაიწყებდა: ამგვარ ქვეყანაში ყველა ზურგს შეაბრუნებდა ჭეშმარიტებას. ჭეშმარიტება კარგია ცხოვრებისათვის, ის არის დოვლათი და იმიტომ მივისწრაფვით მისკენ. ის, რაც კარგია, ჭეშმარიტია.

პრაგმატიზმის თვალსაზრისი ჭეშმარიტებაზე არ იქნებოდა

ზუსტად გარკვეული, რომ არ დაგვესვა აქვე საკითხი: კარგია ვისთვის? ის, რაც კარგია, ის ჭეშმარიტია? ვისთვის არის კარგი? ჩემთვის — ასეთია პრაგმატისტის პასუხი.

„ჭეშმარიტება არის ის, რაც ჩვენთვის კარგია რომ გვჯეროდეს". განა ჩვენთვის არ არის სავალდებულო გვჯეროდეს ის, რაც ჩვენ გვინდა რომ გვჯეროდეს, რაც ჩვენთვის კარგია, რომ გვჯეროდეს? დებულება: ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა იგივეა რაც: სასარგებლოა ის, რაც ჭეშმარიტია.

პრაგმატისტების ამ მსჯელობაში რამდენიც დებულებაა, იმდენი სოფიზმია. პრაგმატისტები განგებ ურევენ ცნებებს, ტერმინებს, ორაზროვნად ხმარობენ მათ, რათა გაამართლონ თავისი რეაქციული თვალსაზრისი.

ჭეშმარიტია ის, რაც ჩვენთვის კარგია რომ გვჯეროდეს; რადგან ჩვენ ვალდებული ვართ გვჯეროდეს ის, რაც ჩვენთვის კარგია, რომ გვჯეროდეს. იმპერიალისტებისათვის კ ა რ გ ი ა რწმენა, რომ დემოკრატია და სოციალიზმი მოისპობა; ამიტომ განა ის ვ ა ლ დ ებ უ ლ ი ა ეს სჯეროდეს? და მით უმეტეს, თუ მას ეს — მისთვის კარგი სჯერა და, რომ ვალდებულიც იყოს ეს დაიჯეროს, ამით განა ეს რწმენა ჭეშმარიტად იქცევა?

ფაშისტებისათვის კარგი იყო რწმენა, რომ გერმანიის ერს აქვს სამყაროზე ბატონობის უფლება, მაგრამ ამის გამო ეს რწმენა ჭეშმარიტად გადაქცეულა?

შემდეგ: რასაკვირველია, ჭეშმარიტი აზრი, იდეა, თეორია სასარგებლოა. სასარგებლოა იმით, რომ ასახავს რა იგი სინამდვილეს და მისი განვითარების კანონზომიერებას, იგი გვაძლევს საშუალებას გავითვალისწინოთ მოვლენები, ნაყოფიერად და მიზანდასახულად მოვახდინოთ მასზე ზემოქმედება და გარდავქმნათ ის ადამიანთა საკეთილდღეოთ. იდეები და თეორიები ხვადასხვანაირია. ი. სტალინი საზოგადოებრივი იდეებისა და თეორიების მნიშვნელობაზე წერს: „არის ძველი იდეები და თეორიები, რომლებმაც თავისი დრო მოსჭამეს და რომლებიც საზოგადოების მომაკვდავი ძალების ინტერესებს ემსახურებიან. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აფერხებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას.

არის ახალი, მოწინავე იდეები და თეორიები, რომლებიც საზოგადოების მოწინავე ძალების ინტერესებს ემსახურებიან. მათი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი აადვილებენ საზოგადოების განვითარებას, მის წინსვლას, ამასთან ისინი მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენენ, რაც უფრო ზუსტად ასახავენ ისინი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების მოთხოვნილებებს"[1].

ამ მხრით ჭეშმარიტი იდეა სასარგებლოა. მაგრამ ამ დებულების მარტივი უკუქცევა ლოგიკურ შეცდომას წარმოადგენს. ყველაზე მეტი, რის თქმაც ჩვენ შეგვიძლია ამ დებულების საფუძველზე, შემდეგია: ზოგიერთი სასარგებლო იდეა ჭეშმარიტია; მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ამის საფუძველზე დავადგინოთ: ყველა სასარგებლო იდეა ჭეშმარიტია ან, მით უმეტეს, დებულება: რადგან სასარგებლოა, ამიტომ ჭეშმარიტია.

მთავარი აქ მაინც სხვა გარემოებაა: სასარგებლო და ჭეშმარიტი განსხვავებული კატეგორიებია. ის გარემოება, რომ ჭეშმარიტი ხშირად სასარგებლოა, ჩვენი პრაქტიკული მიზნებისათვის გამოსადეგია, თუნდაც „ჩვენზე და ჩვენთვის მუშაობს", ჯერ ერთი, არ ნიშნავს იმას, როგორც აღვნიშნეთ, რომ ის, რაც სასარგებლოა, ჭეშმარიტია, და მეორეც „სასარგებლო" არ არის ჭეშმარიტებისათვის არსებითი ნიშანი; ჭეშმარიტების არსებითი ნიშანია სინამდვილის ადექვატური ასახვა, ისეთი შინაარსის ქონება, რომელიც განსაზღვრულია არა სუბიექტურით, სულ ერთი იქნება ეს სუბიექტური სურვილი, მისწრაფება, ნებისყოფა, სასარგებლო ან საზიანო ადამიანისათვის, არამედ ობიექტით, ობიექტური სინამდვილით. ჭეშმარიტი აზრი იმის შესახებ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში გვალვის გამო ხორბლეულის მოსავალი დაზიანდა საზიანოა ფერმერებისათვის, მაგრამ ამის გამო ეს აზრი მცდარი არ ხდება. ხოლო თუ ხორბლეულით სპეკულანტისათვის ეს გარემოება სასარგებლო აღმოჩნდა, ამიტომ კი არ გახდა ეს დებულება ჭეშმარიტი. მიუხედავად ფერმერისათვის ზია-

[1] საკ. კ. პ. (ბ) ისტორია. მოკლე კურსი. გვ. 142. 1951 წ.

ნისა და სპეკულანტისათვის სასარგებლოსი, ეს აზრი ჭეშ-მარიტია, რადგან სინამდვილის ამსახველია.

სასარგებლოა თუ საზიანოა დებულებები, რომლებიც გარკვეულ ფაქტებს ასახავენ: „თბილისი საქართველოს დედაქალაქია“, „კეისარი მოკლა ბრუტუსმა“, „ბოროტმოქმედებისათვის მე მისჯილი მაქვს სასჯელის უმაღლესი ზომა“ და სხვა. რა პრაქტიკულ სარგებლობას მომიტანს დებულება, რომ ბრუტუსმა კეისარი მოკლა, როგორ „მზიდავს“ ის მე, როგორ იმუშავებს ის ჩემთვის? მე მჯერა ეს იმიტომ, რომ კარგია? იმიტომ, რომ მინდა მჯეროდეს, რადგან კარგია, თუ მჯერა იმიტომ, რომ ეს დებულება ჭეშმარიტია, ე. ი. არსებულ ფაქტს ასახავს. დებულება, რომ მომისაჯეს უმაღლესი სასჯელი, ნუთუ იმიტომ არის ჭეშმარიტი, რომ ის კარგია ჩემთვის, ის სასარგებლოა და ჩემთვის იმუშავებს?

ჭეშმარიტებას ახასიათებს, როგორც წესი, მხარე, რომლის გამო ის სასარგებლო ხდება ჩვენთვის, ჩვენს პრაქტიკულსა და თეორიულ მუშაობაში, მაგრამ ეს იმის გამო, რომ ის სინამდვილეს ასახავს. იდეებს, აზრებს, თეორიებს აქვთ შემეცნებითი ღირებულება და მათ ამ ნიშანს ვერ წავართმევთ მხოლოდ იმის გამო, რომ მათ სასარგებლოს ნიშანიც ჰქონდეთ. ამ ძირითად შეცდომას აკეთებს პრაგმატიზმი: რადგან იდეებს, თეორიებს შეიძლება ჰქონდეთ და აქვთ კიდეც სასარგებლოს ნიშანი, ამით მათ სინამდვილის ასახვის ნიშანი არა აქვთ, მათ აღარ ახასიათებთ შემეცნებითი ღირებულება, რადგან ჭეშმარიტებას არა აქვს სხვა მნიშვნელობა, გარდა სასარგებლოსი. პრაგმატიზმის მიხედვით სარგებლობა იდეის ჭეშმარიტების შედეგი კი არ არის, არამედ მისი საფუძველია.

პრაგმატისტების აზრით, ჭეშმარიტებას მეორე ფუნქციაც აქვს. ეს ფუნქცია მდგომარეობს სხვა, უკვე არსებულ აზრებთან შეგუებაში; ამაში მდგომარეობს პრაგმატისტული მოძღვრების ერთ-ერთი იმ ასპექტთაგანი, რომლის საშუალებით მათ გამონახეს საერთო ენა ნეომახისტებთან, ლოგიკურ პოზიტივისტებთან.

იდეა მაშინ არის ჭეშმარიტი, როდესაც ის სხვა იდეებთან

არის შეთანხმებული, იდეათა სისტემასთან არის შეთანხმებული. თავისთავად აღებული ეს დებულება არ არის უსათუოდ მცდარი და უარსაყოფი.

მაგალითად, თუ ჩვენ წამოვაყენეთ იდეა, დებულება, რომელიც ჩვენ მსოფლმხედველობას, მარქსისტულ-ლენინური იდეების სისტემას არ ეთანხმება, ცხადია ჩვენ ვერ მივიჩნევთ ამგვარ იდეას ჭეშმარიტად. მაგრამ თუ ეს ახალი იდეა მარქსისტულ-ლენინურ იდეათა სისტემასთან თანხმობაშია, მით უმეტეს მათგან გამომდინარეობს ან მიღებულია ამ თვალსაზრისის სწორი გამოყენებით ახალ მოვლენებისადმი, მაშინ ცხადია, რომ ეს იდეა, დებულება ჭეშმარიტია.

როგორ ესმის პრაგმატიზმს აზრის, იდეის, ჭეშმარიტების ეს თავისებური „ფუნქცია"? ახალი ჭეშმარიტება პრაგმატიზმის მიხედვით, შემარიგებელია: ის არიგებს ძველ ჭეშმარიტებას ახალ ფაქტთან, ძველი ჭეშმარიტებების მინიმალურად შეცვლასთან. ყოველი ახალი აზრი ჭეშმარიტად ითვლება იმდენად, რამდენადაც ის აკმაყოფილებს ი ნ დ ი ვ ი დ ი ს სურვილს მოარიგოს ახალი აზრი ძველ აზრთა მარაგთან. მისი ე. ი. ახალი ჭეშმარიტების — წარმატება მთლიანად დამოკიდებულია ადამიანის პირად, ინდივიდუალურ თვისებებზე.

მოკლედ, აზრი ასეთია: ჩვენ გვაქვს გარკვეული მარაგი ჭეშმარიტებებისა, ე. ი. იდეებისა, რომლებიც ჩვენთვის (ჩემთვის) ცხოვრების ამა და ამ მომენტში სასარგებლოა, ჩემთვის მუშაობენ, პრაქტიკულად სასარგებლო შედეგამდე მიმიყვანენ. ჩვენ გაგვიჩნდა ახალი აზრი; დაისმევა პრობლემა, არის თუ არა ეს აზრი ჭეშმარიტი? ეს აზრი ჭეშმარიტი იქნება, თუ ის ჩემი ცხოვრების ამ მომენტისათვის სასარგებლოა, თუ ის სასარგებლო შედეგამდე მიმიყვანს — ასეთი იყო პრაგმატიზმის პასუხი. ეხლა ამ პრინციპს მეორე დაემატა: ეს ახალი აზრი უნდა ეთანხმებოდეს ჩემ წინანდელ „ჭეშმარიტ" აზრებს, მათთან თანხმობაში უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ის უნდა უკუვაგდოთ როგორც მცდარი.

მაგრამ პრაგმატიზმის წარმომადგენლები არ ფიქრობენ თავის საკუთარ დებულებებზე: რას წარმოადგენს ძველი

ჭეშმარიტების მარაგი? იდეა ჭეშმარიტია ცხოვრების გარკვეულ მომენტში და სხვა მომენტში ის შეიძლება აღარც იყოს ჭეშმარიტი; და ახალი აზრის წარმოშობის დროს ის ჭეშმარიტი იქნება, თუ ის სასარგებლოა ცხოვრების ამ მომენტში და მისი თანხმობა ძველს ჭეშმარიტებებთან უაზროა, რადგან ე. წ. ძველი ჭეშმარიტება ამ მომენტში შეიძლება აღარც იყოს ჭეშმარიტი. ანდა უნდა ვაღიაროთ ნეოპოზიტივიზმის პრინციპი: ახალი იდეა (წინადადება) ჭეშმარიტია, თუ იგი ეგუება ძველი იდეების (წინადადებათა) სისტემას და არა ობიექტურ სინამდვილეს; ამაშია სარგებლიანობის პრინციპი — მაგრამ ეს უკვე პრაგმატისტული პრინციპისაგან განსხვავებულია.

ამ აზრის სწორი გაგებისათვის უნდა მიექცეს ყურადღება პრაგმატიზმის ჭეშმარიტებაზე მოძღვრების კიდევ ერთ ასპექტს, რომელსაც ყველა პრაგმატისტი იცავს, მაგრამ რომელიც ყველაზე მკაცრად დიუიმ გაატარა.

საქმე ის არის, რომ თურმე იდეა, აზრი თავისთავად აღებული არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ჭეშმარიტება „ემართება“ იდეას. ასე, მაგალითად, ჩვენ გვაქვს გარკვეული იდეა; ეს იდეა შეიძლება არც ჭეშმარიტი იყოს და არც მცდარი. მაგრამ იგივე იდეა ცხოვრების ამ მომენტში გახდება ჭეშმარიტი — მას „დაემართება“ ეს ამბავი,— ხოლო ცხოვრების სხვა მომენტში მცდარი გახდება. ჭეშმარიტების ამ თავისებურ ხასიათზე ჩვენ კიდევ გვექნება ქვემოთ საუბარი; ეხლა კი დავუბრუნდეთ ზემოთ განხილულ საკითხს. რას უნდა ეგუებოდეს ახალი იდეა, რომ ის ჭეშმარიტი აღმოჩნდეს? ძველ იდეებს, ძველ ჭეშმარიტებებს? მაგრამ ძველი ჭეშმარიტებანი ცხოვრების სხვა მომენტში იყვნენ ჭეშმარიტი და ახალი იდეის გაჩენის პროცესში — ე. ი. ახალ მომენტში — ისინი მხოლოდ იდეები არიან, რომელთაც არც ჭეშმარიტება ახასიათებთ და არც მცდარობა. ისინი ჭეშმარიტ იდეებად იქცევიან, თუ სასარგებლო პრაქტიკულ რეზულტატამდე მიგვიყვანენ ამ გარკვეულ მომენტში.

ამისათვის კი ისინი უნდა გამოვცადოთ. ამგვარად, მდგომარეობა ასეთი იქმნება: ახალი იდეის ჭეშმარიტების დასადგენად ის უნდა გამოვცადოთ და გავიგოთ მომიტანს ის სარგებლობას, იმუშავებს ჩემთვის თუ არა. ეს ერთი. მეორე: ეს იდეა უნდა ეგუებოდეს წინანდელ ჭეშმარიტებათა მარაგს. მაგრამ თურმე ამ ახალ სიტუაციაში ისინი ჭეშმარიტი არიან თუ არა გაურკვეველია; მათი გამოცდაც არის საჭირო. ამიტომ „ჭეშმარიტების წინანდელი მარაგი" ცარიელი სიტყვებია. ცხოვრების სხვადასხვა მომენტში ჭეშმარიტება სხვადასხვაა ჩემთვის; ადამიანი არის ჭეშმარიტების საზომი. მაშ რას უნდა შეეგუოს ახალი იდეა, რათა ის ჭეშმარიტად იქნეს? ისევ ახალ იდეებს, რადგან, იდეა, რომელიც წინა მომენტში ჭეშმარიტი იყო, ცხოვრების მეორე მომენტში გაურკვეველია ჭეშმარიტების და მცდარობის თვალსაზრისით; ამდენად ისიც ახალია ახალ სიტუაციაში. ცხადია, რომ ახალი იდეის „ძველ ჭეშმარიტებათა მარაგთან" შეგუება განუხორციელებელი ამოცანაა.

პრაგმატისტული თეორიის უკიდურესი სუბიექტივიზმი, აგნოსტიციზმი და რელატივიზმი ნათელია და ის მთლიანად გამომჟღავნდება, თუ ამ თეორიის სხვა მხარეებსაც მივაქცევთ ყურადღებას.

ჭეშმარიტება ის იდეაა, რომელიც პრაქტიკულად სასარგებლოა; კითხვაზე — რა არის ჭეშმარიტება — პრაგმატისტი კითხვითვე უპასუხებს: რა პრაქტიკულ სარგებლობას მომიტანს იგი. ამიტომ საკითხი იმის შესახებ, ორი არსებული საწინააღმდეგო თვალსაზრისიდან თუ რომელი არის ჭეშმარიტი, უნდა გადაწყდეს შემდეგნაირად: რა გამოიცვლება პრაქტიკულად ჩემთვის სამყაროში, თუ ერთს ან მეორეს მათგანს ვაღიარებთ ჭეშმარიტად. თუ არაფერი გამოიცვლება, ორივე თეორია პრაქტიკულად ერთსა და იგივეს ნიშნავს. პრაგმატიზმისათვის, როგორც აღვნიშნეთ, ჭეშმარიტებას არავითარი კავშირი სინამდვილესთან არა აქვს. ამიტომ ორი ერთმანეთის გამომრიცხავი აზრი, თეორია ერთი და იმავე მნიშვნელობისაა, თუ მათი პრაქტიკული რეზულტატი ერთი და იგივეა.

ამიტომ გეოცენტრულსა და ჰელიოცენტრულ სისტემებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს ჭეშმარიტების თვალსაზრისით; მატერიალისტური და იდეალისტური ინტერპრეტაცია ფიზიკის მიერ ახალი აღმოჩენებისა ერთი და იგივე მნიშვნელობისაა, რადგან პრაქტიკულად ატომური ბომბის გაკეთებას ორივე მხარე ახერხებს.

მეცნიერებაში ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ორი განსხვავებული თეორია გარკვეულ ფაქტს (ან ფაქტებს) ერთნაირად მართებულად ახსნის. ნიშნავს ეს განა იმას, რომ ეს თეორიები ჭეშმარიტების თვალსაზრისით არ განსხვავდებიან? პრაგმატიზმი უყურადღებოდ ტოვებს მთავარ გარემოებას, რომლის გარეშე პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია: ის გარემოება, რომ ორივე თეორია (ჰიპოთეზი) ერთს ან რამდენიმე ფაქტს ერთნაირად დამაკმაყოფილებლად ახსნის, ჯერ არ არის იმის მაჩვენებელი, რომ დანარჩენ ფაქტებსაც ისინი ასევე ახსნიან. ფაქტების რა რიცხვით განისაზღვრება ეს ჰიპოთეზები? საკმარისია დაისვას ეს საკითხი, რომ პრაგმატიზმის თეორიიდან არაფერი აღარ დარჩეს. უფრო ზოგადად, იმ გარემოებიდან, რომ ჩვენ დღეს ვერ ვხედავთ პრაქტიკულ განსხვავებას ამ ორ თეორიას შორის, ჯერ არ გამომდინარეობს, რომ ისინი ერთი და იგივე მნიშვნელობის იყვნენ ჭეშმარიტების თვალსაზრისით.

პრაგმატისტების ნაწერების მკითხველი კარგად უნდა დაკვირდეს მათი მოძღვრების არსებას, იმ ძირითად ხაზს, რომელიც ბატონობს მათ ნააზრევში და არ აჰყვეს აქა-იქ გაბნეულ გამოთქმებს, სადაც ისინი უმტკიცებენ მკითხველს, რომ მათი თვალსაზრისი არ არის სუბიექტური იდეალიზმი. საერთოდ არ არის სუბიექტივიზმი, სოლიფსიზმი, რომ ჭეშმარიტება მათი აზრითაც სინამდვილესთან არის კავშირში, რომ ჭეშმარიტება რასაკირველია, სინამდვილის ასახვაა — ამაზე არავინ დავობს-ო — მაგრამ ტერმინები „სინამდვილე", „ასახვა", „შესაბამობა" არ არის თურმე აქამდე მართებულად გაგებული, მათ, ამ ცნებებს ახალი განმარტება, გაგება სჭირდება.

მათი შრომები საესეა გამოთქმებით, რომლებშიც ისინი აღიარებენ ობიექტურ რეალობასაც, სინამდვილის ასახვასაც. ერთ-ერთ წერილში ჯემსი წერდა: „მე მწამს. რეალობათა არსებობა, რომელნიც შემმეცნებელი იდეისაგან დამოუკიდებელია, მწამს აგრეთვე ამ იდეის რეალობასთან დაახლოვება, მასთან დამთხვევაც“.

მეორე ადგილას ის წერს: „ჩვენ გვწამს რეალობა, რომელიც არსებობს ადამიანთა სულის გარეშე; რომ არ არსებობდნენ ეს რეალობანი, ჩვენი აზრები მცდარნი იქნებიან“.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ გამოთქმებმა არ უნდა შეიყვანოს მკითხველი შეცდომაში; ამ გამოთქმებში ხშირად არის საუბარი რეალობაზე, ჭეშმარიტებაზე, როგორც რეალობის ასახვაზე. მაგრამ თვით ამ ცნებებში ისეთი შინაარსი არის ჩადებული, რომ რეალობაში არაფერი ობიექტური რეალური არ რჩება, და „ასახვიდან“ და „შესაბამობიდან“ არ რჩება ასახვა და შესაბამობა[1].

ჯემსი და შილერი — პირველი უფრო ფრთხილად, მეორე უფრო უხეშად — ცდილობენ ხშირად დამალონ სხვადასხვა გამოთქმებით თავისი სუბიექტივიზმი, აგნოსტიციზმი და რელატივიზმი — რასაკვირველია, ამის დამალვა ყოვლად შეუძლებელი ხდება, როდესაც ჭეშმარიტების პრინციპად, სხვას რომ თავი დავანებოთ, პროტაგორას პრინციპი არის წამოყენებული: „ადამიანი არის ჭეშმარიტების საზომი“, ან უფრო უხეშ და მიუღებელ ფორმულირებაში: „ადამიანის სარგებლობა განსაზღვრავს ჭეშმარიტებას“.

უფრო თანმიმდევრად გატარებული აქვს ეს აზრი ჯ. დიუის.

თავის გამოკვლევაში „ექსპერიმენტული ლოგიკის“ შესახებ დიუი ჩამოაყალიბებს პრაგმატიზმის — ის უწოდებს ამ

---

[1] პრაგმატიზმის მიმდევრები კარგა ხანია აღარ მალავენ თავისი მოძღვრების ნამდვილ არსებას; ისინი უკვე აშკარად გამოთქვამენ მას; იტალიელი პრაგმატისტი პრეცოლინი წერდა, რომ პრაგმატიზმის მიხედვით „მეცნიერი მატყუარაა, რომელიც სასარგებლოა საზოგადოებისათვის; მატყუარა კი მეცნიერია, რომელიც სასარგებლოა ცალკეული პიროვნებისათვის“.

მარიტია და არც — მცდარი. დიუიმ წამოაყენა სწორედ ის დებულება, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. იდეა, აზრი კი არ არის თავისთავად ჭეშმარიტი, რადგან ის ასახავს სინამდვილეს, არა, იდეას „ემართება“ ჭეშმარიტება პრაქტიკაში შემოწმების შედეგად, მეტიც: ჭ ე შ მ ა რ ი ტ ე ბ ა ი დ ე ა კ ი ა რ ა რ ი ს, ა რ ა მ ე დ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ა.

როგორც ვხედავთ, დიუის პრაგმატისტული თვალსაზრისის დასკვნა პრინციპულად არ განსხვავდება ჯემსის, შილერისა და სხვათა თვალსაზრისისაგან. ის გარემოება, რომ ჯემსი ამ მოძღვრებას პრაგმატიზმს უწოდებს, შილერი — ჰუმანიზმს, დიუი — ინსტრუმენტალიზმს — პრინციპულად არ ცვლის ამ მოძღვრების არსებას.

რაც შეეხება პრაგმატისტების შემდგომ თაობას, მათ პრაგმატიზმის პრინციპთან ერთად გაიზიარეს ლოგიკური ემპირიზმისა და სემანტიკის პრინციპები. ამ თვალსაზრისის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

შევაფასოთ მოკლედ დიუის შეხედულებები. დიუისათვის აზროვნება ტვინის ფუნქცია კი არ არის, არამედ „შინაორგანული“ მოვლენაა, იგი სინამდვილესთან შეგუების აპარატია, ამიტომ როგორც ცვლილებანი ტვინში, ისე ხელებიც, ფეხებიც და შეგუების ყოველი აპარატი აზროვნების ნაწილია.

რომ ადამიანის ორგანოების განვითარება და. პირველ რიგში ხელების, მეტყველების (ხორხის) და სხვ. გავლენას ახდენდა ადამიანის ტვინის განვითარებაზე და ამდენად აზროვნების განვითარებაზე — ეს პირველად მარქსიზმმა აღმოაჩინა და დაასაბუთა. მაგრამ ფეხებისა და ხელების მოქმედების აზროვნების პროცესის, აზროვნების ნ ა წ ი ლ ა დ გამოცხადება არა თუ დაუსაბუთებელია დიუის ნაწერებში, არამედ უაზრობას წარმოადგენს.

დიუი აზროვნებას განიხილავს როგორც ბიოლოგიურ პროცესს, ის ვერ და არ ამჩნევს, რომ აზროვნება სოციალურად განსაზღვრული მოვლენაა. მისი ფუნქცია, დიუის აზრით, ქცევის გამომუშავება, სტიმულზე რეაქციის, პასუხის გაცემაა ქცევის საშუალებით. მაგრამ თურმე ეს რეაქცია მაშინვე კი

არ წარმოებს, არამედ გარკვეული დროის შემდეგ („Отсроченная реакция"); ეს დაგვიანება ხდება იმიტომ, რომ რეაქცია სწორი იყოს, ხოლო აზროვნება ჩნდება გაჭირვებული, რთული სიტუაციის დროს. ამ პროცესის აღწერაც რომ სწორი იყოს, მისი ახსნა დიუის მიერ მცდარია.

რეაქცია დაგვიანებულია, რადგან რთული სიტუაციის პროცესში ადამიანი მ ო ი ა ზ რ ე ბ ს (ტვინის, და არა ხელების და ფეხების საშუალებით) ამ სიტუაციას, რათა გადაწყვიტოს იგი და შესაბამისად მოიქცეს; და თვით დიუის გამოთქმა „ს წ ო რ ი ქცევის" წარმოება, სხვა არაფრით არ არის გასაგები, თუ არა ამ სიტუაციის ადექვატური შემეცნებით, მისი ასახვით.

დიუი და სხვა პრაგმატისტები ბევრს ლაპარაკობენ პრაქტიკაზე: პრაქტიკით ყოფილა განსაზღვრული ჩვენი ცოდნა, პრაქტიკა არის ცოდნის, ჭეშმარიტების საზომი. პირველი შეხედვით თითქოს მისი საწინააღმდეგო ჩვენ არაფერი არ უნდა გვქონდეს, ნამდვილად კი, რამდენიც დებულებაა, იმდენი ყალბი. მცდარი აზრია გამოთქმული.

პირველ რიგში უნდა გავიმეოროთ, რომ ჭეშმარიტება, პრაგმატიზმის მიხედვით, არ არის სინამდვილის ასახვა, ჩვენი წარმოდგენების, ცნებების ისეთი შინაარსი, რომელიც დამოუკიდებელია ადამიანისაგან, კაცობრიობისაგან: ის მთლიანად ადამიანზე, სუბიექტზეა დამოკიდებული, მისი სარგებლობით არის განსაზღვრული. უკვე აქედან ნათელია, რომ პრაქტიკა პრაგმატისტების აზრით პრინციპულად განსხვავებულია პრაქტიკის მარქსისტულ-ლენინური გაგებისაგან.

პრაქტიკა მარქსიზმის გაგებით არის საზოგადოებრივი წარმოების პროცესი, რომელიც მიმართულია ობიექტური სინამდვილისადმი, მისი გარდაქმნის მიზნით. მარქსიზმი არ აიგივებს ჭეშმარიტების ცნებას პრაქტიკის ცნებასთან; პრაქტიკა ამართლებს ან უკუაგდებს ჩვენს აზრებს და თეორიებს იმის მიხედვით ჭეშმარიტნი არიან ისინი თუ მცდარნი. ჭეშმარიტება მარქსიზმ-ლენინიზმის მიხედვით აზრია, რომელიც ასახავს ადექვატურად სინამდვილეს და სწორედ ამის გამო

ამართლებს პრაქტიკა მას: ჭეშმარიტი აზრი ჭეშმარიტია პრაქ-ტიკით გამართლებამდე, სხვანაირად: აზრი ამა თუ იმ საგანზე ჭეშმარიტია ან მცდარია. არ არსებობენ აზრები, რომლებიც არც ჭეშმარიტი და არც მცდარნი იყვნენ. პრაქტიკა ჭეშმა-რიტად ან მცდარად კი არ ხდის მათ, არამედ ამოწმებს მათ, ადასტურებს მათ ჭეშმარიტებას ან მცდარობას. პრაქტიკა როგორც ჭეშმარიტების საზომი ჭეშმარიტების შემმოწმებელია და არა შემქმნელი.

პრაგმატიზმის წარმომადგენლებიც ხშირად აღიარებენ, რომ ჭეშმარიტება დადგინდება და შემოწმდება პრაქტიკით, მაგრამ ჭეშმარიტება არის მხოლოდ მოქმედების გეგმა, ის, რაც მე ნაყოფიერ პრაქტიკულ შედეგებს მომცემს. ამიტომ პრაქტიკის საზომი არის ჩემს ინტერესებთან დაკავშირებული პრაქტიკული შედეგის საზომი: ჭეშმარიტია ის, რაც პიროვ-ნების ინტერესს, განზრახვას შეესაბამება. პრაქტიკა არის ბიზნესმენის საქმოსნობა; ჭეშმარიტებას ქმნის პიროვნება თა-ვის ვიწრო-პრაქტიკული ინტერესების განხორციელე-ბისას. ეს პრაქტიკა კი არ ამოწმებს იდეების, აზრე-ბის ჭეშმარიტებას, არამედ პირველად ქმნის მას, თვითონ არის ჭეშმარიტება.

პრაგმატიზმს არ ესმის განსხვავება ჭეშმარიტებასა და პრაქტიკას შორის — თვით პრაქტიკის ცნება როგორ ესმის მას. ეს გარკვეულია: მისთვის ჭეშმარიტება აზრი კი არ არის, არამედ მოქმედებაა ნაყოფიერი რეზულტატის მომცემი.

პრაგმატისტებს არ ესმით შემდეგი გარემოება: იმისათვის, რომ მოქმედება ნაყოფიერ რეზულტატს გვაძლევდეს, საჭიროა ის ობიექტი, რომელზედაც მიმართულია მოქმედება, ადექვა-ტურად ასახული იყოს, მისი ობიექტური კანონზომიერება შეცნობილი იყოს და ამ ცოდნაზე დაყრდნობით შესაძლებე-ლია მასზე მოქმედება ამ მოქმედების ნაყოფიერი რეზულტა-ტის იმედით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ობიექტი და მისი კანონზომიერება ჩვენთვის უცნობია, მაშინ მოქმედების ნა-ყოფიერ რეზულტატებზე ლაპარაკი ზედმეტია. ადამიანთა-

ნაყოფიერი პრაქტიკული მოქმედება აუხსნელი რჩება სინამ-
დვილის შემეცნების, მისი კანონზომიერების ასახვის გარეშე.

შესაბამობა, რომლის შესახებ მსჯელობს ასახვის თეო-
რია, დიუის აზრით არის არა შესაბამობა აზრისა საგანთან,
არამედ „შესაბამობა მოქმედების გეგმასა და მის განხორცი-
ელებას შორის", მაგრამ, თუ ეს გეგმა არ ასახავს ობიექტურ
კანონზომიერებას, როგორ შეიძლება მისი განხორციელება.
გეგმის პრაქტიკაში განხორციელების დროს ჩვენ სინამდვი-
ლესთან გვაქვს საქმე, ჩვენ ამ სინამდვილეს გარდავქმნით;
მაგრამ სინამდვილის გარდაქმნა მხოლოდ ჩვენს სურვილებზე,
ნებაყოფლობაზე არ არის დამოკიდებული; სინამდვილე კა-
ნონზომიერებას ექვემდებარება; ადამიანებს შეუძლიათ სი-
ნამდვილის გარდაქმნა იმ კანონზომიერების თანახმად, რომ-
ლიც სინამდვილეს ახასიათებს და ჩვენი ნებისაგან დამოუკი-
დებელია; ადამიანებს შეუძლიათ ყოველნაირი გეგმა შექმნან,
მაგრამ ყველა ამ გეგმის განხორციელება კი არ არის შესაძ-
ლებელი. სოციალისტ-უტოპისტებს სოციალისტური საზოგა-
დოების აშენების გეგმა ჰქონდათ, მაგრამ ამ გეგმის განხორ-
ციელება მათ ვერ შესძლეს, რადგან მათ ამ გეგმას ობიექტუ-
რი საფუძველი არ ჰქონდა. ფაშისტებს გარკვეული გეგმა
ჰქონდათ, რომლის მიხედვით ისინი ფიქრობდნენ ისტორიის
პროცესი თავისებური გზით წარემართათ, მაგრამ ეს გეგმა
განუხორციელებელი დარჩა. ამერიკულ იმპერიალიზმსაც
აქვს შემუშავებული გეგმა მსოფლიოზე ბატონობის, სოცი-
ალიზმისა და დემოკრატიის ჩახშობის, მაგრამ ეს გეგმა მისი
სურვილისა და მისწრაფების გამოხატულებაა მხოლოდ და სა-
ზოგადოების განვითარების კანონზომიერებას არ ეთანხმება.

მოქმედების გეგმის შექმნა და ცდა მისი განხორციელე-
ბისა, გეგმის, რომელიც ობიექტური სინამდვილის კანონზო-
მიერებით არ არის განსაზღვრული, ობიექტური სინამდვილის
ვითარების ასახვას არ წარმოადგენს, ეს არა მხოლოდ სუბი-
ექტური იდეალიზმი და აგნოსტიციზმია, არამედ ავანტი-
ურიზმი და ვოლუნტარიზმია.

პრაგმატიზმი ვოლუნტარისტული და ავანტიურისტული თეორიაა.

3. სინამდვილის პრობლემა

თავის გამოკვლევებში, კრიტიკულ წერილებში პრაგმატიზმის წარმომადგენლები ხშირად აღიარებენ ობიექტური სამყაროს არსებობას ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად. ობიექტურ სამყაროს ისინი „რეალობის" ტერმინით აღნიშნავენ. სინამდვილე ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, რეალობა, რასაკვირველია, არსებობს. ჩვენ არ უარვყოფთ სინამდვილის არსებობას, ამტკიცებენ ისინი; ჩვენ არა ვართ სუბიექტური იდეალისტები, ჩვენ მხოლოდ თავისებურად გვესმის რეალობა, სინამდვილე, ჩვენ ზუსტად ვარკვევთ სინამდვილის ცნებას; მოწინააღმდეგეებმა ვერ გაიგეს კარგად ჩვენი განმარტება, და სუბიექტურ იდეალისტებად მოგვნათლესო, ჩივიან პრაგმატისტები. ჩვენ ვერ გაგვიგეს ისევე როგორც ვერ გაიგეს ბერკლის ფილოსოფია. როდესაც ბერკლიმ ახსნა რა არის მატერია, მკითხველებმა იფიქრეს, რომ ბერკლი უარყოფს მატერიას; ასევე ფიქრობენ ჩვენი კრიტიკოსები ჩვენს მიმართ, წერს ჯემსი.

ეს უსინდისო ცილისწამებაა, ამბობენ პრაგმატისტები.

გავარკვიოთ, არის მართლაც პრაგმატიზმის წინააღმდეგ წამოყენებული ეს ბრალდება ცილისწამება?

საინტერესოა აქ ბერკლის დამოწმება: თურმე როგორც ბერკლი არ უარყოფდა მატერიის არსებობას, ისე პრაგმატიზმიც არ უარყოფს მას, ერთიც და მეორეც მ ხ ო ლ ო დ თავისებურად განმარტავს მას.

ყველამ კარგად იცის და დღეს ეს დავის საგანს აღარ წარმოადგენს, რომ ბერკლი უარყოფს მატერიის არსებობას; როგორც ჩვენ უკვე ზემოთ გავარკვიეთ, მატერია როგორც ასეთი ბერკლისათვის ცარიელი სიტყვაა, ცარიელი სახელია, ის ნულია; რაც შეეხება კონკრეტულ მატერიალურ საგანს, იგი შეგრძნებათა კოლექციაა. საგანი და მისი აღქმა ერთი და იგივეა.

თუ პრაგმატისტები პრინციპულად ეთანხმებიან ბერკლის, მატერიის არსებობის ასეთ გაგებაში, ცხადია, რომ არც ისინი აღიარებენ მატერიალური სამყაროს არსებობას.

პრაგმატიზმის დამაარსებელნი აღიარებენ ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებულ რეალობას. ჯემსი ხშირად წერს ობიექტური რეალობის არსებობის შესახებ; შილერი ფიქრობს, რომ ჰუმანიზმი აღიარებს ობიექტურ რეალობას: დიუი წერს: „სამყაროს არსებობა კი არ არის საეჭვო, საეჭვოა გავრცელებული აზრები ამ სამყაროს საგნების შესახებ. კვლევის პროცესში ჩვენ არასოდეს არ გვეპარება ეჭვი სამყაროს არსებობაში". (Essays in Experimental logic. გვ. 302 და შემდეგი).

რას წარმოადგენს ეს ობიექტურად არსებული სამყარო? არის ის გარკვეულ საგანთა და მოვლენათაგან შემდგარი, რომელნიც ურთიერთკავშირში იმყოფებიან, ერთმანეთს აპირობებენ. ექვემდებარება ის რაიმე კანონზომიერებას, წარმოადგენს ის მთლიანობას და სხვა? პრაგმატისტები გარკვეულ პასუხს გვაძლევენ ამ კითხვაზე.

სამყარო, ობიექტური რეალობა, წმინდა პოტენციალობაა, ის უსახო, გაურკვეველი მატერიაა, ის არის ის, რისგანაც ნამდვილი რეალობა უნდა შეიქმნას. იგი ობიექტურად არსებული, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ქაოსია, მისგან უნდა შეიქმნეს „ნამდვილი რეალობა", ხოლო ნამდვილი რეალობა მისგან შეიქმნება მასზე ადამიანთა მიერ გარკვეული ოპერაციების წარმოების შედეგად[1].

დიუიც აღიარებს ობიექტურ რეალობას, მაგრამ მისი აზრით, ობიექტური რეალობა თავისთავად გაურკვეველია.

---

[1] შილერი, რომლის აზრები ზემოთაა მოყვანილი, განაგრძობს: რაც შეეხება პირველ რეალობას, რეალობას, რომელიც ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად არსებობს, ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც ფილოსოფიის ძალებს აღემატება. პირველი რეალობის, სამყაროს არსების, საწყისის საკითხზე ჩვენ ალბად პასუხს მივიღებთ სამყაროს ისტორიის დასასრულს. მაგრამ მაშინ ადამიანები იმდენად ბრძენნი იქნებიან და იმდენად დაკმაყოფილებულნი, რომ ამგვარ საკითხებს აღარ დასვამენ.

უფორმო. გაურკვეველი რეალობა გარკვეულ რეალობად იქ-ცევა შემეცნებითი ოპერაციების საშუალებით. როგორც ვხე-დავთ, კანტიანური, ნეოკანტიანური პრინციპი სამყაროს გარ-კვეული საგნების აგებისა და შემეცნებითი პროცესის საშუ-ალებით — შემეცნება რეალობის შემოქმედებაა — პრაგმა-ტიზმს არ დაუვიწყებია.

ზედმეტია მსჯელობა იმის შესახებ, რა არის და როგორია სამყარო თავისთავად, ჩვენგან დამოუკიდებლად; სამყარო არის ის, რასაც ჩვენ მისგან ვაკეთებთ (შილერი). იბადება საკითხი — რა მასალიდან ვაშენებთ ჩვენ სამყაროს, რა გვაქვს მოცემული და როგორ და რას ვაშენებთ ამ მოცემულიდან?

სამყარო პრაგმატიზმის მიხედვით, ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე, რ ო მ ე ლ ზ ე დ ა ც ჩ ვ ე ნ გ ვ ა ქ ვ ს უ ფ ლ ე ბ ა ვ ი ლ ა-პ ა რ ა კ ო თ, სამი ნაწილისაგან შედგება:

1. სამყაროს პირველ ნაწილს წარმოადგენს ჩვენი შეგრძნე-ბის ნაკადი; საიდან და როგორ ჩნდებიან ეს შეგრძნებები ჩვენ არ ვიცით; მსჯელობა იმის შესახებ, რომ შეგრძნებებს იწვევენ ობიექტური სინამდვილის საგნები მათი ჩვენ გრძნო-ბის ორგანოებზე ზემოქმედებით, მეტაფიზიკაა, რომელიც არაფრით არ არის გამართლებული. არც იმის თქმა შეიძლება, რომ შეგრძნებები რაიმეს ასახავენ: ისინი არც ჭეშმარიტნი არიან და არც მცდარნი; ისინი არიან და მეტი არაფერი. შე-გრძნებების ეს უკანასკნელი დახასიათება ისეთია, როგორც ჩვენ ვახასიათებთ ობიექტურად არსებულ საგნებს; მართლაც და საგნები არაფერს არ ასახავენ, ისინი არც ჭეშმარიტნი არიან და არც მცდარნი: ისინი არსებობენ. შეგრძნებების ასეთი და-ხასიათება მაჩვენებელია იმისა, რომ ის, რაც ობიექტურად არსებულ საგნებს ახასიათებს, პრაგმატიზმის მიერ შეგრძნე-ბებზეა გადატანილი, ე. ი. აღდგენილია ბერკლისა და მახის პრინციპი: ობიექტური საგანი გაიგივებულია შეგრძნებებთან.

2. სინამდვილის მეორე ნაწილს წარმოადგენენ მ ი მ ა რ-თ ე ბ ა ნ ი, რომლებიც არსებობენ შეგრძნებათა და მათ ას-ლებს შორის ჩვენს აზროვნებაში.

3. მესამე ნაწილი, რომლიდანაც შენდება ჩვენი სინამდვი-

ლე, არის წინანდელ ჭეშმარიტებათა ერთობლიობა. ეს მესამე ნაწილი ყველაზე სუსტია: იგი ხშირად იცვლება და ახალ ჭეშმარიტებას უთმობს ადგილს.

ეს არის ყველაფერი ის, რაც მოცემულია და რასაც ჩვენ სინამდვილეს ვუწოდებთ. მაგრამ, პრაგმატიზმი არ კმაყოფილდება ამგვარი სუბიექტური იდეალიზმით, ეს ჯერ კიდევ თურმე, არ ყოფილა ნამდვილი სინამდვილე: ეს მხოლოდ ცარიელი მასალაა, რის საფუძველზე ჩვენ უნდა ავაგოთ ჩვენი, ჩვენთვის გამოსადეგი სინამდვილე, სინამდვილე, რომელიც ჩვენ დაგვაკმაყოფილებს. ჩვენ უკვე ვიცით, პრაგმატიზმის ერთი ძირითადი აზრი: ფილოსოფოსი ეძებს სამყაროს, რომელიც მის ტემპერამენტს შეესაბამება, ამიტომ მას სჯერა სამყაროს ის სურათი, რომელიც მას უდგება — და ამასთანავე ეს ის სინამდვილეა, რომელსაც მეცნიერი აშენებს.

როგორ ვაშენებთ ჩვენ ამ მასალიდან სამყაროს?

მასალა მოცემულია: შეგრძნებები, მაგალითად, არსებობენ და ჩვენ მათ არ ვქმნით, ისინი ჩვენი კონტროლის გარეშე არსებობენ. მაგრამ ჩვენ თავისუფალნი ვართ იმაში, თუ რომელ მათგანს მივაქციოთ ყურადღება, რომელი შევარჩიოთ ჩვენი პირადი ინტერესების მიხედვით და მათზე ავაგოთ ჩვენი სურათი სინამდვილისა. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ყოველ ადამიანს შეუძლია ჰქონდეს თავისი ჭეშმარიტება, თავისი სურათი სინამდვილისა. გარკვეული ინტერესებიდან გამოსული, ჩვენ განსხვავებულად გვესმის ფაქტები, განსხვავებულ აზრს ვდებთ მათში. „ვატერლოო“ გამარჯვებას ნიშნავს ინგლისელისათვის, ხოლო დამარცხებას ფრანგისათვის.

მოცემული მასალა მუნჯია; ჩვენ ვლაპარაკობთ მის მაგიერ იმით, რომ ჩვენ ჩვენი ნებით ვახდენთ შერჩევას; ჩვენ შეგვაქვს მასალაში ამით გარკვეული წესრიგი: მოკლედ ჩვენ გვაძლევენ მარმარილოს ნაჭერს და ჩვენ გამოვთლით მისგან იმას, რაც ჩვენ გვინდა. ამრიგად სამყარო ჩვენი შემოქმედებაა, ჩვენი პირადი ინტერესების მიხედვით შექმნილია; კანტის იდეალიზმისაგან განსხვავებით, რომლის მიხედვით შეგრძნებათა ქაოსი ობიექტით (ნივთით თ. თ.) იყო განსაზღვრული,

პრაგმატიზმი იცავს იმ აზრს, რომ სინამდვილე შენდება სუბიექტური მასალიდან სუბიექტის სურვილის მიხედვით. კანტი იდეალისტი იყო, მაგრამ ადამიანის ცნობიერების მიერ აშენებული სამყარო კანონზომიერ მთლიანობად ჰქონდა წარმოდგენილი; მართალია, ეს სამყარო გონების კანონებით იყო აგებული, მაგრამ ის საყოველთაო, აუცილებელი ხასიათის მატარებელი იყო. პრაგმატიზმის მიხედვით აგებული სამყარო ჩემი სამყაროა, ჩემი ინტერესების მიხედვით აგებული სამყაროა.

ამიტომ „ადამიანის აზროვნებისაგან „დამოუკიდებელი" სამყარო ყოფილა ისეთი საგანი, „რომლის მოძებნა ძალიან ძნელია". ის თურმე რაღაც ბნელი, მოუაზრებელია. პრაგმატისტები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მათ თვალსაზრისსა და კანტის თეორიას შორის უფსკრულია. რასაკვირველია, განსხვავება არსებობს, ჩვენ ეს ზემოთ აღვნიშნეთ. მაგრამ საბოლოო დასკვნა იგივეა: ერთსაც და მეორესაც მიაჩნია მასალა მოცემულად. კანტის აზრით მოცემული შეგრძნებების წარმოშობა გასაგებია; პრაგმატიზმის მიხედვით მათი წარმოშობა გაურკვეველია; კანტი ფიქრობს, რომ მასალიდან ჩვენი გონება აშენებს სინამდვილეს გონების აპრიორული კანონებით, რომლებიც ყველა ადამიანისათვის აუცილებელია და ამიტომ ყველასათვის სინამდვილის ერთი „მეცნიერული" სურათი შენდება; პრაგმატიზმის მიხედვით მასალიდან სინამდვილე შენდება ჩვენი სურვილების, ნებისყოფის მიხედვით, ჩვენ შეგვაქვს მასალაში წესრიგი თავისუფლად, ჩვენი პირადი ინტერესების მიხედვით. კანტის თეორია სუბიექტურ-იდეალისტური და აგნოსტიკურია; პრაგმატიზმის თეორია სუბიექტურ-იდეალისტური, აგნოსტიკური, ვოლუნტარისტული და ავანტიურისტულია.

კანტი სუბიექტური იდეალისტი იყო; მაგრამ ის მაინც ცდილობდა სხვადასხვა მოსაზრებებით დაესაბუთებია აზრი, რომ გონების მიერ შექმნილი სურათი სინამდვილისა ობიექტური ხასიათისაა; ჯერ-ერთი, მასალა — გამოწვეული ობიექტური ნივთებით თ. თ. ზემოქმედებით, — შემდეგ, აუცილე-

ბელი და საყოველთაო აპრიორული ფორმები საერთოდ ადამიანის გონებისათვისაა დამახასიათებელი. მართალია, ყველაფერი ეს გონების მიერ შექმნილ სურათს ობიექტურობას ვერ მიანიჭებს, რადგან ობიექტურობა სინამდვილის სურათისა, რომელსაც შემეცნება ადგენს, დამოკიდებულია იმაზე, რომ ჩვენი აზრების შინაარსი განსაზღვრულია ობიექტით და არა სუბიექტური მომენტებით. პრაგმატიზმის ცინიზმი იქამდე მიდის, რომ ის ობიექტივობის ამგვარ „დასაბუთებასაც" უარყოფს. სინამდვილის სურათში ყველაფერი სუბიექტურია, როგორც პრაგმატისტები ამბობენ, ყველაფერით „გაადამიანებულია", „გაჰუმანიურებულია".

რას ვუწოდებთ ჩვენ საგანს, სვამს საკითხს პრაგმატიზმი და უპასუხებს: ეს ჩვენ თვითნებობაზეა დამოკიდებული, რადგან ჩვენ ჩვენი მოთხოვნილებების მიხედვით გამოვყოფთ შეგრძნებიდან იმას, რაც ჩვენ გვსურს. ჩვენ ხომ ჩვენი თვითნებობით ვაძლევთ სახელებს მნათობებს, ვარსკვლავთა ჯგუფებს; „დიდი დათვი", „ტაფა" (dipper, сковорода) „კარლოსის ეტლი"— ყველა ეს სახელი ჭეშმარიტია; ჩვენ არ ვეკითხებით მნათობთა ამ ჯგუფს მოსწონს მას ეს სახელები თუ არა. ასევე ჭეშმარიტების შესახებ: ჩვენ არ ვეკითხებით სინამდვილეს, მოსწონს მას ჩვენ მიერ შექმნილი ჭეშმარიტებანი თუ არა, მთავარია ისინი ჩვენ მოგვწონდეს; ჩვენ ვქმნით ჭეშმარიტებას და ჩვენ ვქმნით სინამდვილეს.

პრაგმატისტები არ აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას, რომ მათი ცინიკური სოფიზმები უვიცს, შეუგნებელ ადამიანს თუ მოატყუებს. მართალია, სიტყვა „ვატერლოო" ინგლისელმა შეიძლება განიცადოს როგორც გამარჯვება და ფრანგმა როგორც დამარცხება, მაგრამ ამ განცდას შემეცნების თვალსაზრისით არავითარი კავშირი არა აქვს იმ ფაქტთან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ისტორიაში. ამას წინათ ჟენევაში დადებული შეთანხმება ვიეტნამში ომის დამთავრების შესახებ არასასიამოვნოდ განიცდება ამერიკელი იმპერიალისტების მიერ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და მისი ადექვატური ასახვა ჭეშ-

შარიტებას წარმოადგენს, რა განცდებიც უნდა მოჰყვეს მას ამა თუ იმ ადამიანის ცნობიერებაში.

ვუწოდებთ ჩვენ მნათობთა გარკვეულ ჯგუფს „ტაფას“, „კარლოსის ეტლს“ თუ „დიდ დათვს“, ამით სინამდვილეში არაფერი გამოიცვლება; სახელი არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ჭეშმარიტების გაიგივება სახელთან თავისებური სახის ნომინალიზმია. საგანთა დასახელება საჭიროა, მაგრამ სინამდვილის საგანთა შემეცნება საგანთა სახელდებაში როდი გამოიხატება.

შენიშვნა: ჩვენ უყურადღებოთ დავტოვეთ ის ცინიკური გამოთქმები რომლითაც პრაგმატიტტები ახასიათებენ შემეცნების ძირითად კატეგორიებს. კაპიტალისტური საზოგადოების დამახასიათებელი ცნებები და ტერმინები უხვად აქვთ გამოყენებული ამ კატეგორიების დახასიათებისათვის. ჭეშმარიტება, მაგალითად, საკრედიტო ბილეთია, ჩვენი ინტერესების მიხედვით აგებული სამყარო „კაპიტალიზირებული ცდაა“, ჭეშმარიტება არის „მოგების“ მომტანი. ფაქტები წარმოადგენენ „სავაჭრო კაპიტალს“, ჭეშმარიტება „ეყრდნობა საკრედიტო სისტემას“.

ამრიგად: პრაგმატიზმის მიხედვით მთელი ჩვენი მეცნიერება, მთელი ჩვენი მოქმედება სუბიექტურობით არის განსაზღვრული. „მათემატიკაც და ლოგიკაც სუბიექტური კონსტრუქციებით არის გაჟღენთილი, ფიზიკა, ასტრონომია, ბიოლოგია დამუშავებულია ჩვენი გემოვნებისა და მიდრეკილების მიხედვით“. (ჯ ე მ ს ი).

შემეცნება ავანტიურისტული „თავგადასავალია“ („приключение“). ყველა თავისას ეძებს, თავისი თავის დასაკმაყოფილებლად.

უკანასკნელ დროს მეცნიერებამ აღმოაჩინა ახალი „მეცნიერული საგნები“: ატომები, ელექტრონები, ელექტრომაგნიტური ტალღები და სხვ. და სხვ... მაგრამ — პრაგმატიზმის მიხედვით — მეცნიერებამ და ფილოსოფიამ დაამტკიცა, რომ მათი ობიექტური არსებობის აღიარება არ შეიძლება. ისინი გვეხმარებიან ჩვენ გამოთვლებში; ისინი ხელსაყრელი ხერხებია შეგრძნებათა ნაკადში გასარკვევად; მათ გამოვიყენებთ ჩვენ ისე, თითქოს, ი ს ი ნ ი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ა რ ს ე ბ ო ბ დ ნ ე ნ; ისინი გვემსახურებიან ჩვენ, მაგრამ „მათ არ უნდა მივცეთ უფლება

გაგვასულელონ ჩვენ და ობიექტურ არსებად მივიჩნიოთ. მათ ვთვლით ჭეშმარიტად იმიტომ, რომ ზოგიერთი ამ ჰიპოთეზათაგანი მარტივია, მეორეთ — იმიტომ, რომ აზროვნების ეკონომიას ეხმარება და, საბოლოოდ, ყველა ისინი მისაღებია, რადგან პრაქტიკულად სასარგებლოა.

არც ერთი ამ ჰიპოტეზთაგანი არ არის ერთი მეორეზე უფრო ჭეშმარიტი — თუ ჭეშმარიტება გავიგეთ, როგორც სინამდვილის ასლი. ისინი განსხვავებულ ხერხებს წარმოადგენენ შეგრძნებათა ნაკადის აღწერისა და მოწესრიგებისათვის და მათი შედარება მიღება-არმიღებისათვის უნდა მოხდეს მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რა სარგებლობას მოგვიტანენ ისინი.

როგორც ვხედავთ ლენინის მიერ „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“ მხილებული და საბოლოოდ დანგრეული მახიზმის რეაქციული კონცეფცია დღეს კიდევ ცდილობს თავისი პოზიციები „ახალი“ გამოცემით აღადგინოს.

4. პრაგმატიზმი და რელიგია

პრაგმატისტები უარყოფენ ფილოსოფიის ძირითადი საკითხის — არსისა და აზრის დამოკიდებულების საკითხის — დასმის კანონიერებას. მათი აზრით ეს არის მეტაფიზიკა. მეტაფიზიკაა აგრეთვე იდეალიზმი და მატერიალიზმი. კამათი მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის უნაყოფო კამათია, ეს ცარიელ, უშინაარსო სიტყვებზეა კამათი. პრაგმატიზმი იდეალიზმისა და მატერიალიზმის წინააღმდეგობაზე მაღლა დგას; მისი მეთოდია პრაგმატისტული, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არიგებს საწინააღმდეგო მიმართულებებს; ის ყველას აძლევს თავისუფლებას ააგოს ისეთი მსოფლმხედველობა, რომელიც თვითეულის ტემპერამენტს შეესაბამება, თვითეულის ინტერესებს დააკმაყოფილებს. პრაგმატისტებს არ უნდათ იმის დანახვა, რომ ასეთი პროგრამა შინაგანი წინააღმდეგობის შემცველია: პრაგმატიზმი აძლევს უფლებას თვითეულს ააგოს ასეთი მსოფლმხედველობა — ე. ი. აიშენოს

მისთვის მისაღები სამყარო — ე. ი. აძლევს უფლებას თვითეულს გაიზიაროს, თუ უნდა მატერიალისტური, თუ უნდა იდეალისტური მსოფლმხედველობა, მაგრამ ამ მიმართულებებს თვლის მეტაფიზიკად და ამავე დროს უარყოფს ყოველგვარ მეტაფიზიკას.

პრაგმატიზმი უარყოფს ჭეშმარიტების ობიექტურ ხასიათს. თვითეული ადამიანისათვის მისთვის მისაღებ ჭეშმარიტებას აღიარებს (ჰუმანიზმი); — კერძოდ, მეცნიერებაში აღიარებს ჭეშმარიტების საფუძვლად მეცნიერთა შორის შეთანხმებას, კონვენციას; — უარყოფს ობიექტური სინამდვილის კანონზომიერებას; ობიექტურ სინამდვილეს ქაოსად თვლის (შ ი ლ ე რ ი), გაურკვეველ არსებობად თვლის (დ ი უ ი), ცარიელ სიტყვად, სახელად თვლის (ჯ ე მ ს ი); აღიარებს იმას, რომ მოცემული გვაქვს მხოლოდ შეგრძნებათა გაურკვეველი ნაკადი და მისგან ჩვენ ვაშენებთ სინამდვილეს ჩვენი ინტერესების მიხედვით, რადგან ჭეშმარიტების აგება იგივეა, რაც სინამდვილის აგება; ჩვენი თ ვ ი თ ნ ე ბ ო ბ ი თ, ნ ე ბ ი ს ყ ო ფ ი თ ვაგებთ სინამდვილეს და სხვა და სხვა, და ამის შემდეგ ცინიკურად აცხადებს, რომ ის რეალისტურ მიმართულებას წარმოადგენს და რომ ამ მიმართულების იდეალიზმად და აგნოსტიციზმად ჩათვლა ცილისწამებაა.

ეს იმდენად გულახდილი ცინიზმია, რომ რასელმაც კი, რომელიც რეაქციონერობით, იდეალიზმით და ავანტიურიზმით სულაც არ ჩამოუვარდება პრაგმატისტებს, პრაგმატიზმის თეორიას „კოსმიური უსინდისობა“ უწოდა.

პრაგმატისტები ტრაბახობენ იმით, რომ ისინი ფაქტებს მისდევენ, ემპირიულ ფაქტებს არ ღალატობენ, აღიარებენ მხოლოდ იმას, რისი გამართლება (verification) შეიძლება ემპირიით და ამიტომ მეტაფიზიკას უარყოფენ. მაგრამ ფაქტები მათთვის შეგრძნებებია, რომლებსაც ჩვენ ჩვენი თვითნებობით გავიგებთ ისე, როგორც ჩვენ გვსურს. და, გასაკვირველი არ არის, რომ ამ თვითნებობის საფუძველზე მეტაფიზიკასაც და ღმერთის არსებობასაც აღიარებენ.

„მე არ შემიძლია, — წერდა ჯემსი, — ღვთისმეტყველების

სფეროში ღრმად შეეიჭრე. მაგრამ თუ მე გაგახსენებთ, რომ დავწერე წიგნი ადამიანთა რელიგიურ გამოცდილებაზე, რომლის შესახებ კრიტიკამ აღნიშნა, რომ ეს წიგნი იცავს ღმერთის რეალობის იდეას, თქვენ ვერ უსაყვედურებთ პრაგმატიზმს, რომ ის ათეისტური სისტემაა".

რასაკვირველია, ძველი ღმერთი როგორც „მეფე ზეცაზე", რომელიც შეკოწიწებული იყო გაუგებარი ატრიბუტების გროვიდან, დღეს აღარ გამოგვადგება. პრაგმატიზმი, ამტკიცებენ პრაგმატისტები, მისი ემპირიული ფაქტებისადმი მიდრეკილებით, ვეღარ გაიზიარებს ამგვარი ღმერთის არსებობას. მაგრამ პრაგმატისტული ემპირიზმი განსხვავდება გავრცელებული სახის ემპირიზმისაგან, რომელიც მატერიალისტურ პოზიციებზე დგება (ჯ ე მ ს ი).

როგორია მატერიალიზმის პოზიცია სამყაროს მომავლის შესახებ? პრაგმატიზმი, ეყრდნობა რა ენტროპიის პრინციპს, აგვიწერს, თუ როგორია სამყაროს მომავალი მატერიალიზმის თვალსაზრისით: სამყაროს მთელი სასარგებლო ენერგია ამოიწურება; მზე ჩაქრება; დედამიწაზე აღარ იარსებებს ადამიანი; კაცობრიობა დაიღუპება და მისი გენიალური შემოქმედების ნიმუშიც დაინგრევა; მატერია აღარ შეიცნობს თავის თავს. კაცობრიობის მთელი მუშაობა უამრავ საუკუნეთა განმავლობაში დაიკარგება. აბსოლუტურად არაფერი აღარ დარჩება.

ეს აზრი აუტანელია, საშინელია. ფინალური კრახი, საბოლოო ტრაგედია — აი მეცნიერული მატერიალიზმის შედეგი. უიმედობა, პესიმიზმი — აი რას წარმოადგენს მატერიალიზმი.

მატერიალიზმს იმიტომ კი არ უარვყოფთ, წერენ პრაგმატისტები —(პრაგმატიზმი, რომელსაც სურს მატერიალიზმისა და იდეალიზმის ზემოთ დგომა და, საერთოდ, მათზე როგორც მეტაფიზიკურ თეორიებზე არ სურს მსჯელობა, თურმე უარყოფს მატერიალიზმს იდეალიზმის სასარგებლოთ!) — რომ ეს თეორია უხეშია, მხოლოდ „მატერიასა და მის მოძრაობას" აღიარებს; მატერიალიზმს ჩვენ

უარვყოფთ, განაგრძობენ პრაგმატისტები, იმიტომ, რომ ის უარყოფს ჩვენს იდეალურ ინტერესებს, ის უარყოფს მარადიულსა და იდეალურ წესრიგს სამყაროში. სამყარო, რომელშიც უკანასკნელი სიტყვა ღმერთს ეკუთვნის, შეიძლება დაიღუპოს, დაიწვას, გაიყინოს, მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ღმერთს აქვს მეხსიერებაში ძველი იდეალები და იგი მათ სხვა ადგილას განახორციელებს; ამ თვალსაზრისით სამყაროს ტრაგედია ნაწილობრივ ხასიათს ატარებს, ეს არ არის სამყაროს მთლიანი სიკვდილი. რჩება იმედი სამყაროს ზნეობრივ წესრიგში, რაც ჩვენს იდეალს წარმოადგენს.

მატერიალიზმი უარყოფს სამყაროს ზნეობრივი წესრიგის მარადიულობას; იდეალიზმი აღიარებს სამყაროს ზნეობრივ წესრიგს და იმედით ავსებს ადამიანთა სულს.

სამყაროს ზნეობრივი წესრიგის მარადიულობა ღმერთის არსებით არის განსაზღვრული და ეს თვალსაზრისი პრაგმატისტული თეორიის აუცილებელი მომენტია.

პრაგმატიზმში ორი სულია: ვიწრო პრაგმატიზმი, სასარგებლოსაკენ, მოგებისაკენ მისწრაფება, ერთის მხრით და სამყაროს ზნეობრივი წესრიგი მეორეს მხრით; მისი ლოგიკა — უფრო სწორედ ულოგიკობა — როგორც ჩანს ითმენს ამას. შემთხვევითი როდი იყო, როდესაც ამერიკული იმპერიალიზმი დაახასიათეს როგორც „დოლარი და ბიბლია“— ერთ ხელში დოლარი და მეორეში ბიბლია.

პრაგმატიზმი ამახინჯებს და ცილს სწამებს მატერიალიზმს და „ალამაზებს“ იდეალიზმს. თავი დავანებოთ ენტროპიის პრინციპის მცდარ გამოყენებას პრაგმატიზმის მიერ მატერიალიზმის უარყოფისათვის. პრაგმატისტები ფიქრობენ, რომ შეიძლება უარვყოთ მატერიალური სუბსტანცია, როგორც ამას ჩადიოდა ბერკლი, შეიძლება იყო ფენომენალისტი და მაინც მატერიალისტი დარჩე, თუკი სამყაროს ბედს მის ბრმა ნაწილებსა და ბრმა ძალებზე დამოკიდებულად გამოაცხადებ.

რასაკვირველია, ბუნების კანონები ობიექტურად არსებობენ, ისინი ჩვენი ცნობიერებისაგან და ნებისყოფისაგან

დამოუკიდებელნი არიან; მათ აუცილებლობა ახასიათებთ. ბუნების კანონებს, რასაკვირველია, არ ახასიათებს ცნობიერება და ისინი არავითარ მიზანს არ ასრულებენ; ამდენად ისინი ბრმა „ძალებს" წარმოადგენენ; მაგრამ ადამიანები შეიცნობენ რა ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონებს, გამოიყენებენ მათ, თავის სამსახურში დაიყენებენ, ამ კანონების ცოდნის საფუძველზე გარდაქმნიან ბუნებასაც და საზოგადოებას.

მხოლოდ მარქსისტული, დიალექტიკური მატერიალიზმი არის ოპტიმიზმით სავსე მოძღვრება. მხოლოდ ის აღიარებს, რომ შესაძლებელია მატერიალური, ობიექტური სამყაროს განვითარების კანონების პრინციპული შემეცნება და მის საფუძველზე ადამიანთა საკეთილდღეოთ და საბედნიეროთ ბუნებისა და საზოგადოების გარდაქმნა.

პრაგმატიზმის სუბიექტური იდეალიზმი და აგნოსტიციზმი უარყოფს ნამდვილი სინამდვილის შეცნობადობას, უარყოფს, რომ ობიექტური სინამდვილე კანონზომიერებას ექვემდებარება — ის ხომ ქაოსია, გაურკვევლობაა, მოუაზრებელი რამ არის, ჩვენ ხომ თვითნებურად ვაგებთ სინამდვილეს და ვკმაყოფილდებით მით; ლაპარაკი ბუნების გარდაქმნაზე ამ თვალსაზრისით ცარიელი სიტყვებია. ადამიანი ბუნებისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის მონად რჩება და თუ ის ბატონობს, ბატონობს მხოლოდ მის მიერ შეთხზულ სურათის ფარგლებში. მაგრამ არც ეს სურათია მისი ინტერესების დაშაკმაყოფილებელი: „შეგრძნებათა და აღქმათა" ახალი „ნაკადი" მუშათა გაფიცვების, კრიზისების, მშვიდობის მომხრეთა ზრდის, მატერიალიზმის გავრცელების, დემოკრატიისა და სოციალიზმის სახით — ყველაფერი ეს ანგრევს ძველ სურათს, რომელიც იმპერიალისტმა შექმნა თავისი პრაქტიკული ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება იმას, რომ ადამიანთა სიკვდილის შემდეგ ღმერთს დარჩება მოგონება კაცობრიობის მიერ შექმნილი იდეალების შესახებ და ის ეცდება სხვაგან სადმე ააგოს ახალი სამყარო, ამაზე შემდეგი შეიძლება ითქვას:

1. ჯერ-ერთი, არაფერი სასიხარულო არ არის იმაში, თუ ღმერთი შექმნის ახალ სამყაროს პრაგმატისტების იდეალების მიხედვით: ეს იქნებოდა ისევ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტური, აგრესიული სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგ იბრძვის მთელი მშრომელი ხალხი, პატიოსანი ნაწილი მთელი კაცობრიობისა.

2. და მეორეც: ამ არგუმენტის — მომავალი სამყაროს შესახებ, რომელიც სახარებიდან ნასესხებია და ცოტაოდენ შეკეთებულია — ფასი დღეს იმდენად დაცემულია, რომ მას სერიოზულ ყურადღებას აღარავინ აქცევს.

5. პრაგმატიზმი იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიაა

ბურჟუაზია იცავს არსებულს, ლპობის პროცესში მყოფ კაპიტალისტურ სისტემას. საზოგადოების განვითარების კანონზომიერების წინააღმდეგ, რომელიც ძირს უთხრის კაპიტალიზმს, იგი ცდილობს შეაჩეროს ეს განვითარება, მეტიც, უკან დააბრუნოს ისტორია. ამიტომ იმპერიალიზმის იდეოლოგიის მსახურები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ მარქსიზმის მიერ აღმოჩენილი საზოგადოების განვითარების კანონზომიერება მცდარია: ჯერ-ერთი, რა ხდება ობიექტურ სინამდვილეში ჩვენ არ ვიცით; მეორე: ობიექტური სინამდვილე კანონზომიერების გარეშეა — ის ქაოსია; მესამე: კანონები ჩვენ მიერ თვითნებურად შეთხზულია და ამით ჩვენ ვქმნით ისეთ სინამდვილეს, როგორიც ჩვენ გვინდა.

რა ვუყოთ, რომ ასე შექმნილი სამყარო ილუზიას წარმოადგენს; სინამდვილე თვითონ ილუზიაა; სინამდვილესა და ილუზიას შორის არავითარი განსხვავება არ არის: მეფე, რომელიც ყოველ ღამე სიზმარში ხედავს, რომ ის მათხოვარია და მათხოვარი, რომელსაც ყოველ ღამე ესიზმრება, რომ ის მეფეა, არაფრით ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან.

პრაგმატიზმისათვის ჭეშმარიტება მოგების მომტანია, თუ პირველი პრაგმატისტები „სარგებლობის“, „მოგების“ ცნებას აფართოებდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ამ ცნებებში მხოლოდ „მატერიალური მოგება“ არ იგულისხმება, არამედ ყველაფერი, რაც კი პიროვნებას დააკმაყოფილებს — ნამდვილად კი, რასაკვირველია, პირველს გულისხმობდნენ — დღევანდელი პრაგმატისტები აღარ მალავენ, რომ სასარგებლოს ცნებაში კაპიტალისტურ მოგებას გულისხმობენ. შემცდარია აზრი, წერს ერთ-ერთი დღევანდელი პრაგმატისტი (პ ე რ ი) თითქოს წარმატების ამერიკული იდეა მხოლოდ მატერიალური წარმატებით შემოიფარგლება. წარმატების ამერიკული იდეა არ გამორიცხავს ხელოვნებას, მეცნიერებას, რელიგიას, მას შეაქვს ხელოვნებაში, მეცნიერებაში, რელიგიაში ისეთი სული, რომელშიც ყველაზე კარგად მეღავნდება სიმდიდრისაკენ მისწრაფება.

პრაგმატიზმი მისი ჭეშმარიტების თეორიით იბრძვის მეცნიერების წინააღმდეგ, იბრძვის მეცნიერებათა მიერ აღმოჩენილი კანონების წინააღმდეგ, იბრძვის ფილოსოფიის მიერ დადგენილ და დასაბუთებულ დებულების წინააღმდეგ კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ. კანონებს ქმნის ადამიანი თვითნებურად, თავის ნებისყოფის მიხედვით; ეოლუნტარიზმი პრაგმატიზმის დამახასიათებელი ნიშანია.

პრაგმატიზმი არ აქცევს ყურადღებას სინამდვილის განვითარების კანონზომიერებას, უფრო სწორედ, უარყოფს მას; ამ კანონზომიერების საწინააღმდეგოთ ის აღიარებს, რომ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას თვითონ შეუძლია შექმნას კანონები და ისეთი სამყარო, რომელიც მის სურვილებს, ინტერესებს შეესაბამება: ავანტიურიზმი პრაგმატიზმის დამახასიათებელი ნიშანია.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ლენინი ახასიათებდა რა პრაგმატიზმს, აღნიშნავდა, რომ პრაგმატიზმს თავისი დებულებებიდან „ღმერთი გამოჰყავს პრაქტიკული მიზნებისათვის, მხოლოდ პრაქტიკისათვის ყოველივე მეტაფიზიკის გარეშე...“ დღევანდელი პრაგმატისტები აღარ განასხვავებენ მეცნიერე-

ბას რელიგიისაგან მათი შინაარსის მიხედვით და აღიარებენ, რომ მეცნიერების გავრცელება უნდა მოხდეს რელიგიის გავრცელებასთან ერთად, რათა ვაიძულოთ მოსახლეობა ისე მოიქცეს, როგორც ეს ჩვენთვის სასურველია (მ ო რ ი ს ი).

პრაგმატიზმი მიუხედავად მისი უაღრესი პრაქტიციზმისა, — ან უფრო სწორედ, პრაქტიციზმის ამერიკულ ყაიდაზე გაგების გამო— უაღრესად ფიდეისტური თეორიაა: დოლარი და ბიბლია—აი ის ორი პრინციპი, რომელიც მას ასულდგმულებს.

პრაგმატიზმის ოპტიმიზმი ილუზორულია. იგი მშრომელი მასების მოსატყუებლად არის შექმნილი. ეს არის ერთ-ერთი ფორმა იმპერიალიზმის გაჭირვებული მდგომარეობის ნათელსა და ლამაზ ფერებში წარმოდგენისა, არსებულის გამართლებისა.

ამიტომ გახდა პრაგმატისტული ფილოსოფია ტიპიური, ყველაზე გავრცელებული ფილოსოფია ამერიკის შეერთებულ შტატებში. პრაგმატიზმი ყველაზე აგრესიული მიმართულებაა თანამედროვე იმპერიალისტურ ქვეყნებში. ის დღეს ყველაზე დიდ საფრთხეს წარმოადგენს; არა იმით, რომ მისი თეორია გარეგნულად მეცნიერულ ფორმას ატარებს, ლოგიკურად გამართულია — პირიქით, ამ მხარეს ის ყველაზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ის წარმოადგენს საფრთხეს მეორე მხრით: პოპულარული ენა, რომლითაც დაწერილია პრაგმატისტების შრომების უმრავლესობა, დემაგოგიური ხასიათი მათი დებულებებისა და დასაბუთებისა, გარეგანი, მოჩვენებითი ოპტიმისტური ხასიათი მათი თეორიისა, მოწოდება მოგებისაკენ, სარგებლობისაკენ, ე. ი. იმ ინსტინქტზე ზემოქმედება, რომლებიც ჯერ კიდევ მაგრად არის გამჯდარი საშუალო ამერიკელში და სხვ.

მის წინააღმდეგ ბრძოლა მხოლოდ ლოგიკური არგუმენტებით არ არის საკმარისი; საჭიროა დაპირისპირება ნამდვილი მეცნიერების, მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების, იმის ჩვენება, რომ სინამდვილის, კერძოდ საზოგადოების გარდაქმნა შესაძლებელია მხოლოდ ამ უკანასკნელის პრინციპებზე

დაყრდნობით, ჩვენება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკისა, რომელიც ნამდვილი ოპტიმიზმის საფუძველია.

5. პრაგმატიზმის მოძღვრება ლოგიკაზე

პრაგმატიზმის რეაქციული თეორიის დახასიათება არ იქნება მთლიანი, თუ ჩვენ არ განვიხილავთ მოკლედ მაინც პრაგმატისტების შეხედულებებს აზროვნების ლოგიკურ ფორმებზე და კანონებზე.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პრაგმატიზმის ერთ-ერთმა დამაარსებელმა უ. ჯემსმა უარი თქვა ლოგიკაზე „ერთხელ და სამუდამოდ", რომ პრაგმატიზმი საერთოდ აზროვნებას განიხილავს მხოლოდ როგორც ბიოლოგიურ პროცესს, როგორც რეაქციას სტიმულზე; პრაგმატიზმის მიხედვით აზროვნება დაკავშირებულია არა მხოლოდ ტვინთან, არამედ ის მთელი სხეულის ფუნქციაა, დამოკიდებულია ხელებზე და ფეხებზეც (!).

მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ მეცნიერებათა მონაპოვარზე დაყრდნობით დაასაბუთა ის დებულება, რომ აზროვნება ტვინის ფუნქციაა. აზროვნება წარმოიშვა და განვითარდა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში; შრომისა და მეტყველების საფუძველზე შეიქმნა აზროვნების აბსტრაგირების უნარი. ლოგიკური აზროვნების უნარი ახასიათებს მხოლოდ ადამიანს; ლოგიკური ფორმები და კატეგორიები ობიექტური სინამდვილით არიან განსაზღვრულნი და მის ასახვას წარმოადგენენ. ამ ფორმებით და კატეგორიებით ადამიანი უფრო ღრმად წვდება საგანთა არსებას, ვიდრე შეგრძნებებით და წარმოდგენებით. და თუ ადამიანთა ბუნებასთან „შეგუებაზე" ვილაპარაკებთ, აქ უნდა აღინიშნოს, ჯერ-ერთი, ის, რომ ეს „შეგუება" ხდება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ აზროვნება ასახავს, შეიცნობს ობიექტურ სამყაროს და ამ ცოდნით ხელმძღვანელობს თავის პრაქტიკულ მოქმედებაში, „შეგუებისას", და მეორეც, რომ ადამიანი მხოლოდ პასიურად კი არ ეგუება ბუნებას, არამედ გარდაქმნის მას, მას თავის მოთხოვნილებებს შეაგუებს.

ლოგიკური ფორმების — ცნების, მსჯელობის, დასკვნის — გარეშე, აზროვნების ლოგიკური კანონების გარეშე მეცნიერული შემეცნება ვერ განხორციელდება. რასაკვირველია, მხოლოდ ლოგიკური აზროვნება ვერ უზრუნველყოფს სინამდვილის შემეცნებას, ის არ გამოდგება შემეცნების, კერძოდ მეცნიერებათა მეთოდოლოგიად, მისი ამოცანა გაცილებით ვიწროა, შემოფარგლულია, მაგრამ ის აუცილებელი მომენტია, პირობაა სინამდვილის ნამდვილი შემეცნებისა.

პრაგმატიზმი არსებითად უარყოფს ლოგიკას და მის მიერ აღმოჩენილ ლოგიკური აზროვნების კანონზომიერებას, ლოგიკური ფორმების საერთო საკაცობრიო ხასიათს. შილერის „Formal Logic" სწორედ ამ სტილით არის დაწერილი: უპრინციპობა, ვოლუნტარიზმი და ავანტიურიზმი — ასეთია ამ ლოგიკის დამახასიათებელი ნიშნები.

ჩვენ უკვე ვიცით, რომ პრაგმატიზმი უარყოფს კანონების ობიექტურ ხასიათს; კანონს ჩვენ ვქმნით, თვითნებურად, ჩვენი ინტერესების მიხედვით. ასევე ლოგიკური აზროვნების კანონების შესახებ: აზროვნების კანონები ლოგიკოსების მიერ არის შეთხზული, ამტკიცებს შილერი. ეს კანონები არავისთვის არ არის სავალდებულო, მათი დარღვევა ყოველთვის შეგვიძლია. ლოგიკურ კანონებს ობიექტური ხასიათი რომ ჰქონდეთ, მაშინ ყოველი აზროვნება უნდა ემორჩილებოდეს მათ, და გაუგებარი იქნებოდა მათი დარღვევის ფაქტი, განაგრძობს შილერი.

ეს არგუმენტი, ლოგიკური კანონების ობიექტური ხასიათის წინააღმდეგ წამოყენებული, არ არის ახალი, და იგი ნამდვილად სოფიზმს წარმოადგენს. აზროვნების კანონების დარღვევა შეუძლებელია; აზროვნების პროცესში ადამიანი არღვევს არა კანონს, არამედ იმ მ ო თ ხ ო ვ ნ ე ბ ს, რომლებიც ამ კანონებიდან გამომდინარეობს. წინააღმდეგობის კანონი, მაგალითად, დაადგენს, რომ ორი საწინააღმდეგო მსჯელობა ა რ შ ე ი ძ ლ ე ბ ა იყოს ერთდროულად ჭეშმარიტი. და ამიტომ ლოგიკური აზროვნების პროცესში ჩვენ არ უნდა ვაღიაროთ ასეთი ორი მსჯელობა ჭეშმარიტად. მაგრამ

თუ შეცდომით ვაღიარეთ ორივე მსჯელობა ჭეშმარიტად, ამით კანონი კი არ დაირღვევა, რადგან ჩვენი აღიარებით ორივე მსჯელობა ჭეშმარიტი კი არ გახდება, არამედ კანონი დაირღვევოდა მაშინ, ორივე მსჯელობა ჭეშმარიტი რომ ყოფილიყო.

იგივეობის კანონი ფიქციაა, ამბობს შილერი: იგივეობა არსად არ არსებობს; ყოველ ადამიანს თავისებურად ესმის სიტყვის, წინადადების მნიშვნელობა, მისი ინტერესების მიხედვით; სიტყვის, წინადადების მნიშვნელობა დამოკიდებულია იმაზე ვინ ამბობს, რათ ამბობს, სად და როდის ამბობს, ვის ეუბნება და სხვ. და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში სიტყვაში, წინადადებაში განსხვავებული რამ იგულისხმება. და ბოლოს გამოყენებულია სოფისტებისა და პროტაგორას საბუთი: თვითონ სიტყვისა და წინადადების მთქმელი ყოველ წამს იცვლება. როგორ შეიძლება ამ პირობებში სიტყვის იგივეობრივ მნიშვნელობაზე მსჯელობა.

პრაგმატისტებს არ უნდათ იმის დანახვა, რომ ამ საბუთებით ისინი ენის ძირითად ფუნქციას უარყოფენ. ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთ გაგებას (ი. ს ტ ა ლ ი ნ ი). თუ ყველა თვითნებურად ჩასდებს სიტყვაში თავის აზრს, ყოველ წამს შეცვლის სიტყვის მნიშვნელობას, ენა აღარ იქნება ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, ადამიანები ვერ გაუზიარებენ ერთმანეთს თავის აზრებს, ერთმანეთს ვერ გაიგებენ.

რადგან ჭეშმარიტია ის, რაც სასარგებლოა, ამიტომ მოხსნილია გამორიცხული მესამის კანონიც, რომლის მიხედვით კონტრადიქტორული მსჯელობებიდან ერთ-ერთი აუცილებლად ჭეშმარიტი უნდა იყოს: შესაძლებელია არც ერთი არ იყოს ჭეშმარიტი, არამედ სწორედ მესამე, რომელიც ჩემთვის ამ მომენტში სასარგებლოა.

ცნება როგორც აზროვნების ფორმა, რომელიც საგანთა არსებითსა და ზოგად ნიშნებს ასახავს და რომელიც შემეც-

ნების ხანგრძლივი პროცესის შედეგია, თურმე ყოველი ადამიანისათვის თავისებური მნიშვნელობის მქონეა. ჯერ-ერთი, ნიშნის არსებითობა დამოკიდებულია ცალკეული ადამიანის ინტერესზე და ნებისყოფაზე, სურვილებზე; თვითეული ადამიანი, წერს შილერი, თავისი ინტერესების მიხედვით განსაზღვრავს არსებას. ღვთისმეტყველისათვის ადამიანის არსება უკვდავი სულია; ექიმისათვის — ადამიანის სხეული, მზარეულისათვის კუჭი, იქნებ ყველაზე არსებითი იყოს ფულის მოგება?

ეყრდნობა რა ნომინალისტურ თეორიას, რომლის მიხედვით ზოგადი არ არსებობს, პრაგმატიზმი უარყოფს შემეცნებისათვის ყველაზე ღირებული ტიპის მსჯელობას — ზოგად მსჯელობას. ზოგადი მსჯელობა ერთეულ მსჯელობათა ჯამია და მისი ჭეშმარიტება ერთეულ მსჯელობათა ჭეშმარიტებით არის განსაზღვრული. ზოგად მსჯელობათა ჭეშმარიტებაზე მსჯელობა უაზროა, რადგან ამ მსჯელობაში იგულისხმება საგანთა უსასრულო რიცხვი, რისი შემეცნებაც შეუძლებელია.

სილოგისტური დასკვნა მოითხოვს ტერმინების იგივეობას; საშუალო ტერმინი ყოველთვის მრავალაზროვანია, რადგან თვითეულს შეუძლია ამ ტერმინში თავისი ინტერესებიდან გამოსული თავისებური აზრი ჩასდოს.

დანასკვი სილოგიზმში ადამიანის სურვილზე, მის ნებისყოფაზეა დამოკიდებული; ამიტომ ადამიანს აქვს უფლება წანამძღვრებიდან ნებისმიერი დანასკვი გამოიყვანოს.

არც ინდუქცია არის მეცნიერული მეთოდი, რადგან ინდუქცია ფაქტების შერჩევას ეყრდნობა, ხოლო ფაქტების შერჩევა ყოველთვის სუბიექტურია, ჩვენს ნებისყოფაზე, სურვილზეა დამოკიდებული. ამიტომ დასკვნაც ინდუქციის გზით მიღებული, სუბიექტურია, ჩვენს ნებისყოფაზეა დამოკიდებული.

როგორც ვხედავთ, პრაგმატიზმი მთლიანად უარყოფს ლოგიკას, ლოგიკურ ფორმებს, აზროვნების ლოგიკურ კანონებს. ლოგიკა „სიტყვების თამაშს“ წარმოადგენს. ყველას თავისი ლოგიკა აქვს. მისი ინტერესებით, ნებისყოფით განსაზღვრული.

V. ლოგიკური ემპირიზმი (ნეოპოზიტივიზმი)

1. ლოგიკური ემპირიზმის ისტორია

ლოგიკურ ემპირიზმს უკვე 30 წლის ისტორია აქვს. დაწყებული ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან ნეოპოზიტივიზმის, ნეომახიზმის და სხვათა სახელით ეს მიმართულება გავრცელდა ავსტრიაში, გერმანიაში, პოლონეთში, ინგლისში და საბოლოოდ გადასახლდა, როგორც ყველა რეაქციული მიმართულება ფილოსოფიაში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც ის დღეს პრაგმატიზმთან ერთად გაბატონებულ მიმართულებას წარმოადგენს.

პოზიტივიზმი ფილოსოფიაში არ არის ახალი მიმართულება; ის რამდენჯერმე აღორძინებულა ფილოსოფიის ისტორიაში და შემთხვევითი როდია, რომ ლოგიკურ ემპირიზმს ანუ ნეოპოზიტივიზმს „მესამე პოზიტივიზმს“ უწოდებენ.

ტერმინი პოზიტივიზმი (ლათინური — positivus — დადებითი) ფრანგმა ფილოსოფოსმა ო. კონტმა შემოიღო თავისი ფილოსოფიის აღსანიშნავად. პოზიტივიზმის მიხედვით შემეცნება უნდა ეყრდნობოდეს დადებით ფაქტებს, იმას, რაც მოცემულია ცდაში და თავი უნდა დაანებოს მეტაფიზიკურ სპეკულაციებს. ფილოსოფიის ძირითადი მიმართულება-

ნი — მატერიალიზმი და იდეალიზმი — არამეცნიერული მიმართულებებია; ფილოსოფია მეცნიერებასა და მეცნიერების შიერ დადგენილი ფაქტებით უნდა დაკმაყოფილდეს. მეცნიერება კი უშუალოდ მოცემულ ცდას უნდა ეყრდნობოდეს. პოზიტივისტური ფილოსოფიის ანალიზი ადვილად დაგვარწმუნებს იმაში, რომ მისი ძირები, მისი ძირითადი დებულებები ჯერ კიდევ იუმის ფილოსოფიაშია მოცემული ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით, კანტის ე. წ. კრიტიკულ ფილოსოფიაში.

XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში პოზიტივიზმი აღორძინებას განიცდის; ახალ პირობებში, ახალ ეკონომიურსა და სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, რომელსაც შემდეგ დაემატა ახალი ვითარება მეცნიერებაში,— განსაკუთრებით ფიზიკაში, — პოზიტივისტური მიმართულება ხელახლად გამოვიდა ფილოსოფიის ასპარეზზე მახიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის სახელით („მეორე პოზიტივიზმი"). როგორც ცნობილია, მახიზმი და ემპირიოკრიტიციზმი აღადგენს ბერკლის, იუმისა და კანტის ფილოსოფიის პრინციპებს. პოზიტივიზმის შიგნით, წერდა ლენინი, აღმოჩნდებიან ოგ. კონტი, სპენსერი, მიხაილოვსკი, ნეოკანტიანელების მთელი რიგი, მახი და ავენარიუსი.

მიმართულებათა განსხვავებული სახელწოდებანი ვერ დაფარავენ იმ გარემოებას, რომ ისინი თავის მოძღვრების ძირითად პრინციპებში თანახმანი არიან. ამას ხშირად ამ მიმართულებების წარმომადგენელნიც აღიარებენ. ვ. ლენინი „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" დაწვრილებით არკვევს ამ საკითხს. ვ. ლენინს მოჰყავს მახის ნაწერებიდან შემდეგი ადგილი: „დღეს მე ვხედავ, რომ მთელი რიგი ფილოსოფოსები, პოზიტივისტები, ემპირიოკრიტიკოსები, იმანენტური ფილოსოფიის მომხრეები და აგრეთვე ორიოდე ბუნებისმეტყველი ახალ გზას იკვალავენ, ისე რომ ერთმანეთის არაფერი იციან, მაგრამ მაინც, ინდივიდუალური სხვადასხვაობის მიუხედავად, ერთ პუნქტში თანხმდებიან"[1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ტ. 14. გვ. 260.

ვ. ლენინი ამ მიმართულებათა საერთო წყაროსაც აღნიშნავს და იმ განსხვავებასაც აგვიხსნის, რომელიც მათ შორის არსებობს: „უნდა აღინიშნოს, წერდა ლენინი, რომ კანტისა და ჰიუმის ან ჰიუმის და ბერკლის არსებითად ეკლექტიკური შეერთება, ასე ვთქვათ, სხვადასხვა პროპორციითაა შესაძლებელი, ისე რომ ხაზი განსაკუთრებით უნდა გაესვას ნარევის ხან ერთს და ხან მეორე ელემენტს“[1].

„მესამე პოზიტივიზმის“ აღორძინება იწყება ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში. მისი წარმოშობა დაკავშირებულია მახისტ პროფესორის მ. შლიკის სემინარებთან ვენაში, 1922-3 წ. აქ ჩამოყალიბდა წრე — „ვენის წრე“ („Wiener Kreis“), რომელმაც თავის მიმართულებას ნეოპოზიტივიზმი (ლოგიკური პოზიტივიზმი) უწოდა.

1929 წ. „ვენის წრემ“ გამოაქვეყნა საპროგრამო დოკუმენტი „სამყაროს მეცნიერული გაგება“, რომელშიც ჩამოაყალიბა ამ მიმართულების ძირითადი პრინციპები. ფილოსოფიური ჟურნალი, რომელიც ავენარიუსის მოწაფის, პეცოლდის რედაქტორობით გამოდიოდა „Annalen der Philosopnie“, ამ წრის ჟურნალად გადაიქცა და 1930 წლიდან გამოდიოდა „Erkenntnis“-ის სახელით. უკვე ეს გარემოება მაჩვენებელია იმ მახისტური ხაზის, რომელსაც „ვენის წრე“ ატარებს. ამ ჟურნალის რედაქტორები იყვნენ ვენის წრის ყველაზე აქტიური მონაწილე რ. კარნაპი და ბერლინელი პროფესორი რაიხენბახი, რომელიც ნეომახიზმის მეთაური იყო გერმანიაში. ნეოპოზიტივისტებისა და ნეომახისტების ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლების შემდეგ ამერიკელ მახისტებთან და პრაგმატისტებთან ერთად ისინი სცემენ რამდენიმე ჟურნალს: 1) „journal of unified science“ („უნიფიცირებული მეცნიერების ჟურნალი“), რომელიც „Erkenntnis“-ის გაგრძელებას წარმოადგენს, 2) „Encyclopedia of unified sciense“ (უნიფიცირებული მეცნიერების ენციკლოპედია), რომელიც მონოგრაფიების კრებულებს წარმოადგენს მეცნიერების ფილოსოფიის ყველა საკითხზე.

---

[1] ვ. ი. ლენინი, ტ. 14, გვ. 261.

ინგლისში მონათესავე მიმართულება სცემს ჟურნალს „Analysis“ (1933 წლიდან).

ახალი პოზიტივიზმის წარმომადგენლები არიან: მ. შლიკი, კარნაპი, ნოირატი (ნეოპოზიტივიზმი), რაიხენბახი, დუბისლავი (ნეომახიზმი), ბ. რასელი, ვიტგენშტაინი („ლოგიკური ატომიზმი“), ა. ს. სტებინგი („Analysis“-დან); შემდეგ თაობას ეკუთვნიან აიერი, რუჟიე და სხვ.

მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და არსებული იმპერიალიზმის ბატონობის გამართლების მიზნით, ეს პატარა სკოლები და ჯგუფები კარგა ხანია ცდილობენ ერთ მთლიან სკოლად გაერთიანებას.

რეგულარულად აწყობენ საერთაშორისო ფილოსოფიურ კონგრესებს, რომელთაც მიზნად აქვთ მეცნიერებათა „უნიფიცირება“. ერთ-ერთ ამ კონგრესთაგანზე ეს „განსხვავებული“ სკოლები და ჯგუფები შეერთდნენ და ამ გაერთიანებულ სკოლას „ლოგიკური ემპირიზმის“ მიმართულება უწოდეს. პრაგმატისტების ახალი თაობა (ნაგელი, მორისი და სხვ.) რომელიც უკანასკნელ დრომდე ცალკე სკოლის სახელით გამოდიოდა, მიეკედლა „ლოგიკურ ემპირიზმს“; კიდევ ერთხელ გამართლდა ლენინის მიერ მოცემული დახასიათება: განსხვავება მახიზმსა და პრაგმატიზმს შორის უმნიშვნელო და მეათეხარისხოვანია.

ფიზიკოსებისა და მათემატიკოსების გარკვეული ნაწილიც ამ მიმართულების თვალსაზრისზე დადგა. ნეოპოზიტივისტებისა და ნეომახისტების უმრავლესობა ევროპიდან ამერიკაში გადასახლდა. თავის გამოსვლაში გ. ალექსანდროვის წიგნის „დასავლეთ ევროპის ფილოსოფიის ისტორიის“ შესახებ გამართულ დისკუსიაზე ა. ა. ჟდანოვი ამბობდა: „ამჟამად მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ცენტრმა ამერიკასა და ინგლისში გადაინაცვლა. ბნელეთის მოციქულობისა და რეაქციის მთელი ძალები ამჟამად ჩაყენებულია მარქსიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში. კვლავ მზის სინათლეზე გამოტანილი და ბურჟუაზიული ფილოსოფიის შესაიარაღებლად მიღებულია ატომ-დოლარული დემოკრატიის მსახური, ბნელე-

თის მოციქულობისა და ხუცობის გაცვეთილი საჭურველი: ვატიკანი და რასისტული თეორია; დამთხვეული ნაციონალიზმი და დახავსებული იდეალისტური ფილოსოფია; სინდისგარეცხილი ყვითელი პრესა და გახრწნილი ბურჟუაზიული ხელოვნება"[1].

2. ლოგიკური ემპირიზმის იდეოლოგიური წყაროები

როდესაც ლოგიკური ემპირიზმის (ნეოპოზიტივიზმის) იდეოლოგიურ წყაროებზე ვმსჯელობთ, პირველ რიგში მახიზმი და ემპირიოკრიტიციზმი უნდა დავასახელოთ. ვენის წრის დოკუმენტი „სამყაროს მეცნიერული გაგება" ამას არ მალავს: „ვენის წრე" აღიარებს თავის ნათესაობას მახიზმთან და მას თავის წინამორბედათ თვლის.

მაგრამ მახთან ერთად ვენის წრე აღიარებს თავის ნათესაობას პუანკარესთან და მის კონვენციონალისტურ თეორიასთან. შემდეგ: მართალია, პრაგმატიზმს არ ჰქონია დიდი გავლენა გერმანულ ქვეყნებში — იქ თავის საკუთარი სუბიექტური იდეალიზმიც საკმარისი იყო,— მაგრამ ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი, სახელდობრ, ჭეშმარიტების გამართლების პრინციპი (verification) ლოგიკურმა ემპირიზმმა პრაგმატიზმისაგან ისესხა.

გარდა ამისა არის კიდევ ორი წყარო, რომელმაც განსაზღ-

---

[1] საერთოდ ნეოპოზიტივიზმისა და შემდეგ ლოგიკური ემპირიზმის თეორიის გაგება ძალიან ძნელია. მახიზმის გაკოტრების შემდეგ მისი აღდგენა ძნელი საქმე იყო. მახიზმი იქნა მხილებული როგორც სუბიექტური იდეალიზმი, სოლიფსიზმი, საერთოდ როგორც ანტიმეცნიერული მსოფლმხედველობა. მისი რეაბილიტაციისათვის ნეოპოზიტივისტები გამოიყენებენ ფიზიკას, ფორმალისტური ლოგიკის აპარატს, რათა მისცენ თავის თეორიას მეცნიერული სახე. სუბიექტური იდეალიზმისა და სოლიფსიზმის დასამალავად— ვიღას სურს დღეს თავისი თავი სოლიფსისტად აშკარად გამოაცხადოს?— ისინი ისე გამოთქვამენ თავის აზრებს, რომ დააბნიონ მკითხველი (ვიტგენშტინი), ანდა აცხადებენ, რომ ისინი მ ე თ ო დ უ რ ი სოლიფსიზმის თვალსაზრისზე დგანან (კარნაპი); არც ის არის იშვიათი, რომ ნეოპოზიტივისტური მსოფლმხედველობა... მატერიალიზმად გამოაცხადონ, მართალია, გარკვეული შენიშვნით, სახელდობრ, მეთოდურ მატერიალიზმად. (კარნაპი).

ვრა ლოგიკური ემპირიზმის თეორია, და რომელზედაც ჩვენ უნდა შევჩერდეთ; ეს არის კონვენციონალისტური მიმართულება მათემატიკაში და ფიზიკაში და ფორმალისტური მიმართულება ლოგიკაში და მათემატიკაში. ამ უკანასკნელთა განხილვის გარეშე ლოგიკური ემპირიზმის თეორიის თავისებურება გაუგებარი იქნება.

ჯერ კიდევ მახიზმის გავრცელების პერიოდში XIX საუკ. მიწურულში და XX საუკ. დასაწყისში ეს მიმართულება პარაზიტობდა ბუნებისმეცნიერების, კერძოდ ფიზიკის ახალ აღმოჩენებზე. ფიზიკის ახალი აღმოჩენების მცდარი ინტერპრეტაციით ამართლებდა რა თავის თეორიას, ის ამტკიცებდა, რომ ეს „უახლესი" ფილოსოფიაა და იგი თანამედროვე მეცნიერებათა მიღწევებს ეყრდნობა.

„მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში" ლენინმა გაარკვია ფიზიკის კრიზისის რაობა და მიზეზები და ახსნა „ფიზიკური" იდეალიზმის დედაარსი და მნიშვნელობა. რეაქციულ ზრახვებს, წერდა ლენინი, თვით მეცნიერების პროგრესი იწვევს.

ახალი აღმოჩენები ფიზიკაში ვერ თავსდებოდნენ მეტაფიზიკური მატერიალიზმის მიერ შექმნილ თეორიაში; ახალი აღმოჩენების წინაშე ფიზიკოსები, რომლებიც არ იცნობდნენ ან არ ცნობდნენ დიალექტიკურ მატერიალიზმს, უძლურნი აღმოჩნდნენ.

ფიზიკაში გამოყენებული ცნებები არ ეთანხმებოდნენ ახალ აღმოჩენებს. საჭირო იყო მათი ხელახლად მოაზრება. ფიზიკა შემეცნების თეორიის ძირითად საკითხებს წააწყდა.

არსებულ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში ფიზიკოსების ერთი ნაწილი იდეალიზმის პოზიციებზე გადავიდა: ეს მით უმეტეს ადვილი იყო, რომ მახიზმს უკვე ფეხი ჰქონდა მოდგმული ფილოსოფიაში.

ფიზიკის კრიზისი მხოლოდ იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ფიზიკის ძირითადი ცნებები დაინგრა. ძველი ცნებების ნგრევა მეცნიერების წინსვლასთან ყოველთვის დაკავშირებულია. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ფილოსოფიურად" თანა-

მედროვე ფიზიკის კრიზისის“ დედაარსი იმაში მდგომარეობს, რომ ძველი ფიზიკა თავის თეორიებში „მატერიალური სამყაროს რეალურად შეცნობას“, ე. ი. ობიექტური რეალობის ასახვას ხედავდა. ფიზიკის ახალი მიმდინარეობა კი თეორიაში ხედავს მხოლოდ სიმბოლოებს, ნიშნებს, აღნიშვნებს პრაქტიკისათვის, ე. ი. უარყოფს იმ ობიექტური რეალობის არსებობას, რომელიც დამოუკიდებელია ჩვენი ცნობიერებისაგან და ასახულია მის მიერ“[1]. და შემდეგ: „თანამედროვე ფიზიკის კრიზისის დ ე დ ა ა რ ს ი მდგომარეობს ძველი კანონების და პრინციპების მსხვრევაში, ცნობიერების გარეშე არსებული ობიექტური რეალობის უკუგდებაში, ე. ი. მატერიალიზმის შეცვლაში იდეალიზმით და აგნოსტიციზმით. „მატერია გაჰქრა“—ასე შეიძლება გამოვხატოთ ის ძირითადი და მრავალი კერძო საკითხის მიმართ ტიპიური სიძნელე, რომელმაც ეს კრიზისი შექმნა“[2].

ლენინი არა მხოლოდ აღნიშნავს ფიზიკის კრიზისის ფაქტს, არა მხოლოდ ახსნის ამ კრიზისის არსებას, არამედ გაარკვევს მის გნოსეოლოგიურ ძირებსაც.

ფიზიკა მათემატიკის სულმა შეიპყრო. ფიზიკის პროგრესმა ერთი მხრივ, ხოლო მათემატიკის პროგრესმა მეორე მხრივ, XIX საუკუნეში ამ ორი მეცნიერების დაახლოვება გამოიწვია. შეიქმნა მათემატიკური ფიზიკა, რომელიც წარმოადგენდა არა ფიზიკის დარგს, არამედ მათემატიკის დარგს. მათემატიკოსი ამ პერიოდში, შეეჩვია წმინდა ლოგიკურ ელემენტებს, რომელიც მისი მუშაობის ერთადერთ მასალას წარმოადგენს, და ტლანქ მატერიალურ მასალას არა საკმაოდ მოქნილად თვლიდა, აბსტრაქციას აკეთებდა ამ უკანასკნელიდან; და ამიტომ ელემენტები, „როგორც რეალური, ობიექტური მონაცემნი, ე. ი. როგორც ფ ი ზ ი კ უ რ ი ელემენტები, სრულიად გაჰქრნენ. დარჩნენ მხოლოდ ფორმალური ურთიერთობანი, რომელთაც დიფერენციული განტოლებანი გამოხატავენ“[3].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 14, გვ. 324.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 326.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 391.

ამ გარემოებას ლენინი ასე ახასიათებს: „ბუნებისმეტყველების დიდი წარმატება, მიახლოება მატერიის ისეთ ერთგვაროვან და მარტივ ელემენტებთან, რომელთა მოძრაობის კანონები შესაძლებლად ხდის მათემატიკურ დამუშავებას, იწვევს მატერიის დავიწყებას მათემატიკოსების მიერ. „მატერია ჰქრება“, რჩებიან მხოლოდ განტოლებანი“[1]. ასეთია ფიზიკური იდეალიზმის პირველი მიზეზი.

„ფიზიკური“ იდეალიზმის მეორე მიზეზია რელატივიზმი, ჩვენი ცოდნის შეფარდებითობის პრინციპი, რომელსაც დიალექტიკის უცოდინარობის დროს აუცილებლად იდეალიზმისაკენ მივყავართ. ფიზიკის განვითარების საფუძველზე აღმოჩნდა, რომ „ფიზიკის ყველა ძველი ჭეშმარიტება, თვით ისეთი, რომელიც უცილობლად და ურყევად ითვლებოდა, შედარებითი ჭეშმარიტება ყოფილა...“[2] ამ გარემოებიდან იმათ, ვინც დიალექტიკას არ იცნობდა, ისეთი დასკვნა გააკეთეს, თითქოს შეუძლებელია რაიმე ობიექტური ჭეშმარიტება.

დიალექტიკური მატერიალიზმი ამტკიცებს, რომ ჭეშმარიტება შეფარდებითია, კერძოდ, რომ ყოველ მეცნიერულ დებულებას მატერიის აღნაგობისა და მისი თვისებების შესახებ დაახლოებითი, შეფარდებითი ხასიათი აქვს. მაგრამ შეფარდებითი ჭეშმარიტება მცდარს როდი ნიშნავს! შეფარდებითი ჭეშმარიტება სინამდვილის დაახლოებით ასახვას წარმოადგენს. ჩვენი ცოდნა ყოველთვის დაახლოებითია, რადგან ის ეპოქის ჩარჩოებით არის განსაზღვრული; ის ვერ ასახავს, ამოწურავს მთელ სინამდვილეს; ამიტომ დროთა განმავლობაში, კაცობრიობის პრაქტიკისა და მეცნიერების წინსვლის საფუძველზე ეს ჭეშმარიტება შეიცვლება, ის გაღრმავდება, გამდიდრდება, უფრო ზუსტად ასახავს სინამდვილეს, საგანთა პირველი რიგის არსების ასახვიდან, მეორე რიგის არსების ასახვაზე გადავა. მაგრამ ჭეშმარიტად ასახული ნაწილი, ელემენტი შეფარდებით ჭეშმარიტებაში არ დაიკარგება, არ უარიყოფება, ის გადავა როგორც მარცვალი სინამდვილის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 14, გვ. 391.

[2] ი ბ ი ვ ე, გვ. 393.

ახალ, უფრო ადექვატურად ამსახველ თეორიაში. ამ მხრივ დიალექტიკა შეიცავს თავისში რელატივიზმის მომენტს, მაგრამ რელატივიზმამდე კი არ დაიყვანება.

რელატივიზმი „ჭეშმარიტების" თეორიაა, რომლის მიხედვით ჭეშმარიტება მხოლოდ დროული, ცვალებადია. რელატივიზმის მიხედვით ერთი პერიოდის ჭეშმარიტება მთლად უარყოფილია მეორე პერიოდში, ხოლო მეორე პერიოდის ჭეშმარიტებას არავითარი კავშირი პირველთან არა აქვს; პირველში არ არის აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვალი, ხოლო მეორეში არ არის შენახული არაფერი პირველიდან. ცხადია, რომ ამ თეორიის მიხედვით ჭეშმარიტება საერთოდ არ არსებობს: თუ შემდგომი თეორია მთლად უარყოფს წინამავალ თეორიას, როგორც აბსოლუტურად მცდარს და შემდეგ თვით იქნება უარყოფილი როგორც აბსოლუტურად მცდარი ახალი თეორიით, ნათელი იქნება ისიც, რომ მეცნიერება, რომელიც ამგვარ თეორიებს ქმნის აბსოლუტურად მცდარია. ასეთია რელატივიზმის შინაარსი. ამიტომ თუ რელატივისტი გამოიყენებს ჭეშმარიტების ცნებას, ნათელი უნდა იყოს ისიც, რომ მას არ ესმის ჭეშმარიტება როგორც ობიექტური სინამდვილის ადექვატური ასახვა, როგორც ჩვენი აზრების ისეთი შინაარსი, რომელიც არ არის დამოკიდებული ადამიანზე, კაცობრიობაზე, არამედ მისთვის ჭეშმარიტება სუბიექტური შინაარსის მქონეა, ადამიანთა მიერ შეთხზულია.

აი ასეთი რელატივიზმი შეიქმნა ფიზიკაში ძირითადი ცნებების მსხვრევის შედეგად, რადგან ფიზიკოსების ნაწილი არ იცნობდა დიალექტიკას, არ იცნობდა მის მოძღვრებას შედარებითი და აბსოლუტური ჭეშმარიტების შესახებ.

ლენინის გენიალური ანალიზი ფიზიკის კრიზისისა და მის მიერ „ფიზიკური" იდეალიზმის დედაარსისა და მნიშვნელობის გარკვევა დღესაც მთლიანად ძალაშია. ვ. ლენინის მიერ ჩამოყალიბებული პრინციპებით უნდა იქნეს განხილული ის, რაც ხდება დღეს ფიზიკაში და ამავე პრინციპებით უნდა შეფასდეს ლოგიკური ემპირიზმის თეორია.

ფიზიკის განვითარება არ შეჩერებულა XIX საუკ. დასაწყისის აღმოჩენებზე. ფარდობითობის თეორია, ქვანტური მექანიკა ახალ პრობლემებს სვამენ შემეცნების თეორიის წინაშე. აკად. ვავილოვი აღნიშნავდა რამდენიმე ფუნდამენტალურ ფაქტს, რომლებსაც ღრმა პრინციპული მნიშვნელობა აქვთ.

1. მოლეკულების, ატომებისა და ატომბირთვების აგებულება განსაზღვრულია ქვანტური კანონებით.

2. იმ ძალებს, რომლებიც მოქმედებენ ბირთვის შემადგენელ ნაწილებს შორის (პროტონები და ნეიტრონები), აქვთ თავისებური ბუნება, რომელიც განსხვავდება ელექტრომაგნიტურისა და გრავიტაციული ბუნებისაგან.

3. სინათლეს ახასიათებს ტალღობრივი და კორპუსკულარული თვისებები.

4. ნივთიერების ნაწილაკსაც აქვს ასეთი ორგვარი ბუნება.

5. ნივთიერების ნაწილაკებს აქვთ უნარი გადაიქცნენ სინათლედ და სხვ.

ყველა ეს ახალი დებულება რთულ პრობლემებს იწვევს და ეს სიძნელეები გამოყენებულია დღეს ბურჟუაზიულ ქვეყნებში ყოველგვარი ანტიმეცნიერული, იდეალისტური და მისტიკური აზრების გავრცელებისათვის.

ლოგიკური ემპირიზმი სარგებლობს რა ამ სიძნელეებით, აძლევს ამ ახალ აღმოჩენებს მცდარ ინტერპრეტაციას, მახიზმის მსგავსად პარაზიტობს მათზე და ცდილობს ამით გაამართლოს თავისი რეაქციული თვალსაზრისი. იმპერიალიზმის მსახური ფილოსოფოსები და ფიზიკოსთა ერთი ნაწილი, რომლებიც იდეალიზმის პოზიციებზე დადგნენ, ერთმანეთთან თანამშრომლობენ. ახალი აღმოჩენების იდეალისტურ ინტერპრეტაციას, რომელსაც ეს ფიზიკოსები იძლევიან, უხვად გამოიყენებენ ლოგიკური ემპირისტები, ხოლო ფილოსოფიის — შემეცნების თეორიის — ძირითადი პრინციპებით, რომლებსაც ამუშავებენ ლოგიკური ემპირისტები, ხელმძღვანელობენ ეს ფიზიკოსები თავის მუშაობაში.

მანამ ამ მხარეს გავარკვევდეთ, საჭიროა იმ მეორე წყაროს მოკლე დახასიათება, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული: ფორმალისტური მიმართულება ლოგიკაში და მათემატიკაში.

მათემატიკურ აზროვნებას თავისებურება ახასიათებს, რაც მათემატიკური აბსტრაქციების თავისებურებაზეა დამოკიდებული. ამ აბსტრაქციების თავისებურება, მათი ურთიერთკავშირი და ბუნება თავის გამოხატულებას პოულობს მათემატიკური თეორემების დასაბუთებაში, და საერთოდ მათემატიკის ლოგიკურ სისტემატიზაციაში.

ამგვარი სისტემატიზაციის გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს აქსიომატური მეთოდი. აქსიომატური მეთოდით აშენებული მეცნიერული თეორია შემდეგ სახეს იღებს: ჩამოყალიბებულია რიგი დებულებებისა — აქსიომები — რომელნიც მიღებულია დასაბუთების გარეშე; ის ედება საფუძვლად მეცნიერულ თეორიას, რომლის ყველა დებულება გამოყვანილია ამ აქსიომებიდან დედუქციურად.

პირველი თეორია აქსიომატური მეთოდით აგებული, იყო ევკლიდეს გეომეტრია. ლობაჩევსკის გენიალურმა შრომებმა მძლავრი ბიძგი მისცა ამ მეთოდის განვითარებასა და გამოყენებას. მან წამოაყენა აზრი იმის შესახებ, რომ ევკლიდეს მეხუთე პოსტულატი დამოუკიდებელია დანარჩენი აქსიომებიდან და მისი დამტკიცება დანარჩენი აქსიომების საფუძველზე შეუძლებელია; ეს დებულება გამართლებული იქნა ლობაჩევსკის მიერ არაევკლიდური გეომეტრიის აშენებით, რომელშიც V პოსტულატი მოხსნილია და ამის მიუხედავად აგებულია სისტემა ლოგიკურად უნაკლო, ე. ი. არსად არ გვხვდება წინააღმდეგობა.

ამით გადაწყდა აქსიომატურ თეორიაში დამტკიცების შეუძლებლობისა და წინააღმდეგობიდან თავისუფლების პრობლემა.

ბოლცანოსა და კანტორის მიერ შექმნილმა სიმრავლეთა თეორიამ მთელ რიგ პარადოქსებამდე მიიყვანა მათემატიკოსები. საჭირო გახდა ამ პარადოქსების დაძლევა. ამისათვის კი

საჭირო გახდა მათემატიკის ლოგიკური საფუძვლების გამოკვლევა. ამ გზით შეიქმნა ახალი მათემატიკური დისციპლინა— მათემატიკური ლოგიკა, რომელიც ამავე დროს ზოგადი ლოგიკის განსაკუთრებულ განშტოებას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ლაიბნიცმა გამოთქვა იდეები ამგვარი მეცნიერების შესახებ; XIX საუკუნეში პორეცკის, ბულის, შრედერის, ფრეგეს და სხვ. მიერ იყო წარმოებული ცდები ლოგიკის, როგორც მათემატიკური აღრიცხვის აშენებისა. თანამედროვე მათემატიკურ ლოგიკაში გამოყენებულია დასაბუთების ფორმალიზაციის მეთოდი. ამისათვის გარკვეული თეორიის აქსიომები და თეორემები ჩაიწერება თავისებური ფორმულებით, რომლისათვის გამოყენებულია განსაკუთრებული სიმბოლიკა. დადგენილია დასკვნის წესები. ეს წესები ფორმალურია, ე. ი. დასაბუთების სისწორის შემოწმებისათვის საკმარისია დარწმუნება, რომ ფორმულები გარკვეული ნიშნებისაგან შედგება და გარკვეული წესრიგით არიან დალაგებულნი.

მათემატიკური ლოგიკა მეცნიერებათა განვითარების შედეგია, ის ამ განვითარების მოთხოვნილების საფუძველზე შეიქმნა და მისი უარყოფა მხოლოდ იმის გამო, რომ ნეოპოზიტივიზმმა — და შემდეგ ლოგიკურმა ემპირიზმმა — ის თავისი რეაქციული და სუბიექტური იდეალისტური თვალსაზრისისათვის გამოიყენა, მას, ამ თვალსაზრისს გარეგნულად მეცნიერული სახე მისცა, შეცდომას წარმოადგენს[1].

როგორც აქსიომატური მეთოდი ისე მათემატიკური ლოგიკა ლოგიკური ემპირიზმის მიმდევრებმა დაამახინჯეს. ამის შესახებ ქვემოდ იქნება საუბარი.

---

[1] ცნობილი საბჭოთა მათემატიკოსები კოლმოგოროვი, ყეგალკინი, ნოვიკოვი, მალცევი, მარკოვი ამუშავებენ მათემატიკურ ლოგიკას და მისი საშუალებით მთელ რიგ მათემატიკურ ამოცანებს წყვეტენ. მათემატიკურ ლოგიკას გამოყენება აქვს აგრეთვე თანამედროვე ტექნიკაში, მაგ., ელექტრონულ დამოვლელ მანქანების აშენებისას.

3. ლოგიკური ემპირიზმის „ემპირიზმი“

როდესაც „ლოგიკური პოზიტივისტების“, „ლოგიკური ატომისტების“, „ნეოპოზიტივისტების“, „ნეომახისტების“ და სხვ. პატარა სკოლები გაერთიანდნენ ერთი საერთო პლატ-ფორმის საფუძველზე და თავის მიმართულებას ლოგიკური ემპირიზმის სახელი მისცეს, ამით მათ უნდოდათ იმ ორი ძირითადი მომენტისათვის ხაზის გასმა, რომელიც მათი ფილოსოფიისათვის დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო: ეს ფილოსოფია ე მ პ ი რ ი ს ტ უ ლ ი ა მათი აზრით, ხოლო მეთოდი ლ ო გ ი კ უ რ ა ნ ა ლ ი ზ ს წარმოადგენს.

განვიხილოთ პირველ რიგში ამ მიმართულების ემპირიზმი.

ცნობილია, რომ ემპირიზმი საერთოდ ეწოდება ისეთ ფილოსოფიურ მიმართულებას, რომლის მიხედვით შემეცნების ძირითად (თუ ერთადერთ არა) წყაროდ ცდა (ემპირია) ითვლება. მაგრამ სიტყვა „ცდა“ ჯერ-ჯერობით არაფერს წყვეტს არც მატერიალიზმისა და არც იდეალიზმის სასარგებლოდ. საქმე ის არის, თუ რა აზრი არის ჩადებული ამ სიტყვაში, ვის როგორ ესმის იგი. რა არის ცდა? პასუხი ერთია: ყველაფერი ის, რაც მოცემულია გრძნობის ორგანოების საშუალებით. მაგრამ ერთი მხრით, ის, რაც მოცემულია გრძნობის ორგანოების საშუალებით, ე. ი. ის, რასაც ვხედავთ, ვისმენთ, შევეხებით და სხვ.,—ეს არის სწორედ ის, რაც ჩვენ უნდა შევიცნოთ. ამ მხრით ცდა არის შემეცნების საგანი. მეორე მხრით ის, რასაც ვხედავთ, ვისმენთ, შევეხებით და სხვ., ე. ი. ჩვენი შეგრძნებები, აღქმები ის საშუალებაა, რომლითაც ჩვენ შევიცნობთ სინამდვილეს.

მაგრამ გავიგებთ ჩვენ ცდას როგორც შემეცნების საგანს, თუ შემეცნების საშუალებას, სულერთია, პრობლემა მაინც გადაუწყვეტელია, რადგან ამით ჯერ არ ირკვევა რა თვალსაზრისს ვიცავთ — მატერიალისტურს თუ იდეალისტურს.

„ამრიგად, სიტყვაში „ცდა“, უეჭველად, შეიძლება იმალებოდეს როგორც მატერიალისტური, ისე იდეალისტური ხაზი ფილოსოფიაში, აგრეთვე ჰიუმისტური და კანტიანურიც, მაგრამ არც ცდის განსაზღვრა, როგორც კვლევა-ძიების საგ-

ნისა, არც მისი განსაზღვრა, როგორც შემეცნების საშუალებისა, არაფერს არ წყვეტს ამ მხრივ"[1].

ცდაში შეგრძნებები, აღქმები იგულისხმება. საკითხი უნდა დაისვას იმის შესახებ, წარმოადგენს შეგრძნება, აღქმა ობიექტური საგნის სუბიექტურ სურათს, თუ ის არის მთლად სუბიექტური, რასაც არავითარი კავშირი არა აქვს ობიექტურ საგანთან, ან ყოველ შემთხვევაში ობიექტური საგნის სუბიექტურ სურათს არ წარმოადგენს. პირველ შემთხვევაში მატერიალიზმთან გვაქვს საქმე, მეორე შემთხვევაში იდეალიზმთან.

ამას უნდა მიექცეს ყურადღება, როდესაც ლოგიკური ემპირიზმის ემპირიზმზე გვაქვს საუბარი. მიუხედავად ლოგიკური ემპირიზმის მტკიცებისა, რომ ის მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა დგას — ხოლო ამ მიმართულების ზოგიერთი წარმომადგენელი უარს არ ამბობს მატერიალისტის სახელწოდებაზე — უნდა ითქვას, რომ ცდის ცნება, შეგრძნების, აღქმის ცნება მას იდეალისტურად აქვს გაგებული. ეს ძირითადი პრინციპი განსაზღვრავს მთელი ამ მიმართულების სუბიექტურ-იდეალისტურ ხასიათს.

ერთადერთი სანდო, რაც ადამიანს აქვს მოცემული, არის გრძნობათა მონაცემი (sense data). აქედან შენდება მთელი შემეცნება, აქედან შენდება მთელი „სინამდვილე". გრძნობათა მონაცემი შეგრძნებებს, აღქმებს წარმოადგენენ. ამიტომ ცოდნა და ამასთანავე ერთად სინამდვილეც შეგრძნებებიდან შენდება. ლოგიკური ემპირიზმის წარმომადგენლები ისევე როგორც მათი წინამორბედნი, მახი, ავენარიუსი და სხვ. ცდილობენ დამალონ ამ მსოფლმხედველობის სუბიექტურ-იდეალისტური და სოლიფსისტური ხასიათი.

მხოლოდ გამონაკლისის სახით ზოგიერთ მათგანს წამოცდება, რომ მათი თვალსაზრისი სოლიფსიზმს წარმოადგენს (ვ ი ტ გ ე ნ შ ტ ა ი ნ ი) ანდა, რომ იგი „მეთოდური" სოლიფსიზმია (კ ა რ ნ ა პ ი). უმრავლესობა კი ცდილობს დაამტკიცოს,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 14 გვ, 185.

რომ ეს თვალსაზრისი არც სოლიფსისტურია და არც სუბიექ-ტურ-იდეალისტური: მას არა აქვს საერთოდ არავითარი კავ-შირი არც მატერიალიზმთან და არც იდეალიზმთან.

მახისა და ავენარიუსის მსგავსად ლოგიკური ემპირისტე-ბიც ცდილობენ სხვადასხვა სიტყვების შემოღებით დამალონ ის ფაქტი, რომ გრძნობათა მონაცემი შეგრძნებას წარმოად-გენს და მეტს არაფერს. „გრძნობადი შინაარსები" ხმარობს ამ გამოთქმას აიერი და ცდილობს დაამტკიცოს, რომ იგი არ არის ის, რასაც ჩვეულებრივად შეგრძნებებს უწოდებენ; ფაქტები ან კიდევ „ატომარული" ფაქტები — ხმარობს რასელი, რომლებიდანაც „მოლეკულარული" ფაქტები შენდება, და რომელთაც ატომარული და მოლეკულარული წინადადებები შეესაბამება; ანდა კიდევ — ფარდობითობის თეორიის ტერ-მინების გამოყენებით — მსოფლიო წერტილები, მოვლენები (события), რომელთაც ოთხი განზომილება (მეოთხე — დრო) ახასიათებს. მაგრამ საქმე ამ სიტყვებში კი არ მდგომარეობს. მახიზმიც ხმარობდა სიტყვა „ელემენტს", მა-ხისტებიც ამაყობდნენ, რომ „სამყაროს ელემენტები" აღმოა-ჩინეს, მაგრამ ვ. ლენინმა დაასაბუთა, რომ ეს ე. წ. ელემენ-ტები ნამდვილად შეგრძნებებს წარმოადგენენ.

თუ „ვენის წრის" მეთაური მ. შლიკი ხშირად არ მალავ-და, რომ „გრძნობათა მონაცემი", „გრძნობადი შინაარსები" წარ-მოადგენს იმას, რასაც ჩვეულებრივად „უშუალოდ მოცე-მულს" უწოდებენ, და რაც ნამდვილად განცდებს წარმოად-გენს, სხვები ცდილობენ მახისებურად იმის დასაბუთებას, რომ „გრძნობათა მონაცემი" ფსიქოფიზიკურად ნეიტრალუ-რია. განსხვავება ფიზიკურსა და ფსიქიკურს შორის, წერს აი-ერი (Ayer) არ ეხება გრძნობად შინაარსს; ის, რასაც ჩვენ გრძნობად ცდას, გრძნობად შინაარსს ვუწოდებთ, არც ფიზი-კურია და არც სულიერი. ფიზიკურიც და სულიერიც მეორა-დი მოვლენებია, ისინი შენდებიან გრძნობადი შინაარსების საფუძველზე, მათი ლოგიკური დამუშავების შედეგად. შემ-ცდარია აზრი, თითქოს გრძნობადი შინაარსი ფსიქიკური, სუ-ლიერია: სულიერი, სული თვითონ შენდება გრძნობათა მო-

ნაცემის საფუძველზე. ასევე ე. წ. მატერიალური საგნები, რომლებზედაც მეცნიერი ლაპარაკობს, შედეგია გრძნობათა მონაცემის ლოგიკური დამუშავების.

როგორც ვხედავთ, ლოგიკური ემპირიზმის „ემპირიზმი" არაფრით არ განსხვავდება ჯერ-ჯერობით მახიზმის მიერ წამოყენებული პრინციპისაგან: გვაქვს „გრძნობათა მონაცემები", „გრძნობადი შინაარსები" და აქედან ვაგებთ გარკვეული ლოგიკური ოპერაციებით იმას, რასაც მატერიალურ საგნებს უწოდებენ.

ლოგიკური ემპირისტები მსჯელობენ ისე, თითქოს მახიზმის კრიტიკა არავის არ უწარმოებია, თითქოს ისინი სრულიად არ იცნობენ მის ლენინურ კრიტიკას.

ვ. ლენინის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" პირველი თავი სწორედ ამ საკითხს ეხება და ის კრიტიკა, რომელსაც აქ აწარმოებს ლენინი მახიზმის წინააღმდეგ თავიდან ბოლომდე ლოგიკურ ემპირიზმსაც ეხება.

თუ მატერიალური საგნები აშენდება გრძნობათა მონაცემიდან, მათი ლოგიკური ოპერაციების დამუშავების შედეგად, მაშინ როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი ბუნების, მატერიალური საგნების არსებობის შესახებ ადამიანის წარმოშობამდე: მანამ არ იყო ადამიანი, არ იყო ცნობიერება, არ იყო ამიტომ „გრძნობათა მონაცემი", „გრძნობადი შინაარსები", არ იყო ლოგიკური აზროვნება, რომელიც გარკვეული ოპერაციებით გადაამუშავებდა ამ მონაცემს,... მანამ არც ბუნება ყოფილა, არც მატერიალური საგნები არსებობდნენ. ასე უნდა დავასკვნათ, თუ მატერიალური საგნები იქმნებიან გრძნობათა მონაცემთა გადამუშავების საფუძველზე.

მაგრამ ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით ასეთი კრიტიკა მიზანს ვერ აღწევს, რადგან „მატერიალური" საგნების ცნებაში ისინი, თურმე, სრულიად სხვას გულისხმობენ, ვიდრე მატერიალისტები. მატერიალიზმისათვის მატერია არის ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად, მოქმედებს ცნობიერებაზე და აისახება ცნობიერებაში. მატერიის, მატერიალური საგნების

ასეთი გაგება მიუღებელია ლოგიკურ ემპირიზმისათვის; როგორც ქვემოთ დავინახავთ, საკითხი ობიექტური სინამდვილის არსებობის შესახებ სრულიადაც არ არის მეცნიერებისა და ფილოსოფიის საკითხი; იგი მცდარად დასმული საკითხია, ფსევდოპრობლემაა, მეტაფიზიკური პრობლემაა, რასაც პოზიტივიზმი პრინციპულად უარყოფს.

ლოგიკური ემპირისტები იმეორებენ ბერკლისა და იუმიდან მომდინარე არგუმენტს, არგუმენტს, რომელსაც ყოველი სუბიექტური იდეალისტი მიმართავს მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ეს არის არგუმენტი საგნის, სუბსტანციის არსებობის წინააღმდეგ მიმართული.

რას წარმოადგენს ის საგანი, რომელზედაც მსჯელობენ მატერიალისტები, როგორც ობიექტურ რეალობაზე, რომელიც არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად და მის გარეშე, სვამენ საკითხს ლოგიკური ემპირისტები, პოზიტივისტები, პრაგმატისტები, საერთოდ, ყოველი სახის სუბიექტური იდეალისტები. ეს ფილოსოფოსები ასე მსჯელობენ: ჩვეულებრივი თვალსაზრისით, იმ ადამიანის თვალსაზრისით, რომელიც ჯერ არ მისულა ფილოსოფიურ ანალიზის დონემდე, საგანი არა მხოლოდ თვისებათა კრებულია, არამედ კიდევ რაღაც „სუბიექტია" „სუბსტრატია", რომელზედაც თითქოს „ჩამოკიდებულია" ეს თვისებები, და რომელიც თითქოს აკავებს ამ თვისებებს: აი ეს თვისებების „დამჭერი" სუბსტრატი არის მატერია, ფიქრობენ მატერიალისტებიო. მაგრამ თუ დავაკვირდებით სერიოზულად ამ გარემოებას, ამტკიცებს სუბიექტური იდეალიზმი, თვისებების იქეთ, მათ უკან არავითარი სუბსტრატი, არავითარი სუბსტანცია არ არსებობს. საკმარისია ჩამოვაცილოთ საგანს ეს თვისებები, მაშინვე ნათელი გახდება, რომ ამ თვისების გარდა არაფერი არა რჩება.

სუბიექტური იდეალიზმი აქ არ ჩერდება; ის სვამს საკითხს ამ თვისებების რაობის შესახებ. ბერკლი და იუმი მათ შეგრძნებებად აცხადებდნენ; მახიზმმა მათთვის ახალი სახელი გამონახა — ელემენტები, რაც ნამდვილად შეგრძნებებს წარმოადგენენ; ლოგიკური ემპირიზმი მათ ხან ატომურ ფაქ-

ტებს, ხან გრძნობად შინაარსებს, ხან გრძნობათა მონაცემს უწოდებს; მაგრამ ამ განსხვავებულ სიტყვებში ისევ ის შეგრძნებები არის ნაგულისხმევი და სხვა არაფერი.

სუბიექტური იდეალიზმის ზემოგანხილული მსჯელობა პირველი შეხედვით გარკვეულ შთაბეჭდილებას ახდენს; მართლაც, რაღა რჩება იმ მატერიალური სუბტრატისაგან, თუ ჩვენ ყველა თვისებისაგან განყენებას მოვახდენთ? თვისება ხომ საგნის თვისებაა? და თუ ეს თვისებები ჩამოვაცილეთ, თითქოს უნდა დარჩენილიყო საგანი, რომლის თვისებებზეც ვლაპარაკობთ. მაგრამ მთელი ეს მსჯელობა, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებრობაზეა აგებული. არ არსებობს საგანი და მისი თვისებები ცალ-ცალკე. მატერია არსებობს კონკრეტული საგნების სახით, ხოლო ეს კონკრეტული საგნები არსებობენ გარკვეული თვისებების სახით. მათი მატერიალობა მდგომარეობს მათ უზოგადეს თვისებაში, სახელდობრ იმაში, რომ მათ ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი არსებობა ახასიათებს და არა იმაში, რომ არსებობს რაღაც, რაზედაც თვისებები არის წამოცმული.

აღარ ვლაპარაკობთ იმის შესახებ, რომ არაფრით არ არის გამართლებული საგანთა თვისებების გრძნობათა მონაცემებზე დაყვანა. საგანთა შემეცნება გრძნობათა მონაცემებით იწყება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს საგნის გრძნობათა მონაცემებთან, შეგრძნებებთან გაიგივებას.

4. ფილოსოფიის პროგლემა, ლოგიკური მეთოდი

პოზიტივისტების აზრით პოზიტივიზმის ერთ-ერთი ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უარყოფს ყოველივე მეტაფიზიკას. უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ ტერმინი მეტაფიზიკა აქ იხმარება იმ აზრით, რომლითაც მას ხმარობდნენ მარქსამდელ ფილოსოფიაში და რომელიც დღეს იხმარება ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში. მეტაფიზიკა ამ აზრით არ უპირისპირდება დიალექტიკას.

მეტაფიზიკა ამ აზრით არის არისტოტელეს მიმდევრებიდან მომდინარე ტერმინი „პირველი ფილოსოფიის“ აღსანიშ-

ნავად. მეტაფიზიკა ფილოსოფიის ის ძირითადი ნაწილია, რომელიც არკვევს სამყაროს არსების საკითხს: არის სამყაროს არსება მატერიალური თუ სულიერი, ე. ი. არკვევს ფილოსოფიის ძირითად საკითხს. ამ მხრივ, ამ ტერმინოლოგიის მიხედვით როგორც მატერიალიზმი ისე იდეალიზმი, როგორც ათეიზმი ისე თეიზმი და სხვ. მეტაფიზიკურ მიმართულებებს წარმოადგენენ. ამ ტერმინოლოგიით მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიაც, დიალექტიკური მატერიალიზმიც მეტაფიზიკურ მიმართულებად არის მიჩნეული.

ამიტომ, როდესაც პოზიტივიზმი საერთოდ და ლოგიკური ემპირიზმი კერძოდ უარყოფს მეტაფიზიკას, რასაკვირველია, არ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი დიალექტიკის თვალსაზრისზე დგება; არა, ამ მიმართულების მიხედვით ფილოსოფიამ ხელი უნდა აიღოს ფილოსოფიის ძირითადი საკითხის გადაწყვეტაზე.

ფილოსოფიამ თავი უნდა დაანებოს ამგვარ მეტაფიზიკურ სპეკულაციებს, ის მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ფილოსოფიად უნდა გადაიქცეს. მეცნიერულ ფილოსოფიას პოზიტიურ მეცნიერებასთან, მეცნიერების მონაპოვართან უნდა ჰქონდეს საქმე. ხოლო რაც შეეხება პოზიტიურ მეცნიერებათ, მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, ასტრონომიას, გეოლოგიას და სხვ. ეს მეცნიერებანი არასოდეს არ სვამენ საკითხს სამყაროს არსების შესახებ, მატერიალური თუ სულიერი სუბსტანციის შესახებ, ღმერთის არსებობისა თუ არარსებობის შესახებ, უკვდავი სულის არსებობისა თუ არარსებობის და სხვათა შესახებ.

ლოგიკური ემპირიზმი უარყოფს ამგვარი საკითხების დასმის კანონიერებას; როგორც ქვემოთ დავინახავთ გარკვეულ მოსაზრებათა საფუძველზე ის ამ საკითხებს მცდარად დასმულ საკითხებად, პსევდოპრობლემებად მიიჩნევს.

თუ ამ თვალსაზრისზე დავდექით, ფილოსოფია საერთოდ თითქოს უნდა გაუქმდეს. თუ ფილოსოფიის ძირითადი საკითხი მოიხსნა, რაღა რჩება ფილოსოფიას, რა საკითხები რჩება მას გასარკვევად. იქნებ შემეცნების საკითხი მხოლოდ? მაგრამ შემეცნების საკითხი ფილოსოფიის ძირითადი საკითხის

მეორე მხარეს წარმოადგენს. ამიტომ ფილოსოფია არსებითად გაუქმებულია. პოზიტივიზმი საერთოდ, კერძოდ, ლოგიკური ემპირიზმი ფილოსოფიური მიმართულებაა, რომელიც ფილოსოფიას როგორც გარკვეულ მეცნიერებას აუქმებს, იგი ნიჰილისტური მიმართულებაა ფილოსოფიაში.

ლოგიკური ემპირისტები ამაყობენ თავისი ამგვარი „აღმოჩენით": ისინი ფილოსოფიის ამოცანას სულ სხვაში ხედავენ: მათი აზრით მათ ფილოსოფიის რეფორმა მოახდინეს. როგორც პრაგმატისტები, რომლებიც ტრაბახობდნენ, რომ პრაგმატიზმი ისეთივე დიდი მოვლენაა კაცობრიობის კულტურის ისტორიაში, როგორც რეფორმაცია კაცობრიობის ისტორიაში, ისე ლოგიკური ემპირისტები ადარებენ ფილოსოფიის ახალ გაგებას გალილეის სახელთან დაკავშირებულს ახალი დროის მეცნიერების წარმოშობას (რ ა ს ე ლ ი); როგორც პრაგმატისტები ვაჭრული კილოთი და გამოთქმებით თავაზობენ მკითხველს ახალ ფილოსოფიას, რომლის საშუალებით შეიძლება გადაწყდეს ყველა საკითხი, ისე ეს ლოგიკური ემპირისტები ამტკიცებენ, რომ მათ მიერ წამოყენებული დებულებების ჭეშმარიტება ხელშეუხებელი და უკანასკნელია, რომ საკითხები ძირითადად საბოლოოდ გადაწყვეტილია" (ვ ი ტ გ ე ნ შ ტ ა ი ნ ი).

გავარკვიოთ, რას წარმოადგენს ფილოსოფიის ახალი გაგება ლოგიკური ემპირისტების თვალსაზრისით. არის ის ბუნების, საზოგადოების და აზროვნების ძირითად კანონების შესახებ მეცნიერება? არა, რასაკვირველია! ფილოსოფია არ სწავლობს არც ბუნებას, არც საზოგადოებასა და აზროვნებას როგორც ასეთს. ყველაფერს ამას სწავლობს სპეციალური-პოზიტიური მეცნიერება. ბუნების, საზოგადოების, აზროვნების მოვლენებს, კანონებს სწავლობენ პოზიტიური მეცნიერებანი; ფილოსოფიას სრულიადაც არა აქვს მათთან საქმე. ფილოსოფიაში არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე დებულება, რომელიც სინამდვილეს ეხება. ფილოსოფია სამყაროს კი არ ეხება, არამედ ამ სამყაროს შესახებ მეცნიერებას. სამყაროს, მის საგნებს სწავლობენ პოზიტიური მეცნიერებანი; ისინი ახდენენ ფაქტებზე დაკვირვებას, განზოგადებას,

დაადგენენ კანონებს და სხვ.. ფილოსოფია ვერ აღმოაჩენს ვერც ახალ ფაქტს, ვერც რაიმე კანონს, ვერ მოახდენს ვერავითარ განზოგადებას, რომელიც სამყაროს და მის საგნებს ეხება.

აქედან ნათელი ხდება ის დასკვნა, რომელიც ჩვენ წინასწარ უკვე დავახასიათეთ: რადგან სპეციალური მეცნიერებანი არ სვამენ და არ წყვეტენ ფილოსოფიის ძირითად საკითხს, რადგან სპეციალურ მეცნიერებათა შიგნით არ წყდება საკითხი მატერიალურისა და სულიერის დამოკიდებულების შესახებ, მათი პირველადობისა თუ მეორადობის შესახებ, არ წყდება საკითხების მთელი რიგი, რომელიც ამ ძირითადი საკითხის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული, ხოლო ფილოსოფიას არ აქვს დასახული ამოცანად აღმოაჩინოს რაიმე ფაქტი, დაადგინოს რაიმე კანონი მოახდინოს რაიმე განზოგადება, რომელიც სამყაროსა და მის საგნებს ეხება, ცხადია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები მცდარად დასმული მეტაფიზიკური პრობლემებია, რომელთა დასმა და გადაწყვეტის ცდა უაზრობას წარმოადგენს.

საერთოდ ცოდნა სამყაროზე და მის საგნებზე მოცემულია პოზიტიურ მეცნიერებაში — თუ რას წარმოადგენს სამყარო, მისი საგნები და როგორია ეს ცოდნა ლოგიკური ემპირიზმის თვალსაზრისით, ამაზე ქვემოთ გვექნება საუბარი;— ფილოსოფია ამ მხრივ ახალ ცოდნას არ გვაძლევს; მისი ამოცანა მდგომარეობს შემდეგში: ფილოსოფიამ უნდა მოახდინოს ლოგიკური ანალიზი იმ ცნებებისა, რომლებიც გამოყენებულია მეცნიერებაში, უნდა აწარმოოს ლოგიკური ანალიზი იმ დებულებებისა, რომლებიც დადგენილია მეცნიერებაში.

ამრიგად, ფილოსოფია არის მეცნიერების ლოგიკური ანალიზი. რისი მოცემა შეუძლია ამგვარ ფილოსოფიას? მას შეუძლია გაარკვიოს ის ცნებები, რომლებიც გამოყენებულია მეცნიერებაში, დაადგინოს მათი ზუსტი შინაარსი. მაგალითად, ფიზიკა მსჯელობს ფიზიკურ პროცესებზე, ფსიქოლოგია — ფსიქიკურ მოვლენებზე; რას გულისხმობენ ეს მეცნიერებანი ფიზიკური და ფსიქიკური მოვლენების ცნებაში?

მეცნიერებანი დაადგენენ მოვლენათა კანონებს; რა შინაარსი იგულისხმება კანონის ცნებაში? მეცნიერების დებულებებს აქვთ პრეტენზია ჭეშმარიტებაზე; როგორ უნდა გვესმოდეს ჭეშმარიტების ცნება? და სხვ. და სხვ.

ამ ცნებების ლოგიკური ანალიზი დააზუსტებს მათ, სისტემაში მოიყვანს მეცნიერებათა მიერ დაგროვილ ცოდნას, მას ამ ცოდნას გარკვეულ ლოგიკურ ფორმას მისცემს.

დამთავრდა ის პერიოდი ფილოსოფიაში, როდესაც ფილოსოფოსები მსოფლიო პრობლემებს წყვეტდნენ და სისტემებს აგებდნენ, ახალსა და ახალ ჭეშმარიტებას აღმოაჩენდნენ. ჭეშმარიტება მხოლოდ პოზიტიურ მეცნიერებაშია და ფილოსოფია მისი ლოგიკური ანალიზით ამოიწურება. „ფილოსოფიის არსება არის ლოგიკა"—აი ის პრინციპი, რომელიც პირველად რასელმა წამოაყენა და რომელიც მთელი ლოგიკური ემპირიზმისათვის განმსაზღვრელი გახდა.

თუ როგორია ეს ლოგიკა, რომელიც ფილოსოფიის არსებას წარმოადგენს და რა დასკვნები გამოიყვანება აქედან, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ; ეხლა კი მოკლედ გავარკვიოთ ჩვენი თვალსაზრისით ლოგიკური ემპირისტების ეს თავისებური შეხედულება ფილოსოფიის რაობაზე.

1. პირველი შეხედვით ფილოსოფიისათვის ამგვარი ამოცანის დასახვა თითქოს მხოლოდ ავიწროებს ფილოსოფიის პრობლემატიკას. ის თითქოს ფილოსოფიის პრობლემებიდან მას მხოლოდ ერთ პრობლემას უტოვებს: ფილოსოფიის — კერძოდ, მეცნიერების ძირითადი კატეგორიების გარკვევას: მეცნიერება ხმარობს გარკვეულ ტერმინებს — ცნებებს, ხოლო თვითონ ამ ცნებების ანალიზს არ ახდენს; ამ ანალიზს ახდენს ფილოსოფია.

მაგრამ საკითხი არც ისე მარტივად დგას, როგორც ეს პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. თუ მეცნიერებათა ცნებების ლოგიკური ანალიზი შეეხება მხოლოდ ისეთ ცნებებს, როგორიც არიან ცნებები ელექტრონის, ელექტრომაგნიტური ტალღების და სხვ., მაშინ, შესაძლებელია, მართლაც არავითარი ახალი ჭეშმარიტება არ შეიქმნას და არა-

ვითარი „მეტაფიზიკური“ თეორია არ წარმოიშვას; მეტიც: მაშინ ალბათ თვითონ ეს ლოგიკური ანალიზიც შესაძლებელია ზედმეტი აღმოჩნდეს, რადგან ფიზიკა თვითონ გაარკვევს და დააზუსტებს ამგვარ ცნებებს. მაგრამ თუ ასე გაგებული ფილოსოფია მიზნად ისახავს ისეთი ცნებების ლოგიკურ ანალიზს, როგორიც არიან „ფიზიკურის“, „ფსიქიკურის“, „ჭეშმარიტების“, და სხვათა ცნებები, მაშინ ისიც ნათელი იქნება, რომ ლოგიკური ემპირიზმი ვერ გაექცევა „მეტაფიზიკურ“ პრობლემებს და ასე თუ ისე ან მატერიალისტურად ან იდეალისტურად გადაწყვეტს ამ საკითხებს.

ანდა კიდევ: ფილოსოფიამ უნდა აწარმოოს მეცნიერებათა მიერ წამოყენებული დებულებების ლოგიკური ანალიზი. რას ნიშნავს ეს? იმას, რომ მან უნდა გაარკვიოს და დააზუსტოს ამ დებულებების შინაარსი? მაგრამ თვითონ სპეციალური მეცნიერება აკეთებს ამას: ფიზიკას თვითონ შეუძლია მის მიერ წამოყენებული დებულებების შინაარსის დაზუსტება და გარკვევა. მაშ, საქმე მხოლოდ ამას არ ეხება როგორც ჩანს. საქმე ეხება ამ დებულებების ინტერპრეტაციას; ხოლო ამ შემთხვევაში მსოფლმხედველობის საკითხებს, „მეტაფიზიკურ“ საკითხებს ვერ გავექცევით. და, მართლაც, ლოგიკური ემპირიზმი ვერ გაექცა ამ საკითხებს და პრობლემა სუბიექტურ-იდეალისტურად გადაწყვიტა.

2. რასაკვირველია, ფილოსოფია არ წყვეტს იმ სპეციალურ პრობლემებს, რომლებიც მეცნიერებათა წინაშე დგას და ამ მხრივ ვერ აღმოაჩენს ვერავითარ ჭეშმარიტებას, რომელიც სპეციალურ მეცნიერების კუთვნილებას წარმოადგენს. ფილოსოფია მეცნიერებათა მეთოდოლოგიას წარმოადგენს და მეცნიერება ყოველთვის ამ თუ იმ ფილოსოფიის პრინციპებით ხელმძღვანელობს. მაგრამ აქედან როდი გამომდინარეობს ის, რომ ფილოსოფიას არა აქვს უნარი გამოთქვას თავისი აზრი სამყაროზე და მის საგნებზე, სამყაროს უზოგადეს კანონზომიერებაზე. „მეტაფიზიკური“ პრობლემების უარყოფა ფილოსოფიის უარყოფას ნიშნავს. ლოგიკური ემპირიზმი სიტყვიერად უარყოფს ფილოსოფიას, არსებითად

როგორც ვნახავთ, იგი ცდილობს უარყოს მატერიალისტური ფილოსოფია და სუბიექტურ-იდეალისტური ფილოსოფია განამტკიცოს.

5. ლოგიკა როგორც ენის ლოგიკური სინტაქსი

პოზიტიური მეცნიერება შედგება წინადადებებისაგან. წინადადება ენის ისეთი ფორმაა, რომელიც ან ჭეშმარიტი, ან მცდარია. ლოგიკური ანალიზის მიზანია გაარკვიოს და დაა-ზუსტოს ამ წინადადებათა ნამდვილი აზრი. მარტივი წინა-დადება არის ტრადიციული ლოგიკიდან ცნობილი გარკვეუ-ლი ფორმა: S არის P. (მაგალითი: „სოკრატე არის მოკვდა-ვი"). გამოიყენებენ რა თანამედროვე (მათემატიკური) ლო-გიკიდან—გამოთქმათა აღრიცხვიდან—ძირითად დებულებებს, ლოგიკური ემპირისტები ჩამოაყალიბებენ მოძღვრებას „ჭეშ-მარიტების ფუნქციის" შესახებ.

წინადადებანი შეიძლება გარკვეული წესებით შევაერ-თოთ და მივიღოთ ახალი წინადადებები („გამოთქმები"). ამისათვის საკმარისია წინადადებები, რომლებსაც — გამოი-ყენებენ რა მათემატიკურ ტერმინოლოგიას — ცვალებადებს უწოდებენ, შევაერთოთ ლოგიკური კონსტანტებით. ავიღოთ ორი წინადადება და აღვნიშნოთ ისინი x-ით და y-ით; x და y შეიძლება დავაკავშიროთ ლოგიკური კონსტანტით „და" კავშირით, მივიღებთ: x და y. მაგალითად: „სოკრატე მო-კვდავია" და „დღეს კარგი დარია"; „და" კავშირით შეერთე-ბული ისინი მოგვცემენ ახალ წინადადებას: „სოკრატე მოკვ-დავია და დღეს კარგი დარია".

x-დან შეიძლება მივიღოთ ახალი წინადადება მისი უარ-მყოფი: „არა — x" ($\bar{x}$); შესაბამისად: „სოკრატე არ არის მოკვდავი". ეს უკანასკნელი წინადადება არის „ჭეშმარიტე-ბის ფუნქცია", რადგან მისი ჭეშმარიტების გარკვევა შეიძ-ლება მარტივი წინადადების (x-ის) ჭეშმარიტება-მცდარო-ბიდან: თუ x ჭეშმარიტია, მაშინ — არა-x მცდარია და თუ x მცდარია მაშინ „არა-x" ჭეშმარიტია.

ლოგიკურ კონსტანტებს ეკუთვნის: „და", „ან", „თუ — მაშინ" და სხვ.. ლოგიკურ კონსტანტებს აღნიშნავენ სხვადა-

სხვანაირად, მაგალითად: „და“ აღინიშნება წერტილით (.); $x \cdot y$ (პეტრე წაიქცა პეტრემ თავი გაიტეხა). „ან“-ი აღინიშნება სიმბოლოთი: v (მოწაფე ბეჯითია v მოწაფე ნიჭიერია); „თუ—მაშინ“ კავშირი აღინიშნება სიმბოლოთი ⊃, მაგალითად: $x \supset y$ (წვიმა მოვა ⊃ მიწა დასველდება) და სხვ. დადგენილია წესები, რომელნიც გვიჩვენებენ, როდის არიან ეს გამოთქმები (წინადადებანი) ჭეშმარიტი და როდის მცდარი.

საინტერესო ის არის, რომ შესაძლებელია ერთი და იგივე წინადადება გამოვთქვათ სხვადასხვა საშუალებით; მაგალითად, წინადადება „თუ რკინა გავათბეთ, ის გაფართოვდება“ ექვივალენტურია გამოთქმის: „ან რკინა არ გავათბეთ, ან ის გაფართოვდება“, ე. ი. იმპლიკაცია („თუ — მაშინ“) შევცვალეთ დისიუნქციით („ან“).

ამიტომ შესაძლებელია ყოველთვის ერთი ლოგიკური კონსტანტა მეორის საშუალებით გამოვთქვათ. თუმცა არ ყოფილა აუცილებელი ყველა ლოგიკური კონსტანტის გამოყენება, საკმარისია, მაგალითად, მხოლოდ ორი „და“ და „არა“, ე. ი. კონიუნქცია და უარყოფა[1].

ლოგიკა არის მეცნიერება ამ ლოგიკური კონსტანტების შესახებ, „და“-ზე და „არა“-ზე და მათ კომბინაციებზე. თავისთავად აღებული ასეთი მოძღვრება ლოგიკური ფორმების შესახებ[2] არ წარმოადგენს არც მატერიალიზმს და არც იდეალიზმს. ეს მოძღვრება მიღებულია დღევანდელ მათემატიკურ ლოგიკაში და ის მეცნიერების განვითარების გარ-

---

[1] ჰილბერტი (Гильберт и Аккерман, „Основы теоретической логики“. стр. 27—8) სვამს საკითხს: „. . . не являются ли некоторые из основных логических связей излишними? და უპასუხებს „Ответ утвердителен. Прежде всего . . . . можно обойтись без знака — (ექვივალენტობის ნიშანია) так как связь x ~ y может быть выражена знаками — и a (იმპლიკაცია და კონიუნქცია); знаки — и v также заменимы . . . Знаки—и v брал в качестве основных Фреге. знаки— и .—брал Рассел. Естественнее всего исходить из представления через a и—, как это имеет место в учении о суждении у Брентано“.

[2] ზემოთ განხილულია მხოლოდ ერთი მცირე ნაწილი ამ მოძღვრებისა.

კვეულ მიღწევას წარმოადგენს და პრინციპულად სრულიადაც არ არის დაკავშირებული პოზიტივისტურ მიმართულებასთან, კერძოდ ლოგიკურ ემპირიზმთან. ლოგიკური ემპირიზმი პარაზიტობს მათემატიკურ ლოგიკაზე, ისევე როგორც ის პარაზიტობს მეცნიერების ყველა აღმოჩენებზე.

ლოგიკური პოზიტივიზმი თავისებურ ინტერპრეტაციას აძლევს მათემატიკური ლოგიკის — და საერთოდ ლოგიკის — ძირითად მოძღვრებებს.

ის გარემოება, რომ ლოგიკა გაგებულია როგორც მოძღვრება ლოგიკურ კონსტანტებზე, ჯერ კიდევ არაფერს ეუბნება მის ხასიათზე. რა ხასიათის არის ლოგიკა როგორც მეცნიერება. ლოგიკა, რომელიც ფილოსოფიის არსებას წარმოადგენს და რომლის საშუალებით უნდა მოხდეს მეცნიერებათა ცნებებისა და დებულებების ანალიზი?

რასელი თავის „Principia Mathematica"-ში (1925. გვ. 600) ასე ახასიათებს ლოგიკას: მათემატიკური ლოგიკისათვის (ხოლო ეს არის მისთვის ერთადერთი ნამდვილი ლოგიკა. კ. ბ.) სულ ერთია რას წარმოადგენს ჭეშმარიტება და მცდარობა. ის, რითაც ის არის დაინტერესებული, არის შემდეგი: ყველა გამოთქმა გარკვეული წესების მიხედვით უნდა დაიყოს ორ კლასად, ისეთ ორ კლასად, რომელნიც ერთმანეთს გამორიცხავენ.

გამოთქმათა ერთი კლასი აღვნიშნოთ ჭეშმარიტების ნიშნით, ხოლო გამოთქმათა მეორე კლასი მცდარობის ნიშნით. ვიღებთ მარტივ გამოთქმებს, გამოვიყენებთ ლოგიკურ კონსტანტებს, შევადგენთ ახალ გამოთქმებს — ჭეშმარიტების ფუნქციებს, რადგან ამ ახალი გამოთქმების „ჭეშმარიტება" დამოკიდებულია შემადგენელი გამოთქმების ჭეშმარიტებაზე, დავადგენთ დედუქციური დასკვნის ფორმულას — მაგალითად, „თუ x, მაშინ y" და „თუ y, მაშინ z", ამიტომ „თუ x, მაშინ z" — და ასე აგებულ ლოგიკას გამოვიყენებთ ლოგიკური ანალიზის პროცესში.

გარდა იმ გამოთქმებისა (წინადადებებისა), რომელნიც მიიღება ლოგიკური კონსტანტების საშუალებით, შესაძლე-

ბელია მივიღოთ გამოთქმების ახალი ფორმები — ჰეშმარიტების ფუნქციები — გენერალიზაციის გზით.

გენერალიზაციით მიღებული ახალი გამოთქმები ხასიათდება ქვანტორებით: „ყოველი x-სათვის“ და „არსებობს ისეთი x“. პირველი უნივერსალური წინადადებაა, მეორე კერძოობითი; მაგალითად: წინადადება „ყველა ლითონი ელექტრობის გამტარია“ შემდეგი აზრის შინამქონეა: „ყოველი x-სათვის, თუ x — ლითონია, x ელექტრობის გამტარია“; ხოლო წინადადება „ზოგიერთი ლითონი სითხეა“ გამოითქმის ასე: არსებობს ისეთი x, რომ x ლითონია და x სითხეა“.

დროა დაისვას საკითხი, რა ინტერპრეტაციას აძლევს ლოგიკური ემპირიზმი ლოგიკურ კონსტანტებს, ე. ი. გამოთქმებს „ან“, „თუ — მაშინ“, „და“ და სხვ. ესენი სხვა არაფერია, გარდა ენის ნაწილაკებისა. მათი საშუალებით წინადადებათა შეერთება ემორჩილება სინტაქსის წესებს. ამიტომ მეცნიერების ლოგიკა, რომელიც იკვლევს მეცნიერების ცნებებსა და წინადადებებს, მათ ლოგიკურ ანალიზს აწარმოებს, სხვა არაფერია, გარდა მეცნიერების ენის ლოგიკური ანალიზი. საბოლოოდ, მას ენის ორ ნაწილაკთან — „და“ და „არა“ —სთან და მათ კომბინაციებთან აქვს საქმე.

კარნაპი თავის წიგნის „Logical Syntax“ პირველივე გვერდზე განმარტავს, თუ რას წარმოადგენს ენის ლოგიკური სინტაქსი: „ენის ლოგიკური სინტაქსი არის ამ ენის ლინგვისტური ფორმების ფორმალური თეორია; ეს არის იმ ფორმალური წესების სისტემა, რომელსაც ემორჩილება ენა; გარდა ამისა, ამაში იგულისხმება ის შედეგები, რომლებიც ამ წესებიდან გამომდინარეობენ“.

ენა სიმბოლოების გარკვეული სახეა; წინადადებას გამოვხატავთ სიმბოლოებში. ენის ლოგიკური სინტაქსი დაადგენს წესებს, რომელთა მიხედვით ჩვენ ვაკავშირებთ სიმბოლოებს ერთმანეთთან, რათა მივიღოთ წინადადებები და რომელთა მიხედვით შეგვიძლია ერთი წინადადებიდან მივიღოთ მეორე.

მაგრამ მთავარი აქ ის არის რომ, თურმე, სიტყვების, სიმბოლოების — შეერთების წესები და წინადადებათაგან ახალი წინადადების გამოყვანის წესები სრულიად არ ითვალისწინებენ ამ სიმბოლოებისა და მათი ნაერთების—წინადადებების — მნიშვნელობას.

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი ლოგიკა აშენდება ამ გზით, როგორ დავადგინოთ სწორი წესები, თუ სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობას არ მივაქცევთ ყურადღებას და სხვ., გარკვევას მოითხოვს. ამ საკითხების გარკვევის შემდეგ აღმოჩნდება, თუ რამდენად „წინ წავიდა" ლოგიკური ემპირიზმი სუბიექტივიზმის, აგნოსტიციზმისა და რელატივიზმის გზით მახიზმთანაც კი შედარებით. ჯერ-ჯერობით კი გავერკვიოთ იმ დებულებებში, რომლებიც წამოყენებულია ლოგიკური ემპირისტების მიერ.

1. როგორც ვნახეთ ლოგიკური ემპირიზმი გამოიყენებს რა ფორმალურ ლოგიკას—კერძოდ მათემატიკურ ლოგიკას—მას გარკვეულ ინტერპრეტაციას აძლევს. ლოგიკისათვის სულერთია რა იგულისხმება ჭეშმარიტებისა და მცდარობის ცნებებში. მისთვის, თურმე, მთავარია წინადადებების გაყოფა ორ კლასად, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავენ. ჭეშმარიტების საკითხზე ქვემოთ მოგვიხდება მსჯელობა, ეხლა ჩვენ გვაინტერესებს მეორე საკითხი, საკითხი ლოგიკის არსების შესახებ.

როგორ უნდა გადაწყდეს საკითხი, ლოგიკას მართლაც არ აინტერესებს ჭეშმარიტების საკითხი?

რომ ფორმალური ლოგიკა — კერძოდ მათემატიკური ლოგიკა — არ არის ჭეშმარიტების თეორია, ეს ჩვენთვის უდავოა: ჭეშმარიტების საკითხი შემეცნების თეორიის საკითხია; დიალექტიკის თეორია, რომელიც შემეცნების თეორიასაც შეიცავს და გარკვეული აზრით არის შემეცნების თეორია, ჭეშმარიტების საკითხსაც არკვევს.

მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ლოგიკას არ ჰქონდეს არავითარი კავშირი ჭეშმარიტების პრობლემასთან: ლოგიკა სწავლობს აზროვნების ლოგიკურ ფორმებს—ცნებას, მსჯე-

ლობას, დასკვნას, რომლებიც სინამდვილეს ასახავენ, რომელთა საშუალებით მოიპოვება ყველაზე ღირებული, მნიშვნელოვანი ცოდნა. ამ ფორმებს შემეცნებითი მნიშვნელობა აქვთ, ლოგიკური აზროვნება აუცილებელი პირობაა მეცნიერული შემეცნებისა და მის გარეშე მეცნიერება არ და ვერ აშენდება. ამდენად ლოგიკა ჭეშმარიტების პრობლემასთან არის დაკავშირებული. მართალია, მხოლოდ ლოგიკის პრინციპების საშუალებით ვერ გადაწყდება საკითხი ამა თუ იმ დებულების ჭეშმარიტებისა თუ მცდარობის შესახებ, მაგრამ მეორე მხრით, ვერც ლოგიკური ფორმებისა და ლოგიკის პრინციპების გარეშე შეუძლია აზროვნებას დაადგინოს ჭეშმარიტი დებულება.

მართალია, ლოგიკა ლოგიკურ ფორმებს სწავლობს—ლოგიკური ფორმა კი არის აზრის ელემენტების შეკავშირების წესი,— მაგრამ ნუთუ ლოგიკამ არ უნდა დასვას საკითხი ამ წესების ჭეშმარიტების შესახებ. მათემატიკურ ლოგიკაში გამოყენებულია დასაბუთების ფორმალიზაციის მეთოდი. ამისათვის გარკვეული თეორიის აქსიომები დადგინდება და ჩაიწერება თავისებური ფორმულებით, რომელთათვის გამოყენებულია გარკვეული სიმბოლიკა. დადგენილია დასკვნის წესები; ეს წესები ფორმალურია, ე.ი. დასაბუთების სისწორის შემოწმებისათვის საკმარისია დარწმუნება, რომ ფორმულები გარკვეული ნიშნებისაგან შედგება და გარკვეული წესრიგით არიან დალაგებულნი. მაგრამ თუ აქსიომები და დასკვნის წესები არ არიან ჭეშმარიტნი, მაშინ არც მათი გამოყენებით მიღებული დებულებათა შენობა იქნება ჭეშმარიტი.

ლოგიკური ემპირიზმი, როგორც დავინახავთ, არ აქცევს ყურადღებას ამოსავალი აქსიომებისა და დასაბუთების წესების ჭეშმარიტებას: სიტყვათა შეკავშირების და წინადადებებისაგან ახალი წინადადების გამოყვანის წესები, მისი თვალსაზრისით, ნებისმიერია. ეს კი არა მხოლოდ ლოგიკის, არამედ საერთოდ შემეცნების, მეცნიერების უარყოფას წარმოადგენს. ამაზე დაწვრილებით ქვემოთ.

2. გამოთქმების ორ კლასად დაყოფა, რომელნიც ერთმანეთს გამორიცხავენ, სრულიადაც არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ჭეშმარიტებისა და მცდარობისათვის. და თუ ლოგიკური ემპირისტები გამოთქმათა ერთ კლასს ჭეშმარიტს უწოდებენ, ხოლო მეორე კლასს მცდარს, ეს მხოლოდ სახელებია, გარეგანი ნიშნაკებია, და მათ სრულიადაც არა აქვთ ჭეშმარიტებისა და მცდარობის მნიშვნელობა. რა საფუძველს ეყრდნობა ლოგიკური ემპირიზმი გამოთქმების ორ კლასად დაყოფისას? იმას, რომ ისინი ერთმანეთს გამორიცხავენ? მაგრამ ეს საფუძველი ხომ არაფერს გვაძლევს ჭეშმარიტების მცდარობისაგან განსხვავებისათვის. ის მხოლოდ ჭეშმარიტებისა და მცდარობის სიტყვებით ასახელებს ამ ორ კლასს. გამოთქმების ორ კლასად დაყოფის პრინციპი გამოთქმების სხვა ორ კლასსაც გამოადგება: მაგალითად, შესაძლებელი — შეუძლებელი, ცნობილი — უცნობი და სხვ.. მაგრამ ასეთ დაყოფას სრულიადაც არა აქვს საქმე ჭეშმარიტება-მცდარობასთან და გარდა ამისა არა აქვს საქმე ლოგიკასთან. ასეთი დაყოფა წმინდა ფორმალისტურია და მის საფუძველზე არავითარი ლოგიკა არ აიგება.

3. მთელი ამ წამოწყების უაზრობა ნათელი ხდება, თუ გავიხსენებთ, რომ „ლოგიკა ფილოსოფიის არსებას“ წარმოადგენს. ფილოსოფია, რომელიც ყურადღებას არ აქცევს ჭეშმარიტებას, რომელსაც არ აინტერესებს ჭეშმარიტება, არ არის ფილოსოფია, არ არის საერთოდ მეცნიერება. ის წმინდა ნიჰილისტური მიმართულებაა ფილოსოფიაში.

4. ერთ გარემოებასაც უნდა მიექცეს ყურადღება. მართალია, ე. წ. ლოგიკური კონსტანტები ენობრივად გარკვეულ ნაწილაკებში გამოიხატება, მაგალითად „და“, „ან„ „თუ — მაშინ“ და ისიც მართალია, რომ ფორმალურად ამ ნაწილაკების დაყვანა შეიძლება „და“-ზე და „არა“-ზე. მაგრამ ეს ნაწილაკები სინამდვილეს, საგნებს ეხება. „და“ და „არა“ საგნებს ეხება. კონიუნქციისა და ნეგაციის გამომხატველი ენის ნაწილაკები სინამდვილის ვითარებას აღნიშნავენ. ჯერ კიდეკ არისტოტელე აღნიშნავდა ამ გარემოებას და სრულიად სამარ-

თლიანად, რომ ჭეშმარიტებას ფლობს ის, ვინც აზრებში აკავშირებს (კონიუნქცია) ისე, როგორც სინამდვილეში არიან დაკავშირებული საგნები და თიშავს (ნეგაცია) ისე, როგორც საგნები გათიშულია სინამდვილეში; შეცდომაში ვარდება ის, ვინც აზრში აკავშირებს იმას, რაც სინამდვილეში გათიშულია, ხოლო აზრში თიშავს იმას, რაც სინამდვილეში დაკავშირებულია. „და" და „არა" სინამდვილით განსაზღვრულია. და ამიტომ შეუძლებელია ლოგიკის ენის სინტაქსად გადაქცევა მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი ენის ნაწილაკებს წარმოადგენენ[1].

ნ. გაგრძელება. ლოგიკა როგორც ენის სინტაქსი

ლოგიკა არის ენის სინტაქსი. ეს იმას ნიშნავს ლოგიკური ემპირიზმის თვალსაზრისით (კ ა რ ნ ა პ ი), რომ ლოგიკა დაადგენს ენის წესებს, სახელდობრ, სიმბოლოების (სიტყვების) შეერთებისა და წინადადებათა კავშირის, ერთმანეთიდან გამომდინარეობის წესებს, არ აქცევს რა ყურადღებას ამ სიტყვებისა და წინადადებების მნიშვნელობას.

მაგრამ რა გვაძლევს ჩვენ იმის გარანტიას, რომ სიტყვების შეერთებისა და წინადადებათა ერთმანეთიდან გამომდინარეობის წესები ჭეშმარიტია, თუ ჩვენ არ ვიცით ამ სიტყვებისა და წინადადებათა მნიშვნელობა.

გრამატიკის თვალსაზრისით შესაძლებელია ჩვენ ვაბრუნოთ წესიერად რომელიმე სიტყვა, რომლის მნიშვნელობა ჩვენ არ ვიცით, შევადგინოთ წინადადება უაზრო, მაგრამ გრამატიკის თვალსაზრისით მართებული. მაგრამ, როდესაც ჩვენ წინადადებებს ვაკავშირებთ გარკვეული ახალი წინადა-

---

[1] ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი P. Linke—ფენომენოლოგიური სკოლის ყოფილი მიმდევარი—დღეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პროგრესულ ფილოსოფოსთა ჯგუფს ეკუთვნის (იხ. Deutsche Zeitschrift f. Philosophie. H. 2.) მკაცრად აკრიტიკებს ლოგიკური პოზიტივიზმიერ ლოგიკური „კონსტანტების ინტერპრეტაციას და წერს; რომ „Nicht" და „und" საგნებს ეხება—და რომ „Negation und Konjunktion in der realen Welt selbst ihren Platz haben" (Zeitschrift f. philosofische Forschung 1949. B. III. H. 3 გვ. 544.

დებების (მსჯელობის) მისაღებად, გარკვეული ახალი აზრის მისაღებად, ჩვენ ამ წინადადებების (მსჯელობების) ზ ო გ ა-დ ი მნიშვნელობა მაინც უნდა გვესმოდეს. მაგალითად, როდესაც ჩვენ გამოგვყავს დებულება სოკრატეს მოკვდაობის შესახებ დებულებიდან, რომ „ყველა ადამიანი მოკვდავია" ჩვენ შეიძლება არ გვესმოდეს „ადამიანის", „მოკვდავობის" „სოკრატეს" მნიშვნელობა, მაგრამ უნდა გვესმოდეს ის გარემოება, რომ რაღაც საგანი, რომელსაც „სოკრატეს" სახელით აღვნიშნავთ შედის საგანთა კლასში, რომელსაც „ადამიანის" სიტყვით აღვნიშნავთ, რომ საგანთა ამ კლასს ახასიათებს ნიშანი „მოკვდავობისა". საგანთა ამ კლასების (ანდა საგანთა ნიშნების) დამოკიდებულებების მნიშვნელობათა გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავაკავშირებთ ამ სიტყვებსა და წინადადებებს ერთმანეთთან, ერთი წინადადებიდან მეორეს ვერ მივიღებთ. სინტაქსური წესები აქ უძლურია: აქ სიტყვებისა და წინადადებათა მხოლოდ გრამატიკული წესებით დაკავშირებას კი არა აქვს ადგილი, არამედ აზრების კავშირს აქვს ადგილი და აზრების ლოგიკური დაკავშირება აზრის მნიშვნელობის გარეშე, ე.ი. უაზროდ შეუძლებელია.

ჩვენ მივედით ლოგიკური ემპირიზმის ყველაზე დამახასიათებელ თვალსაზრისამდე. ჩვენ დავსვით საკითხი: რა გვაძლევს ჩვენ იმის გარანტიას, რომ წინადადებათაგან ახალი წინადადებების გამოყვანის წესები ჭეშმარიტია, მართებულია?

ლოგიკური ემპირიზმი გარკვეულ პასუხს გვაძლევს ამ კითხვაზე: არ არსებობს არავითარი ჭეშმარიტი ლოგიკა. ლოგიკაში ტოლერანტობის პრინციპი („принцип терпимости") ბატონობს. „ლოგიკაში არ არსებობს მორალი. თვითეულს შეუძლია თავისი ლოგიკა, ე.ი. მეტყველების ფორმა ააგოს ისე, როგორც მას სურს"[1].

ლოგიკაში, თურმე, წინადადებათა აგების, პოსტულატები-

---

[1] Carnap. Logische Syntax d. Sprache. 1934. გვ. 44 დაშ. „Jn der Logik gibt es keine Moral. Jeder mag seine Logik, d. h. seine Sprachform, aufbauen, wie er will".

სა და დასკვნის გამოყვანის წესების დადგენა ნებისმიერია, მათ ლოგიკოსი შეარჩევს თავისი სურვილის მიხედვით. შევარჩევთ რა ამ პოსტულატებსა და წესებს ნებისმიერად, ამის საფუძველზე დავადგენთ თუ რა მნიშვნელობა მივცეთ ლოგიკურ სიმბოლოებს, ლოგიკურ კონსტანტებს.

ეს წესები განსაზღვრავენ იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობს მეცნიერება. რასაკვირველია, ამიტომ ლოგიკურ ფორმებს, ლოგიკის კანონებს არა აქვთ არავითარი კავშირი სინამდვილესთან, ისინი შეთანხმების შედეგია. ისევე როგორც ჩვენ შევთანხმდით გარკვეულ საგანს „მაგიდა" ვუწოდოთ,— შეგვეძლო სხვა სახელი გვეწოდებია და სხვა ენებში მას, ამ საგანს მართლაც სხვა სახელი ჰქვია,—ისევე შეთანხმების საფუძველზე დავადგენთ ლოგიკის ამა და ამ კანონს, შეგვეძლო სხვა კანონი დაგვედგინა.

ამ თეორიის სწორი გაგებისათვის შევადაროთ მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი ლოგიკურ ფორმებზე და კანონებზე ლოგიკური ემპირიზმის თვალსაზრისს.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით ლოგიკური ფორმები სინამდვილის გარკვეულ ასახვას წარმოადგენენ; ლოგიკური აზროვნების კანონზომიერება სხვა არაფერია, გარდა სინამდვილის, ყოფიერების კანონზომიერებისა, რომელიც გადმოტანილია და გადამუშავებულია ცნობიერებაში. ადამიანის პრაქტიკის მილიარდჯერ განმეორების შედეგად ჩვენს ცნობიერებაში გაჩნდა ლოგიკური ფორმები, კანონები, რომლებიც საგანთა და მოვლენათა მიმართებებსა და კავშირებს ასახავენ. ამიტომ, ცხადია, რომ მათ ობიექტური ხასიათი აქვთ.

ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით ლოგიკური კანონზომიერება ადამიანთა ნებისმიერ დადგენას წარმოადგენს, მას არავითარი კავშირი სინამდვილესთან არა აქვს; ის ენის წესებს წარმოადგენს, ადამიანთა შეთანხმების შედეგია. „ლოგიკური კანონები საერთოდ სრულიად არ ეხებიან სინამდვილეს და საგნებს, მათ მხოლოდ ენასთან აქვთ კავ-

შირი" წერს ლოგიკური ემპირიზმის ერთ-ერთი წარმომადგენელი[1].

შემდეგ: „ამიტომ ეს კანონები, საბოლოოდ, სინტაქსურ წესებს წარმოადგენენ, წესებს, რომლებიც განსაზღვრავენ ლოგიკური ნაწილაკების ხმარების პირობებს, და ა მ ი ტ ო მ, რ ო გ ო რ ც ყ ო ვ ე ლ ი ვ ე, რ ა ც ე ნ ა ს ე ხ ე ბ ა, კ ო ნ ვ ე ნ ც ი ი ს ს ა ქ მ ე ს წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს"[2].

იმისათვის, რომ ხაზი გაუსვან იმას, რომ ლოგიკური კანონები შეთანხმების შედეგია, ლოგიკური ემპირისტები მიმართავენ ანალოგიებს. ეს კანონები ისეთივე შეთანხმების შედეგია, როგორც ცელსიუსისა და რეომიურის მიერ ტემპერატურული შკალის დაყოფა ასზე ან ოთხმოცზე: არც ერთი და არც მეორე არ ასახავს სინამდვილეს, არც ერთი და არც მეორე არ არის ობიექტურად აუცილებელი; ერთიც და მეორეც შეთანხმებით, პირობით, ნებისმიერად არის შერჩეული.

„ლოგიკური კანონები წარმოიშვნენ შეთანხმებიდან, ამ შეთანხმების საფუძველზე ჩვენ ვაწარმოვებთ განსაზღვრებებს, თუ რა უნდა მივიჩნიოთ გამოთქმად, რა მივიჩნიოთ ჭეშმარიტად"[3].

და კიდევ: „გამორიცხული მესამის კანონს არა აქვს მეტი შნიშვნელობა ვიდრე დეკადური სისტემას: ის არ არის მეტად აუცილებელი, ვიდრე ის დებულება, რომ 99-ის შემდგომი მთელი რიცხვი უნდა სამი ციფრით დაიწეროს"[4].

ამაზე ნათლად ლოგიკური ემპირიზმის თვალსაზრისს კარნაპიც ვერ გამოთქვამდა.

ის გარემოება, რომ 99-ზე მეტი რიცხვი უსათუოდ სამი ციფრით გამოიხატება, სრულიადაც არ გამოხატავს რაიმე ობიექტურს: ის ჩვენ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, კერ-

---

[1] Rougier. „La relativite de la logic". The journal of Unified Science. 1939. Vol. VIII. № 4. ss. 201.

[2] იქვე.

[3] იქვე.

[4] იქვე.

ძოდ, რიცხვთა აღნიშვნის დეკადურ სისტემაზე; შესაძლებელია სხვა სისტემა ყოფილიყო ჩამოყალიბებული.

თურმე ამგვარი ხასიათის ყოფილა აზრის ლოგიკური კანონიც. და ყველაზე საინტერესო კიდევ ის არის, რომ ამ ნებისმიერად მიღებულ ლოგიკური პრინციპების საფუძველზე „ჩვენ განვსაზღვრეთ, რას უწოდოთ გამოთქმა, რას უწოდოთ ჭეშმარიტება“ და სხვ.

როგორც შევთანხმდებით, ისეთ პრინციპებს ავირჩევთ, ერთს ერთი ექნება არჩეული, მეორეს—მეორე, მესამეს კიდევ—მესამე, ერთი ერთ ლოგიკას აარჩევს, მეორე—მეორეს და ასე შემდეგ: ერთისათვის ერთი იქნება ჭეშმარიტი, მეორისათვის—მეორე; იარსებებენ ლოგიკის განსხვავებული სისტემები — საჭიროა მხოლოდ შერჩეული პრინციპების მიხედვით იქნეს აგებული სისტემა; ამ განსხვავებული ლოგიკის სისტემებით იქნება წარმოებული მეცნიერებათა ლოგიკური ანალიზი.

საკითხავია, ვინ არის მართალი. ვის მხარეზეა ჭეშმარიტება? თუ ჭეშმარიტება გავიგეთ როგორც სინამდვილის ადეკვატური ასახვა, ცხადია, არავის მხარეზე არ იქნება ჭეშმარიტება, არავინ არ იქნება მართალი. მაგრამ ლოგიკურ ემპირიზმს არც სურს ჭეშმარიტება გაიგოს როგორც სინამდვილის ასახვა. ამიტომ ყველა მართალია: ლოგიკაში ხომ არ არსებობს მორალი: თვითეულს შეუძლია თავისი ლოგიკა ააგოს, ე. ი. ააგოს თავისი ენის ფორმა, როგორიც მას სურს. ვინ არის მართალი? და ყველა მართალია, რადგან ყველა თ ა ვ ი ს ე ნ ა ზ ე ლ ა პ ა რ ა კ ო ბ ს.

„ვენის წრის“ მეთაური მ. შლიკი ასე განმარტავდა ფილოსოფიის რაობას: 1. ლოგიკის პრინციპები ფილოსოფიის პრინციპებია, რადგან ლოგიკა არის ფილოსოფიის არსება; 2. ლოგიკის საგანი ენაა; 3. ლოგიკის პრინციპები ენის პრინციპებია, რომლებიც არაფერს ამბობენ და არც შეუძლიათ რაიმე თქვან სინამდვილეზე; ეს ის პრინციპებია, რომელთა საშუალებით ჩვენ ვაფორმებთ სიტყვებიდან წინადადებებს და გადავდივართ ერთი წინადადებიდან მეორეზე.

ეს პრინციპები — ის, რასაც აზროვნების კანონებს უწო-

დებენ, განაგრძობს „ვენის წრის“ უკანასკნელი წარმომადგენელი ვ. კრაფტი,— დადგენილებებია. აზროვნება თვითონ დაადგენს მათ და რადგან დაადგენს, ამიტომ ემორჩილება ამ პრინციპებს. ამრიგად, აზროვნების კანონები — ეს არის ჩვენ მიერ და ჩვენთვის ნებისმიერად დადგენილი კავშირები და მიმართებანი. უფრო მარტივად: ლოგიკურ კანონებს ისეთივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც თამაშის წესებს. თამაშის წესები — მაგალითად, ჭადრაკის ან ქაღალდის თამაშის წესები, — რასაკვირველია, არ ასახავენ სინამდვილის მოვლენების რაიმე კანონზომიერებას; ისინი ჩვენ მიერ შექმნილი წესებია. მაგრამ, თუ ჩვენ მივიღეთ ეს წესები, შევთანხმდით მათ შესახებ, ცხადია, თამაშის დროს ამ წესებს უნდა დავემორჩილოთ. ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ ეს წესები, შევქმნათ ახალი, უკუვაგდოთ ძველი, ე. ი. შეკცვალოთ თამაში და შევქმნათ თამაშის ახალი სახე.

აბსოლუტური რელატივიზმი და ვოლუნტარიზმი—ასეთია ლოგიკური ემპირიზმის კონცეფცია; მაგრამ იბადება საკითხი, ნუთუ ლოგიკური ემპირიზმი არ სვამს ჭეშმარიტების საკითხს; მართალია, ზემონათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ ლოგიკური ემპირიზმი უარყოფს ჭეშმარიტების გაგებას, როგორც სინამდვილის ადექვატურ ასახვას, უარყოფს ამიტომ ფილოსოფიასაც და მეცნიერებასაც, დგას აგნოსტიციზმისა და რელატივიზმის თვალსაზრისზე. მაგრამ რაღაც კონცეფცია ხომ უნდა წამოაყენოს მან ჭეშმარიტების შესახებ, ის ხომ მეცნიერების ახალ თეორიას გვთავაზობს, მეცნიერული ცნებებისა და დებულებების ლოგიკურ ანალიზს ახდენს. როგორ ესმის ლოგიკურ ემპირიზმს ჭეშმარიტების ცნება და როგორ ესმის მას საერთოდ შემეცნება, მეცნიერება?

7. ჭეშმარიტების თეორია. მეცნიერების თეორია

ლოგიკური ემპირისტების მთელი ენერგია მიმართულია ასახვის თეორიის წინააღმდეგ. ძველი და ახალი არგუმენტე-

ბი გამოყენებულია იმისათვის, რომ როგორმე დაასაბუთონ ასახვის თეორიის უსაფუძვლობა.

რომ ჭეშმარიტების ნამდვილი ცნება მთლიანად განდევნილია ფილოსოფიიდან და მეცნიერებიდან ეს უკვე ცხადი უნდა იყოს ზემონათქვამიდან. თუ ლოგიკა, ე. ი. ენის ფორმა დამოკიდებულია ჩვენზე, ჩვენ ვქმნით მას და ვაძლევთ მას ისეთ ფორმალურ სტრუქტურას, რომელიც ჩვენ გვინდა, თუ ლოგიკური კანონები თამაშის წესებს წარმოადგენენ, ცხადია ჭეშმარიტებაზე ზედმეტია ლაპარაკი: თამაშის წესები არც ჭეშმარიტია და არც მცდარი; ისინი შეიძლება მეტად ან ნაკლებად ხელსაყრელი იყოს და არა ჭეშმარიტი (ან მცდარი). ამ წესებით აგებული ფილოსოფია და მეცნიერებაც ჭეშმარიტებისა და მცდარობის გარეშე იქნება.

როგორც უკვე ვიცით, ლოგიკური ემპირისტები იმიტომ უწოდებენ თავის კონცეფციას ემპირიზმს, რომ მათი აზრით შემეცნების ერთადერთი წყარო არის ცდა (ემპირია). ისიც გავარკვიეთ, რომ ცდაში მათი თვალსაზრისით იგულისხმება გრძნობათა მონაცემი (sense data), ე. ი. შეგრძნებები.

მეცნიერება შენდება ამ მონაცემთა საფუძველზე, ასეთია პოზიტიური მეცნიერება. ეს მეცნიერება შედგება გარკვეული ცნებებიდან და წინადადებებიდან. ჭეშმარიტება შეიძლება ალმოაჩინოს და დაადგინოს მხოლოდ პოზიტიურმა მეცნიერებამ; რაც შეეხება ფილოსოფიას, მას არა აქვს უნარი ახალი ჭეშმარიტების დადგენის, ის მეცნიერებათა მიერ წამოყენებულ დებულებების ლოგიკურ ანალიზს ახდენს და ამით სისტემაში მოიყვანს მეცნიერებათა დებულებებს.

დამთავრდა ის დრო, როდესაც ფილოსოფოსები მეტაფიზიკურ სისტემებს ქმნიდნენ და ეგონათ, რომ ახალ ჭეშმარიტებებს დაადგენენ. მეცნიერების ზუსტი მეცნიერული მეთოდი — აი ერთად-ერთი გზა მეცნიერების აგებისა.

ეყრდნობა რა გრძნობათა მონაცემს, მეცნიერებამ უნდა წამოაყენოს ისეთი დებულებები, რომელთა შემოწმება, გამართლება (verification) არის შესაძლებელი. „დებულების აზრი მდგომარეობს მის შემოწმებაში, მის გამართლება-

ში; დებულებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, თუ მისი გამართლება შეიძლება". დებულების გამართლება უნდა ხდებოდეს ცდის საშუალებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა შეგვეძლოს იმის გარკვევა, თუ რ ა ც დ ი ს საშუალებით დავადგენთ, არის წამოყენებული დებულება ჭეშმარიტი თუ მცდარი. რაიმე დებულების ჭეშმარიტება და მისი გამართლების მეთოდი (method of verification) ერთი და იგივეა.

როგორ უნდა მოვახდინოთ დებულების გამართლება? მე მაქვს გარკვეული ცდა (ე. ი. შეგრძნებები, გრძნობათა მონაცემები); მაქვს წამოყენებული გარკვეული დებულება; იბადება საკითხი არის თუ არა ეს დებულება ჭეშმარიტი. თუ ჩემი ცდა არ შეიცვლება იმისდა მიუხედავად, მივიჩნევ მე ამ დებულებას ჭეშმარიტად, თუ მცდარად, მე დავადგენ რომ ამ დებულებას არავითარი აზრი არა აქვს, ის უაზრო, მეტაფიზიკური დებულებაა და იგი მეცნიერებიდან, ცოდნიდან საერთოდ, უნდა იყოს განდევნილი.

მატერიალისტები და იდეალისტები ისეთ დებულებებს წამოაყენებენ, რომელთა ვერიფიკაცია ცდაში შეუძლებელია: ცდა არ იცვლება, მივიღებთ ჩვენ მატერიალისტების დებულებას თუ იდეალისტებისას.

შლიკის მაგალითი ვარდის შესახებ საკმაოდ კარგ ილუსტრაციას გვაძლევს წამოყენებული პრინციპის გასაგებად. ვარდს სასიამოვნო სუნი აქვს. მატერიალურია ვარდი, თუ სულიერი? ჩემ ცდაში არაფერი შეიცვლება, მას სასიამოვნო სუნი ექნება, გრძნობათა მონაცემი ამას ამართლებს, სულ ერთია მატერიალურია ვარდის არსება თუ სულიერი. და თუ ცდა არ იცვლება, ერთს დაუშვებთ თუ მეორეს, ცხადია დებულება ვარდის მატერიალობისა თუ სულიერი ხასიათის შესახებ უაზროა, მეტაფიზიკურია, მეცნიერებიდან ამოსაგდებია.

გრძნობათა მონაცემი, არ იცვლება იმის მიხედვით, წამოვაყენებთ ჩვენ დებულებას სამყაროს მატერიალობის შესახებ, თუ მის იდეალობის (სულიერობის) შესახებ; ფი-

ლოსოფიის ძირითადი საკითხი ასე გადაწყდება თუ ისე —ეს არაფერს ცვლის ცდაში, შეგრძნებებში, გრძნობათა მონაცემში. ამიტომ მატერიალიზმის დებულებაც, რომ სამყარო მატერიალურია, ისევე როგორც იდეალიზმის დებულება, რომ სამყარო იდეალურია, უაზრო, მეტაფიზიკური დებულებაა.

მაგრამ, თუ სამყაროს მატერიალობის შესახებ დებულება ისევე, როგორც სამყაროს იდეალობის შესახებ უაზროა, მეტაფიზიკურია, რა უნდა ვთქვათ სამყაროზე, როგორ უნდა გადავწყვიტოთ საკითხი ობიექტური სინამდვილის შესახებ? პასუხი ლოგიკური ემპირიზმის მიერ უკვე გაცემულია: საკითხი ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური სინამდვილის შესახებ მოხსნილია, ეს საკითხი მეტაფიზიკურია და ამიტომ ყოველივე დებულება მის შესახებ გამოთქმული უაზრო დებულებაა.

ამრიგად, ლოგიკური ემპირიზმი ცდილობს დაასაბუთოს დებულება: საკითხი სამყაროს მატერიალობისა და იდეალობის შესახებ მოხსნილია როგორც პოზიტიურ მეცნიერებაში ისე ფილოსოფიაში; მეტიც: საკითხი მისი არსებობისა თუ არარსებობის შესახებ აგრეთვე მოხსნილია, როგორც ფსევდოპრობლემა, მცდარად დასმული საკითხი. ჩვენ გვაქვს გრძნობათა მონაცემები, შეგრძნებები და მათგან ვაშენებთ იმას, რასაც მეცნიერება სინამდვილეს უწოდებს, სინამდვილეს, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს იმასთან, რასაც გულუბრყვილო ადამიანი მისგან დამოუკიდებელ სინამდვილეთ თვლის.

ლოგიკურ ემპირისტებს არ უნდათ იმის შემჩნევა, რომ მათი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სინამდვილე შენდება შეგრძნებებიდან, რომ ჩვენ ვაშენებთ ლოგიკური კონსტრუქციებით სინამდვილეს, რომ მათი დებულება, თითქოს „სულიც და მატერიაც წარმოადგენენ მხოლოდ ხელსაყრელ ხერხებს შეგრძნებათა დაჯგუფებისათვის“ (Russel. Historie of Western philosofhie. გვ. 860 — 61), ნამდვილად ობიექტური სამყაროს არსებობის უარყოფას წარმოადგენს და ამდენად

გარკვეულ პასუხს აძლევს ფილოსოფიის ძირითად საკითხს, პასუხს იდეალისტურს და ამიტომ მეტაფიზიკურს. შემთხვევითი როდია, რომ გრძელი და დახლართული მსჯელობის შემდეგ, რომლითაც ეს ფილოსოფოსები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ ისინი არც მატერიალისტები არიან და არც იდეალისტები, რომ ერთიც და მეორეც მიმართულებაც უაზროა, მეტაფიზიკურია, ძალაუნებურად გამოამჟღავნებენ აშკარად თავის იდეალიზმს. ასე, მაგალითად, ვიტგენშტეინი გრძელი მსჯელობის შემდეგ გამოაცხადებს, რომ, რასაკვირველია, მისი თვალსაზრისი სოლიფსიზმია; ასევე, კარნაპი ასეთივე გრძელი და გაუგებარი მსჯელობის შედეგად მორცხვად აღიარებს, რომ მისი პოზიცია „მეთოდურ სოლიფსიზმს" წარმოადგენს.

ის ვინც შეგრძნებებს ეყრდნობა და მხოლოდ მათ არსებობას აღიარებს და ფიქრობს, რომ მათგან შენდება მეცნიერების სინამდვილე, ის ვერ გაექცევა სუბიექტურ იდეალიზმსა და აგნოსტიციზმს, რადგან უკვე ეს დებულება არის სუბიექტური იდეალიზმი და აგნოსტიციზმი[1].

გასაგები უნდა იყოს, რომ ლოგიკური ემპირიზმი ვერ გაიზიარებს ასაზვის თეორიას, რომ მან ჰეშმარიტების იდეალისტური და აგნოსტიკური თეორია უნდა წამოაყენოს.

როგორ შენდება მეცნიერება, როგორია მეცნიერების არსება და მიზანი — ასეთია საკითხები, რომლებიც უნდა გადაწყვიტოს ემპირიზმმა და ამასთან დაკავშირებით გაირკვევა ჰეშმარიტების საკითხიც. პირველ რიგში ყურადღება უნდა მიექცეს ლოგიკური ემპირიზმის მოძღვრებას „ოქმების", „პროტოკოლურ დებულებების" (Protokolsätze) შესახებ.

---

[1] თავისებურად გამოთქვამს სუბიექტური იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის პრინციპს ერთ-ერთი გერმანელი ლოგიკური ემპირისტი: „Wir können aus unserer Haut nicht heraus und die wirklichkeit erfassen". („ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი კანიდან ამოვხტეთ და სინამდვილე შევიცნოთ").

„პროტოკოლური დებულებების“-ს ცნება არ არის ლოგიკური ემპირისტების მიერ ერთმნიშვნელოვნად გარკვეული: ერთი მხრით ამ ცნებაში იგულისხმება მხოლოდ აღქმები წინადადებებში გამოხატული. ასე ჰქონდა განმარტებული ამ ცნების შინაარსი მ. შლიკს. ამ დებულებებს უნდა ეყრდნობოდეს მეცნიერება, რომელიც, გამოიყენებს რა ლოგიკურ პრინციპებს, მოაწესრიგებს მათ და ერთ მთლიან სისტემას შექმნის. თუ დავაკვირდებით ამ აზრს, ნათელი გახდება, რომ ამ შემთხვევაში შლიკი მახიზმის პრინციპს იმეორებს: მეცნიერების მიზანია მოაწესრიგოს შეგრძნებები. მაგრამ იმ დროს, როდესაც მახიზმი შეგრძნებათა მოწესრიგების პრინციპებად „ეკონომიის“ პრინციპს აღიარებდა, შლიკი უარყოფს ამ პრინციპს, მაგრამ მის შემცველ პრინციპს არ ასახელებს.

შლიკის მიმდევრები კარნაპი და ნეირატი საბოლოოდ გაარკვევენ ამ პრინციპებს. ჯერ-ერთი „პროტოკოლურ დებულებად“ უნდა მივიჩნიოთ ყოველი დებულება; მათი შერჩევა არავითარი პრინციპით არ არის განსაზღვრული. ის ჩვენზეა დამოკიდებული, ჩვენს სურვილზე და ნებაყოფლობაზე. ყოველი დებულება შეიძლება გამოვაცხადოთ „პროტოკოლურ დებულებად“. ამ დებულებებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს ობიექტურ სინამდვილესთან. და თუ მეცნიერები შეარჩევენ გარკვეულს, ამასა და ამას და არა სხვა დებულებებს, რომლებზედაც დაყრდნობით ისინი აშენებენ მეცნიერებას. ეს გაპირობებულია არა იმით, რომ ეს დებულებები სინამდვილით არიან განსაზღვრულნი, არამედ მხოლოდ მათი შეთანხმებით.

ამრიგად: ერთის მხრით, ნებისმიერად გვაქვს შერჩეული დებულებები. მეორეს მხრით, დადგენილი გვაქვს ლოგიკური კანონები; არც პირველთ, არც მეორეებს არა აქვთ კავშირი ობიექტურ სინამდვილესთან. პირველები გამოხატავენ ჩვენ შეგრძნებებს, ისიც არა ყველას. არამედ ჩვენი ნება-სურვილით შერჩეულს; მეორენი ჩვენ მიერ არიან დადგენილნი — ყველას შეუძლია დაადგინოს თავისი ლოგიკა, ენის თავისი

ფორმა. ისინი ჩამოყალიბებულნი არიან აქსიომების სახით ისე, რომ შერჩეული დებულებები დააკავშირონ ერთმანეთთან, ერთ მთლიან დედუქციურ სისტემად შეკრან.

ასეთი სისტემა წარმოადგენს მეცნიერებას.

იბადება საკითხი, რას ასახავს ასეთი მეცნიერული სისტემა? ასახავს იგი სინამდვილეს? რასაკვირველია არა! სინამდვილის ასახვაზე აქ ზედმეტია ლაპარაკი. როგორც უკვე ვიცით, საკითხი ობიექტური სინამდვილის შესახებ სრულიად მოხსნილია, ის მეტაფიზიკას წარმოადგენს და მეცნიერებას მასთან არავითარი კავშირი არა აქვს: ეს საკითხი განდევნილია მეცნიერებიდან და ფილოსოფიიდან.

მეცნიერება არაფერს არ ასახავს; იგი ჩვენი შემოქმედებაა ნებისმიერ დებულებებზე დაფუძნებული, ნებისმიერი წესებით გაფორმებული, მთლიან დედუქციურ სისტემად გადაქცეული.

რას გვაძლევს ასეთი სისტემა? თუ სისტემა მართებულად არის აგებული, ჩვენ გვაქვს მოლოდინი, რომ ამა და ამ შეგრძნების შემდეგ გვექნება ასეთი და ასეთი შეგრძნება.

ჭეშმარიტება, ამდენად, სისტემის ფორმალურ ხასიათში მდგომარეობს, სახელდობრ იმაში, ეთანხმებიან სისტემის დებულებები ერთმანეთს თუ არა. სისტემა, რომელიც აგებულია ისე, რომ მისი დებულებები ერთმანეთს ეთანხმებიან, მათ შორის წინააღმდეგობა არ არის, არის ჭეშმარიტი სისტემა.

ეს აზრი ყველაზე ნათლად „ვენის წრის“ წარმომადგენელმა გამოთქვა: „წინადადებანი უნდა შევადაროთ წინადადებებს, და არა „ცდას“, არა „სამყაროს“, ან რაიმე კიდევ სხვას. „ცდა, სამყარო ზედმეტ გაორებას წარმოადგენს; იგი მეტაფიზიკის მაჩვენებელია და ამდენად უარსაყოფია. ყოველი ახალი წინადადება უნდა შევადაროთ არსებულ წინადადებებს, რომელნიც უკვე შეთანხმებულნი არიან; წინადადება ჭეშმარიტია თუ იგი შეიძლება იქნეს შეტანილი სისტემაში; ის, რისი, სისტემატიზაცია არ შეიძლება, უნდა უკუვაგდოთ როგორც მცდარი“. („Erkenntnis“ № 2, გვ. 403).

როგორც ვხედავთ ჰეშმარიტების ცნება დაყვანილია ფორმალურ-ლოგიკური სისწორის, თანმიმდევრობის ცნებასთან. ფორმალურ-ლოგიკურად აგებული წინადადებათა სისტემა არის ჰეშმარიტება[1].

ამასთანავე ხაზგასმულია: ეს ლოგიკური სისტემა აგებულია ისეთ პრინციპებზე, რომლებიც შეთანხმებით არის მიღებული. შესაძლებელია, მაშ, სხვა პრინციპები იქნეს შერჩეული და ამის საფუძველზე აიგოს სხვა ახალი ლოგიკური სისტემა და ასე შემდეგ. არც ერთ მათგანს არა აქვს უპირატესობა, ყველა ერთნაირად ღირებულია. რელატივიზმი და კონვენციონალიზმი — ასეთია ლოგიკური ემპირიზმის კონცეფცია.

გავარჩიოთ კრიტიკულად ლოგიკური ემპირიზმის ეს კონცეფცია.

1. ლოგიკური ემპირიზმის თეორია სუბიექტური იდეალიზმია: ის აღიარებს არა მხოლოდ იმას, რომ შემეცნების პროცესი გრძნობათა მონაცემით განისაზღვრება, არამედ გრძნობათა მონაცემის, შეგრძნებებისა და განცდების მეტს არაფერს არ აღიარებს. ის, რასაც მეცნიერება სინამდვილეს უწოდებს, ადამიანის ცნობიერების მიერაა შექმნილი.

ეს არის კანტიანური თეორია „შესწორებული" თანმიმდევარ სუბიექტურ-იდეალისტური მიმართულებით, კონვენციონალიზმით და რელატივიზმის ხაზით. კანტის თვალსაზრისით არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი ობიექტური სინამდვილე „ნივთების თავისთავად" სახით; ის მოქმედებს ცნობიერებაზე და იწვევს შეგრძნებებს; ამ შეგრძნებებს

---

[1] M. C. Swabey წიგნში „Logic and Nature" სპეციალურად არკვევს ჰეშმარიტების საკითხს, წამოაყენებს მთელ რიგ არგუმენტს ასახვის თეორიის წინააღმდეგ, მიდის ბერკლის დებულებამდე—იდეა შეიძლება შევადაროთ მხოლოდ იდეას და არა რაიმე სხვას, და წამოაყენებს ოთხ დებულებას:

ა. ჰეშმარიტება არ არის შესაბამობა აზრის (წინადადების) საგანთან (გვ. 308—316).

ბ. ჰეშმარიტება არ მდგომარეობს აზრის სიცხადეში (316—328).

გ. ჰეშმარიტება არ მდგომარეობს მსჯელობისა და ფაქტის კავშირში (328—334).

დ. ჰეშმარიტება არის ის, რაც ეკვივალენტურია სწორ ლოგიკურ სისტემასთან (გვ. 334—347).

აფორმებენ ცნობიერების კანონები და ჰქმნიან „მეცნიერების სინამდვილეს". ლოგიკური ემპირიზმი უარყოფს ობიექტური სამყაროს არსებობას და ცარიელ გრძნობათა მონაცემებს ეყრდნობა.

კანტის მიხედვით ცნობიერების კანონები აუცილებელი და საყოველთაო ხასიათის არიან; მართალია, ისინი ობიექტური სინამდვილით არ არიან განსაზღვრულნი, მაგრამ არც ჩვენ სურვილზე, ნებაყოფლობაზე, ადამიანთა შეთანხმებაზე არიან დამოკიდებულნი. ამიტომ ამ კანონების შეცვლა ადამიანს არ შეუძლია; მათი საშუალებით გაფორმებული „სინამდვილე" ერთია ყველასათვის.

ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით „კანონები", რომლითაც მეცნიერება აფორმებს, სისტემაში მოყავს გრძნობათა მონაცემი, შეთანხმებით არის დადგენილი, ისინი „თამაშის წესებს" წარმოადგენენ.

კანტის მიხედვით ჭეშმარიტება ვონების აუცილებელი კანონებით გაფორმებული მასალის სურათია; ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით კი ჭეშმარიტება ფორმალურ-ლოგიკურ სისწორეს, თანმიმდევრობას წარმოადგენს.

2. ამოსავალი მეცნიერებისათვის არის „ოქმი" (Protokolsatz), რომელიც ალქმას, შეგრძნებას გამოხატავს წინადადების (მსჯელობის კ. ბ.) სახით. ეს წინადადება ერთეულ „ფაქტს"—შეგრძნებას გამოთქვამს.

მაშ, დასაწყისში მოცემული გვაქვს მარტივი მსჯელობები: ყველა დანარჩენი სახის მსჯელობა, რომელიც მეცნიერებაში შეგვხვდება, არის „ჭეშმარიტების ფუნქცია". რადგან ყველა დანარჩენი სახის მსჯელობა მიიღება ამ მარტივი მსჯელობიდან—რასელის ტერმინებით „ატომარული წინადადებიდან"—ლოგიკური კონსტანტების საშუალებით. ასე მიღებული მსჯელობების ჭეშმარიტება განისაზღვრება მარტივ მსჯელობათა ჭეშმარიტებით. ამიტომ ე. წ. გენერალიზაცია არასოდეს არ შეიძლება იყოს ჭეშმარიტი. უფრო მარტივად: ზოგადი მსჯელობის „ყველა ადამიანი მოკვდავია" ჭეშმარიტება გაურკვეველია. ამ მსჯელობის ჭეშმარიტება დამოკიდებულია მარტივ

მსჯელობათა. ჭეშმარიტებაზე — „პეტრე მოკვდავია", „პავლე მოკვდავია", „ივანე მოკვდავია" და ა. შ. რადგან მარტივ მსჯელობათა რიცხვი ხშირად უსასრულოა და გარდა ამისა ზოგადი მსჯელობა ხშირად მხოლოდ წარსულს კი არ ეხება, არამედ მომავალს, ამიტომ მის ჭეშმარიტება-მცდარობაზე არ შეიძლება მსჯელობა. და რადგან მსჯელობას (წინადადებას — გამოთქმას) ახასიათებს ჭეშმარიტების ან მცდარობის ნიშანი, ცხადი ხდება, რომ ზოგადი მსჯელობა სრულიადაც მსჯელობა არ არის.

ზოგადი მსჯელობები, რომელთა საშუალებით გამოიხატება ყველაზე ღირებული ცოდნა, რომელიც ასახავს მოვლენათა კანონებს, მოვლენათა შორის არსებულ ღრმა კავშირებს, პრინციპულად უარყოფილია ლოგიკური ემპირიზმის, მიერ. ამ მოძღვრების უკიდურესი ნომინალიზმი მისი ამოსავალი პრინციპების შედეგია.

გასაკვირველი არ არის, რომ ბეცნიერებათა მიერ აღმოჩენილი კანონები, რომლებსაც ადამიანი ეყრდნობა თავის თეორიულ და პრაქტიკულ მუშაობაში, ლოგიკური ემპირიზმის მიერ გამოცხადებულია ხელსაყრელ წესებად, რომლებიც განსაზღვრავენ მოსალოდნელ, შესაძლებელ შეგრძნებას. ასე, მაგალითად, მიზიდულობის კანონი ხელსაყრელი წესია მოსალოდნელი შეგრძნების გასათვალისწინებლად.

3. ჭეშმარიტების გაიგივება ფორმალურ-ლოგიკურად აგებულ სისტემასთან სპობს ცალკეულად აღებულ დებულების შემეცნებით ღირებულებას. ჩვენ თურმე არ შეგვიძლია მსჯელობა ცალკეული დებულების ჭეშმარიტებაზე. დებულება ჭეშმარიტია არა იმიტომ, რომ იგი სინამდვილეს ასახავს, არამედ იმიტომ, რომ ის ჩვენი შეთანხმების საფუძველზე შეთხზულ სისტემას ეთანხმება.

გარდა ამისა: ფორმალურ-ლოგიკურად შეიძლება აგებულ იქნას ფანტაზიის ნაყოფიც, ყოველნაირი ზღაპარიც, საკმარისია მხოლოდ ამ ზღაპრის დებულებები ერთმანეთს ეთანხმებოდნენ, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში არ იყვნენ. ეს ნიშა-

ნი სრულიად საკმარისია, რომ ასეთი სისტემა „ჭეშმარიტად" გამოვაცხადოთ.

დემოკრატიული გერმანიის პროგრესულ ფილოსოფოსთა ერთ-ერთი წარმომადგენელი P. Linke ასე ახასიათებს ლოგიკური ემპირიზმის ამ თვალსაზრისს:— ერთი და იგივე ღირებულება ჰქონია თეოლოგების დოგმებსა და ფიზიკის დებულებებს, თუ ყველაფერი დამოკიდებულია ფორმალურ-ლოგიკურ სისტემაზე; მით უმეტეს თუ ყველას შეუძლია თავის ლოგიკა შექმნას.

4. ლოგიკური ემპირიზმი პარაზიტობს მეცნიერებათა განვითარებაზე. მეცნიერებათა მიღწევების ყალბი ინტერპრეტაციით ეს ფილოსოფოსები ცდილობენ გაამართლონ თავისი რეაქციული შეხედულებანი. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ერთ-ერთი წყარო, რომლითაც იკვებება ლოგიკური ემპირიზმი არის ფორმალიზმი და კონვენციონალიზმი მათემატიკაში.

ზემოთ აღნიშნული იყო, რომ აქსიომატური მეთოდით აგებული სისტემა — კერძოდ გეომეტრიული სისტემა — ასეთ სახეს იღებს: ჩამოყალიბებულია რიგი დებულებებისა — აქსიომები — რომელნიც მიღებულია დასაბუთების გარეშე; ეს აქსიომები ედება საფუძვლად მეცნიერულ თეორიას, რომლის ყველა დებულება გამოყვანილია ამ აქსიომებიდან დედუქციურად.

გეომეტრიის მთელი სისტემა დამოკიდებულია აქსიომების სისტემაზე. აქსიომების სხვადასხვა სისტემაზე დაყრდნობით შენდება გეომეტრიის განსხვავებული სისტემები. აქსიომებში განსაზღვრული ცნებები წერტილის, სწორი ხაზის, სიბრტყის გაგებულია არა აუცილებლად როგორც წერტილები, ხაზები, არამედ როგორც ყოველნაირი ობიექტები, რომლებიც აკმაყოფილებენ ამ აქსიომებს. ამ აზრით გეომეტრია წარმოადგენს გარკვეულ ლოგიკურ სქემას. მრავალი ამ ლოგიკურ სქემათაგანი (ე. ი. განსხვავებული გეომეტრიები) არა მხოლოდ ლოგიკურად უნაკლოდ არიან აგებულნი, ე. ი. თავისუფალნი არიან შინაგან წინააღმდეგობებისაგან, არამედ მათ მნიშვნელოვანი რეალური გამოყენებაც აქვთ.

დღეს გარკვეულია, რომ არსებობს მრავალი გეომეტრია, როგორც აბსტრაქტული ლოგიკურ — მათემატიკური სქემა. თვითეული მათგანი ეყრდნობა აქსიომების გარკვეულ სისტემას. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელი მათგანი უფრო ადექვატურად ასახავს სივრცის რეალურ თვისებებს, არის არა წმინდა მათემატიკის საკითხი, არამედ ფიზიკის, ფიზიკური ექსპერიმენტის, პრაქტიკის. ყველა ამ „გეომეტრიაში" თეორემები ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარეობენ აქსიომებიდან, მაგრამ რამდენად შეესაბამება გეომეტრიის ესა თუ ის სისტემა რეალური სივრცის თვისებებს, ეს მეორე საკითხია; ეს საკითხი ეხება უკვე არა სისტემის ლოგიკურობას, არამედ მის ჭეშმარიტებას.

სივრცე მატერიის არსებობის ფორმაა; მისი თვისებები მატერიის თვისებებია. ეს თვისებები აბსტრაქტული სახით აისახება გეომეტრიაში. რამდენად ადექვატურად არის წარმოებული ეს ასახვა, ამას არკვევს შემდგომი ექსპერიმენტული კვლევა. ირკვევა, რომ თუ ევკლიტეს გეომეტრია დაახლოვებით სწორად ასახავს სივრცეს პირველი მიახლოვებით, იგი უკვე აღარ არის საკმარისი კოსმიური მასშტაბით.

ამიტომ მრავალი გეომეტრიის არსებობის შესაძლებლობა, რომელთაგან თვითეული ლოგიკურად უნაკლოდ არის აგებული, იმის მაჩვენებელი კი არ არის, რომ გეომეტრიის დებულებები მხოლოდ პირობითია, რომ აქსიომათა სისტემა დადგენილია შეთანხმების საფუძველზე და ყველა ასე აგებული გეომეტრია ერთნაირი ღირებულების მქონეა. ჯერ-ერთი, როგორც აღვნიშნეთ მხოლოდ ის „გეომეტრიები", მხოლოდ ის სისტემებია ჭეშმარიტი, რომელნიც არა მხოლოდ ლოგიკურად უნაკლოდ არის აშენებული, არამედ, რომლებიც ფიზიკალური ექსპერიმენტით, პრაქტიკით გამართლებულია და მეორე მხრით, მრავალი ჭ ე შ მ ა რ ი ტ ი სისტემა გეომეტრიისა იმის მაჩვენებელია, რომ ისინი ასახავენ მრავალგვარ კავშირებს ერთსა და იმავე მოვლენებში.

ლოგიკური ემპირიზმი ამახინჯებს აქსიომის ცნებას, ამახინჯებს გეომეტრიის როგორც მეცნიერების არსებას და გეო-

მეტრიის დამახინჯებული გაგება გადააქვს ყველა პოზიტიურ მეცნიერებაზე, ფილოსოფიაზე, ლოგიკაზე.

ლოგიკური ემპირიზმის მიხედვით გეომეტრიის აქსიომები ნებისმიერად არის დადგენილი. მათი ჭეშმარიტება-მცდარობა მეცნიერებას არ აინტერესებს; ამ აქსიომებიდან ლოგიკურად არის გამოყვანილი თეორემები. საკითხი ამ თეორემების ჭეშმარიტების შესახებ არ უნდა იყოს დასმული. რომ ჩვენ როგორც წბინდა მათემატიკაში, ლოგიკური ემპირიზმი ამტკიცებს, ამოვდივართ გარკვეული აქსიომებიდან და პოსტულატებიდან და „ამასთანავე სავსებით უგულებელვყოფთ საკითხს იმის შესახებ, არის თუ არა ჩვენი დასკვნები ან აქსიომები და პოსტულატები ჭეშმარიტი" (Cohen and Nagel. An Introdu fion. to logic. გვ. 7), „ისევე უგულებელვყოფთ ჩვენ ნ ა მ დ ვ ი ლ მ ე ც ნ ი ე რ ე ბ ა შ ი საკითხს ჩვენი დებულებების ჭეშმარიტების შესახებ. თუ მოვახდენთ მეცნიერების კონდენსაციას ერთ მსჯელობად (ე. ი. თუ მთელი მეცნიერება ერთ მსჯელობად გამოვთქვით. კ. ბ.), ჩვენ მივიღებთ პირობით მსჯელობას — „თუ — მაშინ", რომელშიც საკითხი საფუძვლისა და შედეგის ჭეშმარიტების შესახებ არ ისმება" (იქვე, გვ. 132). ე. ი. თუ ჭეშმარიტება გავიგეთ, როგორც სინამდვილის ასახვა, მაშინ მეცნიერების დებულებების, მისი ამოსავალი პრინციპებისა და მათგან გამოყვანილი დებულებების ჭეშმარიტების საკითხი მოხსნილია.

მთავარია აქ სისტემის ლოგიკურობა.

აქსიომატური მეთოდის ფორმალისტური და კონვენციონალისტური გაგება თავისთავად შეცდომას წარმოადგენს; მით უფრო მცდარია აქსიომატური მეთოდის ამ ყალბი ინტერპრეტაციის გავრცელება ყველა სხვა პოზიტიურ მეცნიერებაზე.

5. რამდენიმე შენიშვნა ე. წ. „ოქმებზე", „პროტოკოლურ დებულებებზე".

a. რასაკვირველია, მეცნიერება იწყებს მოვლენათა დაკვირვებით. მაგრამ დაკვირვებისა და ექსპერიმენტის მონაცემი უსაფუძვლო და მხოლოდ სუბიექტური როდია. დაკვირვების

პროცესი და მით უმეტეს ექსპერიმენტული კვლევა კაცობრიობის მთელი პრაქტიკით არის განსაზღვრული. საკმარისია გავიხსენოთ ის რთული აპარატურა, რომელიც გამოყენებულია თანამედროვე ფიზიკაში ექსპერიმენტული კვლევის პროცესში, რომ დავრწმუნდეთ ამ კვლევისა და მისი შედეგების ობიექტურ ხასიათში.

B. დაკვირვებისა და ექსპერიმენტული კვლევის შედეგები ჩამოყალიბებული „წინადადებებში" ჩვენი ნებისაგან, სურვილისაგან დამოუკიდებელნი არიან. თუ ექსპერიმენტული კვლევა სწორად არის ნაწარმოები — და ამას თანამედროვე მეცნიერება ადვილად აღწევს,— მისი შედეგები აუცილებლობის ხასიათისაა და ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი სურვილის მიხედვით, ნებისმიერად ოქმის ერთი ჩანაწერი გავითვალისწინოთ, ხოლო მეორე უკუვაგდოთ, უგულებელვყოთ.

C. ეს „პროტოკოლური დებულებები" ე. ი. ოქმის ჩანაწერები გვაძლევენ ჩვენ ცნობას არა ჩვენს განცდებზე, ჩვენს შეგრძნებებზე, არამედ აღწერენ ობექტურ ფაქტებს, ობიექტურ ვითარებას; ია გარემოება, რომ ექსპერიმენტის შედეგს აღიქვამს ადამიანი, სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ადამიანის აღქმასთან გვაქვს საქმე: ჩვენ საქმე გვაქვს ობიექტურ პროცესებთან, რომლებმაც იმოქმედეს ხელსაწყოზე და გარკვეული ცვლილება მოახდინეს მასში.

8. მეცნიერებათა ერთიანობა

ლოგიკური პოზიტივიზმის მიხედვით მეცნიერება შედგება წინადადებათაგან, რომელნიც გარკვეული ლოგიკური პრინციპებით მთლიანობად არის სისტემატიზირებული. წინადადებანი სიტყვებისაგან — სიმბოლოებისაგან — შენდება. ყველა მეცნიერებას თავისი სიტყვები — ტერმინები აქვს, ყველას თავისი ენა აქვს, თავისი ლოგიკა აქვს. მაგრამ მეცნიერება ბოლოს და ბოლოს მეცნიერებაა! ამიტომ განსხვავებულ მეცნიერებათა შორის უნდა არსებობდეს კავშირი, ერთიანობა. რა ქმნის მეცნიერებათა ამ ერთიანობას?

მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისი აღიარებს მეცნიერებათა ერთიანობას. მეცნიერებათა ერთიანობა გაპირობებულია სამყაროს ერთიანობით. სამყაროს ერთიანობა მის მატერიალობაშია. მატერიის მოძრაობის განსხვავებულ ფორმებს სწავლობს მეცნიერება. რაგინდ განსხვავებული იყოს სამყაროს სხვადასხვა ნაწილი, მისი სხვადასხვა მხარე, მატერიის მოძრაობის ფორმა, ისინი ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან და ამ კავშირის საფუძველი, როგორც აღვნიშნეთ, სამყაროს ერთიანობაში მდგომარეობს.

როგორც ვხედავთ, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის თვალსაზრისით მეცნიერებათა კავშირსა და ერთიანობას ობიექტური საფუძველი აქვს და იგი (ერთიანობა) ადვილი გასაგები და ასახსნელია.

როგორ ახსნის ლოგიკური ემპირიზმი მეცნიერებათა ერთიანობას, თუ იგი არათუ ობიექტური სამყაროს ერთიანობას არ აღიარებს, არამედ თვით ობიექტური სამყაროს არსებობის საკითხსაც მცდარად დასმულ საკითხად თვლის, უარყოფს ჰეშმარიტებას როგორც სინამდვილის ასახვას, ლოგიკურ კანონებს დადგენილებად, შეთანხმებად, „თამაშის წესებად" თვლის და სხვ. და სხვ.

მართალია, ყველა მეცნიერებას აქვს თავისი ენა, მაგრამ თუ არსებობს მეცნიერებათა ერთიანობა, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ უნდა არსებობდეს ერთი ენა, რომელზედაც დაიყვანება სხვა ენები. ამგვარ ერთ ენად ნოირატმა და კარნაპმა ფიზიკის ენა გამოაცხადეს. ყველა ფაქტი (ე. ი. გრძნობადი მონაცემი) შეიძლება გამოვთქვათ სივრცის სამი და დროის ერთი კოორდინატით.

რასაკვირველია, ყველა ფიზიკური ფაქტი ასე თუ ისე სივრცისა და დროის კოორდინატებით შეიძლება დავახასიათოთ, მაგრამ საკითხი იბადება, ნუთუ ამ კოორდინატებით დახასიათებული ფაქტი მოგვცემს ამ ფაქტის არსების, თავისებურების ცოდნას. რასაკვირველია არა. ის არა თუ სოციალური პროცესების, ბიოლოგიური, ქიმიური პროცესების ზერელე

დახასიათება იქნება, არამედ თვით ფიზიკური ფაქტების გასაგებადაც სრულიად არ იქნება საკმარისი.

ამრიგად, მეცნიერებათა ერთიანობა, თურმე, ენამ უნდა შექმნას. ეს ფილოსოფიური აბდაუბდა ლოგიკური დასკვნაა იმ კონცეფციისა, რომელიც ლოგიკურმა ემპირიზმმა შექმნა ფილოსოფიის შესახებ: ფილოსოფია ლოგიკას წარმოადგენს; ლოგიკა სწავლობს მეცნიერების სინტაქსურ ფორმას, მის ენას; ცხადია, რომ მეცნიერებათა ერთიანობა ენის ერთიანობით უნდა შეიქმნას.

ამ პრინციპს, სახელდობრ, რომ არსებობს ერთი ენა, რომელზედაც დაიყვანება ყველა მეცნიერების ენა, ლოგიკური ემპირიზმის წარმომადგენლებმა „ფიზიკალიზმის" პრინციპი უწოდეს. ფიზიკის ენა, კარნაპის აზრით, შეიძლება ორ მოდუსში იხმარებოდეს: ფორმალურსა და მატერიალურ მოდუსში. ფორმალური მოდუსი უფრო სწორია, მაგრამ თუ მეცნიერს სურს, მას შეუძლია გამოიყენოს მატერიალური მოდუსიც. ამით არაფერი დაშავდება, რადგან მატერიალური მოდუსი „ფიზიკური" ენის მოდუსია, და ის არაფერს გამოთქვამს მატერიალური საგნების შესახებ.

ენის ფორმალური მოდუსის საშუალებით მოიხსნება პრობლემების მთელი რიგი, რომელზედაც დღევანდლამდე თავს იმტვრევდნენ ფილოსოფოსები, და რომელნიც დღეს მეტაფიზიკურ ფსევდოპრობლემად არის გამოცხადებული. მატერიალიზმი ებრძოდა იდეალიზმს; თურმე ეს ბრძოლა წარმოებდა იმიტომ, რომ ეს მიმართულებანი განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობდნენ: კამათი მათ შორის იყო კამათი სიტყვებზე. მატერიალისტი ამტკიცებდა, რომ საგანი ატომების ნაერთია; იდეალისტი ამტკიცებდა, რომ საგანი შეგრძნებათა კომპლექსია. წინააღმდეგობა ამ ორ დებულებას შორის მოჩვენებითია, წინააღმდეგობა სიტყვიერია. საკმარისია გამოვიყენოთ ენის ფორმალური მოდუსი და ცხადი გახდება, რომ არაფერი საკამათო აქ არ არის, არავითარი წინააღმდეგობა აქ არ არსებობს.

დებულება: საგანი ატომების ნაერთია ენის ფორმალურ

მოდელში წაიკითხება ასე: „ყოველი გამოთქმა, რომელშიც გვხვდება საგნობრივი სახელი, აკმაყოფილებს გამოთქმას, რომელშიც გვხვდება არა საგნობრივი სახელი, არამედ ერცეულ-დროული კოორდინატები და ფიზიკური ფუნქციები".

დებულება: „საგანი შეგრძნებათა კომპლექსია" ასე წაიკითხება: „ყოველი გამოთქმა, რომელშიც გვხვდება საგნობრივი სახელი, აკმაყოფილებს გამოთქმას, რომელშიც გვხვდება არა საგნობრივი სახელი, არამედ გრძნობადი სახელი" **(Philosofie of science. Vol 1. № 1, გვ. 16).**

ამგვარი უაზრო, უშინაარსო ლაყბობით ცდილობს კარნაპი მიჩქმალოს მატერიალიზმისა და იდეალიზმის წინააღმდეგობა.

გავაკეთოთ დასკვნები: ლოგიკური ემპირიზმი პრეტენზიას აცხადებს იმაზე, რომ ის მეცნიერული ფილოსოფია არის, რომ ის თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს ეყრდნობა და მის ლოგიკურ ანალიზს აწარმოებს. ფილოსოფოსები აქამდე ყოველნაირ სისტემებს ქმნიდნენ, სინამდვილის არსებას ეძებდნენ და მატერიალიზმისა და იდეალიზმის წინააღმდეგობაში გაებნენ. როგორც გალილეიდან იწყება ნამდვილი მეცნიერება, ისე ლოგიკური ემპირიზმიდან იწყება ნამდვილი მეცნიერული ფილოსოფია. ლოგიკურ ემპირიზმს პრეტენზია აქვს დადგეს მატერიალიზმზე და იდეალიზმზე ზევით; ამ მიმართულებებს ლოგიკური ემპირიზმი მეტაფიზიკურ, არამეცნიერულ კონცეფციებად თვლის.

რთული, ხშირად გაუგებარი გამოთქმებით ახასიათებენ ლოგიკური ემპირისტები თავის თვალსაზრისს, გამოიყენებენ თანამედროვე მეცნიერების ტერმინოლოგიას, ჩვეულებრივი სიტყვების მაგიერ მიმართავენ სიმბოლიკას. აძლევენ თავის დებულებებს გარეგნულად მეცნიერულ ხასიათს — და ეს ყველაფერი იმისათვის სჭირდებათ, რომ დამალონ თავისი აშკარა სუბიექტურ-იდეალისტური, სოლიფსისტური და მეცნიერების მიმართ ნიჰილისტური თვალსაზრისი.

საინტერესო ის არის, რომ ყველა ეს ხერხი თავისებურ ფორმაში იმის განმეორებას წარმოადგენს, რაც უკვე დიდი ხანია გამოყენებული იყო სუბიექტური იდეალისტების მიერ, ბერკლის, იუმის, კანტის, მახისა და ავენარიუსის მიერ.

უკვე ბერკლი და იუმი ამტკიცებდნენ იმას, რომ, ის, რასაც ჩვენ საგანს ვუწოდებთ მხოლოდ თვისებათა — ე. ი. შეგრძნებათა — ნაერთს წარმოადგენს: აბა ჩამოაცილეთ საგანს მისი თვისებები, თუ დარჩება რაიმე სუბსტანცია.

კანტი ფიქრობდა, რომ მისი ფილოსოფია კოპერნიკანულ გადატრიალებას წარმოადგენს ფილოსოფიაში და აქედან იწყება ნამდვილი მეცნიერული ფილოსოფია. მახმა წამოაყენა გარკვეულად პრინციპი, რომ ნამდვილი, მეცნიერული ფილოსოფია მატერიალიზმზე და იდეალიზმზე ზემოთ დგას.

ეს მიმართულებანი განიხილა ვ. ლენინმა თავის გენიალურ შრომაში „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" და ამხილა მათი ანტიმეცნიერული, რეაქციული ხასიათი.

ლოგიკური ემპირიზმი ამ მიმართულებების ახალ გამოცემას წარმოადგენს. როგორც იყო აღნიშნული ამ მიმართულებათა ლენინური კრიტიკა მთლიანად ძალაში რჩება ლოგიკური ემპირიზმის მიმართაც.

დიალექტიკური მატერიალიზმის სახელმძღვანელოს ავტორი („Guest, Dialectical materialism, ნიუ-იორკი 1939) წერს: „ის, ვისაც წაუკითხავს ლენინის „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი", დარწმუნდება, რომ მახის წინააღმდეგ ლენინის მიერ გამოყენებული არგუმენტების გამოყენება შეიძლება სიტყვა-სიტყვით რასელის წინააღმდეგაც". ჩვენ დაუმატებდით: არა მხოლოდ რასელის, არამედ მთელი იმ მიმართულების წინააღმდეგაც, რომელიც ლოგიკური ემპირიზმის სახელით გამოდის.

1. ლოგიკური ემპირიზმი სუბიექტურ-იდეალისტური თეორიაა. სუბიექტური იდეალიზმი იმაში კი არ მდგომარეობს, რომ ეს მიმართულება შემეცნების საწყისად შეგრძნებებს აღიარებს, არამედ იმაში, რომ შეგრძნებების იქით ობიექტური საგნების არსებობას უარყოფს. ლოგიკური ემპირისტი, მარ-

თალია, იტყვის, რომ ის არ უარყოფს ობიექტური საგნების არსებობას, რომ ეს ბრალდება გაუგებრობაზეა აგებული, რადგან ის ობიექტური სინამდვილის არსებობას არც აღიარებს და არც უარყოფს, რომ ის ამ საკითხს არ სვამს, რომ ეს საკითხი მეტაფიზიკურია, ფსევდოპრობლემაა. მაგრამ ასეთი პასუხი ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ლოგიკური ემპირისტები გავარჯიშებულნი არიან „ენების" შექმნაში და შეუძლიათ ყოველნაირი შინაარსი ჩადონ მათ მიერ ხმარებულ სიტყვებში, მაგრამ მათ მიერ სიტყვების შინაარსის დამახინჯება როდი არის ჩვენთვის სავალდებულო. მატერიალიზმი არის ისეთი ფილოსოფიური მიმართულება, რომელიც აღიარებს ობიექტური სინამდვილის არსებობას და მის დაახლოებით ასახვას ადამიანთა ცნობიერებაში. ლოგიკურმა ემპირისტებმა კარგად იციან მატერიალიზმის არსება და სწორედ ამგვარ მიმართულებას ებრძვიან ისინი. აღიარებენ ისინი დებულებას, რომ არსებობ' ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი რეალობა, რომელიც აისახება ადამიანთა ცნობიერებაში? არ აღიარებენ! და, ცხადია, იმიტომ, რომ ლოგიკური ემპირიზმი ანტიმატერიალისტური, იდეალისტური თეორიაა.

კი მაგრამ, ისინი არც სულის არსებობას აღიარებენ: სულიც და მატერიაც ლოგიკური კონსტრუქციებია, რომლებსაც ჩვენ ვაშენებთ შეგრძნებებიდან. ამიტომ ისინი თითქოს არც იდეალისტები უნდა იყვნენ — ასე ამტკიცებენ ლოგიკური ემპირისტები.

სწორედ ის თვალსაზრისი, რომლის მიხედვით სინამდვილე — კერძოდ სულიც და მატერიაც — შენდება ჩვენი შეგრძნებებიდან, რომლის მიხედვით მატერიალური სინამდვილე წარმოადგენს ლოგიკური აპარატის მიერ შექმნილ კონსტრუქციას, არის ნამდვილი სუბიექტური იდეალიზმი.

ეს თვალსაზრისი პრინციპულად კანტის იდეალიზმის განმეორებაა იმ შესწორებით, რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული. კანტიც აცხადებდა, რომ მატერიალიზმიც და იდეალიზმიც მეტაფიზიკური თეორიებია: საკითხი იმის შესახებ, არის სამყაროს არსება მატერიალური თუ სულიერი, არ არის მეც-

ნიერების საკითხი, იგი უნდა განიდევნოს მეცნიერებიდან, ფილოსოფიიდან; მაგრამ ეს აზრი ხელს სრულიად არ უშლიდა კანტს დამდგარიყო სუბიექტური იდეალიზმის თვალსაზრისზე და დაემტკიცებია, რომ საგანს, ბუნებას აშენებს ჩვენი გონება გრძნობათა მონაცემის მასალიდან.

და, მართლაც, რა გამოსავალი რჩება მოაზროვნეს, რომელიც არა სვამს საკითხს ობიექტური სინამდვილის არსებობის შესახებ. ათავისუფლებს ეს მას იდეალიზმისაგან, აყენებს მას იდეალიზმისა და მატერიალიზმის გარეშე თუ ზევით? რასაკვირველია, არა! თავი დავანებოთ იმას, რომ ეს აგნოსტიკური თვალსაზრისია, რაც თავისთავად იდეალიზმის მაჩვენებელია: თუ საკითხი ობიექტური სინამდვილის არსებობის შესახებ მოხსნილია, მას რჩება მხოლოდ შეგრძნებათა ქაოსი, სულ ერთია რას უწოდებთ მას, „გრძნობათა მონაცემს", „გრძნობად შინაარს", „ატომარულ ფაქტს", გამოვთქვამთ მათ „წინადადებებში" თუ „პროტოკოლურ დებულებაში"—და ამ ქაოსში ჩვენ შეგვაქვს წესრიგი და ასე იქმნება „სინამდვილე". „სინამდვილე", რომელზედაც აქვს უფლება იმსჯელოს მეცნიერებამ, ადამიანთა მიერ შექმნილია. რამდენიც უნდა ამტკიცოს ლოგიკურმა ემპირიზმმა, რომ ის არ არის იდეალისტური თეორია — პირიქით,— შეიძლება ეს თვალსაზრისი „მეთოდურ მატერიალიზმადაც" კი გაასაღოს, მისი სუბიექტურ-იდეალისტური, ე. ი. „მეტაფიზიკური" თვალსაზრისი აშკარაა.

მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ დაასაბუთა საბოლოოდ ის აზრი, რომ შეუძლებელია ფილოსოფიური მიმართულება მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლის გარეშე იდგეს. ფილოსოფია ყოველთვის პარტიული იყო და არის და ამ პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში მატერიალიზმისა და იდეალიზმის ბრძოლაში გამოვლინდება.

2. ლოგიკური ემპირიზმი აგნოსტიკური ფილოსოფიაა. დავიწყოთ ამ დებულების გარკვევა თანდათანობით:

a. ყველაზე ღირებული ცოდნა, რომელსაც დაადგენს მეცნიერება, ზოგად მსჯელობებში გამოიხატება. არსების ცოდნა, კანონის ცოდნა,— ყველაფერი ეს ზოგად მსჯელო-

ბაში გამოიხატება. მაგრამ, როგორც იყო გარკვეული, თურმე, ზოგად მსჯელობას არ ახასიათებს ჭეშმარიტებისა და მცდარობის ნიშანი. ე. ი. ზოგადი მსჯელობა საერთოდ არ არის მსჯელობა. ზოგადი მსჯელობა მხოლოდ სასარგებლო, ხელსაყრელი წესია მარტივ მსჯელობათა ჩამოყალიბებისათვის. ზოგადის უარყოფა უკვე იმის მაჩვენებელია, რომ მეცნიერება, შემეცნება უარყოფილია, რადგან მეცნიერების მიზანი სწორედ ზოგადის აღმოჩენაში მდგომარეობს, იმ ზოგადის, რომლის გარეშე არც ცალკეული არის გასაგები[1].

ბ. მეცნიერება არ ასახავს ობიექტურ სინამდვილეს; მას მხოლოდ წესრიგი შეაქვს შეგრძნებებში. წესრიგის (order) ცნება ერთ-ერთი ძირითადი ცნებაა, რომელსაც კანტის შემდეგ ყველა სუბიექტური იდეალისტი გამოიყენებს. წესრიგის ცნებას არც მარქსიზმი უარყოფს: პირიქით, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისათვის წესრიგის ცნება ობიექტურ კანონზომიერების ცნების ეკვივალენტურია. მოვლენები სამყაროში ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან, ერთმანეთს აპირობებენ; სამყარო მოვლენათა ქაოსი კი არ არის, არამედ მოწესრიგებული, კანონზომიერი მთლიანობაა.

ლოგიკური ემპირიზმიც მსჯელობს წესრიგზე. „სისტემა არის მოწესრიგებული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მისი შემადგენელი ელემენტი დაკავშირებულია მიმართებებით, რომლებსაც ახასიათებს ლოგიკური თვისებები"[2].

სინამდვილე აგებულია შეგრძნებებიდან ლოგიკური მიმართებების შეტანით შეგრძნებებში და ამ გზით მოწესრიგებული ჭეშმარიტება ფორმალურ-ლოგიკურ სისწორეზეა დაყვანილი.

3. ლოგიკური ემპირიზმი კონვენციონალისტური თეორიაა. შეგრძნებები, რომელთა შინაარსი „ოქმებში" გამოიხატება

---

[1] სიტყვა „ყველა", რომლითაც ჩვეულებრივად გამოიხატება ზოგადი, არის თურმე ნიშანთა (სიმბოლოების) სისტემის ოპერატორი.

[2] S. Stebing. „A modern introduction to logic". System and order. გვ. 201.

შემეცნების საფუძველს წარმოადგენს. მაგრამ, ჯერ-ერთი: ყველა „ოქმი“ კი არ არის მეცნიერების აშენებისას სავალდებულო; ჩვენ შეგვიძლია ნებისმიერად შევარჩიოთ ამ „ოქმებიდან“ ზოგიერთი, ხოლო ზოგიერთი უარვყოთ. მეორე: თურმე არც ეს არის საკმარისი: ყ ო ვ ე ლ ი ვ ე დებულება შეიძლება მივიჩნიოთ „ოქმად“, აქ ჩვენ სრული თავისუფლება გვაქვს (ნორატი); თუ რა დებულებას მივიღებთ, ეს დამოკიდებულია არა რაიმე ობიექტურ საზომზე, არამედ შეთანხმებაზე. ცალკეული მეცნიერი, ან მეცნიერთა ჯგუფი, ან კიდევ,— როგორც ზოგიერთი წერს, — „დამკვირვებელთა საზოგადოება“ შეთანხმდება, რა დებულებები მიიღოს მეცნიერების აგებისას საფუძვლად, რას უწოდოს „ობიექტი“ და სხვ.— „ობიექტი“, რასაკვირველია, ნამდვილად ობიექტი კი არ არის, არამედ ეს არის ჩვენს შეგრძნებებს შორის მიმართების დამყარებისათვის შექმნილი სიმბოლო. გარდა ამისა სისტემის შესაქმნელად საჭიროა აქსიომები, ლოგიკური კანონები. არც ეს აქსიომები, ლოგიკური კანონები არის რაიმე ობიექტურით განსაზღვრული: ისინიც შეთანხმების საფუძველზე არიან შექმნილი. ისინი „თამაშის წესებს“ წარმოადგენენ, მათი შეცვლა, გარდაქმნა, მოხსნა ჩვენს ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ასე და ამ გზით შეგვაქვს წესრიგი სამყაროში, უფრო სწორედ, შეგრძნებებში და ავაგებთ სამყაროს.

სურათი „სინამდვილისა“ ჩვენზეა დამოკიდებული, მეცნიერთა შეთანხმებაზეა დამოკიდებული.

4. კონვენციონალიზმთან დაკავშირებულია ამ მიმართულების ვოლუნტარისტული ხასიათი: კანონების ობიექტურობის უარყოფა, მათი „დადგენილებებად“ გამოცხადება ნიშნავს იმას, რომ ჩვენს ნებაყოფლობაზეა დამოკიდებული კანონების შექმნა, მათი გარდაქმნა, შეცვლა.

5. ლოგიკური ემპირიზმი, როგორც აღვნიშნეთ, ნომინალისტური თეორიაა. მისი ნომინალიზმი უკიდურესი ხასიათის არის: ის არა მხოლოდ ზოგადის არსებობას უარყოფს, არამედ იქამდეც მიდის, რომ სამყაროს ერთიანობა და მეცნიერებათა ერთიანობა ტერმინოლოგიის — ენის — ერთიანობამდე დაყავს.

სამყარო გადაქცეულია პირობით მიღებულ ნიშნების სისტემად.

6. ლოგიკური ემპირიზმი სოლიფსისტური თეორიაა. როგორც იყო აღნიშნული, ლოგიკური ემპირიზმი არ უარყოფს ობიექტური სინამდვილის არსებობას, მაგრამ არც მის არსებობას აღიარებს: ის მოხსნის ამ საკითხს; ის სინამდვილე, რომელზედაც მეცნიერებას აქვს უფლება იმსჯელოს, არის მეცნიერის მიერ შექმნილი სინამდვილე, ე. ი. მისი ცნობიერების შემოქმედებაა, მაშ, მის ცნობიერებაშია; თუ მივიღეთ მხედველობაში ეს აზრი, ნათელი იქნება ისიც, რომ ლოგიკური ემპირიზმი სოლიფსიზმს ვერ გაექცევა. ის გარემოება, რომ ეს სოლიფსიზმი გნოსეოლოგიურია, ან როგორც კარნაპი იტყვის — „მეთოდური სოლიფსიზმია" საქმის ვითარებას არ ცვლის, რადგან სოლიფსიზმი არსებითად ყოველთვის გნოსეოლოგიური სოლიფსიზმია. პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ა დ მხოლოდ გიჟი თუ უარყოფს ობიექტური სინამდვილის არსებობას.

ბუნებისა და საზოგადოების კანონების უარყოფა, სინამდვილის შემეცნების უარყოფა და აღიარება მხოლოდ გრძნობადი შინაარსისა აქცევს სინამდვილეს შემთხვევათა ქაოსად, რომელიც „წესრიგ'ში მოყავს ჩვენს აზროვნებას". ვ. ლენინის მიერ მხილებული ეს აბდა-უბდა მოწოდებულია დღეს დაიცვას იმპერიალიზმის ბატონობა, ომის გამჩაღებელთა ინტერესები; მისი მიზანია განაიარაღოს მშრომელთა მასები მათ ბრძოლაში კაცობრიობის საუკეთესო მომავლისათვის, მათ ბრძოლაში მომაკვდავი კაპიტალიზმის წინააღმდეგ.

თუ არ არსებობენ ობიექტური კანონები, თუ ვერ შევიცნობთ სინამდვილეს და ამ ცოდნის საფუძველზე გარდავქმნით მას, თუ ჩვენ ვართ ბატონები სამყაროზე და ჩვენ ვქმნით თვითონ კანონებს, მაშინ ჩვენზეა ყველაფერი დამოკიდებული, ჩვენ ძალაზე, ჩვენ ნებაზე. ასეთია ამერიკული იმპერიალიზმის მსოფლიო ბატონობის ავანტიურისტული გეგმების „თეორიული საფუძველი".

ვ. ლოგიკური ემპირიზმის „უკანასკნელი“ გამოცემა

„ვენის წრის“ უკანასკნელი წარმომადგენელი ვენაში ვ. კრაფტი წიგნში „მათემატიკა, ლოგიკა და ცდა“ ცდილობს შეასწოროს ლოგიკური ემპირიზმის ცალმხრივობა[1]. ვ. კრაფტს მიზნად დაუსახავს რა მატერიალიზმის და კანონების მატერიალისტური გაგების უარყოფა, იმეორებს დებულებას, რომ ლოგიკის კანონებს არა აქვს არავითარი კავშირი სინამდვილესთან; ისინი სინამდვილის მომწესრიგებელი აზროვნების კანონებია. არც ამ კანონების ხასიათის შესახებ ამბობს ის რაიმე ახალს: კანონები აპრიორული ხასიათის არიან იმ აზრით, რომ ისინი სინამდვილით კი არ არიან განსაზღვრული, არამედ დადგენილებებია, თამაშის წესებია და ამიტომ მათ არც ჭეშმარიტება და არც მცდარობა არ ახასიათებთ. ამ თამაშის წესებით იქმნება სინამდვილე. იბადება საკითხი, როგორ შენდება სინამდვილე? მაგრამ, თურმე, ჯერ უნდა გაირკვეს, თუ რა გვესმის ჩვენ სინამდვილის ცნებაში.

„რასაკვირველია, წერს ეს „გამოჩენილი“ წარმომადგენელი ნეოპოზიტივიზმისა — აქ საუბარი სრულიად არ ეხება სინამდვილეს, რომელიც არსებობს ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად“ (გვ. 120—121). სინამდვილის ცნება, აგვიხსნის ის, სამი აზრით იხმარება. მატერიალურ სინამდვილეზე ლაპარაკი ზედმეტია — ის გამორიცხულია ლოგიკური ემპირიზმის მიერ; იმ სინამდვილეზეც, რომელიც აგებულია ჩვენ მიერ დადგენილი წესების საშუალებით, აქ არ არის მსჯელობა; ის უკვე აშენებულია ლოგიკის კანონებით. ერთადერთი სინამდვილე, რომელიც მ ო ც ე მ უ ლ ი ა და რომელსაც კრაფტი სინამდვილეს უწოდებს, არის შეგრძნებათა ერთობლიობა. ეს სინამდვილე არის ალოგიკური, ირაციონალური. საჭიროა მისი გალოგიკურება, გარაციონალება ჩვენ მიერ დადგენილი წესებით. ამ სინამდვილის გარაციონალება უნდა იქნეს მოაზ-

---

[1] ვ. კრაფტს აქ ვეხებით იმიტომ, რომ ბურჟუაზიულ ფილოსოფიაში მას თვლიან ნეოპოზიტივიზმის გამოჩენილ წარმომადგენლად უკანასკნელ პერიოდში.

რებული საფეხურებრივ: დაწყებული მთლიანად მოწესრიგებულიდან მთლიან უწესრიგობამდე: ნაწილი მოწესრიგებულია ჩვენ მიერ დადგენილი წესებით, ნაწილი ნაწილობრივ მოწესრიგებულია, ნაწილობრივ მოუწესრიგებელია და, ბოლოს, არის ნაწილი სრულიად მოუწესრიგებელი.

დავუშვათ ერთი წუთით, რომ, მართლაც, ჩვენი აზროვნება ქმნის წესებს და არაციონალებს, აწესრიგებს ირაციონალურს, მოუწესრიგებელს; როდესაც კანტი და კანტიანელები ამგვარ პრინციპს წამოაყენებდნენ, ეს მიუღებელი, მაგრამ გასაგები იყო: ადამიანის გონებას, ამტკიცებდა კანტი, ახასიათებს აუცილებელი, აპრიორული კანონზომიერება; მას არ შეუძლია სხვანაირად აზროვნება, ის აზროვნებს ისე, როგორც მას ეს კანონზომიერება აიძულებს, სხვა გზა მას არა აქვს. ეს არის სრულიად გარკვეული იდეალისტური თვალსაზრისი.

მაგრამ, როდესაც ლოგიკური ემპირიზმი, კერძოდ, ვ. კრაფტი აღიარებს, რომ კანონებს ქმნის აზროვნების თავისუფალი შემოქმედება, რომ ეს კანონები „თამაშის წესებია", მაშინ საკითხავია, რა გვაიძულებს ჩვენ ამისთანა და ამისთანა წესების შექმნას და არა განსხვავებულის?

ბოლოს და ბოლოს, რამდენიც უნდა ამტკიცოს ლოგიკურმა ემპირიზმმა, რომ კანონებს — წესებს ჩვენ ვქმნით ჩვენი სურვილის, ნებაყოფლობის საფუძველზე, რომ ისინი ობიექტურით არ არიან განსაზღვრულნი, მაინც მთავარი საკითხი უპასუხოთ რჩება. რისთვის ვქმნით ჩვენს წესებს, კანონებს. ლოგიკური ემპირიზმის, კრაფტის თვალსაზრისით? იმისათვის, რომ წესრიგი შევიტანოთ სამყაროს მოვლენებში — ასეთია პასუხი. თუ ეს ასეა, ცხადია, რომ ლოგიკური ემპირიზმი გამოუვალ მდგომარეობაში ვარდება. ჩვენ არ შეგვიძლია ისეთი წესების შექმნა, რომლებიც არ გამოდგება მოვლენათა მოწესრიგებისათვის. მაშ, ისიც ცხადია, რომ ჩვენს ნებაზე არ ყოფილა წესებისა და კანონების შექმნა; აზროვნება სრულიადაც არ ყოფილა თავისუფალი თავის შემოქმედებაში; ამ წე-

სების „შექმნა“ დამოკიდებული ყოფილა არა ჩვენზე, არამედ ჩვენგან დამოუკიდებელზე.

მეცნიერების კანონები თამაშის წესები, დადგენილებები როდია, ისინი განსაზღვრულნი არიან იმით, რაც ჩვენგან დამოუკიდებელია, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია.

თამაშს გარკვეული აზრი, მნიშვნელობა აქვს; მეცნიერების თამაშად გადაქცევა თვითონ თამაშს წარმოადგენს, თავისთავად უაზროს, მაგრამ, სამწუხაროდ, მშრომელთა მასების მოსატყუებლად შექმნილს; მხოლოდ ამდენად აქვს მას აზრი.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია მომაკვდავი კაპიტალიზმის ფილოსოფიას უპირისპირებს ოპტიმიზმით გამსჭვალულს, მეცნიერებითა და პრაქტიკით დასაბუთებულს, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობის პრაქტიკით გამართლებულს დებულებას იმის შესახებ, რომ ჩვენი ცოდნა ბუნების კანონების შესახებ სანდო ცოდნას წარმოადგენს, რომ არ არსებობენ შეუცნობადი საგნები, არამედ არსებობენ ჯერ შეუცნობელი საგნები, რომლებიც შეცნობილი იქნებიან მეცნიერებისა და პრაქტიკის ძალებით.

სინამდვილე არსებობს ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად როგორც კანონზომიერი მთლიანი. მას მართლაც მოწესრიგება უნდა, მაგრამ არა იმ აზრით, რომ ჩვენ შევიტანთ მასში კანონზომიერებას,— ამ მხრით ის თავისთავად მოწესრიგებულია,— არამედ იმ აზრით, რომ საზოგადოების მოწინავე ძალები ბუნებისა და საზოგადოების ობიექტური კანონების შემეცნების საფუძველზე გარდაქმნიან სინამდვილეს ისე, რომ მაქსიმალურად დააკმაყოფილონ ადამიანთა მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებანი.

10. ლოგიკური ემპირიზმის პრინციპების გამოყენება „პოზიტიურ“ მეცნიერებაში

იმის თქმა, რომ იმპერიალიზმის პერიოდში ზუსტი მეცნიერება, კერძოდ ბუნებისმეცნიერება, არ განიცდის განვითარებას, შეცდომა იქნებოდა. ტექნიკის განვითარება იმ დარგებში, რომლებსაც შეუძლიათ მაქსიმალური მოგება მოუტანონ კა-

პიტალისტებს, სამხედრო ტექნიკის განვითარება მომავალი აგრესიული ომებისათვის, კერძოდ ატომური და ბაქტერიოლოგიური ომისათვის მზადება, შეუძლებელი იქნებოდა მეცნიერების გარკვეული დარგების განვითარების გარეშე.

მაგრამ იმპერიალისტური ბურჟუაზია მოითხოვს თავის მსახურებისაგან მეცნიერების განვითარება, მეცნიერების ახალი აღმოჩენები იდეალისტური და ფილოსოფიური ტანსაცმელით შემოსონ. იმპერიალისტური ბურჟუაზია მოითხოვს თავის მსახურებისაგან თეორიაშიც აწარმოონ ბრძოლა დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ, ე. ი აწარმოონ ბრძოლა სოციალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამიტომ მეცნიერებისა და ფილოსოფიის წარმომადგენელნი ასრულებენ რა იმპერიალისტური ბურჟუაზიის სოციალურ დაკვეთას, მეცნიერების ახალ აღმოჩენებს ყალბ, რეაქციულ ფილოსოფიურ ინტერპრეტაციას აძლევენ.

ვ. ლენინი წერდა „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში“: „რეაქციულ ზრახვებს თვით მეცნიერების პროგრესი იწვევს“[1]. რასაკვირველია, ლენინის ამ სიტყვებში ის კი არ იგულისხმება, რომ მეცნიერების განვითარება თავისთავად რეაქციულ შედეგებს გვაძლევს; მაგრამ საკითხავია, „რეაქციულ ზრახვებს იწვევს“ ვის ხელში?

მეცნიერების განვითარება რეაქციულ ზრახვებს იწვევს იმპერიალისტური, რეაქციული ბურჟუაზიის მსახურების ხელში. ნამდვილად მეცნიერების განვითარება ყოველი თავისი წინსვლით, ყოველი თავისი აღმოჩენით ამართლებს მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის პრინციპებს, მეცნიერება მიდის ნელ-ნელა მაგრამ მტკიცედ დიალექტიკური მატერიალიზმისაკენ. ლენინი აღნიშნავდა, რომ დიალექტიკური მატერიალიზმისაკენ „ნაბიჯს თანამედროვე ფიზიკა დგამს და კიდეც გადადგამს, მაგრამ იგი ბუნებისმეტყველების ერთადერთი სწორი მეთოდისა და ერთადერთი სწორი ფილოსოფიისაკენ მიდის არა პირდაპირ, არამედ ზიგზაგებით, არა შეგნებუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ტ. 14. გვ. 391.

ლად, არამედ სტიქიურად, ისე რომ თავის „საბოლოო მიზანს“ ნათლად კი ვერ ხედავს, არამედ მას ხელების ცეცებით, მერყეობით, ხანდახან ზურგით უახლოვდება. თანამედროვე ფიზიკა მშობიარობას განიცდის. იგი შობს დიალექტიკურ მატერიალიზმს. მშობიარობა მტკივნეულია. ცოცხალი და სიცოცხლისუნარიანი არსების გარდა, ეს მშობიარობა აუცილებლად ზოგიერთ ისეთ მკვდარ ნაყოფსაც, ნაყარ-ნუყარსაც იძლევა, რომელიც სანაგვეში უნდა გადავაგდოთ“. ლენინი აღნიშნავს, რომ „ამ ნაყარ-ნუყარს ეკუთვნის მთელი ფიზიკური იდეალიზმი, მთელი ემპირიოკრიტიკული ფილოსოფია ემპირიოსიმბოლიზმსა, ემპირიომონიზმსა და სხვ. ამგვარებთან ერთად“[1].

3. ლენინის ეს სიტყვები მთლიანად ძალაში რჩება ლოგიკური ემპირიზმისა და მისი პრინციპების მეცნიერებაში გამოყენების დახასიათებისათვის.

ლოგიკურმა ემპირიზმმა სათანადო იარაღი მისცა ბურჟუაზიის მსახურ-მეცნიერთ მეცნიერების ახალი აღმოჩენების ყალბი ინტერპრეტაციისათვის, მეცნიერების წინსვლის გამოყენებისათვის, იდეალიზმის დასაცავად და მატერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეს პრინციპები ჩვენთვის უკვე ცნობილია: ობიექტური, მატერიალური სინამდვილის არსებობის საკითხის მოხსნა და იმის აღიარება, რომ ადამიანის ცნობიერება აშენებს „მეცნიერების სინამდვილეს“; გრძნობათა მონაცემი როგორც ერთადერთი მასალა, რომლის საფუძველზე ვაშენებთ სინამდვილეს — არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს, გრძნობათა მონაცემი არის პირველი წყარო, რომლის საშუალებით შევიცნობთ სინამდვილეს, არა, აქ გამოთქმულია გარკვეული აზრი: გრძნობათა მონაცემი ერთადერთი რეალობაა, რომელშიც ჩვენ შეგვაქვს წესრიგი და ამით ავაგებთ იმას, რასაც სინამდვილე უნდა ეწოდებოდეს; — კანონების ობიექტური ხასიათის უარყოფა და მათი „თამაშის წესებად“ გამოცხადება, მათი შექმნა და

---

[1] ვ. ი. ლენინი. ტ. 14. გვ. 397—398.

მიღება შეთანხმების საფუძველზე; ლოგიკის გამოცხადება ენის სინტაქსად, ობიექტური ჰეშმარიტების უარყოფა და აღიარება დებულების: ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, ვინ რა „ენაზე" ლაპარაკობს; სამყაროს გადაქცევა სიმბოლოების, ნიშნაკების ერთობლივობად.

აქ ჩვენ ვერ შევეხებით თანამედროვე მეცნიერების, კერძოდ ფიზიკის, ძირითად პრობლემებს. ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ იმ საერთო ხაზს, რომელიც ჯერ-ჯერობით გაბატონებულია იმპერიალისტური ქვეყნების ფიზიკოსებს შორის და მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს ამ ხაზის საილუსტრაციოთ.

მიუხედავად იმ დიდი აღმოჩენებისა, რომელიც აინშტაინის სახელთან არის დაკავშირებული, თვითონ აინშტაინი ყალბ, სუბიექტურ-იდეალისტურ ინტერპრეტაციას აძლევს თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს. ლოგიკური ემპირიზმის პრინციპების მიხედვით აინშტაინი უარყოფს კანონების ობიექტურ ხასიათს. ბუნების კანონი მისთვის გარკვეულ ხერხს წარმოადგენს, რომლითაც ჩვენ შეგრძნებებს ვაწესრიგებთ. მისი აზრით, ცნებებსა და თეორიებს (ცნებათა სისტემებს) მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვის იმდენად, რამდენადაც ისინი გვიადვილებენ ჩვენ შეგრძნებათა კომპლექსების მიმოხილვას; სხვა გამართლება მათ არა აქვთ. **(Эйнштейн. Геометрия и опыт).**

აინშტაინი ეთანხმება ერთ-ერთ ავტორს (ბარნეტს), რომელმაც წიგნი დაწერა აინშტაინის შესახებ. ამ წიგნის წინასიტყვაობაში აინშტაინი წერს, რომ ის(ეს წიგნი) გვაძლევს სწორ სურათს ჩვენი თანამედროვე ცოდნის შესახებ ფიზიკის დარგში. ბარნეტი ამ წიგნში შემდეგს წერს: „ასე თანდათანობით ფილოსოფოსები და მეცნიერები მივიდნენ გასაკვირველ დასკვნამდე, სახელდობრ, რომ ობიექტური სამყარო, რომელიც შედგება მატერიისა და ენერგიისაგან, ატომებისაგან და ვარსკვლავებისაგან, არსებობს როგორც ჩვენი ცნობიერების კონსტრუქცია, როგორც პირობითი ნიშნების სისტემა, პირობითი ნიშნების, რომლებიც ადამიანთა შეგრძნებებით არის შექმნილი"[1].

---

[1] Философские вопросы современной физики. 1952 წ., გვ. 52.

ედინგტონი ფიზიკის საგნად „ფიზიკურ სამყაროს“ აცხადებს. ეს ტავტოლოგიური განსაზღვრება ჯერ-ჯერობით არაფერს ამბობს: ის შეიძლება მართებულიც იყოს, მაგრამ შეიძლება მცდარიც, იმისდა მიხედვით თუ რას ვგულისხმობთ „ფიზიკური სამყაროს“ ცნებაში. ედინგტონის აზრით „ფიზიკური სამყაროს“ ცნებაში სულაც არ იგულისხმება ამ სამყაროს ობიექტური არსებობა; საკითხი მისი არსებობის შესახებ მოხსნილია. ფიზიკა სწავლობს „ფიზიკურ სამყაროს“ და სულაც არ აქცევს ყურადღებას იმას, შეგვიძლია თუ არა შევთანხმდეთ იმაში, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „რეალურად არსებობა“. ფიზიკური ობიექტები, რომლებსაც ფიზიკა სწავლობს, ცოდნის გარკვეული დარგის თემას წარმოადგენს და არა საგნებს, რომლებიც ობიექტურად არსებობენ. ფიზიკის საგნის მხოლოდ ასეთი გაგებით შეიძლება ფიზიკის განთავისუფლება მეტაფიზიკისაგან, მატერიალიზმისაგან.

ასევე მსჯელობს ნეოპოზიტივისტი ფიზიკოსი ფრანკი. მისთვის ელექტრონი ობიექტურ რეალობას როდი წარმოადგენს: ელექტრონი არის, მისი აზრით ფიზიკურ სიდიდეთა ერთობლიობა, რომელსაც ჩვენ დავადგენთ იმისათვის, რომ მის საფუძველზე ლოგიკურად გამოვიყვანოთ ხელსაწყოს ისრის ჩვენება. ჩვენ მას „ფიზიკურ ობიექტს“ ვუწოდებთ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საკითხი მისი რეალობის შესახებ არ ისმება; ეს საკითხი ყოველივე აზრს მოკლებულია.

ახალი ფიზიკის უდიდესი აღმოჩენა, რომ მიკროობიექტს საწინააღმდეგო თვისებები აქვს, რომ ფიზიკური ობიექტი არის ნაწილაკიც და ტალღაც, ფრანკის მიერ უაზრობად არის გამოცხადებული. ფიქრობენ, წერს ფრანკი, თითქოს ახალმა მექანიკამ აღმოაჩინა ფიზიკური ობიექტი, რომელიც არის ნაწილაკიც და ტალღაც; ნამდვილად არ არსებობს არავითარი ასეთი ობიექტი, რომელიც როგორც კენტავრი ნახევრად ადამიანი იყოს და ნახევრად ცხენი. არსებობენ ისეთი ექსპერიმენტული მონაცემები, რომელთა აღწერა შეიძლება ტერმინით „ნაწილაკის მდგომარეობა“, და ისეთი, რომელთა აღწერა შეიძლება ტერმინით „ტალღის სიგრძე“: მთელი

გაუგებრობა გამოწვეულია იმით, რომ მ ს ჯ ე ლ ო ბ ე ნ ობიექ-ტზე იმის მაგიერ, რომ იმსჯელონ ზოგიერთი ს ი ტ ყ ვ ი ს ხ მ ა რ ე ბ ი ს ხ ე რ ხ ზ ე.

როგორც XIX საუკ. მიწურულში და XX საუკ. დასაწყისში მახისტები „აღწერდნენ" მოძრაობას მოძრავი ობიექტის გარეშე, ისე დღეს ლოგიკური ემპირიზმის თვალსაზრისზე მდგომი ფიზიკოსები მსჯელობენ „ობიექტების" გაზომვაზე, ობიექტების, რომლებიც არ არსებობენ და რომლებიც იქმნებიან გაზომვის ოპერაციებით.

ძველი კანტიანური, უფრო სწორედ, ნეოკანტიანური თვალსაზრისი, რომელსაც „მიმართების ლოგიკა" იცავს, სახელდობრ, თვალსაზრისი, რომლის მიხედვით საგნები იქმნებიან მიმართებებით წმინდა აზრის საშუალებით, ახალი, თანამედროვე მეცნიერების დიდ მიღწევად არის გამოცხადებული.

ძველი საკითხი, რომელიც დასვა ბერკლიმ და სუბიექტურ-იდეალისტურად გადაწყვიტა, საკითხი, არსებობს თუ არა საგანი მისი აღქმის გარეშე, ხელახლად არის დასმული და მისი „გადაწყვეტა" ხდება თანამედროვე მეცნიერების საფუძველზე.

თანამედროვე ფიზიკამ აღმოაჩინა მიკროობიექტები, რომელნიც უშუალოდ არ არიან მოცემული აღქმაში ისე, როგორც, მაგალითად, ხე, სახლი, და სხვ. მათზე ჩვენ ვმსჯელობთ ხელსაწყოების მონაცემთა საფუძველზე. ანალოგიური მდგომარეობა შესაძლებელი იქნება მიკროობიექტების სფეროში, აქ რომ საგანი გვეძლეოდეს არა უშუალოდ, არამედ, მაგალითად, მისი ჩრდილის საშუალებით. საკითხი ასე დგას: რა შეგვიძლია ვთქვათ, მაგალითად, ხეზე, რომელსაც ჩვენ აღვიქვამთ მისი ჩრდილის საშუალებით. არსებობს ხე, რ.ოდესაც ჩვენ მას არ ვუყურებთ, და თუ არსებობს, რა სახით არსებობს?— ასე სვამს საკითხს რაიხენბახი. რაიხენბახი ამ კითხვას ასე უპასუხებს: ამ კითხვაზე შეუძლებელია გაიცეს ერთმნიშვნელოვანი პასუხი. შესაძლებელია ხე აღარც არსებობს, შესაძლებელია ერთი კი არა, არამედ ორი და მეტი ხეც არსებობს, თუ ჩვენ ვმსჯელობთ ხეზე მისი ჩრდილის მიხედვით. კითხვაზე, არსებობს თუ არა ხე და თუ არსებობს, რო-

გორ არსებობს — იმ შემთხვევაში, თუ ხე დაკვირვების გარეშეა და ჩვენ ვმსჯელობთ მისი ჩრდილის საფუძველზე — შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა ნ ე ბ ი ს მ ი ე რ ი პ ა ს უ ხ ი. რასაკვირველია, პასუხის შესაბამად ჩვენ უნდა ვ ც ვ ა ლ ო თ ფ ი ზ ი კ უ რ ი კ ა ნ ო ნ ე ბ ი, რომ გავამართლოთ ერთი ჩრდილის არსებობა.

ყველა პასუხი ერთნაირი ღირებულებისაა, ·ყველაფერი· დამოკიდებულია იმაზე, თუ რა კანონებს შევქმნით ამ ფაქტის ასაწერად.

ასეთივეა მდგომარეობა მიკროსამყაროში, რომლის პროცესები არ არის უშუალოდ მოცემული. მათი აღწერა სხვადასხვანაირი იქნება, იმისდამიხედვით, თუ რა კანონებს დავადგენთ: ყველა განსხვავებული აღწერა ეკვივალენტური იქნება. შესაძლებელია მივიღოთ, რომ მიკროსამყარო არსებობს ნაწილაკების სახით; ამ შემთხვევაში გვექნება კორპუსკალური ინტერპრეტაცია; მაგრამ შესაძლებელია მიკროსამყაროს პროცესებს მიეცეს ტალღობრივი ინტერპრეტაცია; ამ შემთხვევაში დაგვჭირდება კანონების შეცვლა. ასეთი ინტერპრეტაცია მრავალი შეიძლება იყოს; მაშ, ფიზიკური სამყაროს სურათიც შესაძლებელია მრავალგვარი იყოს. საინტერესო ის არის, რომ ყველა მათგანს ერთნაირი ღირებულება აქვს, ერთიც იმდენად გამართლებულია, როგორც მეორე, მაგრამ შეუძლებელია იმის დასაბუთება, რომ რომელიმე მათგანი ნამდვილად ჭეშმარიტია.

ასევე: უაზროა მსჯელობა იმის შესახებ, თუ რომელი სისტემაა ნამდვილად ჭეშმარიტი: პტოლომესი თუ კოპერნიკის. ორივე კონცეფცია ერთნაირად დასაშვები აღწერაა. საეჭვოა დღეს ლაპარაკი კოპერნიკის დიად აღმოჩენაზე. რაიხენბახის აზრით ორივე კონცეფცია ხელსაყრელ ფიქციას წარმოადგენს მოვლენათა აღწერისათვის. რაიხენბახი არ უარყოფს იმას, რომ დღეს კოპერნიკის სისტემა უფრო „გამოსადეგია“ პლანეტების მოძრაობის აღწერისათვის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს სისტემა რაიმე ობიექტურის სურათს წარმოადგენს.

აინშტაინიც აღიარებს იმ აზრს, რომ კოპერნიკის ბრძოლა პტოლომეს წინააღმდეგ უაზრო იყო: მიღება კოპერნიკის თუ პტოლომეს სისტემისა დამოკიდებულია პირობით შეთანხმებაზე: ვინ რა კოორდინატთა სისტემას აირჩევს.

საინტერესო ცნობაა მოყვანილი გალილეის შრომის რუსული გამოცემის წინასიტყვაობაში: კათოლიკური ეკლესია, რომელიც ებრძოდა კოპერნიკის თეორიას, იმთავითვე იმ აზრს იზიარებდა, როგორსაც დღეს რაიხენბახი და მისი თანამოაზრენი იცავენ. გენერალ-ინკვიზიტორის კარდინალ ბელარმინის წერილში ფოსკარინისადმი აღნიშნულია, რომ „მზის უძრაობისა და დედამიწის მოძრაობის ჰიპოთეზი სავსებით დასაშვებია, თუ ის უფრო კარგად ახსნის მოვლენებს, ვიდრე პტოლომეს სისტემა, და მათემატიკოსებისათვის ეს საკმარისი უნდა იყოს; მაგრამ იმის მტკიცება, რომ ამას ადგილი აქვს სინამდვილეში არა მხოლოდ სახიფათოა, არამედ მიუღებელია რელიგიისათვის.

ფიზიკოსების გარკვეული ჯგუფი განაგრძობს მახიზმის პოზიციებზე დგომას; მეცნიერების ახალი მიღწევების ყალბ ფილოსოფიურ ინტერპრეტაციაში მათ ლოგიკური ემპირიზმი ეხმარება. ძირითადი მიზანი, როგორც ვიცით, არის მატერიის, ობიექტური რეალობის განდევნა მეცნიერებიდან, კანონების პირობით შეთანხმებაზე დაყვანა.

მატერია, როგორც ობიექტური რეალობა ჩვეულებრივი, ყოველდღიური ენის ტერმინია, მეცნიერებაში ის ზედმეტია; ბუნება, რომელსაც ჩვენ შევისწავლით, შედგება არა იმდენად იმისაგან, რასაც ჩვენ აღვიქვამთ, არამედ ჩვენი აღქმებისაგან (ჯინსი).

ელექტრონები და პროტონები არ წარმოადგენენ ფიზიკური სამყაროს მასალას (Stuff); ისინი არიან რთული ლოგიკური სტრუქტურები, რომლებიც შეგრძნებებიდან შედგებიან (Russel. „Analysis of Matter").

მატერიასთან ერთად განდევნილია ობიექტური ჭეშმარიტების ცნებაც. ლოგიკური ემპირიზმის თვალსაზრისზე მდგო-

ში ფიზიკოსები, როგორც ფიზიკოსები, რასაკვირველია, ექსპერიმენტულ მონაცემს ეყრდნობიან; ამის საფუძველზე აწარმოებენ ისინი ძირითადი ცნებების განსაზღვრებას. მაგრამ ეს ექსპერიმენტები მათ იმისათვის კი არ სჭირდებათ, რომ მათი საშუალებით დაადგინონ ამ განსაზღვრებათა ჭეშმარიტება. ექსპერიმენტი საჭიროა იმისათვის, რომ ყველამ ერთი და იმავე ტ ე რ მ ი ნ ი თ განსაზღვროს ერთი და იგივე ფიზიკური სიდიდე. ედინგტონი არ მალავს იმ გარემოებას, რომ ამ განსაზღვრებისას საკითხი იმის შესახებ, გვაძლევენ ექსპერიმენტები ჭ ე შ მ ა რ ი ტ ფ ი ზ ი კ უ რ სიდიდეს თუ არა, მოხსნილია. მთავარი აქ არის — მივაღწიოთ ს ა ე რ თ ო დ მ ი ღ ებ უ ლ პ ი რ ო ბ ი თ ე ნ ა ს. (Эдингтон. Теория относительности).

როგორც ვხედავთ მოფილოსოფოსე ფიზიკოსები იმპერიალისტურ ქვეყნებში—და პირველ რიგში ამერიკის შეერთებულ შტატებში და ინგლისში — გამოიყენებენ რა ლოგიკური ემპირიზმის (ნეოპოზიტივიზმის) პრინციპებს, ამ პრინციპებით უკეთებენ ინტერპრეტაციას თანამედროვე ფიზიკის აღმოჩენებს. საბჭოთა ფიზიკოსების წინაშე დგას დიდი ამოცანა: თანამედროვე ფიზიკის დიდი აღმოჩენების ყალბი ინტერპრეტაციის კრიტიკა და მათი დიალექტიკურ-მატერიალისტური მეთოდოლოგიის თვალსაზრისით დამუშავება. ამ ამოცანის დაკისრება ფილოსოფოსებზე არ იქნება მართებული. როგორც აკად. ვავილოვი აღნიშნავდა, ეს ამოცანა ძირითადად ფიზიკოსებმა უნდა შეასრულონ ფილოსოფოსებთან კავშირში.

ამ ამოცანის შესრულება გაადვილებულია იმით, რომ ფიზიკური იდეალიზმის კრიტიკის ძირითადი ხაზები მოცემული აქვს ვ. ი. ლენინს.

საბჭოთა ფიზიკოსები მარტო ამ ამოცანის წინაშე არ არიან. ბურჟუაზიულ ქვეყნებში მოიპოვება დიდ მეცნიერთა საკმაო რაოდენობა, რომელიც პროგრესულ თვალსაზრისზე დგას და ფიზიკურ იდეალიზმს ებრძვის. საკმარისია დავასახელოთ ჟოლიო-კიური, ბერნალი, ბლეკეტი, მათემატიკოსი პ. ლევი და სხვ.

11. მრავალმნიშვნელოვანი ლოგიკა

მოკლედ უნდა შევეხოთ ე. წ. მრავალმნიშვნელოვანი ლოგიკის კონცეფციას, რომელსაც გამოიყენებს ლოგიკური ემპირიზმი. საქმე ის არის, რომ ე. წ. მრავალმნიშვნელოვანი ლოგიკა — მათემატიკური ლოგიკისა არ იყოს — შემთხვევით არის დაკავშირებული ლოგიკურ ემპირიზმთან, უკვე აღნიშნული იყო, რომ ის გარემოება, რომ მათემატიკური ლოგიკა ლოგიკური ემპირიზმის მიერ იყო და არის გამოყენებული და ისტორიულად მას (ლოგიკას) პოზიტივიზმი დაუკავშირდა, არაფერს ამბობს ამ მეცნიერების წინააღმდეგ: რეაქციული ფილოსოფია ყველაფერს გამოიყენებს, მეცნიერების ყველა მიღწევაზე პარაზიტობს, მაგრამ ამის გამო ჩვენ კი არ უარვყოფთ ამ მიღწევებს. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ამხელს რა მეცნიერებათა მიღწევების გაყალბებას, აძლევს მათ ერთადერთ მართებულს, მეცნიერულ ინტერპრეტაციას.

რაც შეეხება მრავალმნიშვნელოვან ლოგიკას, ჯერ კიდევ სადავოა, აქვს, ან ექნება მას რაიმე ნამდვილი მეცნიერული ღირებულება თუ არა. ყოველ შემთხვევაში ლოგიკური ემპირიზმი მას გამოიყენებს და ამდენად ისიც უნდა გახდეს კრიტიკული ანალიზის საგანი.

საერთოდ მეცნიერებაში, კერძოდ ლოგიკაში, დებულებას, მსჯელობას განიხილავენ მისი ჭეშმარიტებისა და მცდარობის მიხედვით. მსჯელობას არისტოტელე განსაზღვრავდა როგორც აზრს, რომელიც ან ჭეშმარიტია ან მცდარი.

ეს ნიშნები დამახასიათებელია მსჯელობისათვის. მსჯელობის ეს ორი მნიშვნელობა აღინიშნება თანამედროვე როგორც ზოგად, ისე მათემატიკურ ლოგიკაში. მათემატიკური ლოგიკა ამ ორ მნიშვნელობას მსჯელობის განსაზღვრებად თვლის.

მართლაც, სხვა რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მსჯელობას გარდა ჭეშმარიტებისა და მცდარობის მნიშვნელობისა. მსჯელობებს რომ ვადარებთ ერთმანეთს, ხშირად გვაქვს უფლება დავასკვნათ ერთი მსჯელობის ჭეშმარიტებიდან ან მცდა-

რობიდან მეორე მსჯელობის ჭეშმარიტებაზე ან მცდარობაზე; მაგრამ არის ისეთი შემთხვევაც, როდესაც ერთი მსჯელობის ჭეშმარიტებიდან ან მცდარობიდან ვერაფერს ვიტყვით მეორე მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობაზე; ამ შემთხვევაში ამბობენ, რომ მეორე მსჯელობის ჭეშმარიტება-მცდარობა გაურკვეველია. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს მეორე მსჯელობა არც ჭეშმარიტია, არც მცდარია და ამას რაღაც მესამე მნიშვნელობა აქვს; ეს მეორე მსჯელობა უსათუოდ ან ჭეშმარიტია, ან მცდარია, იმის მიხედვით ასახავს ის სინამდვილეს თუ არა; გაურკვეველობა აქ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცით, ჭეშმარიტია ის თუ მცდარი.

ლოგიკური ემპირიზმი გამოიყენებს რა „ახალ ლოგიკას" ამტკიცებს, რომ წინადადებას შეიძლება ჰქონდეს ჭეშმარიტებისა და მცდარობის გარდა სხვა მნიშვნელობაც, მეტიც: სხვა მნიშვნელობანიც.

ჯერ-ერთი გავიხსენოთ, რომ ამ თეორიის მიხედვით გამოთქმები დაყოფილია ორ კლასად, რომელნიც ერთმანეთს გამორიცხავენ; გამოთქმების ერთ კლასს აღნიშნავენ ჭეშმარიტების ნ ი შ ნ ი თ, მეორეს — მცდარობის ნ ი შ ნ ი თ[1]. აღნიშნავენ ჭეშმარიტებას 1-ით, ხოლო მცდარობას 0-ით. მნიშვნელობა 1 ჭეშმარიტებას გამოხატავს, მნიშვნელობა 0— მცდარობას. 1-სა და 0-ს შორის შესაძლებელია გამოვყოთ მნიშვნელობა $^1/_2$; მაგრამ 1-სა და 0-ს შორის არსებობს უსასრულო ბევრი მნიშვნელობა. ამის მიხედვით შესაძლებელია აიგოს მრავალნაირი სახის ლოგიკა.

ცნობილი პოლონელი ლოგიკოსი ლუკაშევიჩი აგებს ორ სისტემას: სამმნიშვნელოვან ლოგიკას და მრავალმნიშვნელოვანს („უსასრულო მნიშვნელოვანს"). სამმნიშვნელოვანი ლოგიკა არის ორმნიშვნელოვანის კლასის ნაწილი და მრავალმნიშვნელოვანი კი სამმნიშვნელოვანი კლასის ნაწილი. ეს იმას ნიშნავს, რომ სამისა და მრავალმნიშვნელოვანი ლოგიკის

---

[1] როგორც იყო გარკვეული, ამ შემთხვევაში, ჭეშმარიტება და მცდარობა მხოლოდ ნიშნაკებია.

დებულებებს ძალა აქვთ ორმნიშვნელოვან ლოგიკაში, ხოლო ორმნიშვნელოვანის ზოგიერთ დებულებას უკვე აღარ აქვს ძალა სამისა და მრავალმნიშვნელოვან ლოგიკაში.

რასაკვირველია, ამგვარი სისტემა შეიძლება აშენდეს მათემატიკური მეცნიერების მ ს გ ა ვ ს ა დ, მაგრამ იბადება კითხვა რა რეალური მნიშვნელობა აქვს ასეთ სისტემას, გამოხატავს ის რაიმე ობიექტურს, თუ არა. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ინტერპრეტაციას აძლევენ ამგვარ სისტემას. მას შეიძლება ორნაირი ინტერპრეტაცია მიეცეს.

პირველი: 1 და 0 არ აღნიშნავენ შესაბამად ჭეშმარიტებასა და მცდარობას; იქნებ ეს საინტერესო სისტემა იყოს, მაგრამ ლოგიკასთან კერძოდ და ფილოსოფიასთან საერთოდ მას არავითარი კავშირი არა აქვს. თუ აღმოჩნდება რაიმე ობიექტთა კლასი, რომელიც ამგვარ სისტემას დააკმაყოფილებს, მაშინ მას ექნება გარკვეული მნიშვნელობა; და თუ ობიექტთა ასეთი კლასი არ არსებობს, ეს სისტემა ჭკუამახვილობის მაჩვენებელია, რომელიც ჭეშმარიტებისა და მცდარობის გარეშე დგას.

მეორე ინტერპრეტაცია: 1 აღნიშნავს ჭეშმარიტებას, ხოლო 0 — შეცდომას. აქ უკვე მდგომარეობა არსებითად განსხვავებულია: ეს ინტერპრეტაცია ჭეშმარიტების გარკვეულ თეორიამდე მიგვიყვანს, თეორიამდე, რომელიც ჩვენთვის პრინციპულად მიუღებელია.

ამ ინტერპრეტაციის გასაგებად მივმართოთ ლუკაშევიჩის მაგალითს; მე წამოვაყენე დებულება: „მე ვიქნები მერმის 21 ნოემბერს ვარშავაში". არის ეს დებულება ჭეშმარიტი თუ მცდარი? ლუკაშევიჩის პასუხი ასეთია: ეს დებულება არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, რადგან მ ე შ ე ი ძ ლ ე ბ ა ვ ი ყ ო ა ღ ნ ი შ ნ უ ლ დ რ ო ს ვ ა რ შ ა ვ ა შ ი, მ ა გ რ ა მ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ა რ ვ ი ყ ო. ეს დებულება ჭეშმარიტი რომ ყოფილიყო, მე უნდა უსათუოდ ვიყო ვარშავაში; მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ზემოთ წამოყენებულ ხაზგასმულ დებულებას. ეს დებულება მცდარი რომ ყოფილიყო, მაშინ ჩემი ვარშავაში

ყოფნა აღნიშნულ დროს შეუძლებელი იქნებოდა; მაგრამ ესეც ეწინააღმდეგება ზემოთ მოყვანილ ხაზგასმულ დებულებას. ამიტომ ეს დებულება არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, მისი მნიშვნელობა არც 1-ია და არც 0-ია; მისი მნიშვნელობა უდრის $^1/_2$. მნიშვნელობა $^1/_2$ არც ჭეშმარიტია და არც მცდარია, ის შესაძლებლობის გამომხატველია. დღეს ის არც ჭეშმარიტია და არც მცდარი. ლუკაშევიჩმა მნიშვნელობა „$^1/_2$" ჭეშმარიტებასთან და მცდარობასთან ერთად მესამე მნიშვნელობად მიიჩნია, „შესაძლებლობის" მნიშვნელობად.

ლოგიკური ემპირიზმი უფრო შორს წავიდა; მესამე მნიშვნელობა მან „უაზრობად" გამოაცხადა: არსებობენ წინადადების ჭეშმარიტი, მცდარი და უაზრო მნიშვნელობანი. რომ არსებობენ უაზრო დებულებები, ცხადია. მაგრამ ყველა ჯერჯერობით გადაუწყვეტელი დებულების უაზრობად გამოცხადება თვით უაზრობას წარმოადგენს.

ლოგიკური ემპირიზმი გამოიყენებს ჰაიზენბერგის მიერ დადგენილს განუსაზღვრელობის პრინციპს. ამ პრინციპის შინაარსი ასეთია: ორი სიდიდე (მაგ. კოორდინატი და იმპულსი), რომელიც განსაზღვრავს ნაწილაკის (ელექტრონის) მოძრაობის მდგომარეობას შეუძლებელია ერთდროულად იქნეს ზუსტად გაზომილი. თუ დავადგინეთ ნაწილაკის სიჩქარე, შეუძლებელია ზუსტად მისი ადგილის დადგენა. ამიტომ ამ შემთხვევაში მსჯელობა, რომელიც გამოთქვამს აზრს ნაწილაკის ადგილის შესახებ, არც ჭეშმარიტია და არც მცდარი.

მაგალითად, ორ მსჯელობაზე: 1) ელექტრონი დროში t_2 იმყოფება ადგილას „l" და 2) ელექტრონი დროში t_2 არ იმყოფება ადგილას „l" ვერც იმას ვიტყვით, რომ ისინი ჭეშმარიტნი არიან, ვერც იმას, რომ ისინი მცდარნი არიან.

თუ ჩვენ ვიტყვით, რომ ერთ-ერთი ამ მსჯელობათაგანი ჭეშმარიტი უნდა იყოს, ლოგიკური ემპირიზმი მაშინვე თავის პრინციპს წამოაყენებს, „გამართლების" (verification) პრინციპს. რომელიმე გამოთქმა ჭეშმარიტია, ნიშნავს მეცნი-

ერების თვალსაზრისით ყოველთვის შემდეგს: მისი შემოწმება უნდა იყოს შესაძლებელი[1].

და თუ მსჯელობის გამართლება შეუძლებელია, მაშინ ის არც ჭეშმარიტია და არც მცდარი, ის უაზროა.

განვიხილოთ ჯერ ჭეშმარიტების ეს გაგება, რომელიც სამმნიშვნელოვანი ლოგიკის მიერ არის წამოყენებული.

ავიღოთ ლუკაშევიჩის მაგალითი: ამა და ამ დროს მე ვიქნები ვარშავაში; რასაკვირველია, შეიძლება მართლაც აღმოჩნდეს, რომ ამ დროს ვარშავაში ვიქნები, შესაძლებელია აღმოჩნდეს საწინააღმდეგო: ამ დროს მე ვარშავაში არ ვიყო. მაგრამ ნიშნავს განა ეს იმას, რომ ჩემ მიერ წამოყენებულ დებულებას არ ახასიათებს არც ჭეშმარიტება და არც მცდარობა, რომ მას რაღაც მესამე მნიშვნელობა აქვს, ანდა უაზროა? სულაც არა!

ეს დებულება ან ჭეშმარიტია, ან მცდარია, მაგრამ მე ა რ ვ ი ც ი ჯერ-ჯერობით ჭეშმარიტია ის თუ მცდარი. 21 ნოემბერს გამოირკვევა, წინა წელს ჩემ მიერ წამოყენებული დებულება ჭეშმარიტი იყო თუ არა. თუ მე 21 ნოემბერს ვარშავაში აღმოვჩნდი, ჩემი დებულება ჭეშმარიტი ყოფილა, წინააღმდეგ შემთხვევაში მცდარი. ლუკაშევიჩი ურევს ორ ცნებას: შესაძლებლობა იმისა, რომ დებულება ჭეშმარიტი აღმოჩნდება ან მცდარი მან დებულების (წინადადების) მესამე მნიშვნელობად გამოაცხადა.

საერთოდ, დებულების ჭეშმარიტება და მცდარობა გაიგივებულია ამ დებულების შემოწმებასთან.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფია ჭეშმარიტების საზომად პრაქტიკას აღიარებს. პრაქტიკაში უნდა შემოწმდეს დებულების ჭეშმარიტება; პრაქტიკა გაამართლებს ჭეშმარიტ დებულებას, ხოლო უკუაგდებს მცდარს.

ნათელია აქედან, რომ რომელიმე დებულებას ჭეშმარიტებას პრაქტიკა კი არ ანიჭებს; დებულება უნდა იყოს ჭეშმარიტი, მან უნდა ადექვატურად ასახოს სინამდვილე,— ამა-

---

[1] განუსაზღვრელობის პრინციპის შესახებ, მსჯელობა და მოყვანილი მაგალითები იხ. Zeitschrift f. Philosofische Forschung. 1949. B III, H. 2.

შია ჭეშმარიტების ცნების შინაარსი და პრაქტიკა კი არ გახდის დებულებას ჭეშმარიტად, არამედ ის გაამართლებს ჭეშმარიტ დებულებას.

რაც შეეხება ვერიფიკაციის პრინციპს — დებულებას ჭეშმარიტებას ანიჭებს ვერიფიკაცია — ჯერ-ერთი ზემოთ თქმულიდან ნათელია, რომ ვერიფიკაცია მხოლოდ ამოწმებს, ამართლებს ჭეშმარიტ დებულებას და არ ანიჭებს მას ჭეშმარიტების მნიშვნელობას — და მეორე: ასეთი მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანდა. მაგალითად, თუ ჩვენ ვიცით, რომ კეისარმა გადალახა რუბიკონი და ა რ ა ვ ი თ ა რ ი ცნობა არ მოგვეპოვება იმის შესახებ, რა ადგილას გადალახა მან ეს მდინარე, ნუთუ ორი მსჯელობიდან, რომელიც წამოყენებულია ამის შესახებ: „კეისარმა გადალახა რუბიკონი რომიდან ასი კილომეტრის მანძილზე", და „კეისარმა გადალახა რუბიკონი რომიდან არა ასი კილომეტრის მანძილზე"[1] არც ერთს არ ახასიათებს ჭეშმარიტების ნიშანი? რასაკვირველია ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად ჭეშმარიტია, იმისდა მიუხედავად, რომ ამ დებულებების შემოწმება შეუძლებელია.

ანდა ვთქვათ, არავითარი საბუთი, ცნობა არა გვაქვს იმის შესახებ, ვინ დაწერა შექსპირის ესა და ეს ტრაგედია. ნუთუ არც ერთი ქვემოთ მოყვანილი მსჯელობა არ არის ჭეშმარიტი; „ეს ტრაგედია დაწერა შექსპირმა" და „ეს ტრაგედია შექსპირს არ დაუწერია". ის გარემოება, რომ ჩვენ არ ვიცით ვინ დაწერა ეს ტრაგედია, ხელს არ უშლის იმას, რომ ერთ-ერთი მათგანი ნამდვილად ჭეშმარიტია.

და ბოლოს, რაც მთავარია: რადგან ამ თეორიაში ჭეშმარიტება და მცდარობა მხოლოდ ნიშნაკებია, რომელთა საშუალებით ჩვენ ვყოფთ გამოთქმებს ორ ერთმანეთის გამომრი-

---

[1] მანძილს აქ არა აქვს მნიშვნელობა: ასი იქნება, თუ ორასი, სამასი სულ-ერთია. მთავარია არსებობდეს შესაძლებლობა მდინარის გადალახვისა გარკვეული მანძილის ფარგლებში, რომელიც შეიძლება მეტიც იყოს და ნაკლებიც მოცემულ რიცხვზე; რასაკვირველია, თუ მდინარე მთელი თავისი სიგრძით იმყოფება 100 კილომეტრზე უფრო ახლო, ან შორს რომისაგან, მაშინ შემოწმება შესაძლებელი იქნება.

ცხავ კლასად და ისინი სრულიადაც არ ნიშნავენ სინამდვილის ადექვატურ ასახვასა და დამახინჯებას, ცხადია იმიტომ, რომ ე. წ. სამმნიშვნელოვანი ლოგიკა ნამდვილად ორ მნიშვნელოვანზე დაიყვანება: სამმნიშვნელოვანშიც გამოთქმები ორ კლასად დაიყოფა, რომლებიც ერთმანეთს გამორიცხავენ, სახელდობრ, ისეთ გამოთქმებზე, რომლებიც დასაშვებია და გამოთქმებზე, რომლებიც არ არის დასაშვები ამ ლოგიკის მიხედვით. სამმნიშვნელოვანი ლოგიკის პრინციპების მიხედვით გარკვეული გამოთქმები დასაშვები უნდა იყოს, ხოლო გარკვეული გამოთქმები დაუშვებელი. სხვა გამოსავალი აქ არ არსებობს.

ამრიგად „დასაშვები" და „დაუშვებელი" ის ნიშნაკები იქნება, რომლითაც ჩვენ გავყოფთ გამოთქმებს ორ ერთმანეთის გამომრიცხავ კლასად და რომლებიც აქ ჭეშმარიტებისა და მცდარობის ნიშნაკების როლს შეასრულებენ.

VI. სემანტიკური იდეალიზმი

უკვე იყო აღნიშნული, რომ სუბიექტური იდეალიზმის ორი სკოლა, რომელიც გაბატონებულია კაპიტალისტური ქვეყნების — და პირველ რიგში ამერიკის შ. შ. თანამედროვე ფილოსოფიაში — ლოგიკური ემპირიზმი და პრაგმატიზმი, ერთმანეთს დაუახლოვდა, ერთ მთლიან სკოლად გადაიქცა. ეს გასაგებიც არის: კლასობრივი საფუძველი ამ მიმართულებებს ერთი და იგივე აქვს; ორივე მიმართულება ერთსა და იმავე სოციალურ დაკვეთას ასრულებს, სახელდობრ, იმპერიალიზმის გამართლებისათვის იბრძვის, მის აგრესიულ პოლიტიკას ამართლებს, დემოკრატიისა და სოციალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თეორიას ქმნის.

მეორე მხრით, მართალია, მათი დებულებების „დასაბუთების“ გზა განსხვავებულია, მაგრამ საბოლოო კონცეფციის ძირითადი პრინციპები ერთნაირია: ძველი „მეტაფიზიკური“ თეორიების წინააღმდეგ ბრძოლა, ლოზუნგი: მატერიალიზმზე და იდეალიზმზე მაღლა დგომა, ობიექტური სინამდვილის არსებობის საკითხის მოხსნა, შეგრძნებათა ქაოსის ამოსავალ წერტილად მიღება, სუბიექტური იდეალიზმი, აგნოსტიციზმი, ვოლუნტარიზმი და სხვ. — ყველაფერი ეს ორივე მიმართულებას ახასიათებს. ლოგიკური ემპირიზმი მახიზმის თავისებუ-

რი გარეშეორებაა. ხოლო პრაგმატიზმის განსხვავება მახიზმისაგან „მეათეხარისხოვანი და უმნიშვნელოა". ამიტომ ამ ორი მიმართულების დაახლოებასა და მათი წარმომადგენლების ერთმანეთთან თანამშრომლობას წინ არაფერი უდგას.

უნდა მივაქციოთ ყურადღება კიდევ ერთ გარემოებას, რომელიც საფუძვლად დაედო მათ თანამშრომლობას და მათი საერთო ძალებით ახალი თეორიის შექმნას. როგორც ვიცით, პრაგმატიზმი აღიარებდა დებულებას, რომ სიტყვებს არა აქვთ გარკვეული მნიშვნელობა; ყველას თავისებურად ესმის ესა თუ ის სიტყვა, ყველას შეუძლია თავისებური შინაარსი ჩადოს სიტყვაში; „ვატერლოო" ინგლისელისთვის გამარჯვებას ნიშნავს, ხოლო ფრანგისათვის დამარცხებას; დანასკვის გაკეთება წანამძღვრებიდან ყოველნაირი მიმართულებით შეიძლება, რადგან საშუალო ტერმინში ყოველნაირი აზრის ჩადება შეიძლება. ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე. ვინ როგორ ხმარობს სიტყვებს, ვინ რა ენაზე ლაპარაკობს.

ამას დაემატა დიუის სკოლის მოძღვრება ენის შესახებ: ენა დაიყვანება ბიოლოგიურ ფაქტორზე; ეს ისეთივე ფიზიოლოგიური პროცესია, როგორც სხვა რომელიმე რეაქცია ორგანიზმისა სტიმულზე. ეს რეაქცია ხორხის რეაქციაა და ამ მხრივ ის არ განსხვავდება პრინციპულად ცხოველის რეაქციისაგან. ენა სრულიადაც არ არის ადამიანთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება.

თავის მხრივ ლოგიკური ემპირიზმი დაიყვანს ფილოსოფიას ლოგიკაზე, ხოლო ლოგიკას სინტაქსზე. ფილოსოფიაში და მეცნიერებაში, რომლებიც სიტყვებისა და წინადადებებისაგან შედგება, მთავარია ენა, ენის ფორმა, მთავარია ის, თუ ვინ რა ენაზე ლაპარაკობს, ენის რა ფორმას გამოიყენებს.

ეს ორი ხაზი შეერთდა ახალ ფილოსოფიურ მიმართულებაში, რომელსაც სემანტიკას, სემანტიკურ ფილოსოფიას უწოდებენ.

იდეალიზმი პარაზიტობს მეცნიერებაზე, ის სპეკულაციას აწარმოებს მეცნიერების მიღწევებზე; იდეალიზმი ამოგლეჯს სინამდვილიდან მის ერთ მხარეს და მას გაბერავს მთელ

სინამდვილემდე, შემეცნების პროცესის ერთ მხარეს, ერთ მის ნიშანს შემეცნების მთელ პროცესად აცხადებს, ამით ის ამ მხარესაც დაამახინჯებს რეაქციული მიზნების გასამართლებლად.

ი. სტალინი შრომაში „მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები" წერდა: „სემანტიკა (სემასიოლოგია) ენათმეცნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. სიტყვათა და გამოთქმათა შინაარსობრივ მხარეს სერიოზული მნიშვნელობა აქვს ენის შესწავლის საქმეში. ამიტომ სემანტიკისათვის (სემასიოლოგიისათვის) უზრუნველყოფილ უნდა იქნას მისი შესაფერი ადგილი ენათმეცნიერებაში.

მაგრამ სემანტიკის საკითხების დამუშავებისა და მისი მონაცემების გამოყენებისას არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გაზვიადებულად შევაფასოთ მისი მნიშვნელობა, და მით უმეტეს — არ შეიძლება ბოროტად გამოვიყენოთ იგი"[1] და შემდეგ: „სემანტიკის გაზვიადებულმა შეფასებამ და მისმა ბოროტად გამოყენებამ ნ. ი. მარი იდეალიზმამდე მიიყვანა"[2].

თუ ეს ასეა — ეს კი ნამდვილად ასეა — გასაგები უნდა იყოს, თუ რა მახინჯ ფილოსოფიას წარმოადგენს სემანტიკური ფილოსოფია, რომელმაც არა მხოლოდ გააზვიადა მეცნიერების ერთი დარგის შიგნით სემანტიკის მნიშვნელობა, არამედ მთელი მეცნიერება და ფილოსოფია სემანტიკად გადააქცია.

სემანტიკური ფილოსოფიის ტენდენციები ახასიათებდა როგორც პრაგმატიზმს, ისე ლოგიკურ ემპირიზმს: მაგრამ „ახალ", „ორიგინალურ" ფილოსოფიურ მიმართულებად სემანტიკა შექმნა პრაგმატისტმა მორისმა.

სემანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელთა შორის ორი, ერთმანეთის შემვსები ჯგუფი არსებობს: ერთი ჯგუფი აწარმოებს „სერიოზულ თეორიულ" კვლევას შემეცნების თე-

---

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. გვ. 34—35. 1954 წ.

[2] იქვე, გვ. 36.

ორიის ხაზით, მეორე მარტივ, პოპულარულ ფორმაში ავრცელებს სემანტიკური ფილოსოფიის პრინციპებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტისათვის გამოიყენებს მათ. პირველი ჯგუფის ოფიციალური ორგანო არის Philosophie of Science, მეორე ჯგუფის ჟურნალს ეწოდება „Etc" („და ასე შემდეგ" —„и т. д.").

პირველი ჯგუფის მეთაურმა პრაგმატისტმა მორისმა „უნიფიცირებული მეცნიერების ენციკლოპედიაში" გამოაქვეყნა წერილი „ნიშანთა თეორიის საფუძვლები", რომლის შედეგების საფუძველზე ლოგიკური ემპირიზმის ლიდერი კარნაპი — როგორც ამას ამტკიცებენ ბურჟუაზიული ფილოსოფიის წარმომადგენლები — შეცვლის თავის თვალსაზრისს.

ნამდვილად, როგორც ეს კარგად დაამტკიცა პოლონელმა ფილოსოფოსმა ა.შაფმა, კარნაპმა შესცვალა ტერმინოლოგია, გამოთქმები და არსებითად ძველ თვალსაზრისზე დარჩა. ამიტომ ჩვენ სულ მოკლედ შევეხებით ამ პირველი ჯგუფის თვალსაზრისს.

მორისის თვალსაზრისით „ნიშანს" Sign სამგვარი ფუნქცია აქვს:[1] 1) მას აქვს კავშირი ადამიანთან, რომელიც გამოიყენებს ნიშანს, 2) მას აქვს კავშირი სხვა ნიშნებთან, და 3) მას აქვს მიმართება იმასთან, რასაც ის აღნიშნავს. პირველი წარმოადგენს ნიშნის პრაგმატიკულ ფუნქციას, მეორე სინტაქსურსა და მესამე სემანტიკურ ფუნქციას.

კარნაპი გაითვალისწინებს მორისის ასეთ ანალიზს და აღნიშნავს, რომ ფილოსოფია არ დაიყვანება სინტაქსზე, არამედ სინტაქსთან ერთად მოიცავს აგრეთვე სემანტიკასაც. რადგან საკითხი ეხლა იმასაც ეხება, რომ ნიშანს (Sign) აქვს მიმართება იმასთან, რასაც ის აღნიშნავს, ცხადია, ჭეშმარიტების გაგება როგორც ფორმალურ-ლოგიკური სისწორისა, სისტემასთან ეკვივალენტობისა, აღარ უნდა იყოს საკმარისი.

---

[1] მეცნიერებას „ნიშან"-ზე დიდი ადგილი უკავია ლოგიკური ემპირისტების ყველა ნაწერში. იხ. მაგ. Reichenbach. sumholic Logic. 1947. Stebing. Logic. 1950. Quine. Methodsof Logic და სხვ. 1955.

ამიტომ კარნაპი განასხვავებს ლოგიკურ ჰეშმარიტებას ფაქტიურ ჰეშმარიტებისაგან. ლოგიკური ჰეშმარიტება განისაზღვრება დადგენილი სემანტიკური წესებით, ფაქტიურ ჰეშმარიტებას საქმე აქვს ფაქტებთან.

იბადება შთაბეჭდილება, თითქოს ლოგიკური ემპირიზმი ასახვის თეორიის თვალსაზრისზე დგება. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს ჰეშმარიტების განსაზღვრება ცნობილი ლოგიკოსის ტარსკის მიერ ჩამოყალიბებული, რომელიც დღეს ფართოთ არის გავრცელებული ლოგიკური ემპირისტების ნაწერებში, და რომელსაც კარნაპიც ეთანხმება. ჰეშმარიტების ეს განსაზღვრება ასეთია: „დებულება „თოვლი არის თეთრი" ჰეშმარიტია იმ შემთხვევაში და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თოვლი თეთრია". ამ განსაზღვრებას თითქოს ჩვენც უნდა დავეთანხმოთ; მართლაც მსჯელობა „თოვლი თეთრია" მაშინ არის ჰეშმარიტი, თუ თოვლი ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ თეთრია. ამას ᲑᲝითხოვს ასახვის მარქსისტულ-ლენინური თეორია.

მაგრამ რას გულისხმობენ ლოგიკური ემპირისტები, როდესაც ჰეშმარიტების ამ განსაზღვრებას გამოიყენებენ? დგებიან ისინი მართლაც ასახვის თეორიის თვალსაზრისზე?

წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ლოგიკური ემპირიზმი არ და ვერ გაიზიარებს ასახვის თეორიას. მსჯელობა „ფაქტიურ ჰეშმარიტებაზე", ზემოთ აღნიშნული განსაზღვრება, ტერმინი „შესაბამობა", რომელსაც ზოგიერთი ლოგიკური ემპირისტი ხმარობს —„წინადადება შეესაბამება ფაქტს" (S. Stebing) — ცარიელ სიტყვებად რჩება, რადგან „ფაქტის ცნება სუბიექტურ იდეალისტურად არის გაგებული; „ფაქტი" ისევ „გრძნობადი შინაარსის" სინონიმად იხმარება და ჰეშმარიტება იუმისებურად არის გაგებული: იდეის შესაბამობა შეგრძნებასთან.

და, საერთოდ, როგორ შეიძლება სერიოზულად მსჯელობა იმის შესახებ, რომ ლოგიკური ემპირიზმი—კარნაპისა და ვ. კრაფტის სახით—თანდათანობით უახლოვდება ჰეშმარიტების მატერიალისტურ თვალსაზრისს, რომ ის უკვე ასახვის თეორიისაკენ იხრება — ასეთი აზრი გამოთქვა რამდენიმე ბურჟუაზი-

ულმა ფილოსოფოსმა — თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ კრაფტი იცავს თვალსაზრისს, რომლის მიხედვით კანონები „თამაშის წესებს“ წარმოადგენენ, ხოლო კარნაპი იმ შრომაშიც, რომელშიც ის სემანტიკის პრინციპებს ჩამოაყალიბებს, ისევ კონვენციონალიზმის პრინციპს იზიარებს; ის ყოველივე ორაზროვნობის გარეშე წერს, რომ ძველი თვალსაზრისი ძალაში რჩება: ტოლერანტობის პრინციპი —„ლოგიკაში არ არსებობს მორალი“ და სხვ.— ან უფრო სწორად კონვენციონალიზმის პრინციპი ძალაში რჩება.

S. Stebing—ი, რომელიც იზიარებს ტარსკის მიერ მოცემულ ჭეშმარიტების განსაზღვრებას, ხმარობს ტერმინს „შესაბამობას“ და იქვე აღნიშნავს, რომ აქ ამ შემთხვევაში სრულიადაც არ იგულისხმება ასახვის თეორია.

ჩვენ შევჩერდით სემანტიკოსების პირველ ჯგუფზე მოკლედ მხოლოდ იმის გამო, რომ ზოგიერთმა ვერ გაიგო ლოგიკური ემპირისტების ახალი ტერმინოლოგია, ახალი თავისებური გამოთქმები, სემანტიკის არსება და... აქ მატერიალიზმისაკენ მობრუნება დაინახა. ახალ გამოთქმებში, „ახალ თეორიაში“ ისევ ის ძველი სუბიექტურ-იდეალისტური თეორია არის ნაგულისხმევი.

თავისებურ სახეს გვიჩვენებს სემანტიკოსების მეორე ჯგუფის თვალსაზრისი.

მარქსისტულ-ლენინური თვალსაზრისით „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას. რაკი უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ენა აღნუსხავს და აღბეჭდავს სიტყვებში და სიტყვათა შენაერთებში — წინადადებებში აზროვნების მუშაობის შედეგებს, ადამიანის შემეცნებითი მუშაობის წარმატებებს და, ამრიგად შესაძლებელს ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში“[1].

და შემდეგ: „ამბობენ, ადამიანს თავში აზრები მანამდე ებადება, სანამ ისინი მეტყველებაში გამოითქმებოდეს, ება-

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. გვ. 20. 1954 წ.

დება ენობრივი მასალის გარეშე, ენობრივი გარსის გარეშე, ასე ვთქვათ შიშველი სახითო. მაგრამ ეს სრულებითაც არ არის სწორი. ადამიანის თავში რა აზრებიც უნდა გაჩნდნენ და რა დროსაც უნდა გაჩნდნენ, მათ შეუძლიათ გაჩნდნენ და იარსებონ მხოლოდ ენობრივი მასალის ბაზაზე, ენობრივი ტერმინებისა და ფრაზების ბაზაზე. ენობრივი მასალისაგან თავისუფალი, ენის „ბუნებითი მატერიისაგან" თავისუფალი, შიშველი აზრები არ არსებობს. „ენა აზრის უშუალო სინამდვილეა" (მ ა რ ქ ს ი). აზრის რეალურობა ენაში მჟღავნდება. მხოლოდ იდეალისტებს შეუძლიათ ილაპარაკონ ენის „ბუნებითს მატერიასთან" დაუკავშირებელ აზროვნებაზე, უენო აზროვნებაზე"[1].

რასაკვირველია, ენა და აზროვნება არ არის ერთი და იგივე, მაგრამ მათ შორის განსხვავება როდი ნიშნავს იმას, რომ ისინი ერთმანეთისაგან მოწყვეტილნი არიან. ენა, როგორც ამას გვასწავლის მარქსიზმი, დაკავშირებულია აზროვნებასთან და ამდენად — აზრის საშუალებით — სინამდვილესთან.

სიტყვები არ ასახავენ სინამდვილეს არც თავისი ბგერითი კომპლექსებით და არც თავისი დამწერლობის ფორმით: არც ბგერითი კომპლექსი „კაპიტალიზმი" და არც მისი დამწერლობითი ფორმა, რასაკვირველია, არაფრით არა გავს კაპიტალიზმს როგორც საზოგადოებრივ—ეკონომიურ ფორმაციას. მაგრამ სიტყვას აქვს თავისი მნიშვნელობა, ის გამოხატავს გარკვეულ აზრს, ის აზრის, ცნების გამოხატვის გარკვეული ფორმაა. ამიტომ სიტყვა გამოხატავს სინამდვილეს ამ სიტყვაში ნაგულისხმევი აზრით, ცნებით.

მართალია, საგნის სახელწოდებას არა აქვს არაფერი საერთო საგნის ბუნებასთან (მ ა რ ქ ს ი), მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სიტყვები ცარიელი ნიშნაკებია. სიტყვები შეთანხმების საფუძველზე კი არ შეიქმნენ, ეს პირობითი ნიშნები კი არ არის—აქ ისეთ გარემოებას კი არა აქვს ადგილი, როგორც მათემატიკაში, სადაც ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ პირობით

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. გვ 36. 1954 წ.

ესა თუ ის სიდიდე x-ით, y-ით და სხვა; — სიტყვების წარმოშობასა და ფორმირებას დიდი ისტორია აქვს. ამა თუ იმ ხალხის ისტორიული განვითარება, მისი საზოგადოებრივი ისტორიული პრაქტიკა განსაზღვრავს მის ენას. ენის ისტორია თავისებურ ფორმაში გამოხატავს ხალხის — ამ ენის შემქმნელისა და მატარებელის — ცხოვრების ისტორიას, ის მასთან ერთად განიცდის ცვალებადობას და განვითარებას.

ენა, წერდა ი. სტალინი „წარმოიშვება და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. იგი კვდება საზოგადოების სიკვდილთან ერთად. საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს. ამიტომ ენა და მისი განვითარების კანონები შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას შევისწავლით განუყრელ კავშირში იმ საზოგადოების ისტორიასთან, იმ ხალხის ისტორიასთან, რომელსაც შესასწავლი ენა ეკუთვნის და რომელიც ამ ენის შემოქმედი და მატარებელია“[1].

სემანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენლები წყვეტენ ენას აზროვნებისაგან, წყვეტენ მას სინამდვილისაგან და მისი განვითარების ისტორიისაგან. ენა მათთვის პირობითი ნიშნების ერთობლიობაა.

— „ენა, წერს მორისი, პირობითი ნიშნების რიგია, რომელსაც გამოიყენებენ მრავალ სიტუაციაში; მათი გამოყენება განსაზღვრულია მათი კომბინირების შესაძლებლობით“. „ენა, წერს დიუი, ნიშნაკების სისტემაა, რომლის საშუალებით ჩვენ დავამუშავებთ გრძნობათა მონაცემს“. ამ ნიშნაკებს არავითარი კავშირი არა აქვთ სინამდვილესთან, ისინი არაფერს ასახავენ, არაფერს გამოხატავენ. რა არის „კაპიტალიზმი“, სვამს საკითხს სემანტიკოსი ჩეიზი. გამოსატავს ის რაიმეს? ეს სიტყვა არაფერს არ ასახავს, არაფერს არ გამოხატავს: „ამისთანა ცხოველი როგორიც კაპიტალიზმია მე არსად არ მინახავსო. თუ შეიძლება მისი ფოტოგრაფირება?“

---

[1] ი. სტალინი. მარქსიზმი და ენათმეცნიერების საკითხები. გვ. 19—20. 1954 წ.

ფოტოგრაფირება ბევრი რამესი არ შეიძლება: არ შეიძლება ფოტოგრაფირება სოციალიზმის, დემოკრატიისა, ხალხთა შორის მშვიდობის, ჭეშმარიტების, პატიოსნების, სინდისის, მიზიდულობის კანონის და სხვ. და სხვ.

ამიტომ დაასკვნიან სემანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელნი, ყველაფერი ეს ცარიელი სიტყვებია, მათ არაფერი არ შეესაბამება სინამდვილეში.

ადამიანები, ამტკიცებენ სემანტიკოსები, ურევენ ერთმანეთში სიტყვასა და საგანს. ჩვენ მივიღებთ ნიშნებს შეგრძნებების სახით და მათ გარკვეულ სახელს ვუწოდებთ: ეს სახელი ნიშანია და არა საგანი; საგანს არა აქვს სახელი: სახელწოდება არ არის საგანი. ჩვენ საქმე გვაქვს ნიშნებთან — სახელებთან და გვგონია, რომ საგნებთან გვაქვს საქმე. როდესაც ჩვენ საქმე გვაქვს კონკრეტულ სახელ — ნიშნაკებთან, ჩვენ ადვილად შეგვიძლია შეთანხმება ერთმანეთთან. მაგრამ დავიწყებთ თუ არა ლაპარაკს ზოგადი სახელებით — ნიშნებით, უკვე ჩნდება არევ-დარევა. ეს სიტყვები — ნიშნაკები კონკრეტულ საგნებად გვევლინებიან, პერსონიფიცირდებიან; ჩვენ გვავიწყდება, რომ ისინი ცარიელი ნიშნებია; რომ მათ არაფერი საგნობრივი არ შეესაბამება.

ამის საფუძველზე — განაგრძობს ჩეიზი — ჩნდებიან ისეთი „საგნები" როგორც, მაგალითად, სამშობლო, ერი, კაცობრიობა, კანონი, პროგრესი, კომუნიზმი, თავისუფლება, შრომა, კაპიტალი, ფაშიზმი და სხვ. და სხვ. ეს ცარიელი, უშინაარსო ნიშნები რეალურ ვითარებად, არსებულ საგნებად გვევლინება და იწყება ბრძოლა მათ გამო და მათ გარშემო.

ეს უაზრო სიტყვები და მათ გამო ბრძოლა იწვევს საზოგადოებაში კონფლიქტებს, არევ-დარევას ოჯახში, პირად ცხოვრებაში. „რამდენი სისხლი იყო დაღვრილი სიტყვა „თავისუფლების" გამო, ამ სიტყვის გამო, რომელიც უაზრო იყო როგორც მკვლელებისათვის, ისე მოკლულთათვის;— ვინ იცის, რის გამო წარმოებდა ორი უკანასკნელი მსოფლიო ომი", წერს სემანტიკოსი ნორზი.

ოურმე ბრძოლა თავისუფლებისათვის უაზრობას წარმოადგენს, რადგან თავისუფლება ცარიელი სიტყვაა, ნიშანია და არაფერი ობიექტური მას არ შეესაბამება, ის უაზრო სიტყვაა. მსოფლიო ომები თურმე გამოწვეული იყო არა ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებით, რომლებიც იმპერიალიზმის სტრუქტურით არის განსაზღვრული, არამედ უაზრო სიტყვა — ნიშნების არა სწორი გაგებით.

სემანტიკური ფილოსოფია დგას უკიდურესი ნომინალიზმის თვალსაზრისზე. მას სწამს მხოლოდ კონკრეტული „საგნების" არსებობა. სიტყვა საგნები ჩვენ ჩავსვით ბრჭყალებში იმიტომ, რომ სემანტიკოსებისათვის საგანი გრძნობადი შინაარსია, შეგრძნებაა. ზოგიერთი სემანტიკოსი — მაგალითად, ჩეიზი — ნივთების არსებობასაც აღიარებს: გარეშე ქვეყნიდან, აღნიშნავენ ისინი, შემოდის ჩვენს ცნობიერებაში ნიშანი და ამ ნიშანს რაიმე სიტყვით — რომელიც თვითონ ნიშანია — აღვნიშნავთ. ეს სიტყვა ისევე არა გავს გარედან შემოსულ ნიშანს, როგორც ეს ნიშანი არა გავს მის გარეშე არსებულ ნივთს.

ზოგადი არ არსებობს, რადგან ზოგადიდან არასოდეს არ მიიღება რაიმე ნიშანი. ამიტომ სიტყვები, რომლებიც ზოგადი ცნების გამომხატველია, ცარიელი, უაზრო ნიშნებია.

ჩვენ უკვე რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ ზოგადის უარყოფა და მისი ამსახველი ცნების შემეცნებითი მნიშვნელობის უარყოფა, მეცნიერების უარყოფას წარმოადგენს.

ცნება აზროვნების ფორმაა, რომლის საშუალებით ადამიანის გონება ასახავს საგანთა არსებას, მოვლენათა კანონს. ცნება აზროვნების ხანგრძლივი განვითარების შედეგია, ის მაჩვენებელია აზროვნების წარმატებისა, აზროვნების მიერ სინამდვილის ღრმა შეცნობისა.

სემანტიკოსების აზრით კი ცნებები შემეცნების საშუალებას კი არ წარმოადგენენ, არამედ შეცდომის მაჩვენებელია. ადამიანები თხზავენ ცნებებს, მათ სიტყვებში გამოხატავენ, ამ სიტყვებით მოქმედებენ და არ ესმით რა, რომ ეს სიტყვები არაფერს გამოხატავენ, მათ რეალურ მნიშვნელობას აძლევენ,

ამ სიტყვების გამო იბრძვიან. ყველა უბედურება საზოგადოებაში გამოწვეულია ამ უაზრო სიტყვების ხმარებით.

სემანტიკური ფილოსოფიის წარმომადგენელნი არ უარყოფენ ენის მნიშვნელობას საზოგადოებაში და საზოგადოებისათვის. პირიქით, ისინი გადაჭარბებით აფასებენ მის მნიშვნელობას: მათი აზრით ენა კი არ არის განსაზღვრული საზოგადოების განვითარებით, არამედ საზოგადოების ისტორია არის განსაზღვრული ენით. ენა არის მიზეზი იმ კონფლიქტებისა, რომლებსაც ადგილი აქვს საზოგადოებაში; სიტყვა პირობითი ნიშანია, მას არავითარი შინაარსი არა აქვს, მასში არავითარი აზრი არ იგულისხმება: ადამიანები დებენ სიტყვაში სხვადასხვა აზრს და ეს სხვადასხვა აზრი განსაზღვრავს სოციალურ მიმართებებსა და კონფლიქტებს.

სემანტიკური ფილოსოფია სათანადო იარაღია იმპერიალისტური ბურჟუაზიის ხელში ხალხთა მასების მოსატყუებლად. როგორც აღვნიშნეთ, იმპერიალიზმი, ფაშიზმი, უმუშევრობა, ხალხთა მასების გაღატაკება, აგრესია და სხვ. მხოლოდ პირობითი ნიშნებია, უაზრო სიტყვებია; ნამდვილად არაფერი ამისდაგვარი არ არსებობს.

შემთხვევითი როდია, რომ ამერიკელი დიპლომატები, გამოიყენებენ რა სემანტიკურ სოფისტიკას, უარს ამბობენ ისეთი ცნებების განსაზღვრებაზე, როგორიც არის „აგრესია",— „ფაშიზმი" და სხვ. და თავს იმართლებენ იმით, რომ ეს ტერმინები თვითეულს თავისებურად ესმის.

თუ ყველა უბედურება საზოგადოების ისტორიაში ენის მიერ არის გამოწვეული, გასაგებია, რომ ამ უბედურებათა თავიდან დასაღწევად საჭიროა ენის რეფორმა. უნდა შეიქმნას ახალი ენა, ერთი ენა, რომელშიც ყველა სიტყვას ექნება გარკვეული რეფერენტი (ე. ი. ის, რასაც ეს სიტყვა აღნიშნავს), ენა ყველასათვის, ყველა ერისათვის.

ამერიკულ-ინგლისური იმპერიალიზმის ცინიზმი იქამდე მიდის, რომ მას მიზნად დაუსახავს ეროვნული ენების მოსპობა. ეს სემანტიკურ ფილოსოფიას არაფრად მიაჩნია; მისთვის

ხომ ერი ცარიელი აბსტრაქციაა, ერი არ არის პიროვნება და ამიტომ მას პირადი ღირსების გრძნობა არა აქვს, ამიტომ მი-სი ღირსების შეურაცხყოფაც შეუძლებელია (ჩ ე ი ზ ი).

ახალ, საყოველთაო ენაში აღარ იქნება ის ტერმინები, რო-მელშიც ფართო მოსახლეობა გარკვეულ აზრს დებს და ამის გამო არსებულ წესწყობილებას ებრძვის. კაპიტალიზმი, ექს-პლოატაცია და ამგვარი ტერმინები მთლად უნდა იყოს ამო-ღებული ამ ენიდან.

შემთხვევითი როდია, რომ სემანტიკოსები ეძებენ და თხზავენ ახალ სიტყვებს, რომლებითაც მათ სურთ შეცვალონ იმპერიალიზმისათვის დამახასიათებელი ტერმინები. აცხადე-ბენ კონკურსს ისეთი ტერმინის შეთხზვისათვის, რომელიც შეცვლის ტერმინს „კაპიტალიზმი“.

ერთი ენის შექმნა იმის გამოც არის საჭირო, რომ, თურმე შეუძლებელია ერთი ენის მეორე ენაზე თარგმნა. კერძოდ, თურმე, ყოვლად შეუძლებელია ჩინური აზროვნების კატეგო-რიების ევროპული აზროვნების კატეგორიებზე გადმოყვანა.

ეს რასიული თეორიის პრინციპიც „გამართლებულია“ სე-მანტიკურ ფილოსოფიაში.

ფართო მოსახლეობისათვის, მშრომელთა მასებისათვის უნდა შეიქმნას გამარტივებული ინგლისური ენა; ის კოლონი-ებშიც გამოდგება. საჭიროა მოსახლეობამ რაც შეიძლება ნაკ-ლები სიტყვა იხმაროს, ნაკლები ილაპარაკოს. იქნებ ყველაზე კარგი იქნებოდა, ხალხი რომ ჟესტების ენაზე გადავიდოდეს: ჟესტები არ არის მცდარი აზრებით დატვირთული.

სემანტიკოსი ჩეიზი აღტაცებულია თავისი კატით, რომე-ლიც არ ლაპარაკობს; კატის სამყარო არ არის ფალსიფიცირე-ბული ზოგადი იდეებით, რაიმე რწმენით. სემანტიკური ფი-ლოსოფიის ლიდერი მორისი აღტაცებულია ძაღლებით, რომ-ლებიც არ ლაპარაკობენ, ისინი მხოლოდ მოქმედებენ.

სემანტიკური ფილოსოფია მომაკვდავი კაპიტალიზმის უკა-ნასკნელი სიტყვაა. სემანტიკური ფილოსოფია კაპიტალიზმის საერთო კრიზისის მაჩვენებელია. ჩინში მომწყვდეულ კაპი-ტალიზმს არა აქვს არავითარი გამოსავალი გარდა სოციალის-

ტური რევოლუციისა. იმპერიალისტური ბურჟუაზია ოცნებობს ყურ-მოჭრილ მონა-მოსახლეობაზე, რომელიც არ იაზროვნებს, არ ილაპარაკებს, რომელიც ვერ შექმნის კავშირებს, ვერ შეებრძოლება არსებულ წესწყობილებას.

იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ კარგად იცის, რომ ენა არის იარაღი, რომლის შემწეობით ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ აზრებს ერთმანეთს და აღწევენ ურთიერთის გაგებას. სწორედ ეს საშუალება ურთიერთობისა, ერთმანეთის გაგებისა, სურს იმპერიალიზმს მოუსპოს მოსახლეობას, მშრომელთა მასებს, სურს ისინი ცხოველის მდგომარეობაში ჩააყენოს.

შემთხვევითი როდია, რომ სემანტიკოსები ბევრს წერენ „მოაზროვნე“ და „მოლაპარაკე“ მანქანებზე, რომლებსაც არ ექნებათ სახიფათო აზრები, რომლებიც ერთ „ენაზე“ ილაპარაკებენ. ენაზე, რომელშიც აბსტრაქტული ტერმინები არ არსებობენ. ეს მანქანა-ადამიანები შეცვლიან ადამიანებს წარმოებაში.

VII. იმპერიალისტური ბურჟუაზიის რეაქციული ფილოსოფია და დიალექტიკური მატერიალიზმი

1. ლენინი, განიხილავს რა კრიტიკულად ემპირიოკრიტიციზმს „მატერიალიზმსა და ემპირიოკრიტიციზმში", დაასკვნის, რომ „ოთხი თვალსაზრისით უნდა მიუდგეს მარქსისტი ემპირიოკრიტიციზმის შეფასებას".

საჭიროა ჯერ-ერთი, ამ ფილოსოფიისა და დიალექტიკური მატერიალიზმის თეორიული საფუძვლების შედარება. ეს შედარება გვიჩვენებს ემპირიოკრიტიციზმის რეაქციულობას, ემპირიოკრიტიციზმისა, რომელიც იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ძველ შეცდომებს ფარავს ახალი მანჭვებით, სიტყვებით და ოინებით.

მეორე, უნდა გამოირკვეს ემპირიოკრიტიციზმის ადგილი სხვა თანამედროვე ფილოსოფიურ სკოლებს შორის. მახმა და ავენარიუსმა კანტით დაიწყეს, მაგრამ მისგან მატერიალიზმისაკენ კი არ წავიდნენ, არამედ საწინააღმდეგო მიმართულებით, ჰიუმისა და ბერკლისაკენ.

მესამე, მხედველობაში უნდა მივიღოთ მახიზმის უეჭველი კავშირი უახლესი ბუნებისმეტყველების ერთი დარგის ერთ სკოლასთან. ფიზიკის კრიზისის ზეგავლენით, რამაც განსა-

კუთრებით თვალსაჩინოდ გამოაშკარავა ჩვენი ცოდნის შეფარდებითობა, რომელიც, დიალექტიკის უცოდინარობის გამო, საფუძვლად დაედო რელატივიზმსა და იდეალიზმს, მეცნიერთა გარკვეული ნაწილი იდეალიზმისაკენ დაქანდა.

„მეოთხე, ემპირიოკრიტიციზმის გნოსეოლოგიური სქოლასტიკის უკან არ შეიძლება არ დავინახოთ პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში; ბრძოლა, რომელიც საბოლოო ანგარიშში გამოხატავს თანამედროვე საზოგადოების მტრული კლასების ტენდენციებსა და იდეოლოგიას. ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ იყო. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია, მხოლოდ დაფარული გელერტულ-შარლატანური ახალი სახელწოდებით ან ჭკუამოკლე უპარტიულობით. იდეალიზმი მხოლოდ დახვეწილი, ფაქიზი ფორმაა ფიდეიზმისა, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია, უდიდეს ორგანიზაციებს ფლობს, განუხრელ ზეგავლენას ახდენს მასებზე და თავის სასარგებლოდ იყენებს ფილოსოფიური აზრის მცირეოდენ მერყეობას“[1].

ვ. ლენინის მიერ წამოყენებული ეს ოთხი პრინციპი სახელმძღვანელოა თანამედროვე რეაქციული ფილოსოფიის განხილვისას, მით უმეტეს, რომ, როგორც ვნახეთ, ე. წ. უახლესი ბურჟუაზიული ფილოსოფია პრინციპულად სხვა არაფერია, გარდა ძველი სუბიექტურ-იდეალისტური და აგნოსტიკური ფილოსოფიის აღორძინებისა.

ფილოსოფიის ძირითადი საკითხი არსისა და აზრის დამოკიდებულების საკითხია; ამ საკითხის მოხსნა, მისი ფსევდოპრობლემად გამოცხადება ფილოსოფიის გაუქმებას ნიშნავს. თანამედროვე ბურჟუაზიული რეაქციული ფილოსოფია ნიჰილისტური მიმართულებაა, რადგან ის ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მოხსნას ცდილობს. ეს საკითხი ობიექტური რეალობის არსებობის საკითხთან არის დაკავშირებული.

თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია ობიექტური რეალობის არსებობის საკითხსაც ხსნის. როგორც ვიცით, ამ

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტ. 14, გვ. 457.

ფილოსოფიას არ სურს ობიექტური რეალობის არსებობის არც აღიარება და არც უარყოფა: საკითხი ობიექტური რეალობის არსებობის შესახებ გადაუწყვეტელია, მისი არსებობა თუ არ არსებობა დასაბუთების, გამართლების გარეშე დგას; ამიტომ ეს საკითხი არც მეცნიერებამ და არც ფილოსოფიამ არ უნდა დასვას.

რასაკვირველია, მხოლოდ წმინდა ლოგიკური არგუმენტებით არ დასაბუთდება ობიექტური რეალობის არც არსებობა და არც მისი არარსებობა; ცარიელი სილოგიზმებით ეს პრობლემა არ გადაწყდება. ლოგიკური ანალიზი სავსებით უძლურია ამ საკითხში. ობიექტური სინამდვილის არსებობის საკითხი წყდება არა წმინდა ლოგიკური საშუალებებით, არამედ კაცობრიობის პრაქტიკით.

მარქსამდელი ფილოსოფია, ისევე როგორც თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფია,— მიუხედავად ამ უკანასკნელის ბევრი ლაპარაკისა ცდაზე, ექსპერიმენტზე, პრაქტიკაზე,— იზიარებს პრინციპულად იმ თვალსაზრისს, რომ ადამიანი პირველ რიგში თეორეტიკოსია, რომ თეორია ერთი საქმეა, ხოლო პრაქტიკა სულ სხვა რამ არის.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე რეაქციულ ბურჟუაზიას თეორია სჭირდება თავისი რეაქციული პრაქტიკის გასამართლებლად, ის მაინც იცავს თეორიის „სიწმინდეს“ პრაქტიკისაგან.

მარქსისტულ-ლენინურმა ფილოსოფიამ საბოლოოდ დაასაბუთა, რომ ადამიანი პირველ რიგში პრაქტიკული არსებაა. ადამიანი არა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოველია, არამედ მისი არსება იარაღების კეთების უნარში გამოიხატება. ადამიანი, როგორც საზოგადოების წევრი, ახდენს ბუნებაზე ზემოქმედებას, გარდაქმნის ბუნების მოვლენებს და აძლევს ამ მოვლენებს ისეთ ფორმას, რომლითაც მას შეუძლია დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნილებანი.

კაცობრიობის ისტორია შრომის პროცესის ისტორიაა და ამიტომ მშრომელთა მასების ისტორიაა. შრომის პროცესი, დოვლათის დამზადების პროცესი, ის პროცესია, რომელიც

აკავშირებს ადამიანს ბუნებასთან. ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობა, ბუნებაზე ზემოქმედების პროცესი მისი გარდაქმნის მიზნით, და ამ გზით ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების პროცესი, საკმაო საბუთია ობიექტური რეალობის, ბუნების ობიექტური არსებობის აღიარებისათვის.

თანამედროვე რეაქციული ფილოსოფიის წარმომადგენლები თავს იმართლებენ იმით, რომ ისინი მხოლოდ „მეთოდური", „გნოსეოლოგიური" სოლიფსიზმის თვალსაზრისზე დგანან. მაგრამ ე. წ. გნოსეოლოგიური სოლიფსიზმი ყოველივე თვალსაზრისით უაზრობას წარმოადგენს. ჯერ-ერთი პრაქტიკული სოლიფსიზმი წარმოუდგენელი თვალსაზრისია; როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მხოლოდ გიჟი თუ უარყოფს პრაქტიკულად ობიექტური სინამდვილის არსებობას. არც პრაგმატისტები, არც ლოგიკური ემპირისტები და არც სემანტიკოსები არ უარყოფენ პრაქტიკაში ობიექტური სამყაროს არსებობას; ისინი „მხოლოდ" თეორიაში უარყოფენ მას, ანდა უფრო სწორედ, არ სვამენ საკითხს მის შესახებ. როგორც აღვნიშნეთ: მათი თეორია ერთია, ხოლო პრაქტიკა მეორეა.

მარქსიზმ-ლენინიზმს შეაქვს პრაქტიკის კრიტერიუმი შემეცნების თეორიაში და მის საშუალებით ასაბუთებს ობიექტური რეალობის არსებობას ადამიანთა ცნობიერების გარეშე და მისგან დამოუკიდებლად. თეორია პრაქტიკისაგან მოწყვეტილი სქოლასტიკაა და ამ სქოლასტიკის თვალსაზრისზე დგას თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმი. ობიექტური რეალობის არსებობა არ არის მხოლოდ „რწმენა", „ბრმა ინსტინქტი". როგორც ამის დამტკიცება სურს თანამედროვე რეაქციულ ფილოსოფიას; ეს არის აბსოლუტური სიზუსტით დადგენილი კაცობრიობის ხანგრძლივი პრაქტიკით, ამ პრაქტიკული მოღვაწეობის ნაყოფიერი შედეგით, მეცნიერების მთელი ისტორიით და მისი მიღწევებით.

თანამედროვე რეაქციული ფილოსოფია, რომელიც ტრაბახობს იმით, რომ იგი მეცნიერების მიღწევებს ეყრდნობა, მის ლოგიკურ ანალიზს აწარმოებს და სხვ. და სხვ. წარმოუდგენელ წინააღმდეგობაში ვარდება, უცნაურ უაზრობამდე

მიდის. ამ ფილოსოფიის მიმდევრები თანამედროვე ფიზიკას „ეყრდნობიან“, ყოველ წამს იმაზე მსჯელობენ, რომ დებულება უნდა ცდაში გავამართლოთ, რომ მეცნიერებაში — ფიზიკაში ჩვენ საქმე გვაქვს ხელსაწყოს ისრის მაჩვენებელთან, გაზომვასთან და ასე შემდეგ და ივიწყებენ იმას, რომ ეს ხელსაწყოები, გამზომი იარაღები კაცობრიობის ხანგრძლივი პ რ ა ქ ტ ი კ ი ს შედეგია. ყოველი მომენტი ფიზიკური ექსპერიმენტის, ხელსაწყო იქნება ის თუ მთელი ლაბორატორია, ადამიანთა პრაქტიკული მოღვაწეობის შედეგი. და ამის შემდეგ უარყოფა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელის, მის გარეშე არსებულის უაზრობას წარმოადგენს.

ფიზიკური ექსპერიმენტის დასაყენებლად საჭირო აპარატურა, ბინა, ხელსაწყოები და სხვ. ობიექტური საზოგადოებრივი წარმოების შედეგია. უკვე ის გარემოება, რომ მეცნიერებაში ყველაფერი ეს გამოყენებულია, და ამავე დროს მტკიცება იმისი, რომ მეცნიერება უარს ამბობს ობიექტური სამყაროს არსებობის საკითხის გადაწყვეტაზე ან მით უმეტეს უარყოფს მის არსებობას, ანგრევს თანამედროვე სუბიექტურ იდეალიზმს.

იქნებ აქ ასეთი გამოსავალი აქვს თანამედროვე სუბიექტურ იდეალიზმს: ეს აპარატურა კი არსებობს, მაგრამ მისი საშუალებით ჩვენ ვერ გადავწყვეტთ ობიექტური სამყაროს არსებობის საკითხს.

მაგრამ, ჯერ-ერთი, თვითონ ეს აპარატურა უკვე მაჩვენებელია ობიექტურის არსებობისა. თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმი უარყოფს ობიექტური საგნების არსებობის საკითხს და წანამძღვრად კი უკვე აღიარებული აქვს ამგვარი საგნების არსებობა.

მეორე მხრით, ეს საკითხი ჭეშმარიტების პრობლემასთან არის დაკავშირებული. განვიხილოთ ეს საკითხიც.

3. მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით ჭეშმარიტებას ობიექტური ხასიათი აქვს: ჭეშმარიტება როგორც ჩვენი წარმოდგენების ისეთი შინაარსი, რომელიც ჩვენზე, კაცობრიობაზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ ობიექ-

ტური საგნებით არის განსაზღვრული ყოველივე სუბიექტურის დანამატის გარეშე, ჭეშმარიტების ერთადერთი სწორი გაგებაა. ჭეშმარიტების სუბიექტურობა ჭეშმარიტების ცნებას აუქმებს. საბოლოო ანგარიშში, ჩვენს აზრებს ობიექტივობას, აუცილებელსა და საყოველთაო ხასიათს ობიექტური სინამდვილე აძლევს. სუბიექტში თავისთავად არ არსებობს ობიექტივობის მომენტი და ამიტომ ის, ვინც უარყოფს ობიექტური სინამდვილის არსებობას ან მისი არსებობის საკითხის დასმის კანონიერებას, ის ჭეშმარიტებაზე ვერც ილაპარაკებს. თანამედროვე რეაქციული ფილოსოფია მსჯელობს რა ჭეშმარიტებაზე, ნამდვილად უარყოფს ჭეშმარიტებას.

რას წარმოადგენს მეცნიერება, რომელსაც მიზნად დაუსახავს არა სინამდვილის ასახვა, არამედ შეთანხმების საფუძველზე ლოგიკურად უნაკლო სისტემის შექმნა?

ცოდნას, მეცნიერებას თავისთავად არა აქვს არავითარი ღირებულება, თუ ის პრაქტიკასთან არ არის დაკავშირებული, თუ ის პრაქტიკისათვის არ არის გამოსადეგი. მეცნიერება, სინამდვილის მოვლენებისა და მისი კანონების ცოდნა უადვილებს ადამიანს ბუნებაზე ზემოქმედებას, მის გარდაქმნას, ადამიანთა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას, ბუნებაზე ბატონობას. „მეცნიერება", რომელსაც არა აქვს საქმე სინამდვილესთან და მხოლოდ ლოგიკურად თანმიმდევარი სისტემაა, უბრალო თამაშს წარმოადგენს.

თქმა იმისა, რომ ამ სისტემაზე დაყრდნობით ჩვენ შეგვიძლია ლოგიკურად გავითვალისწინოთ მოსალოდნელი შეგრძნება— ანდა ხელსაწყოს ისრის მოსალოდნელი ჩვენება— ფარულად იმას გულისხმობს, რომ მოსალოდნელი შეგრძნება — ან ხელსაწყოს ისრის მოსალოდნელი ჩვენება — ჩვენი სურვილისა და ნებაყოფლობისაგან დამოუკიდებელია, ობიექტურია, ობიექტით განსაზღვრულია.

რასაკვირველია, ნამდვილი მეცნიერება აგებს ჰიპოთეზებს, რომელთა საფუძველზე ლოგიკურად დაასკვნის მოსალოდნელ ფაქტზე, ჰიპოთეზს დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერების განვითარებაში, ჰიპოთეზი მეცნიერების განვითარების ფორმას

წარმოადგენს. მაგრამ, ჯერ-ერთი, ჰიპოთეზი შენდება გარკვეული ფაქტების შესწავლის საფუძველზე და არა ნებისმიერად დადგენილ დებულებებზე; მეორე, რომ ის არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს დანარჩენ ცნობილ ფაქტებს და აზროვნების კანონებს; ხოლო ამ კანონებსაც ობიექტური ხასიათი აქვთ და არა ჩვენი სურვილის მიხედვით დავადგენთ მათ თამაშის წესების მიხედვით.

4. დიალექტიკური მატერიალიზმი აღიარებს ჭეშმარიტების რელატიურს, შეფარდებით ხასიათს. სინამდვილე შემეცნების თვალსაზრისით ამოუწურავია; ყოველი მეცნიერული თეორია, სისტემა სინამდვილის ამა თუ იმ ნაწილის დაახლოებით სწორი სურათია; ყოველი მეცნიერული თეორია ეპოქის ჩარჩოებით არის განსაზღვრული. ადამიანთა პრაქტიკისა და მეცნიერებათა განვითარების გზით ეს თეორია ღრმავდება, სწორდება, უფრო ზუსტად ასახავს სინამდვილეს: ძველი თეორიის ზოგიერთი მხარე მთლად მოიხსნება, როგორც მცდარი. ზოგიერთი დაზუსტდება, განზოგადდება, პირველი რიგის არსების ასახვიდან მეცნიერება მეორე რიგის არსების ასახვას მოახერხებს და ა. შ. მაგრამ ყოველ მეცნიერულ თეორიაში არის მხარეები, რომელნიც აბსოლუტური ჭეშმარიტების მარცვლებს, ელემენტებს წარმოადგენენ და, რომელნიც ძველი თეორიიდან ახალ თეორიაში გადადიან. ამაში მდგომარეობს მეცნიერული ცოდნის განვითარების არსება.

ასე რომ არ ყოფილიყო, შეუძლებელი იქნებოდა ცოდნის, მეცნიერების განვითარებაზე მსჯელობა: თუ წინამავალ თეორიაში შემდგომი თეორიის თვალსაზრისით ყველაფერი აბსოლუტურად მცდარი აღმოჩნდება, ხოლო ამ უკანასკნელში ისეთივე მდგომარეობა შეიქმნება ახალი თეორიის თვალსაზრისით, ეს იმის მაჩვენებელი იქნება, რომ არც ერთი თეორია არ არის ჭეშმარიტი, არც ერთს მათგანს არ ახასიათებს ობიექტურობა, ყველა მათგანი მხოლოდ სუბიექტურია. ეს არის აბსოლუტური რელატივიზმი, რომელიც ცოდნის, მეცნიერების ცნებას სპობს.

5. ბრძოლა მეცნიერების წინააღმდეგ არის რწმენის, რელიგიის დაცვა. აგნოსტიციზმი რწმენას, რელიგიას კარს უღებს.

სამყაროს შეცნობადობის პრინციპი უარყოფს რწმენის, რელიგიის საჭიროებას: თუ ადამიანს შეუძლია პრინციპულად ყველაფრის შემეცნება, რწმენა, რელიგია სრულიად ზედმეტია. მაგრამ, თუ ადამიანს არა აქვს უნარი სინამდვილის შემეცნებისა, ცხადია, მაშინ შეუცნობადი რწმენისა და რელიგიის სფეროდ იქცევა. ეს აზრი დიდი ხანია ცნობილია; ჯერკიდევ ტერტულიანმა წამოაყენა პირველი შეხედვით პარადოქსალური დებულება: „მწამს, რადგან აბსურდულია". ის, რაც გონებისათვის გასაგებია, ის, რაც ლოგიკურად მოიაზრება, ის შეიცნობა, აქ რწმენა ზედმეტია. ხოლო ის, რაც გონებისათვის მიუწვდომელია, ის შეუცნობელია, ის რწმენის სფეროდ იქცევა.

კანტმა ყოველივე ორაზროვნების გარეშე გამოთქვა იგივე აზრი: კანტი წერდა, რომ მან იმიტომ შემოსაზღვრა ადამიანის გონება, რომ რელიგიისათვის ადგილი დაეტოვებია, ე. ი. იმ მიზნით აღიარა შეუცნობადი სფერო, რომ ეს სფერო რელიგიისათვის დაეტოვებია.

თანამედროვე იმპერიალიზმის რეაქციული ფილოსოფია ამავე გზით მიდის. ობიექტური სინამდვილის არსებობისა და მის შემეცნების საკითხს მეცნიერებიდან და ფილოსოფიიდან განდევნიან და მას რწმენის სფეროს მიაკუთვნებენ: ამ სფეროსათვის მეცნიერება კი არ გამოდგება, არამედ რელიგია, „ლოცვა". საინტერესო ის არის, რომ ეს ფილოსოფია გამოიყენებს რა თანამედროვე მეცნიერების ყალბ ინტერპრეტაციას, ამ მეცნიერების მიღწევებით ცდილობს გაამართლოს რელიგია.

6. ფილოსოფია დღესაც ისევე, როგორც 2000 წლის წინათ, პარტიულია. პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში კლასთა ბრძოლის ანარეკლია. ეს ბრძოლა დღეს შედარებით წინა პერიოდებთან გამძაფრებულია. მომაკვდავი კაპიტალიზმი არ უთმობს და ვერ დაუთმობს თავისი ნებით და სურვილით ახალს, პროგრესულს; ის იბრძვის თავისი არსებობისათვის,

თავისი ბატონობისათვის. ის იბრძვის როგორც ეკონომიურსა და პოლიტიკურ სფეროში, ისე იდეოლოგიურში. ის ამზადებს კაცობრიობის გასანადგურებლად საშინელ იარაღს. მაგრამ, როგორც იყო აღნიშნული, ეს არ არის საკმარისი: საჭიროა მოსახლეობის, მშრომელთა მასების უბრალო ადამიანების გაბრუება, მოტყუება, მათი მშვიდობიანი შრომისაკენ მისწრაფების დაჩლუნგება, მათი სულიერი დამონება, რათა იმპერიალისტურმა ბურჟუაზიამ შესძლოს მათზე ბატონობა.

მშრომელთა მასების სულიერი მოწამლისათვის ბურჟუაზიის მსახურები აღადგენენ ძველ რეაქციულ თეორიებს, თანამედროვე მეცნიერების ტერმინოლოგიით შეალამაზებენ, აქვეყნებენ „სერიოზულ" გამოკვლევებს, ხოლო ფართო მოსახლეობისათვის არსებობს მრავალრიცხოვანი შტატი ფილოსოფოსებისა და მეცნიერების, რომელიც პოპულარულ ფორმაში ავრცელებს ამ თეორიებს; ჟურნალები, გაზეთები, პოპულარული ბროშურები ათეული მილიონების ტირაჟით ვრცელდება ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვრცელდება იმპერიალისტურ ქვეყნებში და წამლავს ყოველ წამს ფართო მოსახლეობის ცნობიერებას.

მაგრამ მშრომელთა მასების მოტყუება დღითი დღე ძნელდება. კაცობრიობის მოწინავე ნაწილი მთელ მსოფლიოში იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. კომუნიზმისა და დემოკრატიის იდეების მომხრეთა ბანაკი დღითი დღე იზრდება და მძლავრდება. ამ იდეების სათავეში საბჭოთა იდეოლოგია დგას.

მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც წარმოადგენს მეცნიერებას ბუნებისა და საზოგადოების განვითარების, ჩაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესახებ, ულმობლად ამხილებს რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის სიყალბეს. მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლის შემძლე იდეებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია ზრდის საბჭოთა ხალხს ჩვენს ქვეყანაში კო-

მუნიზმის განხორციელებისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმი მსოფ-
ლიო პროლეტარიატს, ყველა ქვეყნის მუშათა პარტიებს აძ-
ლევს მძლავრ იარაღს ლპობადი კაპიტალიზმის წინააღმდეგ
საბრძოლველად, ჩაგრული ხალხების გასათავისუფლებლად
იმპერიალისტური მონობისაგან.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
I. ორი სისტემა—ორი იდეოლოგია. . . .	3
II. თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის წინამორბედნი	10
1. ბერკლის სუბიექტური იდეალიზმი .	12
2. იუმის აგნოსტიციზმი	13
3. კანტის დუალიზმი და აგნოსტიციზმი .	15
4. მახიზმი, ემპირიოკრიტიციზმი	19
III. მარქსიზმ-ლენინიზმი კანონების ობიექტური ხასიათის შესახებ. .	24
IV. პრაგმატიზმი	30
1. პრაგმატიზმი როგორც მეთოდი . .	35
2. პრაგმატიზმი როგორც ჭეშმარიტების თეორია	40
3. სინამდვილის პრობლემა	56
4. პრაგმატიზმი და რელიგია	63
5. პრაგმატიზმი იმპერიალისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიაა	68
6. პრაგმატიზმის მოძღვრება ლოგიკაზე .	71
V. ლოგიკური ემპირიზმი (ნეოპოზიტივიზმი).	75
1. ლოგიკური ემპირიზმის ისტორია .	75
2. ლოგიკური ემპირიზმის იდეოლოგიური წყაროები .	79
3. ლოგიკური ემპირიზმის „ემპირიზმი“ .	87
4. ფილოსოფიის პრობლემა, ლოგიკური მეთოდი .	92
5. ლოგიკა როგორც ენის ლოგიკური სინტაქსი	98
6. გაგრძელება ლოგიკა როგორც ენის სინტაქსი	105
7. ჭეშმარიტების თეორია. მეკნიერების თეორია .	110
8. მეცნიერებათა ერთიანობა	123
9. ლოგიკური ემპირიზმის „უკანასკნელი“ გამოკემა .	133
10. ლოგიკური ემპირიზმის პრინციპების გამოყენება „პოზიტიურ“ მეცნიერებაში	135
11. მრავალმნიშვნელოვანი ლოგიკა	144
VI. სემანტიკური იდეალიზმი	151
VII. იმპერიალისტური ბურჟუაზიის რეაქციული ფილოსოფია და დიალექტიკური მატერიალიზმი.	164

რედაქტორი ხ. წერეთელი
გამომცემლობის რედაქტორი ი. ყიფიანი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/V 1955.
ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 11.
უე 01277. ტირაჟი 5.000. შეკვ. № 2638.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამომცემლობისა და პოლიგრაფიული მრეწველობის მთავარი სამმართველოს სტამბა № 2, თბილისი, ფურცელაძის ქ. № 5.

Типография № 2 Главного управления издательств и полиграфической промышленности Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, улица Пурцеладзе № 5.